

ქალაქ ბათუმის მერია

Batumi City Hall

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მუსიკის ფაკულტეტი

Music Faculty of Batumi Art State University

გიორგი გარაყანიძის სახელობის ბათუმის  
ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის X  
საერთაშორისო ფესტივალი

Giorgi Garaqanidze X International Festival of Folk and Church  
Music in Batumi

**სამეცნიერო კონფერენცია**  
**Scientific Conference**

**სალეზი და საეპლესიო მუსიკის საშემსრულებლო  
პროგლემები**

**THE ISSUES OF PERFORMANCE FOLK AND  
CHURCH MUSIC**

I

ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ბათუმი 2015

რედაქტორი-ხათუნა მანაგაძე

რედკოლეგია:

ლოლიტა სურმანიძე

თამარ ძველაია

გვანცა ციცაბი

სოფიო გოთუა

მხატვარი-ქათუნან გოგოლაძე

საქართველო ბათუმი, ლ. ასათიანის ქ.47

Georgia, Batumi, 37 Asatiani Street

© ბათუმის ხელოვნების სახწავლო სახელმწიფო  
უნივერსიტეტი,

© ქალაქ ბათუმის მერია

ბათუმის ხელოვნების სახწავლო სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015

ISBN 978-9941-9404-5-3

## სარჩევი

- ედიშერ გარაფანიძე** – ქართული ხალხური  
სიმღერის შემსრულებლობა.....
- აძღულა აკატი** -ბერლინის ფონოგრამულ არქივ-  
ში დაცული აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის  
ადგილობრივი კულტურის ელემენტების შემცვე-  
ლი მასალების მიმოხილვა .....
- ქუთევან ბაიაშვილი** -ქართული საბავშვო თამა-  
შობანი და ხალხური სიმღერის სწავლების თა-  
ნამედროვე პრობლემები.....
- ქუროლაინ ბითელი** -შესრულება, როგორც ამბი-  
ვალენტური ქმედება: დიდი ბრიტანეთისა და  
კორსიკის მაგალითები .....
- ნანა გოგოლაძე** - შემსრულებლობა თანამედრო-  
ვე ლეჩხუმში .....
- თამაზ გაბისონია** -ავტორი ქართულ ეთნიკურ  
მუსიკაში .....
- ნანა ვალიშვილი** -ხალხური შემსრულებლობის  
ევოლუციური პროცესები და თანამედროვე ქარ-  
თველი „ჰომოპოლიფონიკუსი“ .....
- ნინო კალანდაძე-მახარაძე** -შემსრულებლობის  
ისტორიის ფურცლები: ქართული „ნანა“  
სცენაზე .....

**ლარისა დუკაშენგო -**უკრაინის აუთენტური  
ვოკალური ფოლკლორის შემსრულებლობის  
საკითხისათვის.....

**შორენა მეტრულელი -**საუფლო დღესასწაულთა  
ჰიმნოგრაფიული კანონის შესრულების თავისე-  
ბურებები ქართულ საღვთისმსახურო ტრადიცია-  
ში (XIX საუკუნიდან დღემდე) .....

**ნანა მუავანაძე -**საშემსრულებლო ფორმების  
საკითხისათვის სვანურ სასიმღერო რეპერტუარ-  
ში.....

**ნინო ნანებიშვილი -**მუსიკა და მისი შემსრულებ-  
ლობის საკითხები ქართველ ორმოცდაათიანე-  
ლებში (თბილისისა და დედოფლისწყაროს მაგა-  
ლიოზე) .....

**გეატერინჯ თნიანი -**საშემსრულებლო ხერხების  
გამოვლენის საკითხისათვის ნევმურ დამწერლო-  
ბაში .....

**ოლგა პუტიატიცაია -**უძველესი უკრაინული მო-  
ნოდიის საშემსრულებლო რეპერტუარის თავისე-  
ბურებები XVI-XVIII საუკუნეების ბოლოს ირმო-  
ლოგიონში. წყაროთმცოდნეობითი ასპექტები.....

**ბაია ჭუჭუნაძე -**მესხური მუსიკალური ტრადიცი-  
ოს შენარჩუნების საკითხისათვის .....

- თეონა რუხაძე** - ჭიბონის შემსრულებლობის საკითხები.....
- მონა ზონი ნინო სამხარაძე** - მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის სამგალობლო ტრადიციის ზოგიერთი საკითხი.....
- ნატალია სერგინა** - ცენტრალური უკრაინის ხალხური შემსრულებლობის ზოგიერთი ასპექტი. ეთნოპედაგოგის და შემსრულებლის შენიშვნები.....
- ლოლიტა სურმანიძე** - შუახევის რაიონის ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობის ზოგიერთი საკითხი.....
- მაგდა სუხიაშვილი** - ქართული საეკლესიო გალობის შემსრულებლობის ზოგიერთი საკითხის შესახებ .....
- გეატერინჯ გაზარაშვილი** - ქართული საეკლესიო გალობის დაცვისა და შემსრულებლობის პრობლემები (დეკანოზ ვასილ კარბელაშვილის საარქივო ხელნაწერების მიხედვით).....
- თამარ ჩხეიძე** - „შუაღამისანი“-ს შესრულების თავისებურებები ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში .....
- გეა ჭაბაშვილი** - რამდენიმე თანამედროვე ქართველი კომპოზიტორის საგალობლის ქდერადობის საშემსრულებლო მრავალწახნაგოვნება.....

**ინგა ხალვაში** - ქართული ხალხური ცეკვებისა  
და კინემატოგრაფის ურთიერთმიმართების  
ზოგიერთი საკითხისათვის.....  
**გიორგი გარაყანიძე** - მთვარის კულტმსახურების  
ცოცხალი ნაშთი და წარმართული დვთავების  
ნიშან-სიმბოლო

## CONTENTS

<i>Edisher Garakanidze</i> - Performance of Georgian Folk Song.....
<i>Abdullah Akat</i> - An Overview of the Eastern Black Sea Region Local Culture Products in Berlin Phonogramm-Archiv.....
<i>Ketevan Baiaashvili</i> - Kids games and contemporary problems in the study of folk songs in the children's ensembles .....
<i>Caroline Bithell</i> - Performance as an Ambivalent Act: Views from the UK and Corsica .....
<i>Tamaz Gabisonia</i> - The Author in Georgian Ethnic Music
<i>Nana Gogoladze</i> - The modern Lechkhumian Musical Performance .....
<i>Nana Valishvili</i> -Evolutionary Processes of Folklore Performance and Modern Georgian “Homo-Poliphonicus”
<i>Nino Kalandadze-Makharadze</i> - Georgian „Nana“ on stage.....
<i>Larisa Lukashenko</i> - On the problem of authentic Ukrainian vocal performance .....
<i>Shorena Metreveli</i> -Performs Peculiaritiesof the Great Feasts Hymnographic Canon in Georgian Liturgical Tradition (From XIX century until today) .....

<i>Nana Mzhavanadze</i> - On the Issue of Performance Forms in the Svan Singing Repertoire .....
<i>Nino Naneishvili</i> -Music and performance issues in the Pentecostals .....
<i>Ekaterine Oniani</i> - On the Issues of the Revealing of Performing Methodsin the Neume Notation. ....
<i>Olga Putiatytska</i> -Features of the performing repertoire of the old Ukrainian Church monody in Irmoloythe end of the XVI – XVIII centuries: source studies aspect.....
<i>Baia Zhuzhunadze</i> - On the Preservation of Meskhetian Musical Tradition .....
<i>Teona Rukhadze</i> - Issues of Performance on <i>Chiboni</i> .....
<i>Nun Nino Samkharadze</i> -Some question about the singing tradition of Mtskheta Samtavro Saint Nino Convent .....
<i>Natalya Serbina</i> -Some aspects of national performance in Central Ukraine- ethno pedagogue and performer's notes .....
<i>Lolita Surmanidze</i> -General issues of Shuakhevi region traditional music performance.....
<i>Magda Sukhiashvili</i> - On Some Issues of Performance of Georgian Chants.....

- Ekaterine Kazarashvili*** - Georgian Psalm Tradition  
preservation and performance issues (in accordance with  
the archival manuscripts of Basil Karbelashvili) .....
- Tamar Chkheidze** –Peculiarities of the performance of  
Shuagamisani” in the Georgian divine service .....
- Eka Chabashvili*** - Different aspects of sounding of  
Contemporary Georgian Composers' Chants by Variants  
of Performing. ....
- Inga Khalvashi*** - Some of the issues of Georgian National  
dances and cinematography interactions.....
- Giorgi (gigi) Garakanidze*** -The live remnant of the lunar  
worship and the mark - symbol of the pagan deity .....



## ედიშერ გარაფანიძე

### მართლი ხალხში სიმღერის შემსრულებლობა

ტერმინი "სასიმღერო ფოლკლორი" ჩვენს სინამდვილეში ხშირად სრულიად განსვავებულ ცნებებს გამოხატავს: ერთ შემთხვევაში, აუთენტურ, წმინდა ხალხურ, სოფლურ ყოფაში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ სასიმღერო შემოქმედებას, ხოლო მეორე შემთხვევაში – დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ, სცენაზე წარმოქმნილ მის "საკონცერტო ვარიანტს". ესაა არა მარტო ასაკით, არამედ შინაგანი ბუნებით ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული ორი მოვლენა, რაც აუცილებელს ხდის მათ სხვადასხვა სიბრტყეზე განხილვას.

აღნიშნული სხვაობის დაფიქსირების, განსხვავებული შინაარსის მოვლენათა გამიჯვნის მიზნით, უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია, დამკვიდრდა ტერმინ-ანტონიმები: "ფოლკლორი" და "ფოლკლორიზმი", "აუთენტური" და "სასცენო ფოლკლორი", "პირველადი" და "მეორეული ფოლკლორი", "პირველადი" და "მეორეული შემსრულებლობა". ამ ტერიმნების გამო-

ყენება სრულიად აუცილებელია ჩვენს სამუსიკო მეცნიერებაშიც; წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში მიმდინარე რეალური პროცესების ახსნა შეუძლებელი იქნება.

"პირველადი სასიმღერო ფოლკლორი" გულისხმობს ხალხურ სასიმღერო შემოქმედებას ყოველგვარი დამუშავების, გარედან ჩარევის, ამათუ იმ მიზნით მისი ხელოვნური ხელყოფის გარეშე; იგი ხალხის კოლექტიური აზროვნების ნაყოფია. "პირველადი შემსრულებლობა" კი პირველადი ფოლკლორის ინტერპრეტაციაა, დამყარებული შესრულების წმინდა ხალხურ, სოფლელ შემსრულებელთა წიაღში დადგენილ ტრადიციებსა და ნორმებზე. ამ ცნებების საწინააღმდეგო შინაარსის შემცველია "მეორეული (სასცენო) სასიმღერო ფოლკლორი" და "მეორეული შემსრულებლობა". ამ შემთხვევაში აუთენტურ ნორმათა ჩარჩოების შეგნებულ გადალახვასთან გვაქვს საქმე.

### **შემსრულებლობა პირველად სასიმღერო ფოლკლორში**

ხალხური სიმღერა სოფლური ყოფის განუყრელი თანამგზავრია; ქართველი კაცის ცხოვრები

ბის მთელი გზა – ამ ცხოვრების საკვანძო მო-  
ქენტებიცა და ყოველდღიურობაც – მუდამ სიმ-  
ღერით იყო ხლებული.

პირველად სასიმღერო ფოლკლორში გამოი-  
ყოფა მისი ორი განშტოება – ე.წ. თანდებული  
და წმინდა სიმღერები. თანდებული სიმღერები  
ჩვენი ხალხური მუსიკალური შემოქმედების ძი-  
რითადი, საყრდენი ნაწილია და უშუალოდ უკავ-  
შირდება ამა თუ იმ რიტუალს, შრომის პროცეს-  
სა და მისთ. ამ სიმღერებს შესრულების მკაც-  
რად განსაზღვრული დრო და ადგილი აქვს; შე-  
საბამისი რიტუალისა თუ საქმიანობის სფეროს  
გარეშე ისინი, როგორც წესი, არც იმღერება.  
თანდებული სიმღერები, არსებითად, ყველას  
კუთხით და მათი შესრულება სოფლის ნე-  
ბისმიერ მკვიდრს ხელეწიფება; მეტიც, ერთის  
მხრივ, რელიგიური და, მეორე მხრივ, უტილიტა-  
რული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თანდებუ-  
ლი რეპერტუარი ყოველი რიგითი სოფლელისათ-  
ვის თავისებური "სავალდებულო პროგრამაა". ამ  
რეპერტუარის შემადგენელი სიმღერები ხალხის  
მიერ ხშირად სიმღერებად არც კი იწოდება.

რაც შეეხება წმინდა სიმღერებს, თანდებულ  
სიმღერებთან მიმართებაში ისინი, ერთგვარად,  
ზედნაშენური კატეგორიაა. მათი წარომოშობა

შედარებით გვიანდელ ეპოქებს უკავშირდება; მუ-  
სიკალური აღნაგობის თვალსაზრისით ისინი  
თანდებული სიმღერების ინტონაციებიდანაა  
ამოზრდილი. ამგვარი სიმღერების წარმოშობა  
უმთავრესად ხალხის ესთეტიკურმა მოთხოვნი-  
ლებებმა განაპირობა; რელიგიური და უტილიტა-  
რული მოტივების როლი აქ შეუდარებლად უფ-  
რო ნაკლებია. წმინდა სიმღერების შესრულება  
არ არის შეზღუდული დროითა და ადგილით –  
ისინი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ხელსაყრელ  
ადგილზე შეიძლება შესრულდეს. ამავე დროს,  
თანდებულთაგან განსხვავებით, წმინდა სიმღერები  
მომღერალთა გარკვეული ნაწილის კუთვნი-  
ლებაა; მათი ცოდნა არ არის ყველასათვის სა-  
ვალდებულო და ხშირად, სირთულის გამო, ყვე-  
ლა ვერც ასრულებს. ასეთ შემთხვევაში შემსრუ-  
ლებლებად ე.წ. "ოსტატები" გვევლინებიან.

როგორც "რიგითთა", ასევე "ოსტატთა", მუ-  
სიკალური დახელოვნება თანდებული სიმღერების წიაღში იწყება. სწავლის პროცესი აქ სრუ-  
ლიად თავისებურია, ძირეულად განსვავდება  
დღეს ქალაქში დამკვიდრებულისაგან და ე.წ.  
"კომპლექსური აღქმის მეთოდს" ემყარება. ეს "მე-  
თოდი" გამორიცხავს სიმღერების მიზანდასა-  
ხულ, დიფერენცირებულ, ცალკეული ხმების მი-

ხედვით შესწავლას; ათვისება ხდება თანდათანობით, ხანგრძლივი, მრავალგზისი მოსმენის საფუძველზე, შემსწავლელის მონაწილეობისას ამათუ იმ სიმღერის შესაბამის რიტუალსა თუ სხვადასხვა ქმედებაში. ასეთ დროს სიმღერის აღქმადამასხსოვრება კომპლექსურად, დაუნაწევრებლად მიმდინარეობს: თავდაპირველად აღიქმება სიმღერა მთლიანობაში – მისი ძირითადი ქარგა; ცალკეული ხმების მოძრაობა აბსტრაქტულად, მიახლოებით დაიმასხსოვრება. მხოლოდ შემდეგ, მოცემული ფოლკლორული ნიმუშის მეტნაკლები გათავისების კვალობაზე, შემსრულებლის გონგბაში კონკრეტდება ცალკეული ხმების მელოდიური ნახაზი. თუმცა იდეალური სიზუსტით დაკონკრეტება არასოდეს ხდება. ამიტომ ასეთი გზით შესწავლილი სიმღერის რეპროდუქციაც მუდამ მიახლოებითია, რაც შემსრულებლისაგან მუდმივ იმპროვიზაციას მოითხოვს და მას ფოლკლორული ნაწარმოების თანავტორად აქცევს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იმპროვიზაცია ძირითადად ხალხის მიერ საუკუნეობით გამომუშავებულ ინტონაციურ ფორმულებს ემყარება). აქედანვე გამომდინარეობს ის გარემოება, რომ ჰემმარიტი აუთენტური მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციებზე აღზრდილი მომღერლებისათ-

ვის არ არსებობს სიმღერების ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული ვარიანტები; თითოეული მომღერალი, შესრულების ყოველ ჯერზე, როგორც წესი, რაიმეს ცვლის ამა თუ იმ ხმის მელოდიურ-რიტმულ ნახაზებში. ამავე დროს, მან ერთნაირად კარგად იცის სიმღერის თითოეული ხმის პარტია.

ამავე "კომპლექსური აღქმის მეთოდს" ემყარება წმინდა სიმღერების ერთი ნაწილის შესწავლა. ეს, უმთავრესად, მარტივ და საშუალო სირთულის ნიმუშებს ეხება (რომლებიც "რიგით შემსრულებელთა" რეპერუარშიც გვხვდება). რაც შეეხება რთულ ნიმუშებს, – მათი შესწავლისას გამოიყენება "დიფერენცირებული მეთოდი", რომელიც სიმღერის ცალკეული ხმების და ცალკეული მონაკვეთების მიხედვით ათვისებას გულისხმობს. იგი "ოსტატი მომღერლების" პრაქტიკაში გვხვდება და თავისი წარმოშობით ნაწილობრივ მაინც უნდა უკავშირდებოდეს სამგალობლო პრაქტიკას, რომელიც, თავის მხრივ, შესწავლის სწორედ ამ მეთოდს ემყარება.

სიმღერების შესწავლის ძირითადისაგან განსხვავებული მეთოდისა და "ოსტატ მომღერალთა" თავისებური კასტის არსებობა ბუნებრივად სვამს ქართულ მუსიკალურ ყოფაში პროფე-

სიონალიზმის არსებობის საკითხს. ახლა ძნელია დაბეჯითებით ლაპარაკი ძველი საქართველოს მუსიკოს-პროფესიონალებზე. რაც შეეხება ჩვენს დრომდე მოღწეულ ტრადიციას, — პროფესიონალებად უნდა ვიგულვოთ, ერთი მხრივ, მესტვირე-ები, ხოლო მეორე მხრივ — ცალკეული მგალო-ბელ-მომღერლები, რომელთა უმთავრესი საქმიანობა მუსიკას უკავშირდებოდა და რომელთათვისაც ეს საქმიანობა შემოსავლის წყარო იყო. ამ-დენად, მუსიკოს-პროფესიონალთა არსებობა ქარ-თული სოფლის ცხოვრებაში უცილობელი ფაქ-ტია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრო-ფესიონალები თავისი ოსტატობით ხშირ შემ-თხვევაში არ აღემატებოდნენ დანარჩენ შემსრუ-ლებლებს, ზოგჯერ კი (მესტვირეების შემთხვევა-ში) თავისი რეპერტუარის სირთულით მნიშვნე-ლოვნადაც ჩამოუვარდებოდნენ მათ. ამიტომ შე-უძლებელია ვილაპარაკოთ რაიმე განსაკუთრე-ბულ, ტრადიციული ხალხური (გლეხური) მუსი-კალური შემოქმედებისაგან განყენებულ ხელოვ-ნებაზე, მით უმეტეს, რომ წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით ჩვენი სახალხო პროფესიონალები არანაირად არ გამოდიან აუთენტური სასიმ-ღერო ფოლკლორის კანონების ჩარჩოებიდან.

პირველადი შემსრულებლობის პირობებში სიმღერის წარმმართველად ე.წ. "ლიდერი" გვეპლინება. იგი საკუთარ თავზე იდებს შესრულებასთან დაკავშირებული ტრადიციების დაცვას, არეგულირებს სიმღერის ტემპს, ხანგრძლივობას; უმეტეს შემთხვევაში ლიდერი სიმღერის დამწყებიცაა. ამ შემთხვევაში სიმღერის დაწყების მომენტისა და შესრულების სიმაღლის განსაზღვრაც მისი ფუნქციაა. ასეთ ლიდერს ხალხი "თავკაცს" ან (ქალთა შესრულებაში) – "თავქალს" უწოდებს. მსგავი პირველები, როგორც წესი, ნაკლებად გამოიყოფიან სხვა შემსრულებლებისაგან და ნაკლებად ზღუდავენ მათ თავისუფლებას; საერთო ჯამში, პირველადი შემსრულებლობა დემოკრატიულობით ხასიათდება და მასში ლიდერის გამორჩეული როლი შედარებით სუსტად ვლინდება.

შესრულების მასტიმულირებელი ფაქტორებიდან პირველად სასიმღერო ფოლკლორში, უპირველეს ყოვლისა, მომღერალთა შორის შეჯიბრის მომენტი უნდა აღინიშნოს. სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ მეტოქეობის სახეობებს შორის უნდა დავასახელოთ გაჯიბრება ყელის გამძლეობაში, მღერის სიმაღლეში, რეპერტუარის

მრავალფეროვნებაში, სიმღერის უცხო ვარიანტისთვის ალდოს სწრაფად აღებაში და სხვა.

აუთენტური შემსრულებლობის პირობებში სიმღერებს, ყოფაში მათი ადგილისა და წმინდა მუსიკალური ნიშნების მიხედვით, მომღერალთა სხვადასხვა რაოდენობა ასრულებს. შემსრულებელთა რაოდენობის მკაცრი რეგამენტაცია მხოლოდ ცალფა და ორი კაცის სამღერ თანდებულ სიმღერებს ახასიათებს, წმინდა სიმღერებს შორის კი – ე.წ. "ტრიოებს", რომელთა რთული პოლიფონიური აღნაგობა და მათში იმპროვიზაციის მომენტის მაქსიმალური ხვედრითი წილი გამორიცხავს ბანის პარტიის დუბლირებას. სხვა სიმღერებში მომღერალთა რაოდენობა შეუზღუდავია და დამოკიდებულია შესრულებისას შექმნილ სიტუაციაზე. უმეტეს შემთხვევაში მომღერალთა შედარებით მცირე ჯგუფებს ვხვდებით, თუმცა მთელ რიგ საწესო-საფერხულო, შრომისა და ზოგიერთი კუთხის სუფრულ სიმღერებში ათეულობით და ასეულობით მომღერალიც კი(!) მონაწილეობს.

ისევე, როგორც მრავალი სხვა ერის სასიმღერო შემოქმედებაში, საქართველოშიც არსებობს ქალთა და მამაკაცთა რეპერტუარი; არსებობს სიმღერები, რომლებიც უმთავრესად ქალთა

ან უმთავრესად მამაკაცთა მიერ სრულდება. მაგრამ ოოგორც უახლოესი წარსულის სურათი, ასევე – უფრო ადრინდელი ცნობები, უარყოფს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამეფებულ მოსაზრებას შემსრულებლობის არეში მკაცრი სქესობრივი რეგლამენტაციის შესახებ; ჩვენს სასიმღერო ფოლკლორში საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა შერეული შესრულება. ერთი მხრივ, არსებობს სიმღერები, რომელთა მიანცდამაინც რომელიმე სქესისათვის მიკუთვნება შეუძლებელი ხდება, ხოლო, მეორე მხრივ, ქალები არცთუ იშვიათად მონაწილეობენ მამაკაცთა, მამაკაცები კი – ქალთა სიმღერებად ცნობილი ნიმუშების შესრულებაში.

სამაგიეროდ, პირველად შემსრულებლობაში მკაცრადაა დაცული ამა თუ იმ ხმის პარტიის შემსრულებელთა რაოდენობა: ზედა ხმების პარტიებს მუდამ თითო მომღერალი ასრულებს და მხოლოდ ბანის შემსრულებელთა რიცხვია შეუზღუდავი (ცხადია, თუ გამოვრიცხავთ ე.წ. "სამთა სიმღერებს" – "ტრიოებს").

შესრულების ფორმის თვალსაზრისით ვხვდებით ერთპირულ, ორპირულ და სამპირულ შესრულებას, აქედან გაცილებით უფრო ხშირად – პირველ ორს. ამავე დროს, საქართველოს ზო-

გიერომა კუთხემ, გამონაკლისის სახით, შემოინახა უნისონური მღერის ტრადიციაც.

შემსრულებლობის ისეთი მხარეები, როგორიცაა ტემპი და მღერის ხანგრძლივობა, უშუალოდ უკავშირდება ჟანრულ თავისებურებებს, ხოლო ტემპისშემთხვევაში— შემსრულებელთა შემოქმედებით ინდივიდუალობასაც. რაც შეეხება უშუალოდ ხანგრძლივობას, განსაკუთრებით დიდი ხანგრძლივობით გამოირჩევა ეპიკური სიმღერების შესრულება.

მართალია, მღერის სიმაღლეს მნიშვნელოვანწილად მომდერლის კოკალური შესაძლებლობები, ინდივიდუალური ტესიტურული თავისებურებები განსაზღვრავს, მაგრამ ამ მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანია ეპოქის შესაბამისი გემოვნება, "ესთეტიკური ხმიერი იდეალი". გარდასულ ეპოქათა ქართველი მომდერლები, როგორც ეს ძველი ჩანაწერების მიხედვით ჩანს, ჩვენი — ეპროპულ მუსიკალურ კულტურას ნაზიარები მსმენელის — საზომებით, ძალიან მაღალ ფარდებში მდეროდნენ. იგივე შეიმჩნევა დღეს ჯერ კიდევ მოქმედი აუთენტური ჯგუფების წევრებზე დაკვირვებისას. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი ხალხური სიმღერის პირველადი შემ-

სრულებლობა მაღალ რეგისტრში მდერით ხასიათდება.

მდერის სიმაღლესთან უშუალო კავშირშია შესრულების მანერა. ნათელია, რომ მამაკაცთა მიერ პირველი ოქტავის "ლა"-ს, "სი ბემოლ"-ისა და "სი"-ს ადება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მართალია, ამ ბგერებს "კლასიკოსი"-ტენორებიც იღებენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართულ აუთენტურ ფოლკლორში არ არსებობს მომდერალთა დიფერენციაცია ამა თუ იმ ხმის პარტიის შემსრულებლებად: ნებისმიერი მომდერალი ნებისმიერ ხმას მდერის და, შესაბამისად, ყოველი მათგანი იღებს აღნიშნულ მაღალ ბგერებს. ამ მოვლენის საიდუმლო შესრულების განსხვავებულ, წმინდა ხალხურ მანერაში, ან, როგორც კურტ ზაქსი იტყოდა, "ბგერის ატაკის განსხვავებულ ხერხში" უნდა ვეძიოთ. შესრულების ქართული მანერა კლასიკური ევროპულისაგან არა მარტო ბგერათწარმოქმნის საშუალებებით განსხვავდება, არამედ – მდერისას შემსრულებელთა თავისებური ფიზიკური მდგომარეობით (ბუნებრივია, შესრულების ქართული მანერა, თავის მხრივ, განსხვავებულია მუსიკალური დიალექტების მიხედვითაც).

შესრულების მანერასთან და სიმაღლესთან ერთ სიბრტყეზე უნდა განვიხილოთ ხმამაღლობაც. ქართულ პირველად მუსიკალურ ფოლკლორს ხმამაღლა მდერაც ახასიათებს, რაც თითქმის ყველა ქართული სასიმღერო სტილის ნიშანსვეტია. ხმადაბლობით მხოლოდ შესრულების ზოგიერთი სპეციფიკური სახეობა ("დიღინი", "ზუზუნი" და სხვა) გამოირჩევა.

რაც შეეხება სიმღერათა სიტყვიერ ტექსტებს, ისინი უაღრესად მრავალფეროვანია; ვხვდებით სრულიად განსხვავებული აღნაგობისას და შინაარსისას: როგორც გარითმულ, ასევე – თეთრ და თავისუფალ ლექსებს, აგრეთვე გლოსოლალიებსა და შორისდებულებს. ეს უკანასკნელები თავისებურ "სიტყვის მასალად" გამოიყენება. რაც შეეხება "წმინდა ლექსებს", – მათი გამოყენება, ჰანგთან მიმართება, სხვადასხვაგვარია. შედარებით იშვიათია ჰანგისა და სიტყვიერი ტექსტის ერთმანეთზე მიმაგრების შემთხვევები, ანუ – როდესაც ერთსა და იმავე ჰანგს მუდამ ერთი და იგივე ტექსტი ახლავს (ასეთი რამ უმთავრესად საწესო სიმღერებში ხდება). ძირითადად კი ერთ ჰანგს, მომღერალთა სურვილისამებრ, სხვადასხვა ტექსტი ეხამება და, პირიქით, ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა

პანგზე შეიძლება ამეტყველდეს. ასეთი ვითარება უფრო ხშირად მომდერლების სიტყვიერი ტექსტისადმი დაუდევარი, ზოგჯერ კი, უდიერი დამოკიდებულებიდან მომდინარეობს, რაც განსაკუთრებით ოვალსაჩინოა წმინდა სიმღერებში. ასეთ დროს შემსრულებელთათვის ტექსტიც, ზორისდებულებისა და გლოსოლალიების მსგავსად, "სიტყვის მასალაა". მთლიანობაში, პირველად სასიმღერო ფოლკლორში სიმღერის სიტყვიერი ტექსტი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს.

### **ცვლილებები პირველადი სასიმღერო ფოლკლორის შემსრულებლობაში**

ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა მუდამ განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს. საუკუნეების განმავლობაში შემსრულებლობის არეში არსებული ძვრების გარეშე ჩვენი სასიმღერო ფოლკლორის განვითარება შეუძლებელიც იქნებოდა. ამგვარი ძვრები XIX-XX საუკუნეებშიც ხდებოდა, დროის იმ მონაკვეთში, როდესაც, სანოტო კრებულებისა და ფონოჩანაწერების, ხოლო უკანასკნელ ხანებში, აგრეთვე – ცოცხალ საშემსრულებლო პრაქტიკაზე დაკვირვების მეოხებით, შეგვიძლია ოვალი მივადევნოთ მიმდინარე პროცესებს. ეს კი საშუალებას გვაძების მიზანი იყო.

ლევს, მეტი დამაჯერებლობით ვიღაპარაკოთ პირველადი შემსრულებლობის სფეროში არსებულ ტენდენციებზე.

მეორე მხრივ, აღნიშნული ცვლილებების სწორი კალიფიკაცია მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდება: დასახელებული პერიოდი ხომ, იმავდროულად, ის ხანაა, როცა ქართულ სოფელში პირველადი ფოლკლორის გვერდით, უფრო და უფრო მკაფიოდ იკიდებს ფეხს სხვა სახის მუსიკაც, მეტადრე – ქალაქური სიმღერა (ზოგ რეგიონში – ქალაქური ინსტრუმენტული და ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკაც) და მეორეული სასიმღერო ფოლკლორი. ამგვარი თანაარსებობა კი აუთენტურ ფოლკლორზე გარეშე გავლენის წინაპირობას ქმნის. მართალია, პირველადი სასიმღერო შემოქმედება განაგრძობს თავისი ბუნებრივი გზით, საკუთარი რესურსებით განვითარებას, მაგრამ, მთლიანად ხალხის ყოფაცხოვრებაში დასახული ცვლილებები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რელიგიის როლის მნიშვნელოვანი დაკნინება და, შესაბამისად, მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების არსებობის სოციალური წანამდლვრების შერყევა, სიმღერების (მიერ) სოციალური ფუნქციის დაკარგვა, გარეშე გავლენისადმი იმუნიტეტის შესუსტებას გა-

ნაპირობებს. ამის გამო ხშირად ძნელდება იმის ზუსტად დადგენა, თუ რომელი სიახლეა აუთენტური ფოლკლორის ბუნებრივი, შინაგანი განვითარების და რომელი – მეორეული, სასცენო ფოლკლორის, გავლენის შედეგი; არცოუ იშვიათად, ერთი და იგივე მოვლენა დაახლოებით ერთდროულად იჩენს თავს როგორც პირველად, ასევე მეორეულ ფოლკლორში, ხოლო ზოგჯერ პირველადში გაჩენილი ტენდენცია მეორეულზე გადასვლის თავისებური გარდამავალ ეტაპია.

ზემოთქმულის გამო, პირველად შემსრულებლობაში მიმდინარე ცვლილებებზე საუბრისას, აუცილებელი ხდება გარეშე ფაქტორების სავარაუდო ზემოქმედების გათვალისწინება.

შინაგანი, ბუნებრივი ცვლილებების რიგს უნდა მივაკუთვნოთ სიახლენი სიმღერების მელოდიკასა და პარმონიაში. ხალხური სიმღერების მელოდიები ეროვნულ ინტონაციურ ფონდს – საუკუნეების მანძილზე ხალხის მიერ გამომუშავებულ მელოდიურ-ინტონაციურ ფორმულებს ემყარება. ახალი სიმღერები და სიმღერათა ვარიანტები უმთავრესად სწორედ ამ ფორმულების ნაირგვარი კომპინირების, მათი შერწყმის გზით იქმნება. სიახლეს კი აღნიშნული ფონდის შევსება, გამდიდრება და გადახალისება განაპირო-

ბებს. სიმღერების მელოდიის გართულება-განვითარება უკანასკნელ პერიოდშიც ტრადიციული გზით ხდება; ერთი მხრივ, მელოდიურ-ინტონაციური ფორმულების ახალი კომბინაციების მიგნებით, მეორე მხრივ კი – ახალი ფორმულების დამკვიდრებით. ეს უკანასკნელები, უმრავლეს შემთხვევაში, მანამდე უპვე არსებულ ფორმულებს ეფუძნება და მათი გართულების შედეგი გახდავთ. აღნიშნული გართულება დიაპაზონის მაქსიმალური ათვისების საშუალებით მიიღწევა.

მსგავსი მელოდიური ცვლილებები ზოგიერთ სასიმღერო დიალექტში ბანის პარტიაშიც ხდება; ხოლო რამდენადაც ბანი სიმღერის პარმონიული საფუძველია, – ამგვარი ინოვაციები პარმონიული ენის გამრავალფეროვნებას მოასწავებს. პარმონიული ენის გამრავალფეროვნება კი-ლოს პოტენციის განხორციელებითაც მიიღწევა; სიმღერების პარმონიაში უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით ისეთ საფეხურებს, რომლებიც ადრე არ გამოიყენებოდა. ამ შემთხვევაში უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი მუსიკის კილო – პარმონიულ სისტემაში იმთავითვე ჩადებული პარმონიულ ფუნქციათა ტერციული პარალელიზმის პრინციპი, რომლის შემთხვევაში რეალიზებამ მძლავრი ბიძგი მისცა სიმღერების მუსიკა-

ლური ენის გართულება-განვითარებას; პარალელურად ხდება სხვა რეზერვების ამოქმედებაც.

მელოდიკისა და პარმონიის სფეროში სიახლეთა დამკვიდრებას, ისევე, როგორც ყოველთვის, საუკეთესო შემსრულებელთა შემოქმედებითი ინიციატივა განაპირობებდა; პირველადი ფოლკლორის ფუნქციონირების უახლეს პერიოდშიც ძალაში რჩებოდა ფორმულა: გენიოსებს შემოაქვთ სიახლე, საშუალო რანგის შემოქმედნი კი იმეორებენ მათ მოწოდებულს, განამტკიცებენ და საშემსრულებლო პრაქტიკაში ამკვიდრებენ. კოლექტივის მიერ სიახლეთა "ცხოვრებაში გატარების" გარეშე ინოვაციები დავიწყებას ეძღვავა, რაც ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაზე დაკვირვებითაც დასტურდება.

პირველად შემსრულებლობაში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს შორის უნდა დავასახელოთ, აგრეთვე, ორპირული სიმღერების გაერთპირულება: მრავალი ის სიმღერა, რომელიც ადრე ანტიფონურად, ბანის ფონზე თითო ან ორორი სოლისტის მონაცვლეობით სრულდებოდა, ჩვენს საუკუნეში ერთპირულად იქცა. ზოგიერთ დიალექტში შეინიშნება ორგუნდიანი სიმღერების გაერთგუნდიანების ტენდენციაც.

ბოლო ათწლეულების პირველად შემსრულებლობაში მნიშვნელოვნად იმატა პარალელური ტერციებით მღერის ტენდენციამ; სიმღერაში მაღალი ხმების შემსრულებლები უფრო და უფრო ხშირად მიჰყვებიან ერთმანეთს ტერციის ინტერვალით. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში დარაყიშვილის მიერ შემჩნეული ეს ტენდენცია დღითიდღე ძლიერდება. ორი ხმის მელოდიური და რიტმული ნახაზის ამგვარი დამსგავსება საგრძნობლად აქნინებს სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშში პოლიფონიურ საწყისს და ხმებს შორის კონტრაპუნქტული დამოკიდებულების ნაცვლად ე.წ. "გამსხვილებულ მელოდიას" ამკვიდრებს. აღნიშნული ტერციული პარალელიზმი, ნაწილობრივ, თვით პირველადი ფოლკლორის წიაღში არსებულ პროტოტიპებს უყრდნობა, ერთი უანრის ნიშნების მეორეში გადატანაა, მაგრამ ძირითადად მაინც ქალაქური სიმღერის გავლენისა და ამ უკანასკნელში გაბატონებული ტოტალური ვერტიკალური აზროვნების გადაღების შედეგია.

ასევე, საგრძნობია ქალაქური მუსიკის გაფლენა ზოგიერთი პარმონიული მოვლენის წარმოშობაზე, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ტონიკა-დომინანტური პარმონიის კანონზომიერებათა გაჩენაში. თუმცა ამ მოვლენასაც აქვს გარ-

კვეული წანამდღვრები აუთენტური სასიმღერო ფოლკლორის წიაღში.

XIX-XX საუკუნეებში მნიშვნელოვნად იზრდება სოფლელი მომღერლების რეპერტუარი. და ეს ხდება არა მარტო ადგილობრივ შექმნილი ახალი სიმღერების, არამედ, აგრეთვე, სხვა კუთხეებიდან შემოსული სასიმღერო ნიმუშების ხარჯზე. ეს გარემოება აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა შორის კონტაქტების გაცხოველების უშუალო შედეგია. რეპერტუარის სესხება ძირითადად ორნაირი სახით ხორციელდებოდა: ა) სიმღერის პირდაპირ გადმოდებით და ბ) ადგილობრივ ნიადაგზე მისი საფუძვლიანი გადამუშავებით. ამგვარი გადამუშავება სახალხო მომღერლების მიერ ზოგჯერ ისე ოსტატურად ხდება, რომ ნასესხები ნიმუშის პირველწყაროს განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია. სესხების, დიალექტთა ურთიერთგამდიდრების პრაქტიკა საქართველოში მუდამ არსებობდა; უბრალოდ, ბოლო 100-150 წლის მანძილზე მანგანსაკუთრებით ინტენსიური სასიათი შეიძინა. ამიტომ ამ მოვლენას კარდინალურ ცვლილებათა რიგს ვერ მივაკუთვნებთ.

პირველად შემსრულებლობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებათა შორის წმინდა

სიმღერების როლისა და მომღერალთა რეპერტუ-  
არში მათი ხვედრითი წილის განუხელი ზრდა  
უნდა დავასახელოთ. ხალხური შემოქმედების  
განვითარების გზაზე მუსიკაში ადამიანები უფ-  
რო და უფრო ძალუმად შეიგრძნობენ ესთეტიკუ-  
რი ტკბობის საგანს. ეს შეგრძნება ბგერათა ხე-  
ლოვნების არსებობის მთელი უგრძესი პერიოდის  
განმავლობაში არსებობდა, მაგრამ სოფლურ ყო-  
ფაში ბოლო დრომდე წამყვანად მაინც მუსიკის  
გამოყენებითი ფუნქცია რჩებოდა. მართალია,  
ქართული სასიმღერო ფოლკლორის განვითარე-  
ბის გარკვეულ უტაზე იშვა "წმინდა სიმღერები",  
რომლებიც უკვე ხელოვნების ნიმუშების სახით  
არსებობდა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ისინი  
კარგა ხანს კონკურენციას ვერ უწევდა თანდე-  
ბულ სიმღერებს. მუსიკის გამოყენებით და ესთე-  
ტიკურ ფუნქციათა ჭიდილი თანდათან უფრო და  
უფრო შეუპოვარი ხდებოდა, რასაც, ერთი მხრივ,  
"წმინდა სიმღერების" უფრო სწრაფი განვითარე-  
ბა-გამშვენება, მეორე მხრივ კი – თანდებული  
სიმღერების მეტი კონსერვატულობა უწყობდა  
ხელს. ამას თანდებული სიმღერების დიდი ნაწი-  
ლის მიერ სოციალური ფუნქციის თანდათან და-  
კარგვაც დაერთო, რამაც, საბოლოოდ, ის შედე-  
გი მოიტანა, რომ ცხოვრებისეულ დანიშნულება-

დაკარგული თანდებული სიმღერების დიდი ნაწილი ხალხმა თანდათან დაივიწყა, ნაწილი კი, მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების წყალობით, "წმინდა სიმღერებს" შეერწყა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მუსიკალური დიალექტების უდიდეს ნაწილში დღეს "წმინდა სიმღერები" დომინირებს; თანდებული სიმღერების ხვედრითი წილი უაღრესად მცირება.

თანდებული სიმღერების თავისებური "სავალდებულო პროგრამის", იმავე "სასწავლო პოლიგონის" გაქრობამ უაღრესად შეაფერხა სიმღერის შესწავლის საუკუნეობით გამომუშავებული მექანიზმის მოქმედება, რის გამოც მომრავლდნენ ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ თავიანთი მუსიკალური მონაცემების განვითარების საშუალება. ამიტომ სოფლის მოსახლეობამ ბუნებრივად იწყო დაყოფა "მუსიკალურად ნიჭიერებად", "მომღერლებად" და "მსმენელებად"; ამ უკანასკნელთა რიცხვი დღენიადაგ მატულობდა, სოფლის მომღერალი ნაწილისა კი – პირიქით, კლებულობდა; სიმღერის მცოდნეთა შორის უფრო და უფრო ნაკლებნი რჩებოდნენ ისინი, ვინც ეს ცოდნა კომპლექსური აღქმის წყალობით მიიღო. დღეს საქართველოს მრავალ კუთხეში ამგვარი ადამიანები, შეიძლება ითქვას, თითებზე ჩამო-

სათვლელნი დარჩნებ (აქედან უშუალოდ გამომდინარეობს სოფლელ მომღერალთა შორის იმპროვიზაციის ხელოვნების საგრძნობი დაქვეითებაც). შედეგად – რაც უფრო ვუახლოვდებით ჩვენს დღევანდელობას – XX საუკუნის 90-იან წლებს, – მით მეტი ნიშნით ემსგავსება პირველადი ფოლკლორი მეორეულს და საკუთარ სახეს კარგავს.

პირველად ფოლკლორში არსებული შესწავლის მექანიზმის მოშლამ განაპირობა შესწავლის ახალ ფორმაზე გადასვლა: წარმოიშვა მასწავლებლის არსებობის აუცილებლობა. ამ უკანასკნელის ფუნქცია ყოფილმა ლიდერმა იტვირთა. მასწავლებლის ფუნქციის შეთავსებამ მას ავტომატურად ახალი ნიშნებიც შესძინა: იგი უკვე შესასრულებელი სიმღერის ვარიანტის დამდგენადაც გვევლინება, სოლისტებსაც თავისი შეხედულებისამებრ ირჩევს, ხშირად შესრულების პირუთვნელი შემფასებლის როლსაც იჩემებს. მართალია, უფლება-მოვალეობებით იგი ჯერ კიდევ ვერ უტოლდება სასცენო ფოლკლორის პირობებში არსებულ ხელმძღვანელს, ჯერ კიდევ არ არის ერთპიროვნული მმართველი, მაგრამ უფრო ახლოს მაინც მასთანაა, ვინაიდან ვედარც ლიდერად ჩაითვლება და ვეღარც თავგა-

ცად. ფაქტი კი მეორეული ფოლკლორისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

მეორეული ფოლკლორის ნიშნების შეძენამ, ჯაჭვური რეაქციის საფუძველზე, პირველად შემსრულებლობაში სხვა ახალი ცვლილებებიც განაპირობა; პარალელურად გრძელდებოდა ქალაქური და სხვა ყაიდის მუსიკის გავლენის მოქმედება, რამაც შედეგად მოგვცა შესრულების მანერის, წყობის, მდერის ხანგრძლივობისა და სიმაღლის გადასხვაფერება.

განხილული და სხვა ცვლილებების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პირველადი შემსრულებლობა მეფე ლირის როლში აღმოჩნდა, რომელმაც ყველაფერი გასცა და თავისი თითქმის აღარაფერი შემორჩა.

### **შემსრულებლობა მეორეულ სასიმღერო ფოლკლორში**

მეორეული სასიმღერო ფოლკლორი საქართველოში მაშინ იშვა, როდესაც პირველადი ჯერ კიდევ მყარად იდგა ნიადაგზე და მასში რაიმე სერიოზული ცვლილებები ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი, თუ არ ჩავთვლით ქალაქური სიმღე-

რის (უმთავრესად – მისი დასავლური შტოს) პირველ გაუბედავ "შემოტევებს".

ჩვენი ხალხური სასიმღერო შემოქმედების ახალი მიმდინარეობა სცენაზე ჩაისახა, ამიტომ მას ზოგჯერ "სასცენო ფოლკლორსაც" უწოდებენ. მეორეული სასიმღერო ფოლკლორის წარმოქმნის მთავარი წინაპირობა XIX საუკუნის II ნახევარში ქართულ საზოგადოებრიობაში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება იყო; სცენაზე ატანილი და იქიდან აუღერებული მშობლიური ჰანგები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყრელ ნაწილად იქცა. ეს პათოსი განმსაზღვრელია სცენაზე მოღვაწე პირველი ქართული სასიმღერო კოლექტივების საქმიანობისას და, თუმცა მეორეული სასიმღერო ფოლკლორის დაბადებას სხვა წანამდღვრებიც პქონდა, ძირითადი მაინც პატრიოტული მოტივი იყო.

პირველი კოლექტივი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეორეული სასიმღერო ფოლკლორის განვითარებაში, 1885 წელს ჩამოყალიბებული ლადო აღნიაშვილისეული "ქართული ხორო" იყო. მას ჩეხი მუსიკოსი იოსებ რატილი ლოტბარობდა. ამ გუნდის მოღვაწეობამ ღრმა კვალი დააჩნია შემდგომი პერიოდის მრავალი გუნდის საქმიანობას; მეტიც – მის მიერ დამ-

კვიდრებული საშემსრულებლო სტილის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ თავისებურ "რატილის ხაზზე" ქართულ სასცენო ფოლკლორში. ეს ხაზი დასავლეთევროპული კლასიკური მუსიკის პრინციპებისადმი ძლიერი მიდრეკილებით გამოიჩევა და ამით მნიშვნელოვნად განსხვავდება მეორე - "ძუპუ ლოლუას ხაზისაგან", რომელიც ქართული აუთენტური ფოლკლორის ტრადიციებს მიჰყვება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ "ძლოლუას ხაზის" მიმდევრებმაც რატილის შესამჩნევი გავლენა განიცადეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ პირველი სერიოზული გადახვევბი პირველადი შემსრულებლობიდან უკვე "ქართული ხოროს" შემოქმედებაში ჩნდება. მერე და მერე გამიჯვნის პროცესი უფრო ღრმავდება და, საბოლოო ჯამში, პირველადი და მეორეული შემსრულებლობის პრინციპები იმდენად სცდილდება ერთმანეთს, რომ ძნელი სათქმელია, მათ შორის მსგავსება მეტია თუ განმასხვავებელი. აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა დროს თავ-თავიანთი წვლილი შეჰქონდათ სხვადასხვა სასიმდერო კოლექტივებს; თითოეული მათგანი ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში რაღაც მისეულ სიახლეს ამკვიდრებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს უფ-

რო ადრე მოღვაწე ჯგუფებმა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ აღნიაშვილისეული "ქართული ხორო", მის კვალდაკვალ შექმნილი "რატილის ხორო", სანდრო და მიხეილ კავსაძეების, ძუკუ ლოლუას, აგქსენტი მეგრელიძის, რემა შელეგიას, ლევან მუღალაშვილის, მარო თარხნიშვილის გუნდები და, შედარებით უფრო გვიან – ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (მოკლედ – "სახელმწიფო ანსამბლი"). ცხადია, თავისი წილი სიახლე შემოიტანეს უფრო გვიან ჩამოყალიბებულმა ჯგუფებმაც.

მოკლედ შევჩერდეთ იმ ინოვაციებზე, რომელიც ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში მეორეული სასიმღერო ფოლკლორის ფუნქციონირების პირობებში მკვიდრდებოდა.

დაინერგა სიმღერების ზედა ხმების ჯგუფური შესრულება, რამაც საგრძნობლად დაამდაბლა სოლისტ-მომღერალთა მნიშვნელობა (გავიხსენოთ, რომ პირველადი შემსრულებლობა ზედა ხმების ინდივიდუალურ შესრულებას ითვალისწინებს): მომღერლები იძულებულნი არიან, მელოდიურ-რიტმული ნახაზის განუხრელად დაცვაზე იზრუნონ, ეს კი მაქსიმალურად ზღუდავს თითოეული მათგანის თავისუფლებას, ფრთებს

უკვეცს მათ შემოქმედებით ინიციატივას, ნულამ-  
დე დაჰყავს იმპროვიზაციის შესაძლებლობა.

თუ აუთენტური ფოლკლორის პირობებში  
მომდერალი უნივერსალური შემსრულებელია –  
საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ხმის პარტი-  
ას ასრულებს, სასცენო პრაქტიკაში კანონდება  
მომდერალთა ხმების მიხედვით სპეციალიზაცია:  
თითოეული მათგანი ყველა სიმღერაში ერთი და  
იმავე ხმის პარტიას მდერის.

პირველად შემსრულებლობასთან შედარე-  
ბით, გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება  
ხმების თანაბარზომიერ წარმოჩენას, მათ შორის  
ბალანსის დამყარებას, რის გამოც ანსამბლებში  
წინასწარვე განისაზღვრება ამა თუ იმ ხმის პარ-  
ტიის შემსრულებელთა რაოდენობა.

აღნიშნული და სხვა სიახლეების პრაქტიკა-  
ში განხორციელებას წარმმართველი ესაჭიროე-  
ბა. ხოლო ვინაიდან პირველად სასიმღერო  
ფოლკლორში წარმმართველის როლის აღმასრუ-  
ლებლის – ლიდერის უფლება-მოვალეობანი მეო-  
რეულ ფოლკლორში მინიმუმამდე დავიდა, ამ  
ფუნქციას ხელმძღვანელი, ხშირ შემთხვევაში –  
იგივე დირიჟორი კისრულობს. ლიდერისაგან  
განსხვავებით, ის, როგორც წესი, ყველანაირი  
თვალსაზრისით ემიჯნება მომღერლებს, არცთუ

იშვიათად მათ პირისპირ დგას და ჟესტებითა და მიმიკით წარმართავს შესრულების პროცესს. იგი, არსებითად, შემსრულებელთა ჯგუფის ერთპიროვნული მმართველი და, იმავდროულად, თავისი ანსამბლის შემოქმედებითი პრინციპების დამდგენი და მხატვრულ დონეზე პასუხისმგებელიცაა.

მეორეული ფოლკლორის პირმშო – დირიჟორი ახალი ტიპის ხელმძღვანელია. მის არსენალშია ევროპული კლასიკური საგუნდო ხელოვნების ისეთი ატრიბუტები, როგორიცაა ნოტები, კამერტონი, ფორტეპიანო, რაც ლიდერისათვის სრულიად უცხო იყო; დირიჟორის მოვალეობებში ყველაფერთან ერთად, მომღერლებისათვის სიმღერების სწავლებაც შედის. სწავლების მეთოდი ასევე ევროპულია: ხელმძღვანელი ამა თუ იმ ხმის პარტიის შემსრულებლებს იმდენჯერ უმეორებს მელოდიის დადგენილ ვარიანტს, ვიდრე ისინი მას იდეალურად ზუსტად არ დაიმახსოვრებენ და მხოლოდ შემდეგ გადადის სხვა ხმებზე. ეს მეთოდი სხვა არა არის რა, თუ არა გაზეპირების მეთოდი, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება პირველადი შემსრულებლობის პრინციპებს.

მეორეული ფოლკლორის დამახასიათებელი შტრიხია სცენაზე სიმღერების კანონიკური ვარიანტების დამკვიდრება, რაც, შესწავლის ახალი მეთოდების დანერგვასთან ერთად, ერთი და იმავე ლოტბარის (დირიჟორის) ერთდროულად რამდენსამე საშემსრულებლო კოლექტივში მუშაობიდანაც მომდინარეობს. კანონიკური ვარიანტები, როგორც წესი, ერთსა და იმავე სიტყვიერ ტექსტებზე იმღერება, მაშინ როცა პირველადი ფოლკლორის შემსრულებლობაში ჰანგისა და ტექსტის ერთიმეორებულებული მიმაგრება შედარებით იშვიათი მოვლენაა. კანონიკური ვარიანტები – ეს კიდევ ერთი ნაბიჯია აუთენტური ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისების – იმპროვიზაციის ამოკვეთის გზაზე.

მეორეული ანსამბლების შესრულებაში უფრო და უფრო დიდ ადგილს იჭერს არააუთენტური რეპერტუარი: გარეგნული ეფექტის მისაღწევად ძლიერ გადამუშავებული ხალხური სიმღერები, ხალხურ ინტონაციებზე მხოლოდ ნაწილობრივ დამყარებული ახალი ნიმუშები და, აგრეთვე, ქართველ (ზოგჯერ – უცხოელ) კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ყველაფერთან ერთად ამ უკანასკნელთა შესრულებაც მნიშვნელოვნად განაპირობის 40

ბებს ისეთ მომენტებს, როგორიცაა სიმღერის ყველა შემსრულებლის მიერ ერთად დაწყება, სინქრონულობისადმი ლტოლვა, სხვადასხვა სახის ნიუანსების წინასწარ გააზრებული ხაზგასმა, ანაზღეული დინამიკური კონტრასტების კულტივირება. თუ ამას ზემოთ აღნიშნულ, თითოეული ხმის პარტიის ჯგუფურ შესრულებას და გუნდის წინ მდგომ დირიჟორს დავამატებთ, – ჩვენ წინაშე აღმოჩნდება საშემსრულებლო კოლექტივი, რომელიც ბევრით არ განსხვავდება კლასიკური ევროპული ყაიდის აკადემიური გუნდისაგან.

"ევროპეიზაციის" ტენდენციის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს გუნდებში შემსრულებელთა რაოდენობის ზრდა და შერეული შესრულების ახალი, აუთენტურისათვის უცხო ფორმის შემოღება. მეორეული სასიმღერო ფოლკლორის განვითარების მანძილზე აშკარად შეინიშნება გუნდების მონაწილეთა რიცხვის მატება; სცენაზე უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ 60, 80, 100 კაციან და უფრო დიდ ანსამბლებსაც, რომლებშიც I და II ხმების შემსრულებელი მოზრდილი ჯგუფები არსებობს. ამ ჯგუფებს მრავალ ანსამბლში ქალები შეადგენენ. ესე იგი, თუ პირველადი ფოლკლორის პირობებში, შერეული შესრუ-

ლებისას, სიმღერაში უმეტესწილად მხოლოდ სოლისტი ქალები მონაწილეობენ, – სცენაზე მათი რიცხვი ერთიათად იზრდება, რაც სპეციფიკურ, ქართული ხალხური სიმღერისათვის უცხო, კლასიკური ევროპულისათვის კი ბუნებრივ ხმოვანებას წარმოქმნის (მეორე მხრივ, ევროპულთან ზუსტ ანალოგიაზე საუბარიც არ შეიძლება, რადგან ქართველი ქალების შესრულების მანერა მაინც თავისებურ ელფერს სქენს გუნდის ხმოვანებას). აღნიშნული ორი ტენდენცია 50-60-იან წლებამდე მოქმედებს, შემდეგ კი, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, დაღმავალი ხაზით მიდის.

მეორეული ფოლკლორის შემსრულებლობაში მნიშვნელოვან სიახლედ უნდა განვიხილოთ ინსტრუმენტული ჯგუფების გამოყენება. უკვე 20-იანი წლებიდან იქმნება მეჩონგურეთა, მეფანდურეთა, შემდეგ – რამდენიმე სხვადასხვა საკრავისაგან შემდგარი, შერეული ანსამბლები, უფრო მოგვიანებით კი – ხალხური საკრავების ორკესტრები. ქართული სოფლური ყოფისათვის არც ერთგვაროვანი საკრავიერი ჯგუფები და, მით უმეტეს, არც ორკესტრები იყო დამახასიათებელი. ამ სიახლეებს სრულიად ახალი ნაკადი შემოიტანა ჩვენს შემსრულებლობაში. მართალია, 50-

60-იანი წლებიდან ეს მოძრაობაც მნიშვნელოვნად შესუსტდა, მაგრამ მას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. მის პირდაპირ შედეგად უნდა ჩაითვალოს საკონცერტო პრაქტიკაში, აუთენტურის ხარჯზე, ახალი ყაიდის, ტემპერირებული საკრავების დამკვიდრება და, ასევე, ახალი ყაიდის ინსტრუმენტული ტრიოს (სალამურის, ფანდურისა და "ბანის ფანდურის" შემადგენლობით) ფართოდ გავრცელება.

შემსრულებლობის სფეროში შემოჭრილმა ინოვაციებმა ოვით მუსიკის ხასიათისა და აღნაგობის საგრძნობი გადასხვაფერება გამოიწვია. მაგალითად, მნიშვნელოვნად იცვლება შესრულების მანერა, რომელშიც იჭრება "ფაქტიზი ლირიკის" ნაკადი. იგი უმთავრესად ევროპული გემოვნების ნაყოფად უნდა მიგიჩნიოთ. ჯერ კიდევ იოსებ რატილის გუნდებში ჩასახული, ეს მოვლენა განსაკუთრებით ნოუიერ ნიადაგს პოულობს ბოლო ათწლეულების ქართული ანსამბლების შესრულებაში. ევროპული საგუნდო ტრადიციების გავლენად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, შესრულების ისეთი ხერხების გამოყენება, როგორიცაა მოკუმული პირით მღერა და ბგერწერა.

რაც შეეხება წმინდა ტექნიკურ მხარეს, აქ ვხვდებით ხელოვნურ მელოდიურ სვლებს, ამა

თუ იმ კუთხის სიმღერებში შესაბამისი დიალექტისათვის არადამახასიათებელ ჰარმონიულ მომღევებს, ქართული ოთხხმიანი სიმღერებისათვის სრულიად უცხო ოთხხმიან ნიმუშებს (რომლებიც სინამდვილეში სამხმიანი სიმღერების სხვადასხვა ხელოვნური მეთოდით გაოთხხმიანების ნაყოფია), ცალფა, წმინდა სოლო-სიმღერების გასამხმიანებასა და სხვა.

სასურველი სცენური ეფექტის მისაღწევად ხდება სიმღერების კონტამინაცია; ვხვდებით როგორც რამდენიმე სხვადასხვა სიმღერის, ასევე, ერთი სიმღერის რამდენიმე ვარიანტის გადაბმის შემთხვევებს. ასევე სცენურ ეფექტს ემსახურება აუთენტურ ფოლკლორში არამუსიკალურ ბგერებზე, შეძახილებზე აგებული ნიმუშების გასიმღერება და მათი დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებებად ფორმირება. სხვადასხვა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად სიმღერების წყობა თანდათან შორდება ხალხურს და უფრო და უფრო უახლოვდება ტემპერირებულს.

დროთა განმავლობაში იცვლება ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელი მომღერლის ტიპი. თუ მეორეული ფოლკლორის გარიურაჟზე და მისი განვითარების შუა პერიოდში მომღერალთა უმეტესობა ტრადიციის მატარებელია,

შემდგომი ხანის კოლექტივებში მათ ადგილს, თანდათანობით, "კლასიკოსი მომდერლები", ეპ-როპული ტიპის განათლებამიზებული, კლასიკური ვოკალური ჩვევების მქონე მუსიკოსები იკავებენ.

მეორეული შემსრულებლობის არსებობის მანძილზე სხვადასხვაგვარია მომდერალთა (და ლოტბარტა) საქმიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები. სიმღერის სიყვარულის, პატრიოტული მოსაზრებების გვერდით, ნელ-ნელა თავს იჩენს და ძლიერდება მატერიალური გამორჩენის მოტივი. ეს მოტივი ბოლო ათწლეულებში უცხოეთის ქვეყნებში საგასტროლო მოგზაურობითა და ამის საფუძველზე მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით რეალიზდება.

ეშირ შემთხვევაში სტიმული შემოქმედებითი საქმიანობის ხასიათსაც განაპირობებს. უცხოეთზე ორიენტაციამ დროთა განმავლობაში თავისებური "საუცხოეთო ფოლკლორი" წარმოშვა. ესაა უშეალოდ უცხოური აუდიტორიისათვის განკუთვნილი ხელოვნება, რომელიც მეორეული ფოლკლორის უკიდურეს გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. "საუცხოეთო ფოლკლორი" მხოლოდ პირობითად შეიძლება იწოდოს ფოლკლორად, ვინაიდან ფოლკლორის ხვედრითი წილი მასში

ძალზე მცირეა; ამ შემთხევაში "ქართული ფოლკლორის" ეგიდით უცხოელ მსმენელ-მაყურებელს ხალხური შემოქმედების სუროგატი, მეტწილად კი არახალხური მუსიკა მიეწოდება.

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში მიმდინარე ცვლილებების თანადროულად იცვლება ხალხის დამოკიდებულებაც ამ ცვლილებებისადმი. თუკი თავდაპირველად საზოგადოებრივი აზრი გარკვეულ გავლენას ახდენდა მეორეული შემსრულებლობის იერსახეზე, — მერე და მერე უკვე თვით მეორეული შემსრულებლები და საშემსრულებლო კოლექტივები აყალიბებდნენ აუდიტორიის გემოვნებას.

უნდა ითქვას, რომ, მართალია, ქართული მეორეული სასიმღერო ფოლკლორის განვითარების მაგისტრალური ხაზი პირველადი შემსრულებლობის პრინციპებიდან მეტი და მეტი გადახვევის გზას მიუჟვება, მაგრამ დროდადრო მაინც შეიმჩნევა საწინააღმდეგო, ფოლკლორული ძირებისაკენ მიბრუნების ტენდენცია. ამ ტენდენციის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ანსამბლში კარგა ხნის მანძილზე არსებული, მომღერალთა ჯგუფის ცალკეული პუთხების (მეგრულ, გურულ, კახურ, სვანურ) "ფრთებად" დაყოფის ტრადიცია, რაც შესრულე-

ბის კუთხეური ელფერის მაქსიმალურ დაცვას განაპირობებდა; იგივე ითქმის მრავალ ანსამბლში სიმღერის, ცეკვისა და დაკვრის გაერთიანებაზეც, რაც ქართული ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სინკრეტულობის ნაწილობრივ აღორძინებას მოასწავებდა (თუმცა ანსამბლების წევრთა მომღერლებად, მოცეკვავებად და დამკვრელებად მკაცრი გამიჯვნა საბოლოო ჯამში ჭეშმარიტ სინკრეტულობას მაინც გამორიცხავდა).

ფოლკლორული საწყისებისაკენ ლტოლვის ტენდენცია 50-იანი წლების II ნახევრიდან მცირეშემადგენლობიანი ანსამბლების შექმნამაც დაადასტურა. 100 კაციანი მონუმენტური, მაგრამ, იმავდროულად, მოუქნელი, ევროპულ აკადემიურ გუნდებს დამსგავსებული კოლექტივების ფონზე, ეს ანსამბლები ძალიან ჰგავდა სოფლურ ყოფაში ოდითგანვე არსებულ შემსრულებელთა ჯგუფებს. მსგავს ანსამბლებს შორის, მათი მკაფიო ინდივიდუალობის გამო, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: "შვიდკაცა", "გორდელა", "რუსთავი", "ფაზისი", "მთიები", "მზეთამზე", ანსამბლი მალხაზ ერქვანიძის ხელმძღვანელობით და "ქართული ხმები". ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითქმის ყოველ მათგანს მაინც პქონდა აუთენტური ფოლკლორის პრინციპებიდან გა-

დახვევის ნიშნები. ერთ შემთხვევაში, ეს შესრულების კუთხეური მანერის უგულებელყოფაში ვლინდება, სხვა შემთხვევაში – ზედა ხმების პარტიების ჯგუფურ შესრულებაში ანდა – არახალხური წარმოშობის სიმღერების შესრულებაში, ხალხური მუსიკალური წყობის შეგნებულ ტემპერაციაში და სხვა. ამ ანსამბლებიდან ფოლკლორულ პირველწყაროსთან ყველაზე ახლოს მდგომად, „მთიებთან“ ერთად, „მზეთამზეც“ უნდა მივიჩნიოთ.

დღევანდელ მეორუელ შემსრულებლობაში ორი საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა: ერთი მხრივ, ძლიერდება მისწრაფება აუთენტური ტრადიციების მაქსიმალურად აღორძინებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ უფრო ღრმავდება სხვაობა პირველად და მეორუელ შემსრულებლობას შორის. ჯერჯერობით მეორე ტენდენცია უფრო ძლიერია.

---

---

፩፪

*Edisher Garaqanidze (Georgia)*

## **PERFORMANCE OF GEORGIAN FOLK SONG**

The term ‘musical folklore’ is often used to devote two very different phenomena: on one hand, an authentic, centuries-old village-based singing tradition, and on the other hand the relatively recent, about a century ago, development of the performance of special ‘stage versions’ of traditional compositions in format concerts. These two phenomena are different not only because of their inner characteristics as well, and therefore we must discuss them as two different phenomena. To mark these differences in the realms of the processes that took place in the development of traditional music of different countries, a number of terms are used in Russian and western scholarship: ‘folklore’ and ‘folklorism’, ‘authentic’ and ‘stage folkloore’, and particularly - ‘primary’ and ‘secondary’ folklore (and performance). The use of this terminology is imperative in Georgian musicology as well, otherwise the actual processes that take place in the performance practices of Georgian traditional music will remain beyond our understanding.



‘Primary singing folklore’ denotes traditional music without any changes, without any arrangements or external influences, designed to ‘improve’ its quality. ‘Primary folklore’ is the true result of people’s collective creativity. ‘Primary performance’ is the performance of the ‘primary folklore’ according to the performance norms of traditional village society. The terms ‘secondary folklore’ and ‘secondary performance’ designate conscious (or unconscious) changes of the ‘primary’ or ‘authentic’ norms.

#### **‘Performance in the primary musical folklore’.**

Folk song is an inseparable part of village life. The whole life of a person in a Georgian community, from crucial moments in life to everyday existence, was accompanied by singing.

Two branch should he distinguished in ‘primary singing folklore’, so-called ‘associated’ and ‘non-associated’ (or pure) musical folklore, and are associated with various rituals, working processes etc. Performances of this category of songs are strictly denoted by time and place. They are usually not performed without the accompanying ritual or working process. ‘Associated songs belong essentially to the whole community, and can be performed by any member of the community. Indeed, we can say that the ‘associated’ repertoire, according to



---

---

religious and utilitarian considerations, is obligatory for every member of the village community, and these songs are often not considered as ‘songs’ at all.

Regarding ‘pure’ („or non-associated”) songs, these represent a supplementary category of songs, built upon the earlier layer of „associated” songs. Their emergence is connected to a later epoch. From a musician point of view they have grown out of „associated” songs. The emergence of these songs was due to the increased **aesthetic** needs of the people. The roles of religious or social-utilitarian functions are drastically reduced in these songs. The performance of „pure” songs is not attached to any particular Place and time, so they can be performed in any convenient situation. Besides, unlike „associated” songs, „pure” songs usually belong to a certain category of singers, and knowledge of these songs is not obligatory for everyone and often, due to their musical complexity, they cannot be performed by everyone. In such cases these songs are performed by „mastersingers”.

Traditional musical education of both ordinary singers and mastersingers happens via an „associated” repertoire. The traditional learning process is totally different from the usual learning process adopted in mainstream musical education in cities. Traditional musical education is based on a „holistic approach”

towards learning. Unlike the „city method”, where songs are learned purposefully, mostly through the learning of the different parts of the song, the „holistic” approach is based on comprehending a song via a long listening experience throughout individuals’ early years, during an individual’s participation in rituals and appropriate events. As a result, the songs are remembered first as whole compositions, without a detailed knowledge of the melodic intricacies. Only later, after gaining a general idea of the whole song, memory starts distinguishing the concrete details of the melodic movements of the song. This knowledge is never absolutely precise about details, so every reproduction of a traditional song by a traditional performer is always different in details, requiring certain improvisatory skills from a performer, thus making a performer a co-author of the performed piece. Here we should note as well that improvisation is based on the vocabulary of melodic formulae, developed in performance practice over centuries. As a result, a performer who was educated in a traditional society does not have once-and-forever established single versions of songs. As a rule, a performer varies the different melodic and rhythmic features each time s/he sings a song. Besides, a performer knows each part of polyphonic song very well.



The learning of one group of „pure” songs is also based on the „holistic learning” method. These are mostly songs of lower and medium complexity. These songs are sometimes in the repertoire of ordinary performers as well (not necessarily mastersingers). The „differentiated learning process” is employed in the learning of very complex songs. This method is based on learning the separate parts and separate sections of the song. Such a method is used by the mastersingers only and should be (at least partially) connected to the old professional chanting school learning practice, which was based on the „differentiated learning process”.

The existence of different learning methods („holistic” and „differentiated”) and the existence of groups of mastersingers raises the question of the existence of professionalism in Georgia. It is now difficult to speak about professionalism and professionals in historic Georgia, but from the 19<sup>th</sup> century, when we have records of the musical practice of traditional musicians, we can speak about two groups of professionals (1) bagpipe player-singers, and (2) singer-chanters, whose main activity was connected to music and for whom music was a source of income. Therefore, the existence of professional musicians in Georgia is a fact. At the same time we must note that the level of mastery of professional



musicians often did not exceed the musical mastery of some non-professionals, and sometimes (in the case of bagpipe player-singers) the complexity and range of the repertoire of non-professionals were well above those of their professional counterparts. Therefore, we cannot talk about a separate „art” tradition, different from the ordinary village tradition. Georgia folk-professionals are well within the range of authentic village performance practices as far as pure musical features are concerned.

Nurturing community through music-making and reclaiming music as a universal, democratic, non-competitive art is the foundation on which most community choirs are built. The number of community choirs in the UK has increased dramatically in recent years, as has the range of activities in which these choirs engage. Many of those who direct community choirs belong to the Natural Voice Practitioners’ Network (NVPN), whose guiding principle is that everyone can sing and everyone has the right to sing. It is no accident that so many of the songs in the community choir repertoire come from the world’s oral traditions – traditions where participation is again a fundamental principle – and so are structured in ways that maximise their capacity to include (in principle) all members of the community. In contrast to the more conventional amateur classical choir or choral society, performance is not the main goal of a natural-voice-style choir. As outlined in the

organisation's "Philosophy and Working Principles", "the main focus is on the process of coming together to sing whilst at the same time developing people's vocal skills". Some members reject the conventional performance model whereby a select group is raised up on a stage and is then exposed to the judgement of a much larger group of observers; this is seen to be especially inappropriate when a choir includes less secure singers who may have been negatively affected by past criticism of their efforts. In the directory of choirs that can be found on the NVPN website, some choirs describe themselves explicitly as "non-performing".

Many of the more established choirs do give annual concerts in small concert halls, community halls or churches. Even if a formal performance in front of a paying audience is not their main goal, however, most choirs reach a point at which the singers want to do something with the songs they have learnt outside their weekly meetings. Even the most tentative or nervous singers, once they have found their feet and gained in confidence, may be eager to share what they have learnt with a supportive audience of friends and family. A choir might therefore present a selection of songs in the spirit of a sharing, perhaps construed as an end-of-term party to which family and friends are also invited. A choir might

take part, together with other amateur music groups, in charity fundraising events or other community events that the audience attends for reasons other than expecting to witness a first-class performance. It might sing for a particular group of people – the residents of a care home or hospital, for example – where once again the focus is on aspects other than a virtuosic musical spectacle. Finally, a choir might sing at the birthday parties, weddings and funerals of its own members. In these alternative contexts, the choir's performance takes the form of a voluntary contribution as opposed to a saleable product.

When I paid a visit to the Good Vibrations Community Choir in Cambridge, I browsed through the posters for recent events in which the choir had been involved. Themes of peace and solidarity were prominent. One poster was for a concert entitled “Peace in Our Time”, described as “a concert of songs inspired by those who work for peace”, and the money raised was to be donated to the Mines Advisory Group (an organisation that helps to clear unexploded landmines and supports people who have been injured by mines and other weapons). Another event, entitled “Singing for Change”, was in aid of the Pakistan Earthquake Appeal: the poster invited the public to “join Good Vibrations and friends for an inspiring and uplifting evening singing songs that

changed the world (or should have done!)”. A third poster advertised an event for National Holocaust Remembrance Day, called “Stand With Me”. This was described as “An evening of songs and stories of resistance, life, hope and solidarity from different cultures. . . . The stories we will share give voice to the inspiring bravery and courage of ordinary people who have been prepared to stand up for others against tyranny and genocide.” For choir leader Rowena Whitehead, it was important to create opportunities for her choir to use their voices in this way. She reflected: “One of the things I feel proudest about is that there is now a sense of people feeling that they’ve got a voice, and that they will go and sing together, with confidence and passion, in different situations. . . . There’s a real groundswell now of folk who are happy to get together to share their voices at social events and for good causes. . . . It’s a hunger to belong, to connect with people, in a way that goes deeper than words and I know it feeds the soul” (interview 2007). Here, then, we also have the suggestion that this type of performance can be transformative at a personal as well as a socio-political level.

There are also many opportunities to perform at more neutral events such as craft fairs, summer fêtes or open days at museums, for example. The biographical note



for Newcastle-based choir Heaton Voices in the programme for the 2012 National Street Choirs Festival captures the almost limitless possibilities: “We’ve sung at a range of venues, from shopping centres to churches, Christmas markets, to concerts at the Sage at Gateshead [a large arts centre]. We’ve sung at train stations, Metro stations and on buses. We’ve sung in heat waves, monsoons (usually at street choir festivals!) and blizzards. We’ve startled small children, bemused teenagers and had pensioners sing along with us at various ‘busks’ . . . . Most of all, we’ve made true friendships through singing and (generally!) raised a smile wherever we go.”

Choirs of this kind occupy an interesting mid-field position. Their members are not, and do not aspire to be, professionals or performing artists. But neither are they traditional singers or representatives of “the folk”. They are members of modern societies seeking to make music in a way that maximises participation, to reintroduce collective singing to social spaces and life events where it might have had a part in the past, and to perform (when they do perform) for reasons other than simply entertaining an audience or enhancing their own reputation. By helping to animate community events, they open up new spaces of conviviality in which the usual barriers between artists and audience are broken down. In



---

---

this respect, community choirs are replicating what is in many parts of the world a natural state of affairs, where music making has a far more visible presence in the day-to-day life of the local community and fulfils many functions other than pure entertainment.

### **Concluding thoughts**

By focusing on alternative modes of performance, I do not mean to imply that presenting traditional or folk music on stage is a bad thing. On the contrary, in the present geopolitical climate it is more important than ever to claim a place on the international stage for the many different kinds of music that exist in the world today and that are part of our rich human heritage. The concert stage should not be dominated by Western classical music, and other kinds of music should not be devalued as simply “folk” music. There is also nothing intrinsically wrong with music as entertainment. As my Corsican interviewees insisted, however, if our project is the safeguarding of cultural heritage then it is important to ensure that there is a healthy balance between different kinds of musical activity and that by enriching one aspect we do not impoverish another. It is also important to be clear about what exactly it is we are talking about and what exactly

we want to achieve. Are we aiming to preserve a musical repertoire in isolation or are we also trying to preserve, or reintroduce, the kinds of human relations and moral values that are associated with a particular way of life – a way of life in which music has many functions other than entertainment? In developing my own new research directions here in Georgia, I am interested in the kinds of musical initiatives that are happening away from the stage – and in some cases away from the attention of the media and official bodies – but in a way that complements, and works in tandem with, the evolution of professional musical activity. From my perspective, there is significant potential for Georgia to act as an instructive case study in international, interdisciplinary debates about safeguarding intangible cultural heritage and I look forward to working with colleagues here in contributing to those debates.

Note: The examples used as illustrations in this paper are discussed in greater detail in my books *Transported by Song: Corsican Voices from Oral Tradition to World Stage* (Scarecrow Press, 2007) and *A Different Voice, A Different Song: Reclaiming Community Through the Natural Voice and World Song* (Oxford University Press, 2014).



## References

- Ansdell, Gary. 2010. "Where Performing Helps: Processes and Affordances of Performance in Community Music Therapy." In *Where Music Helps: Community Music Therapy in Action and Reflection*, by Brynjulf Stige, Gary Ansdell, Cochavit Elefant and Mercédès Pavlicevic. Farnham: Ashgate.
- Turchini, Ghjiseppu. 1999. "Vinti Anni di Creazione." In *Le Mémorial des Corses*, vol. 7. Ajaccio: Éditions Albiana,
- Turino, Thomas. 2008. *Music as Social Life: The Politics of Participation*. Chicago and London: University of Chicago Press.

### ქერთლაინ ბითელი (დიდი ბრიტანეთი)

შემსრულებლობა, როგორც ამბივალენტური  
აქტი: მოსაზრებები დიდი ბრიტანეთიდან  
და კორსიკიდან

სტატიაში წარმოდენილია სხვადასხვა შეხე-  
დულებები სამუსიკო შემსრულებლობაზე. ტრა-  
დიციული კორსიკული მუსიკის გაცოცხლებულ  
ნიმუშებზე და დიდი ბრიტანეთის გუნდების თა-

ნამედროვე ტრადიციებიდან მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით განხილულია მიზეზები, რის გამოც მუსიკოსები და არა მხოლოდ ისინი, შეიძლება ამბივალენტურნი (გაორებულნი) იყვნენ თვიციალური შესრულების ტრადიციული მეთოდის მიმართ, რომელიც აუდიტორიას წარედგინება, როგორც გართობის საშუალება. პერძოდ, განხილულია ტრადიციული ან ფოლკლორული მუსიკის სასცენო შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები. მიზანშეწონილია, თეორიულ დონეზე ერთმანეთისგან განვასხვავოთ სასცენო კულტურა და ცოცხალი ტრადიცია, ასევე პრეზენტაცია და მონაწილეობა. მოხსენებაში განხილულია შესრულების ალტერნატიული მოდელები, როგორც სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და საზოგადოების მხარდაჭერის საშუალება

## თამაზ გაბისონია (საქართველო)

### აპტორი ჩართულ ეთნიკურ მუსიკაში

მუსიკაში ავტორი მხოლოდ კომპოზიტორის იგივეობრივი არაა. შემსრულებელიც და მსმენელიც გარკვეულწილად ავტორია - ნაწარმოების თანაგანცდითა და ინტერპრეტაციით. ისიც ცხადია, ავტორის ფუნქციები ცნობილ შემოქმედებით ტრიადაზე (კომპოზიტორი-შემსრულებელი-მსმენელი) ხალხურ მუსიკაში უფრო თანაბრადაა გადანაწილებული, ვიდრე პროფესიულში.

ასევე, „კოლექტიური ავტორი“ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ერთობის წევრები ავტორები არ არიან. თუმცა, მსგავსად კოლექტიური გონისა, კოლექტიური ავტორი ცენტრისკენული მიდრეკილებისაა, ხოლო პიროვნული - ცენტრიდანულისა, სადაც ცენტრი კოლექტიური გემოვნებაა და ენა, რომელიც კოლექტივის ყველა წევრისთვის გასაგებია.

ქართულ მუსიკისცოდნეობაში ტერმინი „ეთნიკური მუსიკა“ ჯერ კიდევ არაა მყარად ფეხმოკიდებული. უპირველესად ამის მიზეზი ისაა, რომ ბოლო წლებამდე მკაფიოვართა ინტერესის ვექტორი თითქმის არ ინაცვლებს ზეპირი ტრადიციის

მუსიკიდან სხვა სახის მუსიკისკენ. თვით ხალხური ქალაქური სიმღერაც ნაკლებად პატივდებულია კვლევის მხრივ. ამ დროს კი ხალხი, ახალგაზრდობა და მედია ეთნიკური მუსიკის დეფინიციის ინიციატივას თავად იღებს თავის თავზე (ეთნიკა, ეთნო, ეთნომუსიკა).

ქართული ეთნიკური მუსიკა ჩემთვის არის ქართული ეთნიკური დომინანტით აღბეჭდილი მუსიკა, შექმნილი ეთნიკურ წიაღში აღმოცენებული არააკადემიური საავტორო და საშემსრულებლო ხერხების უპირატესი გამოყენებით. ამ კრებით ცნება/არეალში, ვგულისხმობთ ხალხურ მუსიკას, საეკლესიო საგალობელს და არააკადემიური მუსიკის იმ ნაწილს, სადაც ეთნიკური ელემენტი წამყვან ფაქტორად გვევლინება. სწორედ ეს უკანასკნელი ჟანრი იწოდება დღეს მასობრივად ეთნომუსიკად. ამ სფეროში მოვიაზრებ პოსტფოლკლორის (შეიძლება ითქვას, ყველაზე ფოლკლორული, არასაავტორო სფერო დღევანდელ ქართულ ინტონირებაში) გარკვეული მხატვრული დირებულების მქონე იმ ნიმუშებსაც, რომელიც ეთნიკური პრიმატით გამოირჩევა.

ხსენებული ეთნიკური შეფერილობის არააკადემიური მუსიკა ფოლკლორული ან ფსევდო ფოლკლორული მოტივებით და აქსესუარებით

საზრდოობს, „უპირატესად ზეპირი გადაცემით ხა-  
სიათდება და მსმენელთა გარკვეულ სეგმენტში  
პოპულარობით და „ფოლკლორულის“ სახელით  
სარგებლობს. ამ თვისებების, ასევე იმის გამო,  
რომ ამ მოვლენას ტრადიციულ მიმართულებას-  
თან შეხება თითქმის არა აქვს და მის პარალე-  
ლურად ვითარდება, ჩვენ ამ მოვლენას „პარა-  
ფოლკლორი“ (გაბისონია 2014 : 39) ვუწოდეთ.  
დღეს ესაა თვითმოქმედება, რომელიც ერთ-ერთი  
აუცილებელი კომპონენტი გახდა ეთნიკური  
კულტურისა (იადრიშნიკოვა 2008 : 22).

### **ავტორი ქართულ ხალხურ მუსიკალურ ტრა- დიციაში**

ისევე, როგორც ყველგან კოლექტიურ ხალ-  
ხურ მუსიკაში, ქართულ ტრადიციაშიც ლიდერი  
აუცილებელი ფაქტორი იყო და კოლექტიურ  
შესრულებაში ეს ფუნქცია ყველაზე მეტად გა-  
მოიხატებოდა სიმღერის დაწყებით და სიმღერის  
განმავლობაში „ფუნქციონალური ინიციატივით“  
(გაბისონია 2009:44). ლიდერის იგივეობრივი იყო  
კომპეტენციები „თავკაცი“ (თავი - კაცი) და  
„თავქალი“ (თავი - ქალი), ასევე - ოსტატი (გა-  
რაყანიძე 2007:42). ეს ფუნქციები შემდგომში

„ლოტბარმა“ შეითავსა. სიმპტომატურია ამ პროფესიონალიზმის ნიშნით გამორჩეული პოზიციის (საგალობლიდან) ხალხურ სივრცეში გადმოტანა, როგორც ორგანიზებული შემსრულებლობის ეპოქის ნიშანსვეტისა.

ლიდერი ქართულ კოლექტიურ სიმღერებში განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოკვეთილი „მოწოდება-პასუხის“ ტიპის საკულტო, შრომის და საცეკვაო სიმღერებში – რეფრენული ოსტინატოს პირობებში. თუ მსგავს ორხმიან და ნაწილობრივ სამხმიან სიმღერებში ლიდერის როლი თავად რიტუალის ფუნქციური მოთხოვნაა, რიტუალისგან დაშორებულ უმეტეს სამხმიან სიმღერებში ლიდერის ფუნქცია ნიველირებას განიცდის. აღმოსავლეთ საქართველოს სამხმიან სიმღერებში ლიდერობის ნაშთი შუა ხმაში იძებნება.

დასავლეთ საქართველოში ლიდერი ხმის ძიება ნაკლებად ეფუქტურია. გურულ სიმღერაში შუა ხმის ლიდერობა ფრაგმენტულად - ინდივიდუალური სიტყვიერი ტექსტის სახითაა გამომჟღავნებული. ამ მხრივ შედარებით გამორჩეულია ძველი პლასტის სვანური პიმნური სიმღერები, სადაც შუა ხმის პრიმატი საკმაოდ შესამჩნევია. მაგრამ ყველაზე გამოკვეთილი სახით შუა ხმის

(ორსმიანობაში კი - ზედას) ლიდერობა მაინც აჭარაშია გამოვლენილი, რომელმაც გურულთან შედარებით უფრო ძველი პლასტის ნიმუშები შემოგვინახა. ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ სააგტორო ინიციატივები სამსმიანობაში ყველაზე მეტად იქაა გამომჟღავნებული, სადაც ლიდერი ყველაზე ნაკლებად იკვეთება - ესაა გურული „ტრიოს“ სიმღერები. აქ სამივე ხმა მიზანმიმართულად იმპროვიზაციულია - ზედა და ქვედა ხმის მეტი მიღრეკილება მოძრაობისადმი ძირითადად შეა ხმასთან შედარებით მათი მეტი დიაკაზონითაა გამოწვეული.

სააგტორო კომპეტენცია მკაფიოდაა გამოკვეთილი იმ ინდივიდუალურ შემსრულებლებში, რომლებიც შესაძლოა მოვიხსენიოთ, როგორც „სპეციალისტები“ ან „პროფესიონალები“. თავიანთი ოსტატობა ხშირად მათი შემოსავლის წყარო იყო. გარაყანიძის მიერ დახასიათებული ხალხური „პროფესიონალები“ (მესტვირები) და „ნახევრადპროფესიონალები“ (მოტირლები), ერთმანეთისგან მკაფიოდ არ განსხვავდებიან ანაზღაურების ფაქტორით (გარაყანიძე 2007:32,33), თუმცა ნახევრადპროფესიონალები უფრო იშვიათად იღებენ გასამრჯელოს. მაგრამ მათ უფრო ის უანრი განასხვავებთ, რომელშიც მოღვაწეო-

ბენ. პროფესიონალები უფრო „საპრეზენტაციო“ გარემოში მოიაზრებიან, როდესაც ნახევრადპროფესიონალები უფრო მეტად არიან ჩართული ტრადიციულ რიტუალში. თუმცა მე ვეთანხმები ნეტლის აზრს, რომელიც პროფესიონალს ოსტატობის და არა ეკონომიკური ასპექტით აღიქვამს (ნეტლი 2005 : 125)

### **ფოლკლორიზმი და ავტორი**

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ყალიბდება ეთნოგრაფიული ანსამბლები გამოკვეთილი ხელმძღვანელით (ბალანჩივაძე, აღნიაშვილი, ქორიძე). მასობრიობისა და ავტორიტარიზმის საბჭოთა იდეოლოგია მეტ წონას სძენს ხალხურ სიმღერასაც და მისი ხელმძღვანელის კომპეტენციებს. მუშავდება ძველი სიმღერები, იწერება ახლები, ეს საქმიანობაც ხშირად ფინანსდება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ლოტბართა სიმრავლისა, მათი მოღვაწეობა არასდროს გასცილებია ხალხური სტილისტიკის ფარგლებს. რის გამოც დღეს ტრადიციული ხალხურის ფილტრგამოვლილი სიმღერების გვერდით საავტორო ან გადამუშავებული სიმღე-

რები ერთ „სტილისტურ ტონალობაში“ ისმინება. მოგვიანებით ეს ინერცია მიინავლება და „ხალ-ხური კომპოზიტორები“ სტილისტურად უფრო თამაშ ნაწარმოებებს თხზავენ. სამაგიეროდ ეს უანასწელნი ჟავე ტრადიციული ფოლკლორის ეგიდით ადარ მოიხსენიებიან.

საავტორო ნაკადის სიმძლავრეზე უფრო მეტი პრობლემა სასცენო ფოლკლორში, ჩემი აზრით, სიმღერების კანონიკური ვარიანტების (გარაყანიძე 2007:79) ტრადიციაა, რაც ერთ ხანს თავად სამთავრობო სტრუქტურებისთვისაც მიუღებელი გახდა (ტრადიციული... 2011:73). ეს ტენდენცია დღეს ნაკლებად აქტუალურია, თუმცა იგი პარაფოლკლორში ტრანსფორმირდა გარკვეული მოტივებისა და საშემსრულებლო ხერხების გაფეტიშებაში (კახური ჩახვევა, დაღმავალი სეპვენცია, ფანდურის სწრაფი დაკვრა), რომელიც დამკვიდრებულია გარკვეული რემინისცენციების შედეგად. სწორედ კანონიზაციის საწინააღმდეგოდ იყო, პირველ რიგში, მიმართული 1980-იანი წლების ერთგვარი „ავთენტიკის რენესანსის“ მიმართულება (ედიშერ გარაყანიძე, ანსამბლი „მთიები“, „მზეთამზე“, „ანჩისხატი“). თუმცა „პანონიკურის“, როგორც გახეშეშებული, უსიცოც-

ხლო სტრუქტურისადმი პროტესტი ზოგ შემთხვევაში იწვევს სხვა, უკვე რამდენიმე „საკანონიზაციო“ ვარიანტების დაგროვებას. დღესაც ხშირად ზოგიერთი ანსამბლი სცენაზე ძველი ჩანაწერის სრულყოფილ ასლს წარმოადგენს ხოლმე, რაც ჩემი პოზიციით, ავტორობის სრული უარყოფაა.

ამავე დროს, ქართული ფოლკლორული მუსიკის სივრცეში აქტუალურია თავად გუნდის „აკტორობა“. ძველი მომდერლების სიმღერებს დღეს ენაცვლება ანსამბლების სიმღერები - „ანჩისხატის“ „ჩოჩხათურა“, „ბასიანის“ „თამარ დედფალ“, რუსთავის „გრძელი კახური“ და სხვა.

### ავტორი გალობაში

ქართული ტრადიციული მუსიკის მეორე მძღავრი შენაკადი - ქართული საეკლესიო საგალობელი ავტორობის მიმართებით ერთ შეხედვით მრავალ კითხვას არ ბადებს. ეს, ცხადია, პროფესიული მუსიკის სფეროა, თუმცა ზეპირი ტრადიციაც აქ საკმაოდ მნიშვნელოვანია.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გაკეთებული სანოტო ჩანაწერები ნათელყოფენ, რომ ქართული გალობის სხვადასხვა სკოლას გააჩნია ერ-

თიანი ფუძე, მაგრამ მცირე განსხვავებებიც, რაც ზოგჯერ პიროვნულ ინტერპრეტაციასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, გელათის სკოლის სადა კილოს შუა ხმის ორი ვერსია - ნიკოლაძისა და ხუნდაძის შესრულებით, შესამჩნევ განსხვავებას აჩვენებს.

უნდა აღინიშნოს ტრადიციული ქართული სამხმიანი გალობის ოთხმიანად გადაკეთების პრაქტიკა ასევე XIX საუკუნის 80-იან წლებში (მრევლიშვილის, ბენაშვილის, მონადირიშვილისა და მაღრაძის მეცადინეობით). დღეს კი განსაკუთრებით ხშირად საგალობლების ავტორად ხალხის მიერ მოიაზრება არტემ ერქომაიშვილი.

საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოს ცნობილი ლოტბარები თითქმის ერთნაირად კომპეტენტურები იყვნენ როგორც გალობაში, ასევე სიმღერაში და უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონის ბარის სიმღერები და საგალობლებიც უფრო მეტ სიახლოეს პპოვებენ ერთმანეთთან, ვიდრე - აღმოსავლურ-ქართული საგალობლები და სიმღერები.

ავტორობის მხრივ საინტერესო პრაქტიკა დაგვიტოვა კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა, რომელმაც ისტორიკოს პავლე ინგოროვას მიერ ერთი ხმის პარტიაში ვითომდაც გაშიფრულ

ძველ ქართული ნეკმების საფუძველზე „აღდგენილი ძველი ქართული გალობის“ ეგიდით 1962 წელს საინტერესო მუსიკალური პიესები შექმნა, თუმცა - ქართული ტრადიციული სამგალობლო მუსიკალური ენისგან დაშორებული.

საგალობლის ავტორობის საინტერესო სტატუსი გააჩნია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელს პატრიარქ ილია II-ს. მისი სამგალობლო ნიმუშები იქმნება სხვადასხვა კომპოზიტორთა გადამუშავებით (ბოლქვაძე, კახიძე), თუმცა ამგვარი თანაავტორობა ოფიციალურად არ ფორმდება. ხოლო პატრიარქის დიდი სახალხო ავტორიტეტი ამ საგალობელთა სასცენო წარმატების ერთგვარი გარანტი ხდება. ამასთან სინოდის მიერ არატრადიციული საგალობლების აკრძალვა მის მიმართ, ასე ვთქვათ, „არ მუშაობს“.

### ავტორი პარაფოლკლორში

ქართული პარაფოლკლორი ფოლკლორულობის პრიზმაში თავის ამბივლენტურ ხასიათს ამჟღავნებს: ერთი მხრივ, ტიპობრივი საავტორო მუსიკა სწორედ ქართულ პარაფოლკლორში ქდერს, მეორე მხრივ კი, დღეს მას ფუნქციონი-

რების უფრო მეტი შემოქმედებითი მექანიზმი აქვს ტრადიციული ფოლკლორის ანალოგიური, ვიდრე იმ ტრადიციული სტრუქტურის მუსიკას, რომელიც დღეს მთლიანად ფოლკლორიზმის სამოსშია გახვეული.

არის თუ არა პარაფოლკლორი არა მხელოდ ზეპირი, არამედ - ტრადიციულიც? ტრადიციული არა დღემდე მოტანილი ტრადიციული სტილური კომპონენტების გაგებით, არამედ - როგორც საკუთარი ტრადიციის შემმუშავებლის გაგებით? მეტად იშვიათად. ზოგადად ეს მოვლენა უკიდურესად ეკლექტიკურია.

ქართული პარაფოლკლორის იმ მასივში, რომელთაც საზოგადოების დიდი ნაწილი „ფოლკლორად“ მოიხსენიებს, იშვიათია ნიმუშები, რომლებიც შესაძლებელია, ქართული ხალხური მუსიკის ბუნებრივი განვითარების ნაყოფად ჩაითვალოს. ძირითადად აქ ვხვდებით ხალხური ელემენტების ერთგვარ შარჟებს, რომლებიც შემდეგ ფასეტებად შეიძლება დაიყოს: 1) დიალექტური დომინანტის მხრივ (აღმოსავლური მთის ინტონაციის შემცველი, გურული ინტონაციის შემცველი (უფრო - ეთნოჯაზი), მეგრული, რაჭული 2) ეროვნული კომპონენტების მხრივ (ირანულ-თურქული, ევროპული, პიბრიდული); 3) სტრუქ-

ტურის მხრივ (კუპლეტური, ფაზობრივი განვითარების), 4) ჟანრულ-სიტუაციური (სცენური, აგთენტიკური), 5) არანეირების მიხედვით (მოდერნიზირებული - ქრომატიული და გაელექტროებული ინსტრუმენტები, ტამბამები დოლის რიტმით).

სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრი, ამ სფეროში ერთადერთი ოფიციალური ორგანო, ქართული ეთნიკური მუსიკის მხოლოდ ფოლკლორული ფრთით იყარგლება და საავტორო ეთნიკური მუსიკის სრულ იგნორირებას ახდენს, მისთვის თავის დონისძიებებში ცალკე ნომინაციას არ ითვალისწინებს, მიზეზი ერთია: „ეს არ არის ფოლკლორი“.

გარდა აღნიშნული სტრუქტურისა, პარაფოლკლორი არც ზოგადად მუსიკისმცოდნეების ურადებითაა განებივრებული. ტელევიზია უმეტესად ირონიულ კონტექსტში წარმოაჩენს წინაპლანზე. ერთადერთი, სადაც პარაფოლკლორის შედარებით სრულად ქდერს - რადიოს ცალკეული არხებია.

არადა გარკვეული სეგმენტის მსმენელისთვის მნიშვნელოვანია არა ფოლკლორის ფუნქციონირების ნორმები, არამედ - ეთნიკური ფაქტორი. ამიტომ პარაფოლკლორის ავტორებისთვის ფოლკლორისტებისგან იგნორირება არათუ

არ წარმოადგენს შემოქმედებით საქმიანობაში სერიოზულ წინაღობას, არამედ - ერთგვარ „პარტ ბლანშსაც“ კი ანიჭებს.

მაგრამ არის სფერო, რომელიც ერთგვარი შუალედური რგოლია პარაფოლკლორისა და ფოლკლორისა, და რომელმაც სამწუხაროდ დღეს თითქმის ამოწურა თავისი აქტუალობა. ესაა ცნობილი ქართველი ლოტბარების (ქვეშ-ვილი, მახათელაშვილი, ხატელიშვილი, ფსუტური) მიერ გასული საუკუნის 60-80-იან წლებში შეთხული ფოლკლორული მოტივებით ოსტატურად გაჯერებული, მაგრამ მელოდიური, მოდულაციური და სტრუქტურული ნოვაციებით გამორჩეული ნაწარმოებები.

როგორია ზოგადად ფოლკლორის სფეროში მოღვაწეთა შეხედულება ავტორისა და მისი კომპანიენციების შესახებ? ამ მიზნით ჩავატარეთ მცირე გამოკითხვა რომელმაც გვაჩვენა, რომ ფოლკლორის ინდივიდუალური ავტორობის მიმართ ზოგადად დადებითი პოზიცია შეინიშნება, ოღონდ ტრადიციული სტილის აუცილებელი შენარჩუნებით.

ამგვარად, საავტორო უფლებები ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ძირითადად ხალხურ მენესიერებაშია ჩაბეჭდილი და, ზოგიერთი გამონაკ-

ლისების გარდა, არ მოითხოვენ ამ კომპეტენციის დადასტურებას. ახალი ვერსიები ძირითადად განპირობებულია როგორც ავთენტიკისკენ მიბრუნების, ასევე - სცენური წარმატების მოტივაციით. ეს ეხება როგორც „პურისტებს“, ასევე - „აკადემიკოსებს“ (გაბისონია, 2014: 22). რაც შეეხება პარაფოლკლორს, აქ ავტორობის შეგნება უფრო გამძაფრებულია, ისევე, როგორც პლაგიატის მიმართ პროტესტი.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საავტორო და ხალხური მუსიკა ოპოზიტები არაა. ჩემთვის მისაღებია ცნება „ავტორის“ ხალხური მუსიკის სივრცეში იმგვარი გაგება, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სიმღერის ერთპიროვნულად შემქმნელს, არამედ ყოველი იმ ახალი კომპონენტის შემომტანს, რამაც ხალხურ ნიმუშს სხვა იერი მისცა - გახადა სხვაგვარი, ვიდრე ის აქამდე იყო. დავაზუსტებოთ ხალხური ავტორობის შემდგებ დონეებს:

- ავტორი - კომპოზიტორი
- ავტორი - ეთნოფორი
- ავტორი - რეკონსტრუქტორი
- ავტორი ცალკეული ხმებისა
- ავტორი - ხმების დამმატებელი

- აგტორი - სიტყვების შემცვლელი
- აგტორი - სიმღერების გამაერთიანებელი
- აგტორი - საკრავების დამმატებელი
- აგტორი ცალკეული ორიგინალური მოტივებისა
- აგტორი საშემსრულებლო ნიუანსებისა
- აგტორი - გუნდის ხელმძღვანელი

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გაბისონია თ., ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები. დისერტაცია. 2009.  
[http://polyphony.ge/uploads/tamaz\\_gabisonia\\_dissertation.pdf](http://polyphony.ge/uploads/tamaz_gabisonia_dissertation.pdf)
2. გარაყანიძე ე., რჩეული წერილები. შემდგენელი ნატო ზუმბაძე, რედაქტორი: მანანა ახმეტელი. საქართველოს მუსიკალური საზოგადოება, თბ., 2007.
3. გარაყანიძე, ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა, რედაქტორი იოსებ ქორდანია, თბ., 2007
4. ტრადიციული მუსიკა ქართლ-აფხაზურ დიალოგში, წიგნის აგტორები: ნინო კალანდაძე,



მარინე კვიუნაძე. საქართველოში ფონდი „ხობი”, თბ., 2011

5. ჩხილაძე გრ., თანამედროვე ქართული მუსიკა-ლური ფოლკლორი. თბ., 1961.
6. Габисония Т., Критерий „auténtичности“ в грузинском народном музыкальном исполнительстве. „Мусикология“, Musicology. Journal of the Institute of Musicology Of the Serbian Academy of Sciences and Arts. Belgrade. 2014.
7. Ядрышникова Л., Фольклор и постфольклор в культурных практиках повседневности. Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата культурологии,. Екатеринбург . 2008.
8. Nettl, B. *The Study of Ethnomusicology. Thirty-one Issues and Concepts*, New edition,Urbana and Chicago: University of Illinois Press.2005.

### **Tamaz Gabisonia (Georgia)**

#### **The Author in Georgian Ethnic Music**

Georgian ethnic music, as a multi-level notion in the forms of music, that includes folk components has never been in the focus of Georgian musicology. Georgian

musicians who are charmed with ethnic intonations have to adapt to the strict paradigm of traditional stylistic regulation. The cult of polyphonic folk tradition sets some filters which along with the axiological conclusions, considers measurement of folk tune only with the traditional authentic model.

To me, Georgian ethnic music can be defined as music containing a dominant component of Ethnic Georgian Music. It is music gestated in the non academic ethnic womb, using predominantly author's and performance tools inherent in the existing culture. In this collective concept/areal, we mean Georgian folk music, Georgian chant and not the segment of non-academic music, in which the ethnic element is a leading factor.

While folk heritage was often fetishized, new initiatives were not encouraged by the formal structures of folklore and this initiated some type of “free regulations” in the space of “outside the folklore”. At the same time, today even such a stable phenomenon as Georgian traditional music creates somehow amorphous picture which is triggered by choir performances, regulations of oral transmission and genre and style transformations. Interrelations existing in Georgian Ethnic Music between author and interpreter, initiative and stability, national and foreign create diverse system of creative mechanisms.



---

---

It is true that notion of the author, performer, soloist, leader, manager, accompaniment, arrangement and instrument setting in Georgian ethno music create diverse facets in the levels of “authentic” and “academic” folklore, church songs or author’s songs, ethno pop, ethno jazz or ethno rock, modernized folklore or post folklore. The concept of the author is quite large in size with small content. In this report we will try to establish those trends which will help us see the author of Georgian ethnic music as a concept.

Non-academic music of ethnic dimension, which is based on folk or pseudo-folk motifs and accessories, is partially characterized by oral transmission and earns popularity among the audience. This is perceived as “folk” music. It develops in parallel with the traditional folk music. We term this phenomenon the “parafolk” music.

In the diverse world of non-academic music we think that it is interesting to discuss “folk professionalism”, group co-authorship, “pre music” regulations, experience acquisition, unintentional or deliberate plagiarism, crossing stylistic framework, fusion, and motivations of verbal, plastic and visual accents. These aspects shape in a certain way the semantic field of the concept “author”. From this perspective we should also consider self and mutual definitions of authors and priorities of appraising.

## ნანაგოგოლაძე (საქართველო)

### შემსრულებლობა თანამედროვე ლაზეზმაში

ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში შესწავლილია ხალხური მუსიკალური შემოქმედების ისტორიისა და თეორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. არის ისეთ საკითხთა რიგი, რომელთა შესწავლას სისტემური ხასიათი არ ჰქონია. ერთერთი ასეთია შემსრულებლობის საკითხი<sup>3</sup>.

ჩემი გადასახედიდან მსურს აგსახო, თუ როგორი სახით არსებობს დღეს შემსრულებლობა ლეჩეუმში. შევეხები იმ ლოკალურ გარემოს, რომელთანაც უშუალო პედაგოგიური შეხება მაქვს.

უახლოეს წარსულში ცაგერსა და მის რამდენიმე სოფელში წარმოებული ექსპედიციებიდან ცხადდება, რომ ადგილობრივ ხალხურ სიმღერას ბუნებრივ ყოფაში უკვე ძალზე იშვიათად მოვისმენთ, - ეს იქნება ნადი, სხვადასხვა რიტუალი, თუ საწესხვეულებო გარემო. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ხანდაზმულ მაცხოვრებლებს ახსოვთ სიმღერები, ეთნოგრაფიულ გარემოში

<sup>3</sup> აღნიშნულ პრობლემაზე ამომწურავად არის მსჯელობა და დასკვნები გამოტანილი ორ უადრესად საინტერესო ნაშრომში (Земцовский И. 1984; Алексеев Э. 1985).

ნაკლებად თუ შეიქცევენ თავს სიმღერით. ამიტომ საგანგებოდ თხოვნა ხდება საჭირო, რომ გაიხსენონ და შეგვისრულონ ამა თუ იმ ჟანრის სიმღერა.

თანამედროვე შემსრულებლისა თუ მსმენელის ესთეტიკური აღქმა დღეს მნიშვნელოვნად გარდაქმნილია. ხშირად ისეც ხდება, რომ სცენასა თუ ეკლესიაში, მგალობელი იქნება ის თუ ხალხური სიმღერის შემსრულებელი, თმობს პოზიციას მსმენელის წინაშე და არჩევს ისეთ რეპერტუარს, რომელიც მსმენელის გემოვნებაზე იქნება მორგებული.

საქართველოში სასცენო ფოლკლორი XIX საუკუნის დასასრულიდან იწყებს განვითარებას, როდესაც ლადო აღნიაშვილის მიერ თბილისში დაარსებულმა „ქართულმა ხორომ“ დასაბამი მისცა ხალხური სასიმღერო ხელოვნების სასცენო ასპარეზზე გამოტანას. შემსრულებლობის თვალსაზრისით, ქართულ სასიმღერო ფოლკლორში ამ დროიდან ჩნდება აუთენტური ფოლკლორის მომიჯნავე, პირობითად „ახალი მიმდინარეობა“ – მეორეული ფოლკლორის სახელწოდებით, რომელსაც რუსული მუსიკის თეორეტიკოსი ე. ალექსეევი „ფოლკლორიზმს“ უწოდებს. ეს შემოქმედებითი სიახლე მთელ რიგ ცვლილე-

ბებს გულისხმობს. ამ ტიპის ანსამბლებში დაინერგა ზედა ხმების შესრულებაში ხმების გაორმაგება, უფრო მეტიც, ზედა ხმების ჯგუფური შესრულება, რამაც შემცირებული იმპროვიზაციის ხარჯზე, გამოიწვია სოლისტთა მნიშვნელობის დამდაბლება. სასცენო შემსრულებლობისათვის სახასიათო ხდება ასევე გუნდების მრავალრიცხოვება, შერეული გუნდების არსებობა, ასევე ჩნდება სპეციფიკური შინაარსის სასიმღერო ტექსტები.

ფოლკლორი, როგორც ესთეტიკური დირებულების მატარებელი ხელოვნება, ამავე დროს თავისი არსით, ადამიანის პიროვნული თავისუფლების გამოხატულებაცაა. დღეს პრობლემად მეორეული, სასცენო ფოლკლორი ისახება, გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდა ანსამბლების მხრიდან აუთენტური შემსრულებლობის ინტერესი და მისწრაფება ნაკლებია. ამ დროს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება გუნდის ხელმძღვანელს, რომელიც არჩევს სასიმღერო რეპერტუარს და ამავე დროს განსაზღვრავს სწავლების მეთოდიკასაც.

პირველად სასიმღერო ფოლკლორში შემსრულებლობის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ზედა ხმების შესრულება თითო

მომდერლის მიერ, რაც პრიორიტეტს წარმოადგენს ანსამბლ „სალალობოსთვისაც”. ჩვენი ორწლიანი ურთიერთთანამშრომლობის მანძილზე მიუხედავად მომდერალთა დიდი ნაწილის წინააღმდეგობისა, კცდილობთ, რომ არ მოხდეს მომდერალთა ხმების მიხედვით სპეციალიზაცია. გარკვეულმა ექსპერიმენტებმა ნამდვილად გაამართლა, როდესაც მოვახდინეთ ხმების გადანაცვლება ამა თუ იმ ხმის პარტიაში. თუმცა აქვეუნდა ითქვას, რომ პედაგოგიური ალლო და სიფრთხისილე მაინც საჭიროა ამგვარი ტიპის ცვლილებების დროს და ზოგჯერ გასათვალისწინებულიცაა მომდერლების, როგორც მოსწავლეების აზრი.

ხალხური სიმღერის საგაკვეთილო პროცესში ჩვენი მთავარი სახელმძღვანელო 1958 წლის ძველი ლეჩხუმური აუდიოჩანაწერებია, საიდანაც საშუალება გვეძლევა მაქსიმალური სიზუსტით გადმოვიდოთ და აღვადგინოთ ადგილობრივი კუთხური მუსიკალური ცნობიერებისათვის სახასიათო ყველა საშემსრულებლო ნიუანსი.

რომ არა ეს აუდიო მასალა, გაძნელდებოდა იმ ნამდვილი, სოფლური სასიმღერო ტრადიციის, როგორც საშემსრულებლო სტილის გამომჟღავნება მით უფრო ჩემთვის, როგორც წარმოშობით

არამკვიდრი ლეჩეუმელისათვის. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული. ამ ხნის მანძილზე მოღვაწე ანსამბლების საშემსრულებლო ტრადიციის მემკვიდრეა დღევანდელი მოქმედი ვაჟთა ფოლკლორული გუნდი „სალადობო”, რომელიც ლეჩეუმის ადმინისტრაციული ცენტრის, ქ. ცაგერის კულტურის ცენტრთან არსებობს<sup>4</sup>.

აღნიშნული კულტურული დაწესებულება ანსამბლს ავალდებულებს მრავალფეროვანი პროგრამის შესწავლას. ამიტომ იწოდება გუნდი აკადემიურად. რეპერტუარში შედის როგორც ადგილობრივი ხალხური, ქალაქური, საეკლესიო საგალობლები, ასევე საესტრადო ჟანრის სიმღერები (ფორტეპიანოს, გიტარის, აკორდეონის, ქრომატიზებული ფანდურის თანხლებით. მათ რეპერტუარშია კომპოზიტორისეული საგუნდო სიმღერებიც). ისევ და ისევ აღნიშნული კულტურული დაწესებულების ფორმატიდან გამომდინარე, რეგიონული ანსამბლების სასიმღერო რეპერტუარი მრავალეანობრივი და შესაბამისად მრავალსტილისტურიცად. ცხადად ჩანს, რომ სტილისტური აღრევა მნიშვნელოვნად ახდენს გავ-

<sup>4</sup> „სალადობოს” წინამორბედი ანსამბლებია: „ლეჩეუმი”, „შვიდპაცა”, „სალხინო”.

ლენას მომდერალთა საშემსრულებლო მანერაზე და გარკვეულწილად გემოვნებაზეც. ამ მხრივ ყველაზე მეტად ზიანი ადგება ხალხური სიმღერის შემსრულებლობას, რომელიც ზემოთ ხსენებული სტილისტური აღრევის მსხვერპლი ხდება.

დროთა და გემოვნებათა ჭიდილში რთულია თანამედროვე ეპოქის შემსრულებლობაში აუთენტური ხაზის დაცვა, მაშინ, როდესაც ანსამბლების შემადგენლობაში დიდი ხვედრითი წილი ახალგაზრდა შემსრულებლებზე მოდის.

ხშირად, ამა თუ იმ კოლექტივის მუსიკალურ სტილსა და საშემსრულებლო მიმდინარეობას გუნდის ხელმძღვანელის პირადი არჩევანი განსაზღვრავს. მის არჩევანს კი პედაგოგიური ალლო, ცოდნასთან ერთად გამოცდილება და გემოვნებაც. არც თუ ისე იშვიათად ეს უკანასკნელი ხდება წარმმართველი გუნდის, როგორც რეპერტუარის შერჩევაში, ისე მის აუთენტურობასა თუ მეორეულ შემსრულებლობაში.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ქართული ხალხური სიმღერისა და სასულიერო მუსიკის იდენტობა, რომელსაც განსაზღვრავს შესრულების ფორმა, ხასიათი თუ მანერა, დროით დისტანციაზეც ადგილად შესაგრძნობია.

ხალხური სიმღერის შესწავლის საწყის ეტაპზე ყველაზე მართებულად „კომპლექსური აღქმის მეთოდს” (ე. გარაფანიძე:2007, 139) მივიჩნევ, რომელიც პრიორიტეტულია ჩვენი ანსამბლის სასწავლო პროცესისათვისაც. ამგვარი მეთოდით შესწავლა თანდათანობით, ხანგრძლივი და მრავალგზის მოსმენის საფუძველზე მიიღწვა. ასეთ დროს ხდება სიმღერის ძირითადი ქარგის აღქმა-დამახსოვრება, თუმცა დამახსოვრების ხარისხი ყოველთვის მიახლოებითი იქნება, რომლის დროსაც ასპარეზი ეძლევა შემსრულებლის იმპროვიზაციულობის უნარს და გამოდის, რომ ფაქტობრივად მომღერალი უკვე შესწავლილი სიმღერის თანაავტორიც ხდება. ამის შემდგომი ეტაპია უკვე მეტნაკლებად გათავისებული სიმღერის ცალკეული ხმების მელოდიური ნახაზის გამორჩევა. შესწავლის ამგვარი მეთოდი უმთავრესად, მარტივ და საშუალო სირთულის სასიმღერო ნიმუშებს ეხება. რაც შეეხება რთულ ნიმუშებს, მათი შესწავლისას გამოიყენება ე.წ. „დიფერენცირებული მეთოდი” (ე. გარაფანიძე), რომელიც სიმღერის ცალკეული ხმების და ცალკეული მონაკვეთების მიხედვით ათვისებას გულის-

ხმობს<sup>5</sup>. იგი ოსტატი მომღერლების პრაქტიკაში გვხვდება. ედიშერ გარაფანიძის ვარაუდით, „დი-ფერენცირებული მეთოდით” სწავლება თავისი წარმოშობით, ნაწილობრივ მაინც, უნდა უკავ-შირდებოდეს სამგალობლო პრაქტიკას, რომე-ლიც თავის მხრივ, შესწავლის სწორედ ამ მე-თოდს ემყარება.

მოკლედ შევხები ქ. ცაგერის საკათედრო ტაძართან არსებულ მგალობელ ქალთა გუნდის მოდგაწეობას, რომელთან მუშაობა უფრო ხან-გრძლივ პერიოდს მოიცავს. ამ ხნის განმავლობა-ში უტაპობრივად მოვახერხეთ არაკანონიური, ე-წ. „სიონური” სამგალობლო საღვთისმსახურო რეპერტუარის განახლება გალობის ცენტრის მი-ერ გამოცემული სამგალობლო კრებულებში და-ბეჭდილი კანონიკური საეკლესიო საგალობლე-ბით. ამ ეტაპზე ძირითადი განგებების, წირვა-ლოცვის საგალობელთა განახლებას ვჯერდე-ბით. რაც შეეხება მიცვალებულთა პანაშვიდისა და პარაკლისის საგალობლებს, - აქ მელოდიური სირთულისა თუ საგალობელთა ხანგრძლივობის გამო თავშეკავება მოხდა რთული მელოდიური

---

<sup>5</sup> ქ. გარაფანიძე. „ქართული ხალხური სიმღერის შემსრუ-ლებლობა“.

ნიმუშების შესწავლისაგან. გუნდს ახასიათებდა გაუმართლებლად სწრაფი ტემპით გალობის ჩვევა, რაც უპირველესად ზოგადდასავლურ – კუთხური მენტალობით შეიძლება აიხსნას.

გასულ ზაფხულს, ზემოთ აღნიშნულმა გუნდებმა ქართული ფოლკლორის დათვალიერებაზესტივალში მიიღეს მონაწილეობა. უნდა ითქვას, რომ მგალობელთა გუნდის შესრულებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. გუნდის უპირატესობად დასახელდა შესრულების სიღრმე, სისადავე, ტემპრალური შეხამება, ამასთან ერთად წირვა-ლოცვის რეპერტუარის სრულად ფლობა. რაც შეეხება ვაჟთა გუნდის გამოსვლას, აქ სწორედ შემსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, - შესრულების მანერა იქნა დაწუნებული, რომელიც კომისიის წევრების თქმით, სასურველია, რომ მეტად ახლოს იყოს ლეჩეუმურ-გლეხურ შემსრულებლობით სტილთან. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლის მომღერალთა სმენით მეხსიერებაში ძველი ფონო-ჩანაწერების სიმდერებია, მათვის, როგორც ახალგაზრდა თანამედროვე შემსრულებელთათვის რთულია ტრადიციული, წმინდა გლეხური მანერით შესრულება. ლეჩეუმელ პოეტ ლადო ასათიანს აქვს ასეთი

ხატოვანი ნათქვამი: „მაგრამ ეს მაინც უფრო მეტია, უფრო სოფლური და ვაჟკაცური”...

ცნობილი ეთნომუსიკოლოგი ო. ზემცოვსკი სხვა მეცნიერთაგან განსხვავებით შედარებით მკაცრად აღნიშნავს, რომ „სცენაზე გამოტანილი ფოლკლორი, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად წმინდადა დაცული მისი დამახასიათებელი ნიშნები სცენური ინტერპრეტაციისას, ყველა შემთხვევაში უკვე ფოლკლორიზმია, ვინაიდან სცენა თავისთავად არის მუსიკალური ფოლკლორისა და პროფესიული მუსიკის ურთიერთქმედების საწყისი ეტაპი, გადასვლა არაფოლკლორულ ფორმებზე”.

შემსრულებლობა, ისევე როგორც ნებისმიერი შემოქმედებითი მოვლენა ცვლილებების გარეშე ვერ განვითარდებოდა. უამთასვლის მონაკოვარია დღევანდელი სახით არსებული მუსიკალური ფოლკლორი, რომელმაც გზადაგზა მრავალი თვისობრივი სიახლე შეითვისა.

ადგილობრივი სასიმღერო შემოქმედების შემსრულებლობის დეტალებზე სასაუბროდ ლეჩეუმური სასიმღერო ფოლკლორის ხანდაზმულ შემსრულებელსა და გამოცდილ პედაგოგს, რაფიელ კოპალიანს ვესტუმრე. მან ლეჩეუმური სასიმღერო ფოლკლორის განმასხვავებელ ნიშან-

თვისებებად მისი მუსიკალურობა, ტექსტობრიობა და საშემსრულებლო მანერა გამოყო. მაშინ, როდესაც ამ კუთხის ფოლკლორული სიმღერები საკმაოდ დაძაბული და მჭექარე ხმით შესასრულებელია, ბატონი რაფიელის თქმით, სიმსუბუქეა ლეჩხუმური სიმღერისათვის უფრო მეტად სახასიათო. მართლაც, როდესაც მისი ანსამბლის, – „ლეჩხუმის” ძველ ჩანაწერებს ვისმენთ, შედარებით მსუბუქი ბგერით შესრულების შთაბეჭდოლება იქმნება. აქედან ჩანს, თუ რამდენად ბუნებრივი და ნორმალურია მღერის ამგვარი მანერა მისთვის, როგორც ერთი კონკრეტული მომღერლისათვის, რადგან სულაც არ ფიქრობს, რომ ლეჩხუმური სიმღერა მძიმედ შესასრულებელია. მისი თქმით, ლეჩხუმური ფოლკლორის მარგალიტები ლეჩხუმელების სულიერი განწყობილების, შინაგანი ტკივილისა თუ სიხარულის გამომხატველია.

დღევანდელი სასცენო ცხოვრებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მუსიკალური ფოლკლორის აუთენტური შემსრულებლობის ტრადიციის ფარგლებში შენარჩუნება ყველა საშემსრულებლო ნიუანსის დაცვით, სასიმღერო ფოლკლორისათვის მეტად აუცილებელ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს, წი-

ნააღმდეგ შემთხვევაში სახეზე მივიღებთ თაობების მიერ ათასგზის „გადამდერებულ” ცარიელ ჰანგებს, რომელიც ძალზე შორს იქნება ნამდვილი ეთნომუსიკისაგან.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გარაფანიძე ე., ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა. თბ., 2007
2. გარაფანიძე ე., რჩეული წერილები. ფიქრები ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაზე. თბ., 2007
3. გარაფანიძე ე., რჩეული წერილები. ხალხური სიმღერის შემსრულებლობა გუშინ და დღეს. თბ., 2007
4. Алексеев Э., Фольклор в контексте современной культуры. Рассуждения о судьбах народной песни. М., 1988
5. Земцовский И., О природе фольклора в свете исполнительского общения. Кн.: Искусство и общения. М., 1984 გვ. 142-150
6. Земцовский И., Лукьянова Т. Внимание исполнительству в фольклоре, №53, 1973გვ. 95-99



---

---

*Nana Gogoladze (Georgia)*

### **The modern Lechkhumian Musical Performance**

Significant research has been conducted to study historical and theoretical issues of the folk music creation in Georgian ethnomusicology. However, some issues have not been properly researched. Traditional performance can serve as an example here.

I would like to represent a contemporary Lechkhumian traditional performance through my point of view. I will discuss local environment of Tsageri, where I have been giving classes since 2007, on the example of folklore and church choirs' performance and their performance quality.

The main aim of men folk choir of Tsageri is on one hand to study and on the other hand to popularize Lechkhumian musical folklore, while the women church choir is mainly focused on establishing canonical liturgical Hymns in Divine Service repertoire.

We are studying Lechkhumian folk songs from old audio recordings trying to copy local performance manner with maximum accuracy, to preserve local color and what is the most important to learn a lot from rich musical material. As for church chant, we study them from the



published collection of Georgian Canonical Sacred Hymns.

Traditional performance went through a long development process and has reached the modern era with new features. We distinguish from each other primary and secondary, so-called stage performance. It must be noted, that nowadays the stage performance has became the first-class musical art as at present the folklore songs are rarely performed in villages.

In general, the identity of Georgian folk and sacred music, which is defining forms of performance, character or manner, can be easily felt in distance of time.

## ნანა გალიშვილი (საქართველო)

**სალხური შემსრულებლობის ეპოლუციური  
პროცესები და თანამედროვე ქართგელი  
„ჰომოკოლიზონიაზე“**

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება ხალხის ნიჭის, სამყაროს შემეცნებისა და ფილოსოფიური გააზრების, ამ სამყაროში თავისი ადგილის გაცნობიერების თავისებური გამოხატულებაა. ხალხის ყოფასა და აზროვნებაში იწროობოდა და ყალიბდებოდა ეროვნული მუსიკალური აზროვნების შემოქმედებითი პრინციპები და კანონზომიერებები, ჟანრები, მრავალხმიანობის სტილები... უმთა მდინარებაში, სხვადასხვა ეპოქასა თუ სოციალურ-ისტორიულ ფორმაციაში, ზოგი რამ ეპოქის შესაბამისად გარდაისახებოდა, არსებითი და ძირითადი კი თაობიდან თაობას უცვლელად გადაეცემოდა. „სწორედ ამაში ძეგს ხალხური შემოქმედების უმნიშვნელოვანესი თავისებურების – მუდმივისა და ცვალებადის პარმონიული თანაარსებობის საიდუმლო“ (შუღლიაშვილი, 2008:).

გლობალიზაციის ეპოქაში თანდათან მწვავედ დგება ფოლკლორის **იმანენტური ბუნების**

შენარჩუნების, მისი ერთგვარი „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი. ქართველთათვის ეს, უპირველესად, მრავალხმიანი აზროვნების ფენომენს ეხება. მრავალხმიანობის ტრადიციის მატარებლებს იზალი ზემცოვსკი „პომოპოლიფონიკუსებს“ უწოდებს. „ასეთი სუბიექტისათვის ტრადიციული მრავალხმიანობა განსაზღვრავს ... მისი ცხოვრების ნორმასა და აზროვნების წესს, ადამიანისა და სამყაროს დიალოგის ფორმას. უფრო ზუსტად, ქართველი (ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი) პომოპოლიფონიკუსი, უბრალოდ, მრავალხმიანობაში მყოფობს“ (ციტირ.: წურწუმია, 2008: 624). ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად მისდევს თანამედროვე ქართველი „პომოპოლიფონიკუსი“ ტრადიციული მრავალხმიანი აზროვნების ხაზს და რამდენად რეალურია ამ ხაზის გაწყვეტის საშიშროება?

ხალხური მუსიკის შემსრულებლობა ცოცხალი, შეუძლებადი პროცესია, რომელშიც ევოლუციური ცვლილებები ყველაზე ცხადად აისახება. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (ძველად – ხალხური შემოქმედების სახლი) ერთადერთია ფოლკლორის სფეროში მოღვაწე უწყებათა და პროფესიულ დაწესებულებათა შორის,

რომელიც ხალხური შემსრულებლობის ყოველ-დღიურობაში ჩახედვის, ეკოლუციური პროცესების მონიტორინგისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. ამ უაღრესად პრესტიჟულ, თავისი მნიშვნელობით ქართული კულტურისათვის უანალოგო დაწესებულებაში ჩემი მუშაობის ოცდაათი წლის მანძილზე (თავად ცენტრს მომავალ წელს 80 წელი უსრულდება) საშუალება მქონდა თავადაც მედევნებინა თვალ-ყური ცოცხალ ხალხურ ყოფაში მიმდინარე ფოლკლორული პროცესების-თვის, გარდაუვალი ცვლილებებისა და მოდერნისტული ტენდენციებისათვის. ამისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, ფოლკლორისტულ ექსპედიციებთან ერთად, ფოლკლორის ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით პერიოდულად გამართული ფესტივალები და დათვალიერებებია. დაფიქსირების თანამედროვე ტექნოლოგიების (აუდიო, ვიდეო, ფოტო) გამოყენებით ყველა ეს პროცესი თვალსაჩინო იქნება მომავალი თაობის მეცნიერთაოვისაც, — ეთნომუსიკოლოგების, ეთნოლოგების, ანთროპოლოგების და ფოლკლორის სხვა მომიჯნავე დისციპლინების მკვლევართათვისაც, — რაც ერთი-ორად ზრდის ამ ფესტივალების მნიშვნელობას.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, 2005-06 წლების ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის შედეგებისა და ბოლო წლების ჩვენი საექსპედიციო პრაქტიკის მაგალითზე, გამოყოფ ხალხური მრავალხმიანი აზროვნების ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი, წარმოვაჩინოთ თანამედროვე ხალხური შემსრულებლობის ზოგადი ტენდენციები (რეპერტუარი, შესრულების ფორმები, იმპროვიზაციის ხერხები, ინსტრუმენტული თანხლება) და დავსახოთ მომავალი კვლევის პერსპექტივები.

რუსუდან წურწუმია სტატიაში – „ქართული ხალხური სიმღერა დღეს – ცოცხალი პროცესი თუ სამუზეუმო ექსპონატი?“ –სამართლიანად აღნიშნავს, რომ „გლეხურ ფოლკლორში ყალიბდღებოდა ხალხურ-ეროვნული მუსიკალური აზროვნების ძირითადი ნიშნები, ინტონაციური ფონდი და კანონიკურად ქცეული მხატვრული ეტალონები“ (წურწუმია, 1997). ეს „კანონიკურად ქცეული მხატვრული ეტალონები“ ძნელად ემორჩილებოდნენ ჟამთაცვლას და სწორედ ასე მოაღწია დღემდე ქართული მრავალხმიანობის უნიკალურმა ნიმუშებმა. მაგრამ რამდენად ცოცხალია დღეს შემოქმედებითი პროცესი და რამდენად ეყრდნობა ის ტრადიციას?

ფოლკლორული შემსრულებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი შესრულება-ქმნა-დობის პროცესების ერთდროულობაა – ამაზე ედიშერ გარაყანიძის ფუნდამენტურ გამოკვლევაში კრცლადაა საუბარი (გარაყანიძე, 2007). იზალი ზემცოვსკის აზრით, „ტრადიციულ ფოლკლორულ გარემოში ფოლკლორს თითქოს მზად იღებენ, მაგრამ ამავე დროს თითოეულს უხდება თავად გაიაროს მთელი გზა ბოლომდე (იგულისხმება წინაპართაგან საუკუნების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება და „პომოპოლიფონიკუსის“ გენეტიკური მეცნიერება – ნ. ვ.),... ფოლკლორიზმში კი ამ გზას არავინ გადის დამოუკიდებლად, დაბადებიდან მოწიფულობამდე, არამედ იღებენ ფოლკლორს გამზადებული სახით“ (ციტირ.: წურწუმია, 1997: 7) აქ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რამდენად ექმნება ტრადიციის მატარებელს მისთვის შესაფერისი გარემო. გლობალიზაციის ეპოქაში „გამზადებული სახით ფოლკლორის მიღების“ პროცესები უფრო და უფრო მძლავრობს. მნელად თუ სადმე წააწყდებით ცოცხალ ყოფაში სიცოცხლისუნარიან ტრადიციულ ჟანრებს, იმპროვიზაციულობისა და ქმნადობა-შესრულების ერთდროულობის პროცესებს... შესაბამისად, თანდათან კლებულობს

„პირველადი სასიმღერო ფოლკლორის“ ხვედრითი წილი და, უკეთეს შემთხვევაში, მის ადგილს „პირველადი შემსრულებლობა“ იკავებს. კიდევ უფრო მასობრივია და სოლიდური „მეორეული შემსრულებლობის“ შემთხვევები (ქ. გარაყანიძის ტერმინები. გარაყანიძე, 2007). აშკარაა ავთენტიკურობის დეფიციტი, სიმღერების ტრადიციული ჟანრების სიმწირე და ლამის ბატონობს „ფოლკლორიზმის“ უგამოვნო ნიმუშები: საბჭოთა პერიოდის ფსევდოხალხური სიმღერები და თანამედროვე ე. წ. „მთის სიმღერების“ გაუგებარი ნაირსახეობა; შეიმჩნევა ტრადიციული საკრავების არატრადიციულითა და არაქართულით ჩანაცვლების, არატრადიციული ინსტრუმენტული ჯგუფების ჩამოყალიბების ტენდენცია.

და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში ფოლკლორის მატარებელნი – ეთნოფორები – ჯერ კიდევ ფლობენ უტყუარ ინფორმაციას, ტრადიციას, რადგან მათ ლოტბარებისგან კი არ დაისწავლეს ესა თუ ის სიმღერა „ცალ-ცალკე ხმებად“, არამედ ბუნებრივად შეითვისეს და გენეტიკური მეხსიერებით გადმოეცათ. ისინი თითქმის სრულად „გადიან გზას დამოუკიდებლად დაბადებიდან მოწიფელობამდე“ – მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ამა თუ იმ

კონკრეტული სიმღერისა და ტრადიციის შესაფერისი გარემო ყოფაში და ცოცხალია თუ არა თავად ეს ტრადიცია.

„ჰომოპოლიფონიკუსს წარმოსახვაში ესმის თითოეული ხმა და პოლიფონიური აზროვნების წყალობით ძალუმს შინაგანად წარმოიდგინოს მათი ერთდროული ჟღერადობა“ (Zemtsovsky, 2003: 47; ციტირ.: წურწუმია, 2008). ამრიგად, „ჰომოპოლიფონიკუსი“ მუდმივად „მრავალხმიანობაში მყოფობს“ (წურწუმია, 2008: იქვე) და, თუ გვერდით არავინ ჰყავს, თავად ახერხებს ამა თუ იმ გზით დანაკლისის შეგსებასა და „მრავალხმიანობის მოთხვნილების“ დაკმაყოფილებას. ქვემოთ მოკლედ აღვწერთ ამ პროცესებს და მოვიყვანთ შესატყვის მაგალითებს:

- „ჰომოპოლიფონიკუსი“ მღერის სამივე ხმას ურთიერთჩანაცვლებით ისე, რომ წამყვან ხმასთან ერთად მოძახილიც აღიქმება და ბანიც – ესაა მრავალხმიანობის არაპირდაპირი გამოვლინება(ზუმბაძე, 2008), ე. წ. „ფარული მრავალხმიანობა“. ჭარმაგი იმერელი მომღერლის ბახო ხიჯაკაძის ნამღერში ეს ცხადად გამოვლინდა (სანოტო მაგ. 7; აუდიო მაგ. 1). ანალოგიურად, შეიძლება გავიხსენოთ ვლ. ახობაძის მიერ ვარლამ

ნინიძისაგან ჩაწერილი აჭარული საჩონგურო ნანა (აუდიო მაგ. 2)ან თამარ გიგაურის ნამღერი მოხეური „დიდება“ (აუდიო მაგ. 3).

- „კომოპოლიფონიკუსი“ მღერის ტრადიციული საკრავის თანხლებით – საკრავი „შებანების“ ფუნქციას ასრულებს. (აუდიო მაგალითი 4: ლეჩეუმის ექსპედიცია, გურამ გვიშიანი ფანდურზე, ჩონგურზე, ჭუნირზე).

- „კომოპოლიფონიკუსი“ შებანებისთვის იყენებს უცხო წარმომავლობის საკრავსაც (ძირითადად – სიმებიანს, ან პნევმატურ-კლავიშიან გარმონს) და მას ქართულ ყაიდაზე მომართავს (აუდიო მაგ. 5 – ქამანჩა, ბიჭიკო ხოროიშვილი, ზემო ჯოჭო; მაგ. 6 – საზი, შოთა იაკობიძე, აბუქედადა).

მოყვანილ შემთხვევებში ტრადიციული მრავალხმიანი აზროვნების კანონზომიერებები ყველგან დაცულია.

თანამედროვე „მეორეულ“ სასცენო შემსრულებლობაში ვხვდებით საპირისპირო პროცესებსაც – ხალხური ტრადიციის ფარგლებიდან გასვლას და ავთენტიკური კანონზომიერებებიდან შეგნებულ გადაცდენას:

• მოდულაცია მკვეთრი დაპირისპირებით, სტროფსა და სტროფს შეა – კლასიკური მუსიკიდანაა ნახესხები) და თითქმის არ გვხვდება ხალხურ ტრადიციაში (აუდიო მაგ. 7).

• სიმღერის მელოდიის ზედა ტონიკაზე – ოქტავურ ბგერაზე – აღმავალი ნახტომით დასრულება რუსულ-საბჭოთა სინამდვილის გამოძინებით, ყალბი პათეტიკის, ამაღლებული ტონუსის ხელოვნურად ხაზგასმაა (სანოტო მაგ. 2-3; აუდიო მაგ. 8). არქაულობით გამორჩეულ ანტიფონურ ქართლურ სიმღერებში, რომელთაც მეტი სიძველე და შესრულების ადრინდელი ფორმები შემოინახეს, ესაა გუნდების „გზაგასაყარზე“ შექმნილი სმენითი შთაბეჭდილება, რომ სიმღერის ფრაზა ოქტავური ნახტომით დასრულდა, სინამდვილეში კი ამ დროს ოქტავას ქმნის II გუნდის „შემოჭრა“ I გუნდის ბოლო მარცვალზე (სანოტო მაგ. 1). ეს ორპირული სიმღერებისთვის კანონზომიერი მოვლენაა, სხვა შემთხვევაში კი ტრადიციული აზროვნების კანონზომიერების დარღვევა.

ხალხური აზროვნების ტრადიციის რდვევა ყველაზე მეტად მოდერნიზებულ, ქრომატიზებულ ხალხურ საკრავებს – ე. წ. „კლასიკურ“ ფან-

დურს, ჩონგურს, ჭუნირს – ეხება. ერთი შეხედვით ტემპირულად და ვიზუალურად ძნელია მათი გარჩევა ტრადიციული საკრავებისგან; საქმეს ისიც ართულებს, რომ ფორმალურად თითქმის ყველა მათგანი მრავალხმიანია... თუმცა, სწორედ ქართული მრავალხმიანობის უმთავრესი პრინციპებია მათში დარღვეული და ევროპულითაა ჩანაცვლებული. ქრომატიული საკრავები აბსოლუტურად უცვლიან გეზსა და არსეს ტრადიციულ ხალხურ მუსიკალურ აზროვნებას, რაც იმთავოთვე ვლინდება მათს წყობაში (სანოტო მაგ. 5): სეკუნდურ-ტერციული ხალხური წყობა იცვლება მაუორული სამხმოვანების წყობით.

დღეს ერთობ პოპულარულია სოლო სიმღერები საკრავის თანხლებით, ე. წ. „მთის სიმღერები“. მათი მუსიკალური ქსოვილი, საშემსრულებლო ფორმა და სტილი საგრძნობლად სცილდება ტრადიციას. ამ სიმღერებში არც ლექსთწყობაა ქართული (ლექსის მეტრი, ტავაში მარცვლების რაოდენობა): ცხრა და თორმეტმაცვლიანი ტაეპი ჩვენში ბოლო ათწლეულებში ჩრდილოკავკასიურ პანგს შემოჰყვა, „გადმოქართულდა“ და საკმაოდ გავრცელდა. ჩვენი დაკვირვებით, ამ ტიპის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ფიქსირებული ნიმუშია 1950-იანი წლების ბოლოს

ახმეტის რაიონში ჩაწერილი სიმღერა „შატილის ასულო“ (სანოტო მაგ. 4) ამგვარი ნიმუშები ხშირად იმდერება ყალბი პათეტიკით, უტრირებული მანერით (ხმამაღლა, ყვირილით, უხეში არტიკულაციით), ქრომატიული ფანდურის ან ბალალაიკის თანხლებით (აუდიო მაგ. 6).

ქრომატიზებულ ხალხურ საკრავებზე, ევროპული კლასიკური მუსიკის მიბაძვით, სექსტაკორდი და კვარტსექსტაკორდი აქტიურად გამოიყენება როგორც სამხმოვანების შებრუნებები. ხალხური აზროვნების კანონზომიერებების თანახმად კი შებრუნებები არ არსებობს – აკორდები მხოლოდ ძირითადი სახით მოიაზრება (სანოტო მაგ. 6). ქრომატიული ფანდურის სპეციფიკიდან გამოდინარე, საწყისი ან დამამთავრებელი ტონიკური აკორდი ხშირად სექსტაკორდის ან სამხმოვანების სახით ჟღერს, რაც სრულიად მიუღებელია ტრადიციული აზროვნებისთვის.

ცალკე მსჯელობის თემაა ქ. წ. „ხალხურ საკრავთა ორკესტრები“ და მცირე ჯგუფები (ტრიოები და სხვა), რომლებიც მთლიანად დაკომპლექტებულია მოდერნიზებული საკრავებით. ამ საკრავთაგან გამოვყოფდით ყველაზე არაპოლიფონიურად მოდერნიზებულ ჭუნირს, რომელსაც მხოლოდ ფორმა შერჩა ტრადიციული სვა-

ნური საკრავის, არსით კი კლასიკურ სიმებიან საკრავად – ალტად გადაპეთდა: ასეთ ჭუნირზე შეუძლებელია ხემის ერთი გასმით სამხმიანი აკორდის მიღება, რადგან სიმები მოხრილ ჯორაზეა გადაჭიმული და არა – სწორზე, როგორც ეს ხალხურ მრავალხმიან ტრადიციაშია... და ეს ხდება ხალხური პოლიფონიური აზროვნების კლასიკურ ქვეყანაში!.. გვყოფნის ცინიზმი და ამას საკრავების განვითარებასაც ვეძახით!..

მოდერნიზებული საკრავების ხშირი და მრავალმხრივი გამოყენების გამო, ტრადიციული საკრავები თანდათანობით უკანა პლანზე გადადის... ვმიშობთ, ეს პროცესი თანდათან განხოგადდება და გადაინაცვლებს ვოკალურ მრავალხმიანობაშიც, რაც უცილობლად გამოიწვევს ქართული ტრადიციული მუსიკალური აზროვნების თანდათანობით გაქრობასა და ევროპულით, კლასიკურით მის ჩანაცვლებას.

ზემოთ აღწერილი პრობლემებისა და ცდომილებების მიუხედავად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მრავალხმიანობა დღესაც ქართული მუსიკალური აზროვნების იმანენტურ თავისებურებად რჩება.

ბუნებრივია, ამ მოკლე ნაშრომში ჩვენ სრულად ვერ შევვეხეთ თანამედროვე შემსრულებლო-

ბის ყველა პრობლემასა და ტენდენციას. ხალხური მუსიკის შემსრულებლობის თანამედროვე მდგომარეობაზე, „შესრულება-ქმნადობის“ ცოცხალი პროცესის შენარჩუნების შესაძლებლობაზე, ტრადიციული ფოლკლორული ნიმუშებისა და „ფოლკლორიზმის“ თანამედროვე გამოვლინებების ერთმანეთისაგან ტიპოლოგიურ გამიჯვნაზე, თანამედროვე ქართველი „ჰომოპოლიფონიკურის“ აზროვნებასა და წარმოსახვაში მიმდინარე პერმანენტულ პროცესებზე დაკვირვება და მსჯელობა კვლავაც გაგრძელდება.

# ტ

## ქართლური ნამგლური

Ex. 1

I coro  
გლე - საგ და გლე - საგ, ნა - მგლური, ნა - მგლური, ჩე - მე, რე - ნა,  
რე - ნა, რე - ნა,

II coro

Ex. 2

Ex. 3

I.  
II.

I coro  
გა - ნა - ხლე - მელური, ჩე - მო ა - ჭა - რა  
II coro  
გა - ნა - ხლე - მელური, ჩე - მო ა - ჭა - რა

Ex. 4

I.  
II.

I coro  
შა - ტო - ლის მით - ბი - ლან, თუ - შე - თში ნა - გა, გვან, კლე - გა - პჩე მილინა - ვი, სა - ლა - რა, ცე - მი - თა.  
II coro  
შა - ტო - ლის მით - ბი - ლან, თუ - შე - თში ნა - გა, გვან, კლე - გა - პჩე მილინა - ვი, სა - ლა - რა, ცე - მი - თა.

Ex. 5

ტრადიციული არატრადიციული ტრადიციული ქრისტიანული

საკადანსო ფორმები ქრისტიანული და დიატონური ფანდურებისთვის  
Ex. 6 ქრომატიკული ფანდური დიატონური ფანდურებისთვის

ქრომატიკული ფანდური დიატონური ფანდური

6

ნანადელო

(სისონა დარჩია)

Ex. 7

The musical score for "ნანადელო" (Nana Delo) is presented in five staves. The vocal line (soprano) and piano accompaniment are the primary components. The lyrics, written in Georgian, are as follows:

ო - რი ოვ - დე - ლი - ა დე-ლო და  
ნა - ნა დე - ლო - ო, ოვ დე-ლო და

ო - რე-რა - ო რი - რა ო-რე-რა,  
ო - რე-რა - ო, ო - რი-რა - ო ო-რე-რა, და.

ჩე-ნი სი-სო-ნა და - რი-რა და  
ა - ბა დე-ლო ო - ვ დე-ლო და,  
ო - რე-რა - ო რი-რა ო-რე-რა,

ო - რე-რა - ო რი-რა - ო რე-რა,  
და.  
ჩე-ნი სი-სო-ნა და - რი-რა და,  
ნა - ნა დე-ლო - ო, ოვ - დე-ლო და

ვა - ი ვ - რი ო - ვო დე-ლა და,  
ო - რე-რა - ო რი-რა - ო ო-რე-რა,  
და,  
სი-კე-ფო-ლს და სი-ცო-ცხლე ა-რი-ა და,  
ა - ბა დე-ლო ო, ოვ - დე-ლო და, ო.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარაფანიძე ე. „ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებლობა“. თბ., 2007
2. ზუმბაძე ნ. „ქართული სიმღერის მრავალხმო-ანობა და მისი დამატებითი არგუმენტები“. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის IV სიმპოზიუმის მასალები, თბ., თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 2008.
3. ვალიშვილი ნ., ქართული ტრადიციული მრა-ვალხმიანობა და ხალხური მუსიკის შემსრუ-ლებლობის პრობლემები თანამედროვე საქარ-თველოში. კრებულში: ტრადიციული მრავალ-ხმიანობის IV სიმპოზიუმის მასალები. თბ., 2008
4. შუდლიაშვილი დ. „არატიპური ელემენტები ქართულ ხალხურ სიმღერაში“. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის IV სიმპოზი-უმის მასალები, თბ., თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. 2008
5. წურწუმია რ. „ქართული ხალხური სიმღერა დღეს – ცოცხალი პროცესი თუ სამუზეუმო ექსპონატი? (ცოციოლოგიური ანალიზის ცდა)“. კრებულში: მუსიკისმცოდნეობის სა-კიონსები. თბილისის სახელმწიფო კონსერვა-

ტორიის სამეცნიერო შრომების კრებული. (გვ. 3-17). თბ., 1997

6. წურწუმია რ. „ქართული მრავალხმიანობა თანამედროვე სოციო-კულტურულ კონტექსტში. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის IV სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2008
7. Zemtsovsky, Izaly I. (2003). “*Polyphony as a Way of Creating and Thinking. The Musical Identity of Homopoliphonius*” // The First International Symposium on Traditional Polyphony. Proceedings. P. 45-53. Tbilisi: International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire

### აუდიო მაგალითები

1. „ნანადეღო“. მოქმედი ბახო ხიჭაპაძე. იმერეთი. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის მასალები (2005-06 წლების დათვალიერება-ფესტივალი) 1'32”
2. „ნანა“. მოქმედი ვარლამ ნინიძე. გურია. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის (ქმშლ) არქივის მასალები.
3. „დიდება“. მოქმედი თამარ გიგაური. ხევი. „ხმები წარსულიდან“ – ქართული ხალხური

მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

4. ლეჩეუმის ექსპედიცია, გურამ გვიშიანი. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის 2015 წლისექსპედიცია რაჭა-ლეჩეუმში (ნანა ვალიშვილი, თეონა რუხაძე).
5. ქამანჩა. ბიჭიკო ხოროშვილი. ზემო ჯოჭო. აჭარა. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის მასალები (2005-06 წლების დათვალიერება-ფესტივალი).
6. საზი. შოთა იაკობიძე. აბუქედა. აჭარა. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის მასალები (2005-06 წლების დათვალიერება-ფესტივალი)
7. „აჭარული“, ფანდურის თანხლებით. სოფო ჟღენტი. ბადდათი. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის მასალები (2005-06 წლების დათვალიერება-ფესტივალი).
6. ბალალაიკა. გელა დაიაური. გარდაბანი. ქართლი. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის მასალები (2005-06 წლების დათვალიერება-ფესტივალი).

8. „სიმღერა აჭარაზე“. ქედის ფოლკლორული ანსამბლი „საუნჯე“. აჭარა. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის მასალები (2005-06 წლების დათვალიერება-ფესტივალი).

*Nana Valishvili (Georgia)*

### **Evolutionary Processes of Folklore Performance and Modern Georgian “Homo-Poliphonicus”**

Performance of folk music is an irreversible process, in which evolutionary changes are most clearly reflected. Throughout centuries, creative principles and regularities of musical thinking, as well as genres, traditional styles of polyphony have been constantly evolved in people's life. Part of them has changed considerably through different social-historical periods, whereas the essential part has invariably passed on from generation to generation.

In times of globalization, the preservation of immanent nature of folklore has become crucially important. In Georgia, this, first of all, refers to the phenomenon of polyphonic thinking, which still remains an inherent feature of Georgian folk music. But the



question is how strong is the connection between the modern “Homo-Poliphonicus” and the principles of traditional polyphonic thinking and how real is the danger of breaking up this connection? Is the thinking (creating) and performing process still alive and to what extent is it based on traditions?

In this article we tried to sum up recently conducted folklore festivals as well as our practical experience from expeditions and demonstrate some aspects of transformation of Georgian musical thinking together with general principles of modern performance (repertoire, performance forms, improvisation techniques, instrumental accompaniment). We also outlined prospects for future research. Permanent processes related to the contemporary “Homo-Poliphonicus” will be further discussed.

## ნინო ქალანდაძე-მახარაძე (საქართველო)

**შემსრულებლობის ისტორიის ფურცლები:  
ძართული „ნანა“ სცენაზე**

ქალთა ფოლკლორის ცენტრალურმა ჟანრმა – ბავშვის დასაძინებელმა „ნანამ“ – საქართველოში რამდენიმე სტრუქტურული სახესხვაობით მოაღწია (ამის შესახებ ვრცლად იხ. ავტორის სადისერტაციო ნაშრომი, 2009). „სიმღერამდელი პერიოდის“ შელოცვის ტიპის ან მღერად-მელოსური ტრადიციული ერთხმიანი ნიმუშების გვერდით, ზოგიერთ ეთნოგრაფიულ რეგიონში (ძირითადად, ბარში) გვხვდება მრავალხმიანი ლირიკული „აკვნის სიმღერა“. ის ყოფაში ორ-სამხმად, სასცენო შემსრულებლობაში უმეტესად სამხმიანად, ბოლო პერიოდის ქალაქურ შემსრულებლობაში კი უკვე გაოთხხმიანებული ვარიანტითაც (მხედველობაში მაქვს ანსამბლ „ფესვების“ და „ქართული ხმების“ მიერ შესრულებული სვანური „ნანაილა“) არის წარმოდგენილი. ცალკე ჯგუფს ქმნის საკრავებით – ფანდურით, ჩონგურით, ჭუნირითა და ჩანგით თანხლებული ცალფა და მრავალხმიანი ნიმუშები (მაგალითად, იხ. „მთიების“, „მზეთამზეს“, „შავნაბადას“ „ზედა-

შეს“ ჩანაწერები). მრავლად გვაქვს ქალთა, მამაკაცთა, შერეულად და ბავშვთა მიერ შესრულებული მაგალითები. აღსანიშნავია, რომ მამაკაცები სცენაზე მხოლოდ მრავალხმიან ნიმუშებს ასრულებენ, თუმცა ყველა მათგანს ბავშვობიდან ახსოვს დედის მიერ დამდერებული „ნანა“. ამის დამადასტურებლად გავიხსენებდი ათანასე გეგმლიასგან (წურწუმია, ციგლერი, 2014) ან პოლიკარპე ხუბულავასგან ჩაწერილ ვარიანტებს (კალანდაძე-მახარაძე, 2015).

ცალკე მსჯელობის საგანია „ნანას“ სცენაზე შესრულების ახალი ეტაპი, რომელიც ცნობილი ანსამბლის – „მზეთამზეს“ სახელს უკავშირდება (Mzetamze, 1996: №№ 2, 12, 18, 23, 27, 31; 2000: საკონცერტო ჩანაწერები). გასული საუკუნის 80-იანი წწ. საშემსრულებლო პრინციპებზე (გარაფანიძე, 2007:1) დაყრდნობით, მან პირველმა გააცოცხლა საქართველოს სხვადასხვა კუთხის (მათ შორის მთის კუთხეების) ერთხმიანი ნიმუშები. „მზეთამზეს“ კვალდაკვალ ერთხმიან „ნანებს“ პოპულრების (ხშირად, გამრავალხმიანებული ვარიანტების) და უკვე თეატრალიზებული კომპოზიციების სახითაც კი გვთავაზობენ „ნანინა“, „სათანაო“, „ინანა“, „აიდიო“, „ბოლნელა“, „იალონი“, ბავშვთა ანსამბლები „კოკოროჭინა“,

„ამერ-იმერი“, „ერულა“ და სხვ. ამგვარ ცდებს განსკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და უანრის, ასაკის, რეგიონის კანონზომიერების ცოდნით, მსმენელისა თუ სცენის თავისებურებების გათვალისწინებით მივუდგეთ (უცნაურია, რომ უკანასკნელ ხანს ბავშვთა დაცვისა და ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს რამდენჯერმე მოუვიდათ აზრად „ნანას“ საღამოების თუ კონცერტების მოწყობა). სცენაზე „ნანას“ შესრულების უახლეს ფაქტებზე საუბარს ამჯერად არ ვაპირებ.

წინამდებარე მოხსენების მიზანი აღნიშნული უანრის საკონცერტო შესრულების ისტორიის მიმოხილვა და XIX-XX სს. დაფიქსირებული მრავალხმიანი ვარიანტების განხილვაა, რისთვისაც შედარებითი, სისტემური და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზის მეთოდებს მივმართავ. ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, პერიოდიკას, საკონცერტო პროგრამებსა და აფიშებს, სანოტო კრებულებს, აუდიოჩანაწერებსა და ვიდეომასალასაც მოიცავს.

სასცენო-საკონცერტო პრაქტიკაში „ნანა“ მამაკაცების მრავალხმიანი ლირიკული კომპოზიციის სახით ჩნდება. სამწუხაროდ, ხელო არ

მაქვს ჩიტო ციციშვილის ოჯახის მიერ გორში 1989 წ. გამართული კონცერტის პროგრამა (ივერია, 17.02). საინტერესო ფაქტია, რომ ლადო აღნიაშვილის „ქართულ ხოროს“ ჰყოლია ქალთა ჯგუფი, რომელსაც მხოლოდ ერთ კონცერტში მიუღია მონაწილეობა და მერე დაშლილა (მათი რეპერტუარის ამსახველ მასალას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიე). „ნანა“ (კახური) და „ნანინა“ (მეგრული) სხვა სიმღერებთან ერთად შეტანილია „რატილის ხოროს“ 1894 და 1895 წწ. საკონცერტო პროგრამებში (ლეკიშვილი, 1961: 50, 57-58). დაგვირგება ცხადყოფს, რომ „ნანა“ – ქალთა ტრადიციული რეპერტუარის ყველაზე სახასიათო და უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ერთ-ერთი პირველი ჟანრია, რომელიც მამაკაცებმა საკონცერტო ესტრადაზე გამოიტანეს. სავარაუდოდ, სწორედ აღნიაშვილისა და რატილის გუნდების რეპერტუარიდან აღებული მრავალხმიანი „აკვნის სიმღერები“ მოხვდა პირველ სანოტო კრებულებში. ზაქარია ჩხიოგაძის მიერ სასწავლო მიზნით შედგნილ კრებულში შეტანილია ორი სამხმიანი მაგალითი. მათი სიტყვიერი ტექსტები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცნობილ პოეტურ ქმნილებებს ეფუძნება (ზხიოგაძე, 1896 : №№ 3, 15). ურნალ „ნობათის“ 1884 წ. № 1-ში მივაკვლიე

რომანოზ ძამსაშვილისაგან ნოტებზე გადაღვა-  
ბულ სამხმიან „ნანას“ ილია ჭავჭავაძის ტექ-  
სტზე (ძამსაშვილი, 1884: 16), რომელიც ქრონი-  
ლოგიურად წინ უსწრებს პირველ სანოტო კრე-  
ბულებში დაბეჭდილ მაგალითებს.

აშკარაა, რომ იმ პერიოდში „ნანას“ პოპუ-  
ლარობას ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავი-  
სუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც ქართველი  
დედის მიერ აკვინდანვე სამშობლოსათვის თავ-  
განწირული გმირის აღზრდის იდეა წინა პლანზე  
წამოსწია. აღსანიშნავია, რომ მრავალ ხმიანი,  
ლირიკული „ნანას“ ზოგიერთი ვარიანტის სიტ-  
ყვიერ ტექსტებში დასამინებელ სტრიქონებს პატ-  
რიოტულ მოტივთან ერთად, აკვანში პირველად  
ჩაწვენის რიტუალისათვის ნიშანდობლივი სიტ-  
ყვიერი ტექსტი ან სოციალური თემატიკა ენაც-  
ვლება. აქევ აღვნიშნავ, რომ მამაკაცთა ანსამ-  
ბლების საკონცერტო პროგრამებში ქალთა რე-  
პერტუარის სხვა ნიმუშები – მაგ. სამკურნალო  
„ბატონები“, ცოტა მოგვიანებით გამოჩნდა.

გასული საუკუნის 30-40-იან წლებში სახელ-  
მწიფო თუ რეგიონული ანსამბლების რეპერტუ-  
არში ქართლ-კახური და მეგრული ნიმუშების  
გვერდით, გურულ და იმერულ ნიმუშებსაც ვხე-  
დავთ. ევროპული საგუნდო ტრადიციებიდან ათ-

ვისებული აკადემიური სტილი, საკონცერტო შესრულებისათვის დამახასიათებელი დეტალები – დინამიკური და აგოგიკური ნიუანსების დაფიქ-სირება (პიანისიმო, კრემბენდო, დიმინუენდო, რი-ტენუტო, მოკუმული პირით მდერა) ნათლად ჩანს ცნობილი მომღერლებისა და ლოტბარების ვანო მჭედლიშვილისა და მარო თარხნიშვილისეულ შესრულებაში, გრ. კოკელაძის მიერ ნინო ტოგო-ნიძისაგან და მომღერალთა ჯგუფისაგან ჩაწე-რილ ნიმუშში, ან მეგრელების ცნობილი ტრიო-საგან (პორფილე გაბელია, რემა შელეგია, ბიქ-ტორ აბშილავა) ჩაწერილ ვარიანტში (კალანდა-ძე-მახარაძე-შემდგ. 2000, №№44, 49, 66). ბანის აქ-ტიური სვლები და ცალკე წარმოსათქმელი სიტ-ყვიერი ტექსტი, შეა ხმის მოგვიანებით შესვლა მელოდიური ხაზების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაზე, მასალის განვითარების უფრო მა-დალ დონეზე მიგვანიშნებს. ჩნდება უანრისათვის უცხო – ტრიოსა და გუნდის მონაცვლეობაზე აგებული მაგალითები. სამეგრელოში ტრიოსა და გუნდის მონაცვეთებში მუსიკალური თვალსაზრი-სით სხვაობა მინიმალურია და ეს ხერხი მომღე-რალთა რაოდენობით ჟღერადობის ელფერის შე-საცვლელ ხერხად წარმოგვიდგება. ცხადია, შეს-რულების ასეთი ფორმა დასავლეთ საქართვე-

ლოსთვისაა დამახასიათებელი, სამეგრელოსგან განსხვავებით, გურულ ვარიანტებში დაპირისპირების ამგვარ ეფექტს ტრიოსა და გუნდის ინტონაციური მასალის განსხვავებულობაც ემატება.

მრავალხმიანი, ლირიკული „ნანინას“ საკონცერტო ესტრადაზე, საბჭოურ ოლიმპიადებსა და დათვალიერებებზე, გრამფირფიტებით თუ რადიოეთერით ხშირმა შესრულებამ ხელი შეუწყომის პოპულარიზაციას. მაგრამ, მეორე მხრივ, უარყოფითი როლიც შეასრულა და სხვადასხვა ანსამბლის რეპერტუარში, თუ საოჯახო ანსამბლში აკვინის სიმღერის ერთი, პოპულარული ვარიანტი დაამკვიდრა. ეს მსგავსება ნათლადაა ასახული სანოტო ჩანაწერებშიც: გურიაში კოტეფოცხვერაშვილის, გრიგოლ ჩხილების, ანზორ ერქომაიშვილის, ნანა ვალიშვილის და იმერეთში ედუარდ სავიცკის მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი სამხმიანი ნიმუშები ძალიან გავს ერთმანეთს. ჩემი აზრით, ისინი ხალხურ საფუძველზე შექმნილი, შემდეგ კი კონცერტებითა და მედიის საშუალებით ხალხში გავრცელებული ერთი სიმღერის განსხვავებული ინტერპრეტირებაა. „გურული ნანას“ მეგრელიძისეული ვარიანტის გავრცელებას ხელი შეუწყომ სიკო დოლიძის კინოილმ „დარიკოში“ (1936 წ.) მისმა გამოყენებამ.

„გურული ნანას“ სახელწოდებით შემორჩენილ ერთ-ერთ ნიმუშს ხალხური ავქსენტი მეგრელიძის ხელი ატყვია დედისაგან – მელინკი ბოლქვაძისაგან მოსმენილი „ნანა“ მას მეჩონგურე ქალთა ანსამბლისათვის გადაუმუშავებია (მოისწრაფიშვილი, 2005: 274). ა კილოს ტერციული ბგერიდან აღმავალი მოძრაობა და კვინტის დიაპაზონი ცხადყოფს კავშირს საკულტო რიტუალურ საგალობელთან. თუმცა, ტრადიციული შემსრულებლობისათვის უჩვეულო ფაქტი – რამდენიმე ჩონგურის ერთად გამოყენება, სოლისტისა და ლუეტის მონაცემეობა საჩონგურო თანხლების ფონზე, ბანის პარტიის მოკულები პირით შესრულება, კუპლეტებს შორის რეჩიტაციული ფრაზების ჩართვა, ზედა ხმების უნისონური სვლებით მიღებული კადანსები, ააშკარავებს აკადემიური საგუნდო კოლექტივის სასცენო გამოსვლისათვის საგანგებოდ შექმნილი ნომრის ხელოვნურობას (მეგრელიძე, 1986: №1). აკადემიურად, სტატიურად შესრულებულ ნიმუშს არქაული სემანტიკის ცალკეული ელემენტების (შეძანლები – „სისო, ნენა! ეცი მურია! არ მოხვიდე, ტურა!“) გამოყენება აახლოვებს ბუნებრივ გარე-მოსთან.

გურიაში მრავალხმიანი „აკვნის სიმღერის“ ერთ-ერთ სახელწოდებად „ილიას ნანა“ ფიქსირდება. მასში ვერბალურ მასალად გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის ცნობილი ტექსტი. ეს ნიმუშიც ავქსენტი მეგრელიძის მიერაა დამუშავებული გასული საუკუნის 40-იან წლებში სუფსაში მცხოვრები ილიკო გუჯაბიძის მიერ დამდერებული დასაძინებელი „ნანას“ საფუძველზე, მაგრამ გაცილებით ახლოს დგას ხალხურ მუსიკალურ აზროვნებასთან, კიდრე ამავე ლოტბარის მიერ დამუშავებული, ზემოთ განხილული „გურული ნანა“. სამხმიან გუნდში მოცემული ტრადიციული აკორდიკით, ჩონგურის დახვეწილი, ტექნიკურად რთული, რაფინირებული თანხლებით იგი პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშად გვევლინება. სიმღერას განსაკუთრებულ ფორმას ანიჭებს ყოველი ორი სტროფის შემდეგ ჩართული მისამღერი (მოისწრაფიშვილი, 2005: 18). იგივე ნიმუში 1953 წ. გრიგოლ კოკელაძეს საჩონგურო თანხლების გარეშე შერეული ტრიოს (მანანა აბშილავა, ამირან ბერაძე, ალექსანდრე ანანიძე) და გუნდის შესრულებით მოუსმენია (კოკელაძე, 1981: №5).

განცალკევებით დგას საქართველოს სახალხო არტისტის, ანსამბლ „იადონის“ ხელმძღვანე-

ლის გიორგი სალუქვაძისაგან (1919–1990) 1988 წ.  
ჩაწერილი „იავნანა“ (ჩამწერი ნანა ვალიშვილი).  
ეს მაგალითი შედარებით ვრცელი, 8-ტაქტიანი  
საჩონგურო შესავალით იწყება (ჩონგური III f-g-  
c-d წყობაშია). სამწილადობა რბილი სინკოპით  
საფერხულო წყობასთან კავშირით არის განპი-  
რობებული: საკრავის პარტიაში წარმოდგენილია  
გურული საძეობო ფერხულის – „მზე შინა და  
მზე გარეთას“ – გადამუშავებული მოტივი. ყუ-  
რადღებას იქცევს ჩონგურისა და მომდერლების  
პარტიების ვერტიკალში შექმნილი პოლიაკორ-  
დული შეხამებები, პოლიპარმონიული საკადანსო  
ბრუნვები (კალანდაძე-მახარაძე-შემდგ. 2000,  
№58).

ჩვენ ხელო არსებული გურული მრავალხმი-  
ანი „ნანას“ უმეტესობა, აგრეთვე, ზოგიერთი მეგ-  
რული და აფხაზური ნიმუშიც, მაგალითად: „ვე-  
ენგარა, ნანა, სქუა“ – „დიდოუ, ნანა“ (მოისწრა-  
ფიშვილი, 2005: 183) და „მჟავაჯირული ნანა“  
(ახობაძე, 1957:51) ჩონგურის თანხლებით სრულ-  
დება. ამ უკანასკნელის ავტორად ივანე ლაკერ-  
ბაი მოიხსენიება (ტექსტის ავტორია ბაგრატ შინ-  
კუბა). მისი ვრცელი საგუნდო შესავალი და კო-  
და ინტონაციურად მეგრულ მრავალხმიან „ვეენ-

გარა, ნანა სქეას“ გავს, რომლის შექმნასაც გამოჩენილ ლოტბარს – კიწი გეგმჭკორს მიაწერენ. აფხაზეთის საგუნდო კოლექტივებში მისი მოღვაწეობა ცნობილი ფაქტია (კალანდაძე და კვიუინაძე, 2011:55).

„ნანინას“ შესრულების მანერაზე ზუსტ მინიშნებას საჩონგურო სიმღერების დასაღილინებლებად მოხსენიება წარმოადგენს (ერქომაიშვილი, 2005:13). საერთოდ, მამაკაცთა ტრადიციული აუთენტიკური საშემსრულებლო პრაქტიკისათვის დამახასიათებელი დაძაბული, დია, სავსე ხმით მდერა მრავალხმიან ლირიკულ ნიმუშებში საგანგებოდ განაზებული არტიკულაციით (შესაძლოა ქალების მიბაძვით), რბილი, „დამტკბარი“ მანერითაა შეცვლილი, რაც უდავოდ „ნანას“ ჟანრული სპეციფიკით (დედის განცდები, ბავშვური სამყარო) და ლირიკული განწყობით არის განპირობებული.

მრავალხმიანი „ნანინას“ გურული ვარიანტების რიგს მეტად ორიგინალური ნიმუში შემატა ანსამბლმა „გეორგიკამ“ (Georgika, 1996, №10) . საგალობლის სტილისტიკით აღბეჭდილი გართულებული ხმათასვლა, ლინეარული განვითარებით მიღებული რთული აკორდები ტრადიციულ ჩარჩოებში მამაკაცთა იმპროვიზაციული შესაძ-

ლებლობების ნათელი დადასტურებაა. გურული „ნანას“ ანსამბლ „გეორგიკასეული“ ვარიანტის ფაქტურულ თავისებურებებში მელოდიის გამრავალფეროვნების, ბანის გართულების, რიტმული იმპროგიზაციის ხერხებში ტრიოს (დაგით შანიძე, არჩილ და მალხაზ უშვერიძეები) საშემსრულებლო ოსტატობის მაღალი დონე ჩანს. ცხადია, ასეთ სირთულეებს ქალების მიერ შესრულებული მრავალხმიანი „ნანას“ მაგალითებში არ ვხვდებით.

მრავალხმიანი ლირიკული „აქვნის სიმღერის“ უმეტესი ნაწილი მუსიკალური ენის სისადაგით, სტრუქტურული ლაკონურობით, ხმათას-ვლის მარტივი ფორმებით გამოირჩევა. ტემპი ნელი, ზომიერი, თავშეკავებულია. წამყვანი ჰომოფონიურ-პარმონიული წყობაა. არ ახასიათებს პოლიტექსტურობა, ანუ სიტყვებს ყველა ხმა ერთდროულად წარმოთქვამს. კახური ნიმუშების გარდა, არ გვხვდება ფართო შიდამარცვლოვანი გამღერებანი. ხშირად სასიმღერო ხაზთან ერთად წარმოდგენილია საკრავი (ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, ჩანგი). თანხლების როლი არსებითად განისაზღვრება მელოდიური ხაზის ან ფაქტურის აკორდულ-პარმონიული განმტკიცებით. ზოგჯერ საკრავის პარტიაში ძირითადი მელოდიური ხა-

ზის ზუსტი გაორმაგება, ან მცირედი სახეცვლილებაა. ინტონაციური მასალა ერთი კილოს ფარგლებში იშლება. მოდულაციური გეგმა მარტივია (მოიცავს ორ კილოს). ბანი პარმონიული ფუნქციის როლს ასრულებს. უცხოა რიტმული თავისუფლება. სადა, გამოკვეთილი რიტმი ბატონობს. ხშირია კადანსები კვინტაში. წამყვანი მდორე, უნახტომო სვლებზე დაფუძნებული მდერადი კანტილენური საწყისია. ერთპირულ შესრულებასთან ერთად გვხვდება რესპონსორული მდერა – სოლისტისა და გუნდის, ტრიოსა და გუნდის მონაცვლეობის სახით. სიმღერების ფორმა კუპლებურია. მარტივი აღნაგობის მიუხედავად, ეს ნომუშები ღრმად ემოციური და სტრუქტურულად გამართულია. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩაწერილი მრავალხმიანი „აკვნის სიმღერა“ თითოეული კუთხისათვის დამახსასიათებელ მრავალხმიანობის ტიპსა და კომპოზიციურ პრინციპს ემყარება. აშკარად იგრძნობა „ნანას“ მრავალხმიანი ნიმუშების დამოკიდებულება რეგიონის „ჟანრულ-სტილურ დომინანტზე“.

მრავალხმიანი „ნანინა“ ლირიკული სიმღერის ორიგინალურ მაგალითს წარმოადგენს, რომელიც მშვენიერ კონტრასტს უქმნის მამაკაცთა რეპერტუარის სხვა სიმღერებს (შრომის, მგზავ-

რულ-ლაშქრულ-მაყრულ, საფერხულო-საცეკვაო  
და ა. შ. ნიმუშებს).

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარაფანიძე ე., ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა. თბ., 2007.
2. ერქომაიშვილი ა. (შემდგ.), არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებული.თბ., 2005.
3. კალანდაძე-მახარაძე ნ. (შემდგ.), აკვნის ნანა. სანოტო კრებული. თბ., 2000.
4. კალანდაძე ნ. და კვიჭინაძე მ., ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში.თბ., 2011.
5. კალანდაძე-მახარაძე ნ., ქართული ხალხური სიმღერის მოამაგენი – პოლიკარპე ხუბულავა. თბ., 2015.
6. კოპელაძე გრ. (შემდგ.), 21 ქართული ხალხური სიმღერა მოხწავლეთათვის.თბ., 1988.
7. ლეკიშვილი ს., იოზევ რატილი საქართველო-ში.თბ., 1961.
8. მახარაძე ნ., ქართული „ნანა“: უანრის, სემანტიკისა და არტიკულაციის საკითხები (დისერტაცია).2009.

9. მოსწრაფიშვილი ნ. (შემდგ.), ქართული ხალ-ხური მუსიკა ავქსენტი მეგრელიძის არქივი-დან.თბ., 2005.
10. მეგრელიძე ა., უნიკალური ჩანაწერები: M30-46285-6, 1986.
11. ჩხილაძე ზ. (შემდგ.), სალამური. თბ., 1896.
12. წურწუმია რ. და ციგლერ ს. (რედ.), ექმ წარ-სულიდან: ქართველ ტყვეოთა სიმღერები, ჩაწე-რილი ცვილის ლილვაკებზე გერმანიაში 1916-1918.2014.
13. Абхазские песни (сост. Ахобадзе В. и Кортуа А. 1956.
14. Ensemble Georgika. v. III, FM 50015, 1996.
15. Ensemble Mzetamze. vol. I. FM5016. 1996.
16. Ensemble Mzetamze. vol. II. FM50030, 2000.
17. [http://www.alazani.ge/base/pesvebi/Pesvebi\\_-\\_Svanuri\\_nana.mp3](http://www.alazani.ge/base/pesvebi/Pesvebi_-_Svanuri_nana.mp3)

*Nino Kalandadze-Makharadze (Georgia)*

**From the Performance History – Georgian  
„Nana“ on stage**

The paper aims at studying the history of stage performance of the central genre of female folklore.



“Nana“ has survived till nowadays in several structural varieties.

From the 19<sup>th</sup> century „Nana“ was introduced in various arts as male three-part lyrical example and still continues to exist (nowadays the four-part urban style version of Svan „Nanaila“ is popular). Another group contains single-part and multi-part examples with instrumental accompaniment, which appeared on the stage in female and mixed (together with men) performances in around 1930s-1940s. As for traditional single-part (incantation and singing-melos type) sleeping examples and two-part „Nana“, their stage performance comes from the artistic principles emerged in the performance in the 1980s. Following the female folk ensemble „Mzetamze“, single-part and polyphonized examples of „Nana“ are frequently sung. The tendency of creating potpourris, theatricalized compositions has also become quite common. Such attempts must be regarded with particular attention (with knowledge of genre, region, age peculiarities, listeners’ and stage peculiarity).

*Лариса Лукашенко (Украина, Львов)*

## **К ПРОБЛЕМЕ ИСПОЛНЕНИЯ ВОКАЛЬНОГО АУТЕНТИЧЕСКОГО ФОЛЬКЛОРА УКРАИНЦЕВ**

Украинская традиционная музыкальная народная культура в результате длительной исторической эволюции, а также значительной площади распространения сложилась в чрезвычайно многообразную, разноплановую, многоуровневую систему народного творчества.

Ведь сегодня кроме первичного сельского, так называемого, раннего традиционного творчества, огромную часть устной культуры составляют произведения, возникшие под влиянием разнообразных более поздних культурно-стилевых наслоений – письменной культуры, церковной или же академической композиторской (авторской) музыки. Кроме того, в процессе исторического развития украинского общества возникали новые социальные слои населения: аристократия, интеллигенция, казачество, рабочие и т.п., музыкальный фольклор которых приобретал

---

совершенно другие стилевые черты, хотя и создавался преимущественно на основе сельского творчества<sup>6</sup>.

Однако сегодня самую весомую (хотя и не наибольшую) часть украинского фольклора составляет все же сельская традиционная музыкальная культура, особенно в сфере обрядовой песенности, где таится немало древних, идущих из глубины веков традиций. Об этом свидетельствует хотя бы мелогеографическое исследование обрядовых песенных типов, многие из которых имеют чрезвычайно крупные ареалы распространения, покрывающие не только украинские этнические территории, но и соседние земли.

Впрочем, если мелоритмическая основа объединяет значительные ареалы, то региональные или локальные стилевые проявления, которые прослеживаются прежде всего в ритмическом варьировании, интонационных, ладовых, композиционных, темброво-фонических, фактурных, регистровых и многих других

---

<sup>6</sup> В связи с этим возникает сложная проблема классификации музыкального фольклора, к которой сложились разные подходы: многие не очень удачные, да и наверное невозможно найти универсальный метод, который учитывал бы все бесчисленные проявления народного музыкального творчества. Однако одним из самых приемлемых для этноМузикологии является культуро-жанровый подход С.Людкевича - Б.Луканюка, в котором прежде всего учитывается происхождение произведений (Луканюк .1989-1993).

---

особенностях разделяют эти территории на множество локальных очагов. Таким образом, в предложенном очерке будет сделана попытка описать некоторые исполнительские певческие стили украинской традиционной вокальной музыки, на примере преимущественно сельского репертуара, как такового, что представляет наидревнейшую и самую ценную часть традиционной музыкальной культуры.

Исполнительский стиль, как и песенный репертуар, существует благодаря *высокой степени консервативности народной традиции* и передается от поколения к поколению вместе с самими произведениями. Звучание народной песни какой бы то ни было местности имеет четкие стилевые признаки, его не только певцы-исполнители, но и односельчане-слушатели (люди по какой-либо причине не поющие) легко отличат от аналогичного произведения не только из отдаленной местности, но даже из соседнего села. Носители песенной культуры имеют очень четкое внутреннее ощущение стиля, хотя, чаще всего, словами описать его не могут. Поэтому для хорошего исполнения народной музыки недостаточно знать поэтический текст и мелодию песни, ее нужно представить в том стиле и манере, которые бытуют в той или иной среде. Это есть

---

важнейшим проявлением "модуса мышления среды" (Грица. 2002:18), или "региональной стилистической нормы" (Клименко. 2011:11).

Традиционный исполнительский стиль, в зависимости от жанра произведения, может быть индивидуальным или групповым. Впрочем, совокупность характеристик, что заключаются в индивидуальных стилях, представляет картину группового стиля данной среды. В зависимости от обстоятельств, разными могут быть и манеры исполнения – интимная (для себя, ребенка) или уличная. Может также различаться стилистика мужского и женского исполнительства. Но все эти разновидности пения объединяют региональные нормы звукообразования, начиная от метода извлечения звука, то есть особенностей использования звукового аппарата, способа резонирования, артикуляции, фонетических особенностей вербальной составляющей песни и до мельчайших деталей, которые на первый взгляд даже незаметны, таких как специфика дыхания, микроальтерации в интонировании, мелизматика и т.п. Все эти стилистические различия региональных традиций украинской народной музыки, к сожалению, подробно не изучены.

Исследование стилистики фольклорного исполнительства сегодня интересует преимущественно вторичных исполнителей, фольклористов, которые параллельно с собирательской и исследовательской деятельностью, занимаются еще реставрацией и живым воспроизведением исчезающей аутентической музыкальной традиции. Например, участница фольклорного ансамбля "Божичи" Сусанна Карпенко<sup>7</sup>, побывав во многих экспедициях, отмечает, что чаще всего люди поют "специфическим пением, очень похожим наречь". Поэтому собиратели фольклора иногда не замечают, когда певица начинает интонировать, часто не успевая включить звукозаписывающее устройство.

В традиционном процессе коммуникации нет резкого перехода от речи к пению. Этим фольклорное интонирование отличается от академического, в котором певцу перед исполнением надо настроиться, принять необходимую позу и подготовить тело к правильному формированию звука. Что касается особенностей традиционного звукоизвлечения, то Михаил Хай, изучая фольклорную манеру пения

---

<sup>7</sup> В статье использована видеозапись лекции о народном исполнительстве С.Карпенко, которую она провела весной 2011 года для студентов дирижерско-хорового факультета Киевской национальной музыкальной академии им. П.И. Чайковского

Бойкивщины<sup>8</sup>, систематизирует основные способы звукоизвлечения по категориям анализа академической музыки такими как: план, округленность, тембр, интоационная тенденция. Сравнительный анализ народных певческих планов с академическими выявляет похожие вокальные категории звукообразования: 1) звук народный с незначительной степенью округления, тембрально несколько резковатый, с тенденцией к дистонированию<sup>9</sup>; 2) звук народный со средним уровнем округления, со звонким, ясным тембром, интоационно стойкий, ровный; 3) звук народный, сильно округленный, насколько это возможно в границах народного способа звукоизвлечения, несколько приглушенный по тембру, тусклый, с тенденцией к детонации<sup>10</sup>. Эта классификация приблизительная, так как каждая из перечисленных традиций имеет множество микрозон "прикрытия" и "осветления", темброво-колористических особенностей, характерных для каждого голоса в отдельности (Хай. 2002:76-77). Наиболее естественно народные голоса звучат в средней tessitura (большая и первая октавы). По мере удаленности от среднего диапазона характерность

---

<sup>8</sup> Горный юго-западный регион Украины.

<sup>9</sup> Интоационное повышение звука.

<sup>10</sup> Понижение интонирования.

фольклорного звучания теряется. К тому же максимально широкая амплитуда" прикрытия" и "осветления" возможна только в средней tessитуре. На крайних нотах диапазона эти возможности сужаются. Эти градации аутентического звучания, предложенные М. Хаем, в общем, оправданы, но касаются в основном артикуляции. Но, как известно, в народном пении существует множество других факторов. Заметно влияет на тембр, силу и качество звука фольклорного пения способ резонирования, который тесно связан с описанными выше артикуляционными позициями. Ведь именно благодаря артикуляции исполнители направляют столб воздуха в разные части тела, которые, резонируя, усиливают звук и наполняют его специфической окраской. Усиление звучания голосового аппарата колебанием определенных частей тела или резонирование, необходимое не только для создания громкого звука. Это своего рода магический процесс, ведь когда тело не резонирует, то пение теряет связь с пространством, природой, и поэтому, чем более специфический способ резонирования фольклорного пения, тем сильнее влияние звука на эмоциональное состояние слушателей и самого исполнителя. К примеру можно упомянуть гуцульские мужские "гойкания" к домашним животным, где

используется грудной резонатор и иногда включается горловой, или же экзотическое горловое пение, которое используется во многих магических ритуалах, преимущественно знахарями и мольфарами<sup>11</sup>. Вообще грудное резонирование характерно для мужского исполнения, хотя сам звук для заурядного слушателя часто кажется не очень эстетичным.

Полесская<sup>12</sup> женская манера пения очень часто характеризуется прямым звуком с грудным и горловым резонированием, иногда подключается и головной резонанс. Верно сформированная прямая артикуляция, усиленная грудным и горловым резонированием создают достаточно звонкий, легкий без напряжения звук, которым несложно петь.

С. Карпенко сделала интересное наблюдение по поводу одной стилевой особенности полесских обрядовых напевов, – они, как правило, заканчиваются высоким фальцетным звуком, причем между основной широкой интонацией в средней tessiture и этим йодлем нет перерыва, регистровое изменение голоса происходит в очень коротком промежутке времени. Для "вторичных" исполнителей способность беспрерывного перехода из среднего диапазона к йодлю может

<sup>11</sup> Так в Карпатах называют ведунов или колдунов.

<sup>12</sup> Полесье – северная лесистая часть Украины.

---

---

служить тестом на правильную позицию формирования основного звука.

Несмотря на то, что каждый регион характеризуется отдельным исполнительским стилевым комплексом, сами способы звукоизвлечения региональному дифференцированию не поддаются: очень часто в разных традициях встречаются одинаковые методы звукоизвлечения, часто обусловленные также индивидуальной исполнительской манерой. Это касается орнаментального стиля пения (который, очевидно, является архаичным явлением). Причем мелизматика может быть настолько завуалированной и аккуратной, что сразу и незаметна. Мелизматичный способ пения характерен для Карпатского региона, Закарпатья, реже встречается на Полесье. Звук при этом максимально приближается к артикуляционному аппарату (то есть полости рта), активную функцию играет носовой резонатор, что дает возможность снять напряжение с горла. То есть, при таком звукообразовании активно используются грудной и носовой резонаторы, это хорошо прослушивается при интимной манере пения, например, в колыбельных напевах. На Бойковщине, Гуцульщине и на Закарпатье носовое резонирование ощущается очень ярко. На

Житомирском Полесье<sup>13</sup> певицы тоже очень часто резонируют в нос, но не так сильно. По словам С.Карпенко, на Житомирщине ей пришлось записывать пение одной бабушки, которая пела в яркой мелизматичной манере, которая в пении других исполнительниц этой местности не присутствовала. Поэтому можно вделать вывод, что мелизматика может быть характерной особенностью индивидуального стиля или свидетельствовать о проявлении древних музыкальных наслоений.

Мелизматическая традиция встречается и на Полтавщине<sup>14</sup> – там она сочетается с грудным резонатором и высоким артикуляционным положением неба. Таким способом, как правило, поют выводчицы (женщины с высокими голосами, которые ведут верхний голос в подголосково-полифоническом многоголосье). Они поют в достаточно высоком регистре и при этом производят удивительно легкие и тембрально мягкие звуки. Эта легкость появляется благодаря тому, что напряжение снимается с горла, взамен включается грудной резонатор в сочетании с артикуляцией мягким небом. Такая манера дает возможность брать верхние звуки очень легко и долго

<sup>13</sup> Центральная часть Полесья.

<sup>14</sup> Левобережная часть центра Украины.

их тянуть, а также позволяет длительное время петь и почти не уставать. Подобный способ интонирования встречается преимущественно на левобережной части Украины: Полтавщине, Харьковщине, Сумщине. В то же время, полесские выводчицы (не только на западном Полесье, но и в других регионах (Черниговская область) поют, как правило, открытым горловым звуком, очень похожим на крик и поэтому быстро устают или начинают хрипнуть. В полесском групповом пении выводчица прорезает фактуру, она не пытается с ней слиться, фактически доминирует. Таким является полесский звуковой эталон, эстетика звучания ансамбля. Напротив, на Левобережье совсем другое акустическое ощущение, там выводчицы подают звук так, как будто они дополняют фактуру, сливаясь с ней. Подтверждением этому служит факт, что подстраиваясь под тембр основных голосов они поют совсем в другой манере, чем если бы пели соло. Этот звук легкий, безтембральный, он не имеет горлового насыщения, не превосходит фактуру, а лишь дополняет ее.

Важное значение в процессе формирования звука имеет дыхание. При открытой полесской манере пения исполнители должны иметь большой запас дыхания, и поэтому набирая воздух, они ставят его на

опору низкой диафрагмы. Когда же действует легкая левобережная манера, то складывается впечатление, что певица не выпускает дыхание, а наоборот, набирает его (специфика формирования и подачи звука приближается к академической или сценической народной музыки, так называемой народно-хоровой манере): здесь используется высокая диафрагма.

Несколько слов надо сказать и об особенностях звукообразования в низком регистре. Низкие звуки в силу физиологических причин невозможно петь с большой силой и для того, чтобы они были выразительными используется максимально грудная вибрация (на Полесье могут добавлять немного горлового металлического призыва), тогда звук выходит глубоким и объемным. Для мужского пения также свойственен открытый грудной звук в низком регистре. Хотя в мужском, особенно сольном исполнении, встречается и мелизматический способ пения (Карпатский регион).

Хотелось бы отметить еще одно существенное наблюдение над полесским мужским вокальным стилем: исполнители (особенно в ансамблевом пении) часто искажают звук способом слишком выразительного, подчеркнутого интонирования и использования плоской артикуляции. Такое пение имеет много

---

---

динамических акцентов даже в середине распеваемых слогов, то есть своеобразную выразительную пульсацию (интересно, что такой способ пения демонстрируют и женщины, когда иллюстрируют мужской репертуар.) Это, своего рода ,особенная эстетика, направленная на демонстрацию силы, храбрости, удали.

Пульсацию, хотя часто совсем незаметную, имеет и женское, а также мешаное ансамблевое пение. Этот вопрос на протяжении последних нескольких лет изучал киевский фольклорист Илья Фетисов, неизменный лидер ансамбля "Божичи"(Фетисов 1,2). Несколько лет назад он заметил, что при воссоздании ансамблем "Божичи" народной музыки, возникает проблема или темпового ускорения, или наоборот, звучание "расползается", "разваливается", из-за чего произведение теряет целостность. Исполнители, не чувствуя точной длительности звуков, поют неуверенно. Это, в конечном итоге, существенно влияет на качество музыки. Поэтому он начал тщательно вслушиваться в аутентическое звучание, детально анализировать его, и обнаружил, что в народном пении присутствует незаметная на первый взгляд, но обязательная пульсация, которая часто

---

---

подчеркивается еле заметными колебательными движениями певиц.

Очевидно, что И. Фетисов практическим способом обнаружил проявление основополагающего имманентного свойства аутентической музыки (кстати не только вокальной, но также инструментальной) – часомерности. Это значит, что исполнители чувствуют и воспроизводят музыкальный континуум посредством постоянных по длительности промежутков времени (в свое время теоретические основы часомерной организации народной музыки описал львовский этномузиколог Б.Луканюк (Луканюк, 1989). Человек, слух которого воспитан на акцентно-динамической академической музыке, в большинстве случаев этой природы народной музыки попросту не замечает, не говоря уже о том, что сможет почувствовать и воссоздать. Это возможно только путем длительного накопления слухового опыта, своего рода переориентацией академического слухового восприятия на совершенно другой принцип. Именно таким практическим способом И.Фетисов и певцы из ансамбля "Божичи" начали чувствовать и стараться воссоздать внутреннюю пульсацию традиционного исполнения. В результате звучание «Божичей» почти перестало отличаться от оригинального, а также полностью

исчезла проблема темповой и ритмической неопределенности.

Систему пульсации в традиционной вокальной и инструментальной музыке И.Фетисов условно назвал "импульс-отбой" и ее специфику можно описать примерно следующим образом: один звуковой отрезок времени – толчок, а последующий один или два – как будто его эхо, но по внутренней динамике отбой-эхо сильнее. Именно второй отрезок времени отмечается аутентическими певцами более интенсивным колебательным или же другим движением при исполнении, его подчеркивают ударом бубна в инструментальной традиции и т.п. При воссоздании часомерной пульсации вторичными исполнителями надо осторегаться прямого динамичного усиления звука – тогда музыкальная ткань будет казаться рваной. Звук надо усиливать за счет артикуляционной атаки и потенциальной динамики, которая почти неощутима, но срабатывает, как своеобразный внутренний метроном. Как упражнение на ощущение часовой организации народной музыки И.Фетисов предлагает использовать раскачивание. Причем при быстром покачивании можно почувствовать второй, более сильный промежуток времени, или «отбой», а использование вдвое медленного движения помогает почувствовать пере-

---

---

ход от второго к первому отрезку времени, которые также тесно связаны внутренней логикой временной организации.

В итоге следует выделить основные принципы вокальной исполнительской стилистики украинского аутентического пения. Прежде всего – это артикуляция, которая тесно связана со способом резонирования. Таким образом можно подытожить основные способы звукоизвлечения: звук прямой, открытый, сочетающийся, как правило, с грудным и горловым резонаторами, или же мягкий, приближенный к артикуляционному органу с горловым или носовым резонатором (такая манера часто сочетается с орнаментальным типом интонирования). При многоgłosном исполнении можно выделить два типа пения выводчиц – звук прямой, открытый, доминирующий над основными голосами, опирающийся на низкую диафрагму (характерный для Полесья) и мягкий, легкий светлый, поется при опоре на высокую диафрагму и сливается с основными ансамблевыми голосами (такой способ звукоизвлечения свойственен для левобережных традиций). Для мужского пения свойственна другая эстетика. Низкое звукообразование с грудным резонированием сочетается с чрезмерной пульсацией, часто с фонетическими искажениями

слов, в результате возникают неэстетические, с академического взгляда звуки. Такие явления чаще всего встречаются в песнях специфического мужского репертуара: казацких, рекрутских, и т.п. Для аутентического, особенно ансамблевого пения, характерна часомерная пульсация, которая почти не чувствуется, но является основополагающим свойством, ощущение и воссоздание которого является чрезвычайно важным и необходимым в процессе вторичного воссоздания народной музыки.

#### **Список использованной литературы:**

1. Грица С. Трансмісія фольклорної традиції: Етномузикологічні розвідки / С. Грица. – Київ-Тернопіль: Астон, 2002.
2. Клименко І. Вектори генеральних ритмотворчих алгоритмів українсько-білоруського ранньотрадиційного меломасиву / І. Клименко // Проблеми етномузикології : Зб. наук. ст. з геогр. атласом: Вип. 6 / Руд.-упор. І. Клименко; НМАУ ім. П.І. Чайковського; ПНДЛ по вивченню і пропаганді нар. Муз. творчості. – Київ, 2011. – (Слов'янська мело географія : Кн. 2). Ч. 1 – Студії. – С. 10-33.

- 
- 
3. Луканюк Б. Диференціальний принцип тактування / Б. Луканюк // Актуальні питання методики фіксації та транскрипції творів народної музики : Зб. наук. праць. – Київ, 1989. – С.59-86.
  4. Луканюк Б. Культуро-жанрова концепція С. Людкевича: До постановки питання / Б. Луканюк // Четверта конференція дослідників народної музики червоноруських (галицько-володимирських) та суміжних земель (Львів, 1–3 квітня 1993 р.) : матеріали. – Львів, 1993.– С. 7–14.
  5. Луканюк Б. Культуро-жанрова концепція С. Людкевича: Допостановки питання (закінчення) / Б. Луканюк // П'ята конференція дослідників народної музики червоноруських (галицько-володимирських) та суміжних земель (Львів, 15–16 грудня 1994 р.) : матеріали. – Львів, 1994. – С. 7–11.
  6. Хай М. Музика Бойківщини /М. Хай. – Київ: Родовід, 2002. – С. 76-77.



## **Интернет-ресурсы:**

1. Фетисов И. Лекция «Вторичное фольклорное исполнительство: иллюзия реальности». Режим доступа на 20.09.2015:  
<https://www.youtube.com/watch?v=YFJzCJ83j1E>
2. Фетисов И. Лекция «Божичи»: Народная музыка как отображение законов строения Вселенной». Режим доступа на 20.09.2015:  
<https://www.youtube.com/watch?v=fuuQsIwyZg0>

*Larisa Lukashenko (Ukraine, Lviv)*

**On the problem of authentic Ukrainian vocal performance**  
Ukrainian traditional folk music has evolved into a diverse multi-layer system.

The most significant (although not the biggest) part of it is the rural culture, particularly ritual songs that reflects ancient traditions.

Any local song culture has a distinguished set of style features that can be identified in rhythmic patterns, as well as tonal, timbre, structural, and others particularities. In this essay selected singing styles in

Ukrainian traditional vocal music are outlined, mainly based on rural repertoire representing of the most ancient and valuable layer of the whole folk culture.

Folk singing style studies are the point of interest of mostly folksong performers and those researchers who combine their research and reconstruction of disappearing ancient folk music traditions. Among them are Mykhaylo Khay, a restorer of the "lira" (hurdy-gurdy) tradition, Susanna Karpenko and Illya Fetysov, members of the "Bozhychi" folk band.

Based on their observations, we can see that the basic feature of Ukrainian authentic singing style is articulation, which in turn depends on specific acoustic resonance technique. In general, singing can be performed using any of typical styles: open and straight voice, or soft and ornamented voice. Ensemble singing performance features two kinds of soloists: the straight dominant solo (typical in Polissya) and light soft solo closely interleaved with the choir (mostly seen in the Dnipro's Left Bank regions). Mail singing is characterized by deep pulsing, low sound, and chest resonance. Ensemble performing features internal pulsing, barely noticeable, although being an important property of singing, essential for reconstructing of folk music.

## შორენა მეტრული (საქართველო)

საუცლო დღესასწაულთა პიმნობრაზიული  
პანონის შესრულების თაგისებრებები ქარ-  
თულ საღვთისმსახურო ტრადიციაში  
(XIX საუკუნიდან დღემდე)

საეკლესიო ღვთისმსახურების უანრულად მრავალფეროვან სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პიმნობრაფიულ კანონს (გალობანს), რომელიც ცხრა გალობისგან (ოდისგან) შედგება. თითოეული გალობა შეიცავს სტროფებს, რომელთაგან პირველი, ძლისპირი წარმოადგენს რიტმულ-მელოდიურ მოდელს დანარჩენი ტროპარებისთვის – დასდებლებისათვის, რომელთა ქართული შესატყვისია გადასათქმელი. გალობის ბოლო ტროპარს კი, რომელიც ყოველთვის ღვთისმშობელს ეძღვნება, ეწოდება ღმრთისმშობლისა.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, ცისკრის ძლისპირთა რაოდენობა არის 500, ხოლო სამწუხარო ძლისპირისა 60. სადღესასწაულო ცისკარზე, სადაც ერთდროულად რამდენიმე კანონი იგალობებოდა, ყოველ მათგანს თავისი ძლისპირი უნდა ჰქონოდა. ამით არის გამოწვეული იოა-

ნება ბატონიშვილის მიერ „გალმასობაში“ მითითებული საცისკრო ძლისპირთა ასეთი დიდი რაოდენობა.

ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ საცისკრო გალობანის შესრულების თავისებურებები საუფლო დღესასწაულთა მაგალითზე XIX-XX საუკუნეების მასალების მიხედვით. საუფლო დღესასწაულების სისტემას საეკლესიო წელიწადის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. „უძველესი იადგარის ნუსხებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ყველაზე ადრე ითარგმნა სწორედ საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კანონები, ხოლო შემდეგ სხვადასხვა წმინდანებისადმი მიძღვნილი გალობანი“ (ყაზარაშვილი, 2013:27).

თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაში საცისკრო კანონი სრულდება კითხვით მედავითნის მიერ. გალობის ხვედრითი წილი საუფლო დღესასწაულების მსახურებაზე შემოიფარგლება მხოლოდ IX ძლისპირის შესრულებით და აღდგომის საღღესასწაულო დამისთევაზე მხოლოდ ძლისპირთა გალობით. ძირითადი მიზეზი, რომელიც ხსნის ამ მოვლენას, არის მსახურების დროის გახანგრძლივება, საგალობელთა სანოტო მასალის არქონა ან მგალობელთა ჯეროვანი მო-

უმზადებლობა. გასათვალისწინებელია სამღვდელოების დამოკიდებულებაც გალობის მიმართ, რადგან ისეთი ციკლური ფორმის გალობით შესრულება, როგორიც ჰიმნოგრაფიული კანონია, საგმაოდ ძნელად აღსაქმელია და უპირატესობა ენიჭება კვლავ კითხვით ფორმას. ეს კი ხელს უშლის თანამედროვე პრაქტიკაში ძველი სამგალობლო ტრადიციების გაცოცხლებას.

თანამედროვე მსახურებისათვის განკუთვნილი სადღესასწაულო თვენის და ზატიკის, ასევე საგალობელთა აღწერილობა – კატალოგის (“ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძის) და წმ. გქვთიძე აღმხარებლის (კერესელიძის) სანოტო ხელნაწერების მიხედვით”) შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხუთი საუფლო დღესასწაულის (პზობა, მირქმა, ხარება, ჯვართამაღლება და ადდგომა) მსახურებაში ჩართულია მხოლოდ ერთი ჰიმნოგრაფიული კანონი. დანარჩენი დღესასწაულები (ამაღლება, სულთმოფენობა, ნათლისდება, ქრისტეშობა, მარიამობა, ღვთისმშობლის შობა, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება) კი წარმოდგენილია კანონთა ორ-ორი ვერსიით. ნათლად იკ-

ვეთება ვერბალური ლიტურგიკული ტექსტების ვერსიათა ნაირგვარობა.

ამ ტექსტების უმრავლესობა ეკუთვნით კოზმა იერუსალიმელსა და იოანე დამასკელს. მათ გვერდით უნდა დაგასახელოთ ასევე იოსები, იოანე არკაიელი, კირ თეოფანე, ანდრია, გიორგი და ვასილი. ამ ავტორთა სახელების შესახებ კონკრეტული მინაწერები მოთავსებულია სადღესასწაულო თვენში.

უკელა საუფლო დღესასწაულის პიმნოგრაფიული კანონი, რომელიც თანამედროვე ღვთისმსახურებაში მოელი წლის მანძილზე აღესრულება, ძლისპირთა და გადასათქმელთა რაოდენობრივი თვალსაზრისით უზარმაზარ მასალას შეადგენს. სადღესასწაულო თვენის მიხედვით, სულ სახეზე 169 ძლისპირი და 555 გადასათქმელი. ქართულ სანოტო ხელნაწერებში კი ამ მასალიდან სანოტო ვერსიების სახით შესულია მხოლოდ 145 ძლისპირი და 322 გადასათქმელი. სულთმოფენობა ერთადერთი დღესასწაულია, რომლის კანონის სანოტო ვერსია ხელნაწერებში არ აღმოჩნდა. ფერიცვალება, ღვთისმშობლის შობა, მიძინება, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება, აღდგომა და ქრისტეშობა წარმოდგენილია კანონის სრული სამგალობლო ვერსიის სახით.

ჯვართამაღლება, მირქმა, ხარება, ბზობა, ამაღლება და ნათლისღება კი მხოლოდ ძლისპირთა სახოტო ვერსიებით შემოიფარგლება. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი დეტალი საღეჭვო საზომთან მიმართებითაც. ტექსტების ძირითადი ნაწილი თავისუფალი საღეჭვო საზომითაა დაწერილი. იოანე არკაიელის სულთმოფენობისადმი მიძღვნილ ჰიმნოგრაფიულ კანონთან კი დასაწყისშივე მითითებულია, რომ ეს არის იამბიკო - „საგალობელნი იამბიკონი“ (ძინძიბაძე, 1999:337).

მნიშვნელოვანი საკითხია 8 ხმის სისტემის მოქმედება. აღმოჩნდა, რომ VI ხმის გარდა, ყველა ხმა გვხვდება საუფლო დღესასწაულთა ჰიმნოგრაფიულ კანონებში. ყველაზე მეტად დომინირებს IV და VIII ხმა. I და II ხმა თანაბარი ინტენსივობით ფიქსირდება. III, V და VII ხმა კი თითო კანონის სახითაა წარმოდგენილი. ის ფაქტი, რომ VI ხმა არ ფიქსირდება საუფლო დღესასწაულთა ჰიმნოგრაფიულ კანონებში, აიხსნება ამ ხმის სემანტიკური ბუნებითვე. ცნობილია, რომ მექქსე ხმა არის გულშემუსვრილებისა და სინანულის გამომხატველი, რაც სადღესასწაულო დვოისმსახურებისგან განსხვავებით უფრო მეტი სისშირითაა წარმოდგენილი დიდმარხვის მსახურებათა საგალობლებში. მაგალითისთვის

უნდა დავასახელოთ ანდრია კრიტელის სინანულის კანონი, რომელიც დიდმარხებაში სრულდება და სწორედ VI ხმითაა წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს დვოისმშობლის ტაძრად მიყვანების საცისკრო კანონთან არსებული მინაწერის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ვასილის. „ეს კანონი რუსულში პირველი ხმისა არის“ (სადღესასწაულო თვენში კი ის VIII ხმაზეა მოცემული. ეს თავისებურება ხაზს უსვამს იმას, რომ ქართული საღვთისმსახურო პრაქტიკა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მუდმივად განიცდიდა რუსული ტრადიციების გავლენასა და პარალელებიც უხვად მოიძებნებოდა, რასაც ადასტურებს ზემოაღნიშნული ინფორმაციული ტიპის მინაწერი.

საგალობელთა აღწერილობის შესწავლამ გამოკვეთა საუფლო დღესასწაულების პიმნოგრაფიული კანონების შემცველი 21 სანოტო ხელნაწერი: Q-666, Q-679, Q-691 (XVI, XIX, XX, XXII, XXIII), H-154 (1,2,3,4,5), Q-669, Q-678 (III), Q-687, Q-683, Q-674, Q-688, Q-681, Q-684, Q-689, Q-690, Q-694, Q-680, Q-668, Q-679, Q-667, Q-692, Q-1475. ისინი დაწერილია სხვადასხვა წელს თბილისში,

ქუთაისსა და ოზურგეთში წმ. ფილიმონ ქორიძისა და წმ. ექვთიმე კერესელიძის მიერ. გალობის გადმომცემნი სხვადასხვა პირები არიან, რაც განაპირობებს საგალობელთა ვერსიების ვარიანტულობასა და ინტონაციურ მრავალფეროვნებას. ხელნაწერები შეიცავენ როგორც სამსმიან, ისე ცალ ხმაზე ჩაწერილ ნიმუშებს. ერთი და იგივე კანონის სხვადასხვაგვარი მუსიკალური ინტერპრეტაცია კი საშუალებას გვაძლევს, პერსპექტივაში მათი ურთიერთშედარებისას გამოვკვეთოთ ჰანგის არქეტიპი და ვარიანტულობის მაჩვენებლები. ერთი სამგალობლო სკოლის ფარგლებში ერთი და იგივე საგალობლის ვარიანტულად განსხვავებული ნიმუშების არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უდიდეს შემოქმედებით თავისუფლებასა და იმპროვიზაციულობას შესრულების პროცესში, ასევე მდიდარ მეხსიერებასა და უნიკალურ ზეპირ ტრადიციას, რომლის მატარებელნიც ძველი ქართველი მგალობლები - მელქისედეკ ნაკაშიძე, სვიმონ მოლარიშვილი, რაჭდენ ხუნდაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, ივლიანე წერეთელი, არისტოვლე ქუთათელაძე, ანტონ და დავით დუმბაძეები - იყვნენ.

სრული ჰიმნოგრაფიული კანონის გალობით შესრულების ტრადიცია ცოცხალი იყო XIX საუ-

კუნის მიწურულამდე, რისი დასტურიცაა ძველი მგალობლებისაგან ზეპირად გადმოცემული და სახოტო სისტემაზე გადატანილი სამგალობლო მასალა. ძველ ტრადიციასთან კავშირში გამოვლინდა ერთი მნიშვნელოვანი ოავისებურებაც, რომელიც ეხება ფერიცვალების დღესასწაულს. ლელა ხაჩიძის გამოკვლევა იოანე მინჩხის პოეზიის შესახებ იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს, რომლის მიხედვითაც, „ფერიცვალებისადმი მიძღვნილია 5 პიმნოგრაფიული კანონი. Sin-56-ის (გიორგი მთაწმინდელის რედაქციის თვენი) მიხედვით პირველი კანონის ავტორია მინჩხი, რასაც ადასტურებს აშიაზე მიწერილი „მინჩხი“. მეორე კანონი უნდა ეკუთვნოდეს მიქაელ მოდრეკილს, მესამე და მეოთხე კანონები სახელწაურერლადაა შესული, ხოლო მეხუთე კანონის გასწვრივ აშიაზე მითითებულია ავტორი „იოანე“ (ხაჩიძე, 1987:51). ეს ცნობა ნამდვილად ადასტურებს, რაოდენ ვრცელი და მრავალფეროვანია ფერიცვალებისადმი მიძღვნილი სამგალობლო მასალა. ადსანიშნავია ისიც, რომ მინჩხის 9-ოდიანი კანონი - ხმა 1. შეიცავს მეორე ოდას „მოხილესა“, რომელიც იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის კანონებში, ჩვეულებრივ, არ გგხვდება. სწორედ X საუკუნიდან იწყება

ქართულ პიმნოგრაფიაში კანონების შევსება მეორე ოდებით. Sin-56-ის გარდა მინჩხის ფერიცვალებისადმი მიძღვნილი კანონი აღმოჩნდა ხელნაწერებში H-2337 (გოლგოთური კრებული - 1049 წ.), Ier-42-სა (თვენის პირველი რედაქცია) და Ier-107-ში (1300 წ.). ამრიგად, მინჩხის ეს კანონი საკმაოდ გავრცელებული ჩანს ძველ ქართულ ტრადიციაში. ამავე პრინციპით, დაგეგმილი მაქვს სხვა საუფლო დღესასწაულებისათვის შექმნილი და გამოუქვეყნებელი პიმნოგრაფიული ტექსტების მოძიება.

მოხსენებაში წარმოდგენილ პრობლემატიკაზე მუშაობისას მნიშვნელოვანი დახმარება გამოიწია ნ. ნანეიშვილისა („ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის მსახურება ქართულ ტრადიციაში“) და ე. ყაზარაშვილის („ქრისტეშობის საცისკრო კანონი და მისი მუსიკალურ-ლიტურგიკული ასპექტები ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში“) მიერ შესრულებულმა შრომებმა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ყველა საუფლო დღესასწაულის სამგალობლო მასალის შემცველი მონაცემთა ფონდი საფუძველს ქმნის შემდგომი კვლევისათვის, რაც აისახება ჩემს მომავალ სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომში. სრული

პიმნოგრაფიული კანონის გალობით შესრულების ტრადიცია ძველი სამგალობლო პრაქტიკის კუთვნილებაა და თანამედროვეობაში ამ მდიდარი რეპერტუარიდან მინიმალური რაოდენობა სრულდება. საღვთისმსახურო პროცესის შემჯიდროება ძირითადად დასდებლების საკითხავ მასალად გადაქცევის ხარჯზე მოხდა როგორც მწუხარის, ისე ცისკრის მსახურებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას ამ საგალობელთა მუსიკალური თავისებურებები და სამომავლო პერსპექტივად დაისახოს მათი დვთისმსახურებაში დაბრუნების საკითხი.

XIX საუკუნის ქართულ სანოტო ხელნაწერებში დაფიქსირებული საუფლო დღესასწაულეთა კანონების ვერსიათა მრავალგვარობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული სამგალობლო ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობას, სიმდიდრეს და ლიტურგიკულ პრაქტიკაში კანონის გალობით შესრულების ტრადიციის აღდგენის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვახარია ვ. შუდლიაშვილი დ. რაზმაძე ნ., “ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღ-

წერილობა და ანბანური კატალოგი წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძის) და წმ. ექვთიმე აღმხარებლის (კერებელიძის) სახოტო ხელნაწერების მიხედვით”, საქართველოს საპატიო-არქოს საექლესიო გალობის ცენტრი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; თბ., 2013.

2. სადღესასწაულო ოვენი, “მთაწმიდა”, თბ., 2001.
3. ყაზარაშვილი ქ., “ქრისტეშობის საცისკრო კანონი და მიხი მუხიკალურ-ლიტურგიული ასპექტები ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში”, სამაგისტრო ნაშრომი. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, თბ., 2013.
4. მინდიბაძე ზ., “ტრიოდიონი - ზატიკი”. 1999.
5. საჩიძე ლ. მეტრეველი ქ., “იოანე მინჩხის პოეზია – ძველი ქართული მწერლობის ძეგლები X”, მეცნიერება, თბი., 1987.



**Shorena Metreveli (Georgia)**

**Performance Peculiaritiesof Great Feasts  
Hymnographic Canons in Georgian Liturgical  
Tradition  
(From the XIX century till nowadays)**

The hymnographic canons (Hymns) have special position in diverse structure of the liturgical services. The goal of the present paper is to demonstrate the matins canons performancepeculiarities on the example of Great Feasts according to the materials of the XIX-XX centuries.

In the contemporary liturgical practice Matins canon is performed by a reader. The main reason explaining shortening of chant portion is extension of services time, also absence of music materials for hymns or lack of proper preparation. That's why nowadays reading is widely preferred. It is a negative factor preventing revival of old chanting traditions in contemporary divine practice.

Comparative analysis of the Festive Ektenia for the contemporary services, Zatiki and sacred hymns description – catalogue (*“Description of the Manuscripts and Alphabet Catalogue of Georgian Sacred Hymns according to the Handwritten Scores of St. Pilimon Chanter (Koridze) and St. Ekvtime Confessor*

(*Kereselidze*)") proves the existence of different versions of hymnographic canons performed during Great Feasts. Taking into consideration the peculiarities of texts it is obvious that the mentioned genre was developing within the Octoechossystem.

There are 21 music manuscripts, which have preserved the hymnographic canons of the Great Feasts. They contain three voiced and one voiced samples passed by the old Georgian singings. Singing performance tradition of complete hymnographic canon was revived in the end of the XIX century. Nowadays, only few chants are performed from the vast repertoire. Diversity of the Great Feasts canons which are fixed in Georgian music manuscripts of the XIX century confirms viability of Georgian chanting tradition. Diversity and abundance of existing materials give the opportunity to conduct further research on the topic.

## ნანა მუგანაძე (საქართველო)

### საშემსრულებლო ფორმების საპითხისათვის სპანშრ სასიმღერო რეასონატურში

ღმერთო, როგორ მალე დაეცა ჩვენი ახალგაზრდობა!

რა დროება მოვიდა და რას მოვესწარით?

აფსუსი არ არის, ჩვენი ძველი მამა-პაპების

სიმღერა მიატოვეს

და რადაც ახალ მოდის უაზრო სიმღერები შემოიღეს..."

[ლაზარე დადუანი 1973:34]

დაახლოებით 150 წლის წინ, ამ სიტყვების ავტორი იმდროინდელ ახალგაზრდობას, მეოცე საუკუნის სვანური სიმღერის ოსტატებისა და მოამაგე გადრანების, ფალიანების, დადვანების, მარგიანების, ფილფანების, ჩამგელიანების, ფირცხელანების, გურგულიანების და სხვათა წინაპრებს უწუნებდა სიმღერას და მამა-პაპური კილოპანგების შერყვნასა და დავიწყებაში ამხელდა. ნაცნობი მოტივია და დღესაც- აქტუალური. ჩვენი თაობა, ვფიქრობ, ამ მოხუცი სვანის დაწუნებულ, დროთა განმავლობაში გადააზრებულ და ტრანსფორმირებულ მემკვიდრეობას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით, თითოეულ ბგერას, მუხლს, მოძრაობას, დეტალს ვაკვირდებით და

მის შენარჩუნებას ვცდილობთ. არადა, ეს შეუქცევადი, ისტორიული განვითარებით განპირობებული პროცესია; მომავალი თაობები ჩვენს ნამდევრს გაიხდიან თაყვანისცემის საგნად და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ სიმღერის კონტექსტი, ასე თუ ისე, იარსებებს. სიმღერა, განსაკუთრებით ზეპირსიტყვიერი ტრადიციის პირობებში, ცოცხალი ორგანიზმია და მგრძნობიარე კორელაციაშია ცვლადი კონტექსტის რხევებთან, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ერთგვარი „მუდმივებიც“ კონკრეტული ტრადიციის ფარგლებში (მაგ.: ვოქაბელები, ბგერათრიგი, აკორდული ფაჭტურა და ა.შ.), რომელთა ალტერაციის ხარისხი ზოგჯერ უმნიშვნელოა.

სვანური სიმღერის, რომელიც დღემდე ცოცხალი ტრადიციის ნაწილს წარმოადგენს, შესწავლა ადასტურებს საშემსრულებლო ფორმების ტრანსფორმაციას კონტექსტის ცვალებადობის პვალდაკვალ, რასაც ჟანრის გადააზრებამდეც მივყავართ.

მოცემულ კვლევაში შევეცდებით ვერბალურ და მუსიკალურ ტექსტებზე, აგრეთვე ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ საშემსრულებლო ფორმების მოდიფიკაციის ნი-

მუშები და გავიაზროთ ცვლილებების კორელაცია კონტექსტთან.

ჟანრული კლასიფიკაციის საფუძვლად ავიდეთ ძირითადად მუსიკალური მახასიათებლები: ინტონაციური (მელოდია, პარმონია) ენა, შესრულების ფორმა (ფერხულით, ცეკვით, ან მის გარეშე) და ცხადია, შესრულების კონტექსტი (სად, როდის და რატომ)<sup>15</sup>. პირველ კატეგორიაში გავაერთიანეთ საწესო-სარიტუალო სიმღერები, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ქვეჯგუფად დავყვავთ. პირველ ჯგუფში გამოვყავით ე.წ. პიმნური სიმღერები, რომლებსაც მუსიკოლოგები მიაკუთვნებენ საგალობლის ტიპის საწესო სიმღერებს, საერთო რიტმულ-ინტონაციური და კომპოზიციური წერძით, სიტყვიერი ტექსტების სიახლოვითა და შესრულების კონტექსტით [არაყიშვილი, 1950:21; ფალიაშვილი 1910:7; ასლანიშვილი, 1954:87; ახობაძე 1957:14; გაბისონია 2012]<sup>16</sup>. მეორე ჯგუფს მივა-

<sup>15</sup> ამგვარიმიდგომაეყრდნობაჟანრისზემცოვსკისეულ (ბაზისურ) ფორმულას (ჰანგი-ტექსტი-ფუნქცია) დანაწილობრივ-მისსოციოლოგიურასკეპტის (შემსრულებელი, შესრულება, შესრულებული) [ზემცოვსკი 1983:61-65], რამდენადაცხვენმიერგანხილულიწყაროებიერთისიმღერისგანსხვავებულვერსიებსწარმოადგენენ.

<sup>16</sup> პიმნური სიმღერების მუსიკალური მახასიათებლებია: „ეშირი კადანსირება, შესრულების მედიდური, საზეიმ,

კუთვნეთ სიმღერები, რომლებიც პიმნურის გარდა, საფერხულო მონაკვეთსაც შეიცავს და ფერხულით, ან ფერხულითა და ცეკვით სრულდება.

პიმნური სიმღერები ორ ქვეკატეგორიად დაყვავით:

1) პომოგენური – სარიტუალო ფუნქციის სიმღერა-საგალობლები. საგალობლის ტიპის და ფერხულით სათქმელი;

2) პეტეროგენური (შედგენილი, პოლიოტური)-სარიტუალო ფუნქციის სიმღერა-საგალობლები, რომელსაც მოსდევს ფერხული და ცეკვა.

აღნიშნული სასიმღერო რეპერტუარის შესწავლამ გამოავლინა, რომ სასიმღერო ფორმების ტრანსფორმირების პროცესი ვითარდებოდა არა მარტივი, პომოგენური ფორმებიდან რთული, პოლიოტური კომპლექსებისაკენ, არამედ პირიქით, პეტეროგენული საშემსრულებლო ფორმები დანაწევრდა და საწესო კონტექსტიდან სხვა, სასცენო-ესთეტიკურ სივრცეში გადაინაცვლა<sup>17</sup>.

<sup>17</sup> დინჯი მანქრა, შენიდბული აქცენტუაციის მეტრი, გამჭოლი დრამატურგიული პრიციპი, შეყოვნებული ქლერადობა" [გაბისონია 2012] და ა.შ.

<sup>17</sup> ცხადია, შეუძლებელია იმის თქმა, რომელი იყო პირველი დრამატურგიული ფორმა. აღნიშნული ვარაუდები ეყრდნობა ჩვენ მიერ განხილულ ნიმუშებს და იმ კონტექსტს, რომელთა აღწე-

პეტეროგენული ჯგუფის სიმღერების კომპოზიციურ კონსტრუქციასა და მუსიკალურ-ვერბალურ ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ ჯგუფის სიმღერები საწესო-სადღეობო სარიტუალო პერფორმანსის განუყოფელი ნაწილია და ერთ კომპლექსს აერთიანებს. ამგვარ სიმღერათა რიგს მიეკუთვნება მაგალითად: დიდებათა, შგარიდა ლაშგარი, მურზა ი ბექზილ, (იხ. სანოტო ნიმუში 1, 2) ლაჟდვაშ დიადებ, რაილი, შეხე აბრამ და სხვ. ყველა მათგანი საწესო-სადღეობო რიტუალების სავალდებულო ნაწილად ითვლება ბევრგან სვანეთში და, ვიტერობთ, თავიდანვე რიტუალური დანიშნულება უნდა პქონოდათ. რთული ფორმის სადიდებელი სიმღერის დიდებათას ორივე ნაწილი (საგალობლის ტიპის შესავალი და ფერხულით სათქმელი მომღევნო) ერთად სრულდება და ამ ერთობას ზოგჯერ სიტყვიერი ტექსტის ერთგვაროვნებაც განამტკიცებს. კომპოზიციურადაც ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლა ორგანულად ხდება კადანსური საქცევისა და საშემსრულებლო ხერხების მეშვეობით. ამგვარი კადანსი ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად

---

რილობაც დღეს ხელმისაწვდომია, ან რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალ ტრადიციას წარმოადგენს.

სწორედ მომდევნო ნაწილის დაწყებას მოასწავებს და გამოცდილ მსმენელს ფერხულის მოლოდინს უქმნის<sup>18</sup>. საგულისხმოა, რომ ეს კადანსური ფორმულა რიტმულ-მელოდიკურ და ვერბალურ ერთობას ქმნის და განუყრელი წყვილის სახით წარმოგვიდგება სხვადასხვა ჰიმნური სიმღერის ნაგებობაში (იხ. სანოტო ნიმუში 3).

მეორე მხრივ, ზოგიერთი სიმღერა, როგორიცაა მაგალითად: ლილე, შაიდა ლილე, ლაგუშება, რიპო, ქალთიდი, იავ ქალთი და ა.შ., მონოთეტური (პომოგენური) ფორმის კომპოზიციებს წარმოადგენს არსებული საშემსრულებლო პრაქტიკის გათვალისწინებით და მკვლევართა მიერ ბუნებრივად განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ერთეულები [ასლანიშვილი 1954:35; არაუკიშვილი 1950; ახობაძე 1957: 7-22; ბარდაველიძე 1939; თათარაძე 1976:11, 44; ხარძიანი 2009:154; კაპანაძე 2014:123].

თუმცა, ხშირ შემთხვევაში, როგორც სიტყვიერ, ასევე მუსიკალურ ტექსტებზე დაკვირვება ადასტურებს თემატურ ნათესაობას ზოგიერთ

<sup>18</sup>სეანურ სიმღერაში ვოქაბელების კვლევისას გამოვლინდა რიგი ვერბალურ-მუსიკალური ფორმულა წევილებისა, რომელთა ერთ-ერთ ნაირსახეობასაც სწორედ კადანსურ საჭცევბში ვხვდებით [მუვანაძე.. 2015]

სიმღერას შორის, რომლებიც დღეს ცალ-ცალკე სრულდება. აღნიშნული საწესო-სარიტუალო სიმღერების ანალიზმა ცხადყო, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე სახელწოდებით ან მისი სახესხვაობით გვხვდება სიმღერები, რომელთაც თითქოს არაფერი აქვთ საერთო და საშემსრულებლო რეპერტუარის ცალკე ფორმებს წარმოადგენენ. ასეთია მაგალითად, ლილე და შაიდა ლილე, ქალთიდ და იავ ქალთი. ლილე და ქალთიდი ჰომოგენური ჰიმნ-საგალობლების ტიპს მიეკუთვნება, ხოლო შაიდა ლილე და იავ ქალთი მესამე, ფერხულით სათქმელ სიმღერათა ჯგუფში შედის. სახელწოდების გარდა, ამ სიმღერებს საწესო-სარიტუალო დანიშნულებაც აკავშირებთ და როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები, ასევე სიტყვიერი ტექსტები მათ რელიგიურ-საკულტო წარმოშობაზე მეტყველებს.

ზ. ფალიაშვილი აღნიშნავს: „...სვანი სალაშქრო სიმღერას ამბობს და მტერზედ გამარჯვებული ღვთაებას სამადლობელს უძღვნის, ანუ მოხდენილ ფერხულს დასძახებს ...“ [ფალიაშვილი 1910:5]. ლოცვის ფერხულით შესრულების ფორმა დღემდეა შემონახული სვანეთში და ფერხულუ-

ბის დათქმული რაოდენობაც<sup>19</sup> ამის დასტურია. შაიდა ლილე საფერხულო სიმღერაა, ხოლო ლილე დამოუკიდებლად სრულდება, როგორც პიმნური საგალობელი. ასევეა იავ ქალთი და ქალთიდი. ჩვენი აზრით, ფერხულით სათქმელ სიმღერებს წინ უძღვდა პიმნური ტიპის საგალობელები, განსაკუთრებით საწესო-სარიტუალო სიმღერებში. ასეთი უნდა ყოფილიყო უმრავლესობა იმ სიმღერებისა, რომელიც სრულდებოდა დღეობებზე ტაძრის შემოგარენში<sup>20</sup>. ამის ირიბ საბუთად ერთი მხრივ, მიგვაჩნია ის სიმღერები, რომლებიც ორ-სამ ნაწილად სრულდება და რომელთაც საერთო ვერბალურ-მუსიკალური შინაარსი, სახელწოდება და შესრულების კონტექსტი აერთიანებთ. საყურადღებო დეტალს მივაგენით ქალთიდის ანსამბლ „რიპოს“ მიერ შესრულებულ ვარიანტში, რომელიც ადასტურებს ჩვენი პიკოთვ-

<sup>19</sup>ბოლო დრომდე ლატალის სოფ. ლახუშდში შემონახული იყო დღეობებზე შვიდი სარიტუალო ფერხულის შესრულების ტრადიცია, რომელთაგან პირველი ორი ყველგან სავალდებულო იყო, დანარჩენი ხუთი - შერჩევითი.

<sup>20</sup>ტაძარში შესასრულებელი პიმნური სიმღერებიდან მხოლოდ ერთი-ორი საგალობელი შემორჩა. სვანური საწესო რიტუალისა და მისი მუსიკალური შინაარსის შესახებ ვამზადებთ ცალკე გამოკვლევას, სადაც ამ საკითხს უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ზის საფუძვლიანობას. სიმღერა თავიდან ბოლომდე ჰიმნური ტიპის საგალობელია ყველა მახასიათებლით, მაგრამ ბოლოსწინა მუხლის კადანსური ნაგებობის ბოლოს იცვლება მეტრულ-მელოდიური და რიტმული სურათი და იწყება საფერხულო წყობის კონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ ერთი მუხლის განმავლობაში გრძელდება, რის შემდეგაც ანსამბლი კვლავ უბრუნდება საგალობლის „კალაპოტს“ და დამაბოლოვებელ მუხლს ამბობს ჰიმნისთვის დამახასიათებელი ტიპური კადანსით (იხ. სანოტო ნიმუში 4), რომელიც შესაბამისი ვოქაბელური<sup>21</sup> თანამეწყვილის თანხლებით ქდერს. სწორედ ეს საფერხულო ჩანართი მიგვაჩნია „ქალთიდის“ თავდაპირველი ვერსიის (ჰიმნურ-საფერხულო კომპლექსური ფორმის) რუდიმენტად.

კიდევ ერთი ასეთი ნიმუში, ჩვენი აზრით, უნდა იყოს რიპო და ლაგუშედა. არაყიშვილი თავის გამოკვლევაში რელიგიური ხასიათის სიმ-

<sup>21</sup> ტერმინში გვულისხმობთ სვანურ ჰიმნურ სიმღერებში ჩვენს მიერ გამოყენებულ ვერბალურ-ინტონაციურ ფორმულას, რომლის სიტყვიერი ტექსტი ლოცვითი ბუნების „ასემანტიკურ“ ერთეულს წარმოადგენს. დაწვრილებით იხ. ავტორის სტატია On the Problem of Asemanic Texts of Svan Songs' (2015. იბეჭდება)

დერათა ჯგუფში განიხილავს რიპოს და ამბობს, რომ საგალობლის ორი ვარიანტი არსებობს: რიპა ლაგუშედა და უბრალოდ რიპა (არაყიშვილი 1950:21). როგორც მის მიერვე სიმღერების მოტანილი ტექსტიდან ჩანს, რიპა უშგულის საკურთხევლის სადიდებელია. სიმღერის შინაარსი მოგვითხრობს ოსებთან<sup>22</sup> სვანების ბრძოლაზე. ახობაძეც, რიპოზე საუბრისას, გვიზიარებს გადმოცემას ამ სიმღერის წარმოშობასა და შესრულების ფორმაზე (ახობაძე 1957:12) და ამბობს, რომ რიპოს ეკლესიის გარშემო შემოვლით ასრულებდნენ „ლამარიას“ დღესასწაულზე. ოსებთან ბრძოლაში დაღუპული სვანების პატივსაცემად და მოსაგონებლად კი ერთადერთი გადარჩნილი სვანის, დათა ხაჭვანის ეზოში ყოველწლიურად იკრიბებოდნენ და რიპოს ფერხულით აბამდნენ. ახობაძე არაფერს ამბობს სიმღერის შინაარსზე, მაგრამ საფიქრებელია, რომ რიპო ლაგუშედას ტექსტი და ჩრდილოელ მეზობლებთან ბრძოლაში დაღუპული სვანების აღსანიშნავად ფერხულით ნათქვამი რიპოს მსგავსი შინაარსისა უნდა ყოფილიყო. რიპოს გავრცელებული ვარიან-

<sup>22</sup> ოსებს სვანები მეზობელ ჩრდილოკავკასიელ ტომებს ეძახდნენ და არა ოსების სახელწოდებით ცნობილ ეთნოკურ ჯგუფს.

ტი სიმღერის პირველი (პიმნური) ნაწილი უნდა იყოს<sup>23</sup>, ხოლო ლაგუშედა მისი საფერხულო გაგრძელება.

<sup>23</sup> თავად „რიპოც“ ფერხულით სრულდებოდა, თუმცა „რიპოს“ ფერხული პიმნური გალობის მეტაენასთან შეწყვილების იშვიათი ნიმუშია და ვფიქრობთ, სარიტუალო ფერხულის სტადიალური განვითარების ადრეულ ეტაპს წარმოადგენს. საფერხულო მოძრაობების სტადიებზე მიუთითებს ლუკინა თავის საღისერტაციო ნაშრომში [ლუკინა 2005]. ვფიქრობთ, რომ ფერხულის ჩასახვის ეტაპს წარმოადგენს „ლაჟდვაშის“ მეტაენა (ე.წ. საფერხულო მოძრაობა), რომელიც კიდევ ერთი ნათელი ნიმუშია იმისა, თუ როგორ რეფორმირდება და რეკონსტრუირდება საშემსრულებლო ფორმა სიმღერის (ან ცეკვის) პირველადი ფუნქციის მოშლის შემთხვევაში. ცხობილია, რომ ცეკვა რიტუალური აქტის უძველესი ფორმაა, რასაც უძველესი მსოფლიოს შესახებ არაერთი არქეოლოგიური მონაცოვარი და კვლევები ადასტურებს [პაიუროთერი 1978:39-127]. „ლაჟდვაში“, როგორც საწინამძღვრე ფერხული (ფუნქციონალურად იგი სხვა მოვლენას აღნიშნავს, ვიდრე არაყიშვილის მიერ აღწერილი „წინამძღვრდა“, ანუ ლიდერი, რომელიც წარმართავს კოლექტიურ მუზეიცირებას, ინიცირებს და კარნახობს კომუნიკაციის კინესიკურ (ქორეოგრაფიულ) „ტექსტს“. „ლაჟდვაში“ სარიტუალო მისტერიის მეორე, საფერხულო ნაწილის დასაწყისის მომასწავებელია და, ჩვენი აზრით, ტაძარში დაწყებული მსახურების ეფექტურობის გაძლიერებას ემსახურება. შესაბამისად, იგი დღესასწაულზე გასართობად სათქმელი სიმღერა კი არა, საკრალური მნიშვნელობის სინკრეტული, რელიგიური აქტია, სიტყვის, მოძრაობისა და მუსიკის ერთობით შესრულებული. იმას, რომ ფერხულები დღესასწაულის შემდეგ ეკლესიის შემოგარენში გასართობად და სალადობოდ იქმნებოდა და სრულდებოდა, აბათილებს დღეობებზე შვიდი (მათ შორის,

პიმნური (სადიდებელ-სავედრებელ-სამადლო-ბელი) საწესო სიმღერის კომპლექსური ფორმის არსებობისა და დროთა ვითარებაში მისი დანაწევრების ერთ-ერთ დამადასტურებელ ნიმუშად მიგვაჩნია სიმღერა შეხე აბრამ. ვფიქრობთ, სწორედ შეხე აბრამს უნდა გულისხმობდეს დ. არაუიშვილი, როდესაც ამბობს, რომ რაჭაში სვანებისგან ჩაუწერია სიმღერა, რომელსაც მკვლევარი სუფრულის სახელწოდებით მოიხსენიებს. მეცნიერის გადმოცემით, სიმღერა ორი ტექსტით სრულდებოდა: ერთი ბიბლიური აბრაამის, ხოლო მეორე „გეფხისტყაოსნის“ გმირის, ავთანდილის შესახებ<sup>24</sup> (არაუიშვილი 1950:20). ანსამბლ „შგა-

---

ორი სავალდებულო) ფერხულის შესრულების ტრადიცია, რომელიც დღემდე შემორჩა ლატალის თემის სოფელ ლახუშდში. დროთა განმავლობაში, „ლაქლვაშმა“ დაკარგა პირველადი დანიშნულება და საბოლოოდ სხვა ესთეტიკურ სივრცეში სცენაზე გადაინაცვლა, სადაც ახალი სიცოცხლე შეიძინა ახალი ფორმით და ჭუნირთან ერთად სრულდება. იმაზე, რომ ჭუნირით თანხლება ბევრი, მანამდე ორპირულად სათქმელ საფერხულო სიმღერებთან ერთად უფრო გვიანი მოვლენა უნდა იყოს, საუბრობს მაკა ხარძიანი თაგის დისერტაციაშიც (ხარძიანი 2007:128, 138).

<sup>24</sup> ცხადია, მხოლოდ სიტყვიერ ტექსტზე დაყრდნობით უანრის განსაზღვრა შეუძლებელია. მაგალითად, შესრულების ფორმის გათვალისწინებით ახლანიშვილი ადგენს, რომ „ხევსურული საგმირო სიმღერები ოდესაც საკულტო სიმღერებს წარმოადგენდნენ... მაგრამ საგვარეულო წყობის

"რიდას" ხელმძღვანელი, გურგენ გურჩიანი (ექსპ-დიციის მასალებიდან, მაისი, 2015) ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ სიმღერა ბიბლიურ აბრამს კი არა, სვან სარდალ აბრამს უნდა ეძღვნებოდეს, მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში გამარჯვების უკვდავსაყოფად. ორივე შემთხვევაში შინაარსის ტექსტი ერთ სიმღერაშია გაერთიანებული და სწორედ კომპლექსური კომპოზიციური ფორმითაა წარმოდგენილი. სვანები მიწა-წყლის, თემისა და ოჯახისათვის ბრძოლას საღვთო საქმის დარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ბრძოლის წინ შემწეობას ლოცვით (გალობითა და ფერხულით) ითხოვდნენ. საბრძოლო და საგმირო მოტივები სვანურ სასიმღერო შემოქმედებაში უხვადაა და ამ ტიპის სიმღერებს ორ ნაწილად ვყოფთ: საწესო (საბრძოლო) ჰიმნ-ფერხულები და საგმირო ბალადები. შესე აბრამ სწორედ პირველ ჯგუფს განეკუთვნება და შესაბამისად, საგალობელ (სადიდებელ) შესავალსაც შეიცავს ფერხულთან და ცეკვასთან ერთად<sup>25</sup>.

გაქრობასთან დაკავშირებით, ისინი პკარგავენ საქულტო ხასიათს და საგმირო ან ისტორიულ ხასიათს იღებენ" (ასლანიშვილი 1954:214).

<sup>25</sup> ადსანიშნავია, რომ სწორედ გურგენ გურჩიანის მიერ ადღენილ ნიმუშში ჩანს ნათლად სიმღერის თავდაპირველი

შემოთავაზებული დისკუსი და არგუმენტები იძლევა საგულისხმო დასკვნების გაკეთების საშუალებას; კერძოდ:

- სვანური სასიმღერო რეპერტუარის დიდი ნაწილი საწესო რიტუალის მთავარ მიზანს ემსახურება და სინკრეტული სარიტუალო პერფორმანსის ერთ-ერთი წევრი და აქტიორია; შესაბამისად, ისეთი საშემსრულებლო ფორმები როგორიცაა, ჰიმნური კომპოზიცია და ფერხული, სარიტუალო მსახურების ფორმებს წარმოადგენებ;

- ზოგიერთი ფერხული და ჰიმნი, როგორიცაა მაგალითად რიპა და ლაგუშედა, ქალთიდ და იავ ქალთი, ლილე და შაიდა ლილე, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ცალ-ცალკე სრულდება, ვფიქრობთ, გარკვეულ ეტაპზე ერთ კომპლექსს წარმოადგენდა და კონტექსტის ცვალებადობის კვალდაკვალ ცალკე საშემსრულებლო ფორმებად იქცა; კონტექსტის ცვალებადობა უნდა ასახულიყო აგრეთვე სიმღერაზე შეხე აბრამ, რომლის საფერხულო ნაწილის სიტყვიერი ტექსტი ჰიმნური შესაგლის ტექსტთან შეუსაბამო ტექსტით ჩანაცვლდა;

---

ფორმა. ამავე ტიპის სიმღერებს მივაკუთვნებთ შარიდა ლაშგარს.

- ოამდენადაც დასკვნების გამოტანისას სიტყვიერი ტექსტი ყოველთვის ვერ იქნება ერთა-დერთი დასაყრდენი წყარო, საჭიროა შესრულების კონტექსტისა და მუსიკალური ტექსტის გათვალისწინება, რომელიც ხშირად ინახავს დაღუქილ ინფორმაციას და რუდიმენტის სახით გასა-დებს იძლევა საკითხის გასარკვევად; ამის მაგა-ლითია ქალთიდის „რიპოსეული“ ვერსია;

- კონტექსტის გაბუნდოვანებისა და ბუნები-თი, პირველადი დანიშნულების დაკარგვის ნიმუ-შია აგრეთვე „ლაჟდვაში“, რომლის კომპლექსუ-რი ანალიზი ავლენს მის ცალსახად საკრალურ ბუნებას; უფრო მეტიც, საფერხულო მოძრაობებ-ზე დაკვირვება ამჟღავნებს საფერხულო -ლოცვი-თი პერფორმანსის სტადიალური განვითარების უადრეს ფორმებს.

მრავალპლანიანმა დისკურსმა საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება სა-შემსრულებლო ფორმების ტრანსფორმაციასა და შესაძლო მიზეზებზე; ვფიქრობთ, შემდგომი ღრმა, კონტექსტუალური კვლევები ამ მიმართუ-ლებით შესაძლებელს გახდის ჟანრულ კლასიფი-კაციასა და საშემსრულებლო ფორმებთან დაკავ-შირებული პრობლემების გადაწყვეტას სვანურ სასიმღერო რეპერტუარში.

**აგრორისაგან:** მადლობას ვუხდით ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ბრიტანულ ფონდს (FaRiG Fund), რომელმაც საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა საველე სამუშაოები სვანურ ეპო-მიგრანტ სოფლებსა და გეოგრაფიულ სვანეთში. წინამდებარე კვლევა აღნიშნული პროექტის ერთ-ერთ მოკრძალებულ შედეგს წარმოადგენს.

აგრეთვე, მადლობას ვუხდით ეთნოლოგ მადონა ჩამგელიანს სვანური სასიმღერო ტექსტების თარგმნასა და საველე სამუშაოების ორგანიზებაში გაწეული დახმარებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არაყიშვილი დ., სვანური ხალხური სიმღერები, „ხელოვნება”, თბ., 1950.
2. ასლანიშვილი შ., ნარგვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. I ტომი. ხელოვნება, თბილისი 1954.
3. ახობაძე ვლ., ქართული სვანური ხალხური სიმღერების კრებული, თბ., „ტექნიკა და შრომა” (ქართულ და რუსულ ენებზე), 1957.

4. სვანურ ხალხური დღეობათა კალენდარი. (სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის გამომცემლობა), ობ. 1939.
5. გაბისონია თ., „ქრისტიანული კვალი სვანურ ჰიმნურ სიმღერებში”, მოხსენება ეთნოლოგიურ სამეცნიერო კონფერენციაზე არქაული ელემენტები საქართველოს მთის ეთნოკულტურაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012 (იბეჭდება).
6. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, [შემდგ.: ბ.ავალიანი ავალიანი ავალიანი, გ.ზურაბიანი]. გვ. 7-46; სსსრ სახ. გამომცემლობა, თბილისი, 1973.
7. თათარაძე ა., ძველიქართული (სვანური) ფერხულები. გამომცემლობა „განათლება”, თბილისი-1976.
8. კაპანაძე ო. „ქართულისაფერხულოსიმღერები: მუსიკალურიენისთავისებურებები, ხელოვნებათმცოდნეობისდოქტორისაკადემიურიხარისხისმოსაპოვებლადწარმოდგენილიდისერტაცია, ობ. 2014.
9. მუავანაძე ნ. „და ჩამგელიანიმ,, „სვანური სიმღერების ასემანტიკური ტექსტების საკითხოსათვის”, (სამეცნიერო სტატია წარდგენილია დასაბეჭდად ურნალებში Anthropological Linguistics და Cadmos).

10. ფალიაშვილი ზ., (ჩამწერი), ქართული ხალხური სიმღერების კრებული (იმერული, გურული, რაჭული, სვანური და ქართლ-კახური), ტფილისის ქართული ფილარმონიული სახო-გადოების გამოცემა, № 5, (ქართულ და რუსულ ენებზე), 1910.
11. ხარძიანიმ, ნადირობის თემა სვანურ მუსიკა-ლურ ფოლკლორში, მუსიკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2009.
12. Земцовский И., «К теории жанра в фольклоре», Сов. музыка, №4, М., 1983.
13. Лукина Ангелина, Традиционные танцы саха: идеи, образы, лексика, календарные астрономические и фольклорные азы для изучения саха-языка. Москва, 2005, <http://www.dslib.net/iskusstvo-teatra/tradicionnye-tancy-saha-idei-obrazy-leksika.html>. (06/09, 2015) Highwater Jamake, Dance: Rituals of Experience, Methuen Publication, Toronto, Canada, 1978

საველე ექსპედიციები:  
ლატალი: 2014, 2015

四

ეპგული: 2015

გენერირებული: 2015

34

“**Հայոց լավագություն** (սեմագիոն “հօշու”)

Հայության վերաբերյալ շնորհ ՀՀ մասնակի պատճենը կազմության մեջ մտնելու մասին

1

## Հյութ ո ջրելք (Հայաստան, 2014)

շշշանձրյա Բանյո հնդիկ լեզուն ու ցույցը մասն

213

ମୁଖ୍ୟପରାମର୍ଶ (ବ୍ୟକ୍ତିଗତ; ୨୦୧୫୯)

A handwritten musical score for 'Hun-en-shi' on three staves. The top staff uses a treble clef, the middle staff an alto clef, and the bottom staff a bass clef. The music consists of measures with various note heads and rests. The lyrics 'hun en-shi gmn' are written below the middle staff, and 'gm-en en-n-é-n' are written below the bottom staff. The vocal parts are labeled 'V' (vocal) and 'B' (bass) above their respective staves.

Ճշգույքը բարել է մասնակի պատճեններ և ցղիցն ամենը

# 6

№4 Jugsanjan (խոյն)

Հոգին Երեն

*Nana Mzhavanadze (Georgia)*

## Performance Forms in the Svan Singing Repertoire

Study of the Svan singing repertoire as one of the living traditions in Georgia reveals a process of the transformation of performance forms according to changes in context. Such transformation leads to a rethinking and modification of the genres too. Examination of verbal and

musical texts, as well as ethnographical data, discloses examples of modified performance forms and explores the correlation of the changes with the context.

Study of the Svan singing repertoire shows that the process of the transformation of singing forms is directed towards the heterogenic forms being fragmented into smaller pieces and moved from the sacred ritual context to the space of stage esthetics.

Although many songs are performed separately today, we believe that they were sung together to make more complex forms. We argue that the majority of round dance songs would always be preceded by a hymn-type introduction. Indirect evidence of this postulation are those songs which have been preserved in two (sometimes three) part forms sharing a common verbal-musical content, title and performing context. This hypothesis is strongly supported by an interesting version of the hymn *Kaltid* (Riho ensemble), which after a final cadence suddenly grows into a round-dance construction but after the first phrase returns back to the hymn “frame” and ends with the typical “hymn” cadence again.

Thus, we conclude that:

- Most Svan songs serve the main purpose of sacred act in which they function as one of the members and actors of syncretic ritual performance; therefore, we



believe that the performance forms such as hymns and round dances are forms of ritual service;

- Some round dances (*Lagusheda*, *Shaida Lile*) and hymns (*Lile*, *Riho*), despite being performed separately would be part of a complex forms and have became separated as a result of the changes in context;

- Since verbal texts cannot always be the ultimate basis for drawing conclusions, it is the performing context and sometimes only the musical texts preserving old remnants that can serve as keys to find answers (*Kaltid*);

- Complex analysis of some songs reveals their sacred nature (*Lazhghvash*). Furthermore, examination of round dances shows signs of early forms of stage development of circle dance with a sacred (ritual) character.

Multidimensional discourse has allowed us to make few hypotheses on the transformation of performance forms and possible ways they occur. We believe that further deep contextual studies will help solve the issue of genre classification and identification of performance forms in the Svan singing repertoire.

## ნინო ნანებიშვილი (საქართველო)

**მუსიკა და მისი შემსრულებლობის საკითხები  
ჩართვებ ორმოცდაათიანელებაში**

(თბილისისა და დედოფლისწყაროს მაგალითზე)

ქართული მუსიკალური აზროვნებისათვის პირველადი მახასიათებელი მრავალხმიანობაა, ძირითადი რელიგიური მრწამსი – მართლმადიდებლობა. წინამდებარე კვლევისათვის საინტერესოა, ქვეყნის კულტურის, ისტორიის, პოლიტიკისათვის განმსაზღვრელი თავისებურებებიდან „გადახვევის“ ანალიზი. წინამდებარე სტატია ორ ასეთ მნიშვნელოვან „გადახვევას“ – ორმოცდაათიანელობას და მათ მუსიკას ეხება. ეს საკითხები ეთნომუსიკოლოგიური მიდგომებითაა შესწავლილი. აქცენტი მუსიკის როლზე, ფუნქციაზე, სახეობასა და შემსრულებლობაზე კეთდება, არა მხოლოდ მუსიკის სტრუქტურის ანალიზით, არა-მედ სოციალური დატვირთვის კვლევითაც.

კვლევის მიზანი და ამოცანაა გამოკვეთოს:

1. მუსიკის დანიშნულება ორმოცდაათიანელებში.
2. ორმოცდაათიანელთა რელიგიური მუსიკის სახეები.

3. საშემსრულებლო ხერხები და მათი წარმომავლობა.

### მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი ჩაღრმავებული ინტერვიუების, სატელევიზიო გადაცემებისა და მოყვარულების მიერ გადაღებული ვიდეო მასალის ანალიზია. მსახურებებზე დასწრება ეთნოგრაფიულ დაკვირვებასაც მოიცავს. ამ ეტაპისთვის 9 სიღრმისეული ინტერვიუა ჩატარებული. ძირითადი ასაკობრივი ჯგუფი 20-35 წელია. დაკვირვების ობიექტია ორმოცდაათიანელთა მსახურება თბილისსა და დედოფლისწყაროში.

ვემყარები ისტორიულ-შედარებით მეთოდს; აგრეთვე, მუსიკალური კონცეფციის, ქცევისა და ხმოვანების მერიამისეულ თეორიას (Merriam:1964); ი. ჟორდანიას „სოციალური მრავალხმიანობის“ თეორიას (ჟორდანია:2004), ი.ზემცოვსკის მოსაზრებას HOMOPOLYPHONICUS-ის (მრავალხმიანად მოაზროვნე) - „ეთნოსმენის“ მატარებელი ადამიანის შესახებ (ზემცოვსკი, 2002; 2004) და მ. ჰუდის „ბი-მუსიკალობის“ კონცეფციას (Hood:1960).

ორმოცდაათიანელობის დაბადების ოფიციალურ თარიღად 1906 წლის 14 აპრილი ითვლება (პაკუაშვილი:2008). საქართველოში პირველი ორმოცდაათიანელები 1914 წლიდან ჩნდებიან, ხოლო პირველი ქართული ეკლესია 1942-45 წლებში ყალიბდება. ორმოცდაათიანელები თავის თავს „სახარების რწმენის ეკლესიას“ უწოდებენ. სახელი მათი მრწამსის საყრდენიდან - სახარებიდან მომდინარეობს, ხოლო მეორე სახელწოდება - ორმოცდაათიანელობა მათ თეოლოგიურ აქცენტზე მიანიშნებს, სულიწმიდის მოფენასთან დაკავშირებით (სულომოფენობას ქრისტიანები აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს აღნიშნავენ). ნიშანდობლივია, რომ ამ რწმენის მიმდევრებისათვის უმნიშვნელოვანესია სული წმიდის „ნიჭების“ მოქმედება.

დღეისათვის საქართველოში ორმოცდაათიანელთა ეკლესიის საერთო რიცხვი 120-ს აღემატება. მორწმუნეთა რაოდენობა 10 000 ს აღწევს (პაკუაშვილი:2008).

### **მუსიკის დატვირთვა ქართველ ორმოცდაათიანელებში**

ალან მერიამის დეფინიციის მიხედვით, მუსიკის შინაარსის გასაგებად, ამ მუსიკის შემოქმედის - ხალხის დამოკიდებულებები, რწმენები და ღირებულებები უნდა გაანალიზდეს. ვფიქრობ, რომ მუსიკის შემსრულებლობა, რომელიც წინამდებარე კვლევის მთავარ ინტერესს წარმოადგენს, პირდაპირ გამომდინარეობს მუსიკის შინაარსიდან.

თავისი ბუნებით ორმოცდაათიანელთა მუსიკა ძალზე სოციალურია. იგი მრევლის მუსიკალურ მოთხოვნილებებს და შესაძლებლობებს ითვალისწინებს. საგალობლების შექმნაც, კომპოზიციის მიუხედავად, მრევლის ნებისმიერ წევრს შეუძლია. თბილისისგან განსხვავებით, სადაც მუსიკალური რეპერტუარი გარკვეულ შერჩევას ექვემდებარება, დედოფლისწყაროში ახალი სიმღერები შეუზღუდავად დაიშვება: „რაც გულიდან მოსდის ადამიანს, იმაში სული წმიდის მოქმედებაა და არ ვერევით“ (64 წლის ზეინაბი, დედოფლისწყაროელი პედაგოგი).

სიტყვიერი და მუსიკალური ტექსტის მიხედვით ორმოცდაათიანელთა საგალობლები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

1. ქება-დიდების, ე.წ. „განზოგადებული“, რომელიც მრევლს ღმერთის განდიდებისკენ მოუწოდება.

დებს და მხიარული განწყობისაა (აუდიო მაგ. №1)<sup>26</sup>.

2. თაყვანისცემის, რომელიც „უშუალო“, გამომსახველი ფრაზებით და ლირიკული მელოდიურობით ხსიათდება (აუდიო მაგ. №2).

ორმოცდათიანელთა საგალობლები (რომლებსაც უმეტესად ავტორები ასრულებენ) თანამედროვე, დედაქალაქისა თუ რაიონების პოპ მუსიკის ინტონაციებზეა აგებული. ისინი სტილურად, მუსიკალური ენით საერო სიმღერებისგან არ განსხვავდებიან. ამ მახასიათებლებიდან გამოდინარე საგალობლების შემსრულებლობა მსგავსია საერო, პოპ-მუსიკის შესრულების ხერხებისა და გამომსახველობისა.

როგორც ცნობილია, ორმოცდათიანელთა მუსიკის თავდაპირველი და ძირითადი ჟანრი გოსპელია, რომელიც აფრო-ამერიკელი მონების რიტმო-ინტონაციიდან იღებს სათავეს. ქართველ ორმოცდათიანელთა მუსიკალური რეალობისათვის უცხოა ამერიკული გოსპელისათვის დამახსიათებელი მძაფრი ემოციური თვითგამოხატვა. თუმცა, მათ მსგავსად, სიტყვიერი ტექსტები მორ-

<sup>26</sup> იდიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების დაბორატორიის საარქივო მასალა. ექსპედიცია, 2014-2015. დედოფლისწყარო (კახეთი, საქართველო).

წმუნეთა სულიერ გასაჭირს გამოხატავენ. ნიშან-დობლივია, რომ ამ სტილის სიმღერები დედოფ-ლისწყაროელი ორმოცდაათიანელების რეპერტუ-არისათვისაა დამახასიათებელი. თბილისელი ორმოცდაათიანელების მუსიკალური სახის გან-საზღვრა მეტ ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს, თუმცა თანამედროვე ქართულ საესტრადო მუსი-კასთან კავშირი თვალსაჩინოა. ასევე, ხშირია უცხოური სიმღერების „გადმოქართულების“ შემ-თხვევები.

აღსანიშნავია, რომ ქალაქსა და სოფელს სხვადასხვაგვარი თვითგამოხატვის ფორმები აქვს, რაც მათი სოციალურ-კულტურული პირო-ბებიდან გამომდინარეობს.

### *მუსიკალური აზროვნების ტიპები*

მნიშვნელოვანი საკითხია ორმოცდაათია-ნელთა მუსიკის ხმოვანების ტიპის განსაზღვრა. საქართველოში, სადაც მუზიკირება უმეტესად ქართული ტრადიციული მუსიკისათვის დამახასი-ათებელი მრავალხმიანობის პრინციპებით ხდება, ერთხმიანი მუსიკალური აზროვნება გარკვეულ “უცნაურობად“ აღიქმება. ეს “უცნაურობა“ მით უფრო დასაფიქრებელია, როდესაც შემსრულე-

ბელთა ჯგუფს, ტრადიციული მუსიკის შესახებ გარკვეული ცოდნა და გამოცდილება აქვს. საინ-ტერესოა, რომ აღნიშნული რელიგიური უმცირე-სობის საგალობლები უმეტესად, გუნდის მიერ, ერთ ხმაში სრულდება.

ორმოცდაათიანელ მომდერლებში არსებული ე.წ. ორმაგი იდენტობა მენთალ ჰუდის მეორადი ეთნოსმენის თეორიას ესადაგება (Hood:1960), რო-მელიც შესაძლებელია ქართველების თანამედ-როვე მუსიკალურ აზროვნებაზე განვაზოგადოთ. ამ შედეგს ახლებური რელიგიური აზროვნება და გლობალიზაციის პროცესი განაპირობებს. კვლევის ამ ეტაპისათვის შესწავლილი მასალა არ ავლენს კავშირს ტრადიციულ რელიგიურ მუ-სიკალურ კულტურასთან და დამოუკიდებელ პლასტად ყალიბდება. თვითმყოფადია შემსრუ-ლებლობაც. ორმოცდაათიანელების საგალობ-ლების საშემსრულებლო სტილი იდენტურია საე-რო (ქალაქური, სატრუიალო, პატრიოტული) სიმ-ღერების პათოსისა.

ორმოცდაათიანელების შესრულების ფორ-მას იოსებ ქორდანიას მიერ თეორიზებული ეწ. „სოციალური მრავალხმიანობა“ მიესადაგება (ქორდანია: 2002). ამ ცნებაში ავტორი „მრავალ-

ხმიანობას“ მოიაზრებს, რომელსაც რამდენიმე ხმის ფუნქცია არ აქვს. მუსიკალურად უნისონში - რამდენიმე შემსრულებლის მიერ ხოლო სოციალური კრიტერიუმით - მრავალ ხმაში სრულდება. იგი აღნიშნავს, რომ: „მრავალხმიანობის ფუნქციებს აქვს ორი ფაქტორი, რომელთა გაუთვალისწინებლობა ძალიან ცალმხრივ შეხედულებას გვიქმნის მრავალხმიანობაზე, როგორც მოვლენაზე. ესენია სოციალური ფაქტორი (ანუ მრავალხმიანობა არის ჯგუფური სიმდერა, სოციალური ურთიერთობა სიმდერის საშუალებით) და მუსიკალური ფაქტორი (ანუ მრავალხმიანობა არის ორი ან მეტი ბგერის ერთდროული ქდერადობა).

### **დასკვნები**

ორმოცდაათიანელების მღერის სახეობა უმრავლეს შემთხვევაში სოციალური კრიტერიუმით - მრავალხმიანობით, ხოლო მუსიკალური კუთხით - ერთხმიანობით სასიათდება (ჟორდანია:2004). ცალკე განხილვის თემაა საკრავიერი თანხლება, რომელიც მეორე ხმის ფუნქციას ითავსებს, მაგრამ იგი იშვიათად გრცელდება ვო-

კალურ მრავალხმიანობაზე. საინტერესოა, რომ ერთი და იგივე „აქტორები“, ანუ ქართველი ორმოცდაათიანელი შემსრულებლები სხვადასხვა მუსიკალურ სახეს, განსხვავებულ სააზროვნო პრინციპებს წარმოადგენენ, როგორც მუსიკალურ-სოციალური კრიტერიუმის, ასევე მხატვრული დირექტულების მხრივ (მაგ. მსახურების დამთავრებისთანავე მომღერლებმა მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერები წამოიწყეს). ორმოცდაათიანელების საღვთისმსახურო მუზიკირებისას *Homo polyphonicus* - ის მრავალხმიანი აზროვნების უნარის „სოციალურ მრავალხმიანობად“ გარდაქმნა მეორე სმენის, „ბი მუსიკალობის“ აშკარა არსებობაზე მიუთითებს, რაც ამ რელიგიური უმცირესობის მუსიკალური აზროვნების მახასიათებელ ნიშნად იკვეთება.

შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყაროელი და თბილისელი ორმოცდაათიანელების გალობის შესრულება ემოციური დატვირთვით, გამომსახველობით საერო სიმღერების შემსრულებლობას ემსგავსება. ამის საფუძველს საერო მუსიკის მსგავსი მუსიკალური ენა და სიტყვიერი ტექსტი იძლევა. ამ უკანასკნელის საფუძველს კი რელიგიური დამოკიდებულება და მსოფლმხედველობა - მათთვის ქრისტე არის ცოცხალი დმერ-

თი, რომელთან ურთიერთობისთისაც მორწმუნე ადამიანს არ ჭირდება არც ხატი, არც სანთელი და არც მოძღვარი. ასევე, ზედმეტია განსაკუთრებული მუსიკალური ფორმების ძიება - ორმოცდა-ათიანები გალობებს ისე, როგორც შეუძლიათ და ქმნიან ისეთ საგალობლებს რისი რესურსიც არის თავად მრევლში.

დაკვირვებიდან გამოიკვეთა, რომ დედოფლისწყაროელი მგალობლები საგალობლებს გიტარის, სინთეზატორის და ფანდურის თანხლებით ასრულებენ. საშემსრულებლო გამომსახველობა, ლირიკულ ნიმუშებში (ე.წ. „თაყვანისცმის“), სატრუალო სიმღერების შესრულების მსგავსია – ემოციურ-ექსპრესიული, განცდით საგსე (აუდიო მაგ. №3). ეს მახასიათებლები თვალების დახუჭვაში, თავის რხევასა და ინტონირებაშიც გამოიხატება. მხიარული განწყობის საგალობლებში (ე.წ. „ქება-დიდების“) - შესრულება მეტად მსუბუქი და რიტმულად მოწესრიგებულია, ძირითადად ახლავს ტანის, ხელების თავის რხევა, ცეკვის ელემენტები, ტაში (აუდიო მაგ. №4). თბილისის მსახურების მუსიკალური სურათი უფრო ერთგვაროვანია. უმეტეს შემთხვევაში, ახალგაზრდა გოგონებისაგან შემდგარი გუნდი რამდენიმე საკრავის - ბას-გიტარის, „კლავიშის“,

„უდარნიკის“ ოანხლებით გალობს (აუდიო მაგ. №5). გუნდიდან ერთი ან ორი სოლისტი გამოიყოფა. საგალობლების განწყობა ძირითადად სიხარულს, აღტაცებას, დმერთის ქება-დიდებას ან თაყვანისცემას გამოხატავს. სიმღერები უმეტესად აქაც ერთ ხმაში სრულდება. შემსრულებლობა საკონცერტო გამოსვლების სტილში წარმოდგენილ ნომრებს გავს. გუნდი და სოლისტები საგანგებოდ მგალობელთათვის განკუთვნილ სცენაზე დგანან. შემსრულებლების უსტიკულაცია (დახუჭული თვალები, ხელების მოძრაობა, სხეულის რიტმული რჩევა) მათ უმოციურ მიმართვებებს განასახიერებს.

როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, მერიამისეული მუსიკალური კონცეფცია, ქცევა და ხმოვანება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოცემულობებია. ისინი ავსებენ, განაპირობებენ ერთმანეთს და რელიგიური სუბკულტურის განსაკუთრებულ მუსიკალურ სახეს აყალიბებენ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ზემცოვსკი ი., მრავალხმიანობა, როგორც შემოქმედების და აზროვნების საშუალება:

HOMO POLYPHONICUS-ის მუსიკალური იდენტურობა. ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისი. 2002.

2. ზემცოგსკი ი., პოლიფონია როგორც „ეთნოს-მენა“ და მისი მუსიკალური პოლიფონია და მისი „მუსიკალური სუბსტანცია“ : Homo polyphonicus-ის ქცევა. ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისი. 2004.
3. პაპუაშვილი ნ., რელიგიები საქართველოში. ორმოცდათიანელობა. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი. თბილისი. 2008.
4. ჟორდანია ი., “Interrogo Ergo Cogito”–ვიძლევი შეკითხვებს, მაშასადამე ვარსებობ: რესპონსორული სიმღერა და ადამიანური აზროვნების საწყისები. ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისი. 2004.
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების ლაბორატორიის საარქივო მასალა. ექსპედიცია, 2014-2015. დედოფლისწყარო (კახეთი, საქართველო).

- 
- 
- ፩፪
6. Hood M.,*Ethnomusicology. The Challenge of "Bi-Musicality"*. Vol. 4, No. 2 (May). 1960.
  7. Nettl B.,*The study of ethnomusicology: thirty-one issues and concepts*. Edited by the Board of Trustees of the University of Illinois. 2005.
  8. Merriam A., The Anthropology of Music. Evanston, Ill.: Northwestern University Press. 1964.
  9. White Alan.,<http://www.earlygospel.com/eg-origins.htm> 2015.
  10. The History of Gospel Music.  
<http://gospelmusicheritage.org/site/history/.2012>

*Nino Naneishvili (Georgia)*

### **Music and performance issues in the Pentecostals**

The study of religious minorities and their musical culture has attracted little academic attention in Georgia. In contemporary Georgian society the main focus has been on the traditional orthodox religion and its musical expression, while the other forms of religious expression are regarded as intrinsically less valuable. The goal of this

article is to study Georgia's diverse religious and musical picture which I present on the example of the Pentecostals.

The first signs of the Pentecostal movement, originated in the end of the 19<sup>th</sup> Century in the USA, appeared in Georgia as early as 1914.

The basic methodology used for the research is an ethnographic method that involves attending religious services, observations, in-depth interviews and musical material analysis.

I use the theoretical framework of so called *Homo Polyphonicus* and *Ethnohearing* theory of Izaly Zemtsovsky (Zemtsovski, 2002, 2004) as well as “bi-musicality” of Mental Hood (Hood, 1960) and the idea of “Social Polyphony” by Joseph Jordania (Jordania, 2004) to study the musical thinking of Georgian Pentecostals . This analysis, based on a combined use of various theoretical and methodological approaches, reveals that Georgian Pentecostals, apart from polyphonic singing , are characterized by “ bi musicality. ”

This phenomenon combines vocalization of Georgian three part polyphony as “social polyphony”.

The results of this study illustrate that one of the religious minorities in Georgia, the Pentecostals, are characterized by a deviation from *Homo Polyphonicus* in musical thinking. They actively change their form of



musical worship to secondary ethno hearing –bimusicality. This outcome is determined by both new religious thinking and the process of globalization. A significant principle behind this form of worship is the use of forms during worship which are acceptable and accessible to all. This naturally leads to the development of modern forms.

The material obtained by me does not demonstrate a connection between traditional religious music in general. It rather represents an independent domain.

## ეძატერინჯ თნიანი (საქართველო)

**საშემსრულებლო ხერხების გამოვლენის  
საკითხისათვის ნებაზრ დამწერლობაში**

საეკლესიო გალობის ტრადიციული შემსრულებლობის საკითხი დღემდე აქტუალურია. შესრულების აუთენტურობის პრობლემები დიდი ხანია მუსიკისმცოდნე-მკვლევარებისა და მგალობელთა ინტერესების სფეროს მოიცავს. პრობლემის სხვადასხვა კუთხით გაშუქებისას ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს უძველესი სამუსიკო ხელნაწერები, რომლებშიც ჰანგის დაფიქსირებისას თავისთავად აისახებოდა სხვადასხვა საშემსრულებლო ხერხები და ნიუანსები. ცნობილია, რომ გალობა, როგორც პროფესიული მუსიკის სფერო, ექვემდებარება ფიქსაციას. IX-X საუკუნეებიდან, ზოგადად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქრისტიანოში საგალობლის ჰანგი იწერებოდა სამუსიკო ნიშნების – ნევრების საშუალებით. ჩაწერის ასეთი მეოთვი დღემდე დიდ თავსატეხეს უჩენს მკვლევარებს. მართლაც, თუ ხუთხაზიან სანოტო სისტემაში გარდა იმისა, რომ ბგერის ზუსტი სიმაღლე განსაზღვრულია, ხოლო დინამიური, აგოგიური და სხვა მთელი რიგი საშემსრულებლობის საკითხის აუთენტურობის საკითხი და მას დამატებითი მნიშვნელობა მდგრადია.

სრულებლო ნიუანსების მეშვეობით კომპოზიტორის ჩანაფიქრის ზუსტი რეალიზება უზრუნველყოფილია, და მიუხედავად ამისა, ნაწარმოების ინტერპრეტაციის მრავალგვარი ვარიანტი არსებობს, რაოდენ იდუმალებითაა მოცული ნევმები, რომლებიც, გალობის ზეპირ ტრადიციაში მხოლოდ ჰანგის გასახსენებელ საშუალებას წარმოადგენდნენ. პარალელურად, ისინი თავის თავში მოიცავდნენ არამარტო ჰანგის ზოგად კონტურებს, არამედ რიტმულ და, განსაკუთრებით საშემსრულებლო ელემენტებს, რასაც, როგორც ჩანს, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ბიზანტიური და დასავლეთევროპული ნევმური სისტემების კვლევის შედეგები ამ ფაქტის ნათელი დადასტურებაა.

შუაბიზანტიურ ნევმურ ნოტაციაში, რომელიც დამწერლობის დიასტემატურ სახეობას წარმოადგენს, ანუ თითოეულ ინტერვალურ სვლას თავისი ნიშანი, ან ნიშანთა კომბინაცია შეესაბამება, ექვსი ნიშანი გამოიყენება მხოლოდ ერთი ინტერვალის – აღმავალი სეკუნდის გადმოსაცემად. ერთი და იგივე ინტერვალური სვლის ასეთი მრავალფეროვანი გამოსახვის მიზეზი შემდეგია: მიუხედავად ერთნაირი ინტერვალური სიდიდისა, ისინი განსხვავდებიან ერთმა-

ნეთისაგან არტიკულაციით. ეს ნიშნები - სომა-  
ტები<sup>27</sup> (გარდა ოლიგონისა), ინტერვალურ და-  
ნიშნულებასთან ერთად, სპეციალურ საშემსრუ-  
ლებლო ფუნქციასაც ითავსებენ, გამოხატავენ  
სხვადასხვა შტრიხს (სტაკატო, მახვილი, მსუბუ-  
ქი აქცენტი), რასაც მოკლებულია დანარჩენი  
ნიშნები. სხვა ინტერვალური სვლების არტიკუ-  
ლაციასთან დაკავშირებით ბიზანტიურ ნოტაცია-  
ში მკაცრი წესებია შემუშავებული, რომელთა  
თანახმადაც, გარკვეული ნიუანსების მქონე სო-  
მატებთან შექმნილი კომბინაციებით ყველა ინ-  
ტერვალურ სვლას შეეძლო მიეღო შესაბამისი  
საშემსრულებლო ელფერი.

არტიკულაციური ფერადოვნება უცხო არ  
იყო დასავლეთევროპულ ნევმურ ნოტაციაში.  
ესენ კარდინიმ, რომელმაც ადრეული შუასაუკუ-  
ნეების ნევმებისადმი ახლებური მიდგომა შეიმუ-  
შავა, გამოყო ორი შედარებით დამოუკიდებელი  
დისციპლინა - გრიგორისეული პალეოგრაფია  
და გრიგორისეული სემიოგრაფია. თუ პალეოგრა-  
ფიის ქვეშ იგულისხმებოდა მისი ტრადიციული

<sup>27</sup>სომას (სხეული) ჯგუფში შედის აღმავალი და დაღმავა-  
ლი სეკუნდის აღმნიშვნელი ნევმები, ხოლო ინტერვალები,  
რომლებიც უფრო მეტ მანძილს - ნახტომს გამოხატავენ,  
ერთიანდებიან პნევმას (სული) ჯგუფში.

ამოცანები<sup>28</sup>, სემიოლოგიური ანალიზის მთავარი მიზანი გახდა ნიშნების მრავალფეროვნების მიზეზების კვლევა პიმნის აუთენტური შესრულების ძირითადი პრინციპების განსაზღვრისათვის. თავად კარდინი და მისი მიმდევრები ყურადღებას უმთავრესად ამახვილებდნენ გრიგორისეული გალობის რიტმიკასა და არტიკულაციაზე, ნაკლებად ბგერათსიმაღლებრივ მხარეზე. შეიძლება ითქვას, რომმელოდიის ზუსტი სიმაღლებრივი პარამეტრები შეასაუკუნეების გადამწერების მიერ იგნორირებული იყო და უფრო მეტი მნიშვნელობამელოსის არტიკულაციურ ასპექტებს ენიჭებოდა. ნიშანთა გრაფიკის მრავალფეროვნება მკვლევართა მიერ, დაკავშირებულია სწორედ საშემსრულებლო ნიუანსებთან. სიდწეის კონსერვატორიის პროფესორის, ნილ მაკევონის ლექციაში<sup>29</sup>, რომელიც მიძღვნილია დასავლეთევროპული ნეგმური ნოტაციისადმი, ყურადღება გა-

<sup>28</sup>დამწერლობის ისტორია, მისი გრაფიკული ფორმის განვითარების კანონზომიერების, უძველესი დამწერლობის ძეგლების შეისწავლა მათი წაკითხვის მიზნით. ხელნაწერის ავტორის, შექმნის დროისა და ადგილის დადგენა. ასოების კონფიგურაციის, მათი ევოლუციის, შემადგენელი ელემენტების პროპორციულობის, შრიფტების სახეობების დადგენა.

<sup>29</sup><https://www.youtube.com/watch?v=uI3jVNPmwEg>

მახვილებულია ნიშნების საშემსრულებლო ასკექტებზე. ლექციიდან გამოვყოფთ ნიშან ტორკულუსის გრაფიკული ვარიანტების შესაბამის მნიშვნელობებს ( ), სადაც ჩანს, რომ აღნიშნული გრაფების თითოეულ ვარიანტთან განსაკუთრებული არტიკულაციური და დინამიური ნიუანსია დაკავშირებული ტრო სუნთქვაზე ტალღისებურად შესრულება, მელოდიური ნახაზის მცირედი დანაწევრება მსუბუქი აქცენტებით, დინამიკის გაძლიერება. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ნიშნის გადიდებულ ფორმასთან. ამ საკითხებზე ყურადღებას ვამახვილებთ იმის გამო, რომ თუ გავითვალისწინებთ ქართულის თანადროული ბიზანტიური და ლათინური ნევმური სისტემების თავისებურებებს და გავიზიარებთ მათი კვლევის გამოცდილებას, ეჭვგარეშე დადგება ნევმების მეშვეობით საშემსრულებლო მანერის გადმოცემის შესაძლებლობა ქართულ ნევმურ სისტემაშიც.

საზოგადოდ, ნევმურ ნოტაციაში, ნევმების გრაფიკული ვარიანტულობა ქმნის საშიშროებას, რომ ერთი და იგივე ნიშნის სხვადასხვა გრაფიკული ნაირსახეობა, ან კომბინაციური ერთეული დამოუკიდებელ ნიშნად იქნეს განხილული. ეს მოვლენა იწვევს ნიშანთა რიცხვის ხელოვნურ

გაზრდას და გარკვეულ უხერხულობას უქმნის მკვლევარს. მეორეს მხრივ კი არის იმის საშიშ-როებაც, რომ ერთმანეთის მსგავსი ნევმები, მხოლოდ ერთიმეორის გრაფიკულ ვარიანტად, ან ნევმატორის შეცდომად მივიჩნიოთ, მაშინ, როდე-საც რეალურად მათ შეიძლება სხვადასხვა მნიშ-ვნელობა ჰქონდეთ. ამიტომ, ნიშანთა კლასიფიკა-ცია ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, რათა გა-მოიყოს არსებითი არაარსებითისაგან. ვინაიდან ჯერ კიდევ ამოუცნობია ნევმების მნიშვნელობა, შეუძლებელია რომელიმე დეტალის უგულვებელ-ყოფა. სავარაუდოდ ნიშნის მოხაზულობის ერ-ველ შტრიხს თავისი განსაკუთრებული დანიშნუ-ლება ექნებოდა.

ქართულ ნევმურ დამწერლობაში გამოიყოფა ერთსახოვანი ნიშნები, რომელთაც საერთო აქვთ განზოგადებული გრაფიკა (სტრიქონზედა და სტრიქონქვედა ორ, სამ, მრავალკბილიანი ნევმე-ბი, რკალები, ალმისებური ნიშანი), მაგრამ ერ-თმანეთისაგან განსხვავდებიან დეტალური მოხა-ზულობით, მაგ.: ნიშნების მოკლე და დაგრძელე-ბული ფეხით. შესაძლოა ეს მხოლოდ ნევმატო-რის კალიგრაფიული სახეცვლის, ან სხვადახვა გადამწერის ინდივიდუალური კალიგრაფიის შე-დეგიც იყოს, მაგრამ ასეთი გრაფიკული ვარიან-

ტები ჩვენ გვხვდება ქართული ნევმური სისტემის შემცველ განსხვავებულ ძეგლებში, განსაკუთრებით კი მიქაელ მოდრეკილის იადგარში, რომლის ნიშანთა “სისწორეზე და უცომელობაზე” თავად მიქაელ მოდრეკილი მიუთითებს (იხ. დანართი მაგ. №1). შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ ქართულ ნევმურ დამწერლობაში, ნიშნების ცალკეულ შტრიხებში დიდმა მგალობელმა, წმ. ფილიმონ ქორიძემ სწორედ საშემსრულებლო ნიუანსებზე მითითება დაინახა: „დიდიდაპატარანი შანისიტყვაზე თუ სიტყვის ქვეშ აღნიშნავს დაბალის და მაღალის ხმების წყნარად და მძლავრად გამოთქმას. მუსიკალურადამასტევიან: ფორტეპიანო, მსხვილი და წვრილი ნიშნები აღნიშნავს ბანსა და მაღალ ხმებს, გრძელი და მოკლ ნიშნები – გრძლად და მოკლედ ხმების წარმოებას... ნიშანი, რომელიც იწყება დაბლიდგან წვრილის ხაზით და გადაუხვევს მარჯვნივ მსხვილის ხაზით, აღნიშნავს, რომ ხმა დაიწყება სუსტად და გადავა უეცრად მძლავრს ხმაზედ“ (ქორიძე, 1891:3). ამრიგად, სავსებით დასაშვებია, რომ ქართულ ნევმურ სისტემაშიც საშემსრულებლო ფუნქციას სწორედ ნიშნების გრაფიკული სახეს-ხვაობები ითავსებდა.

დასავლური ნევმური ნოტაციის მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ ხაზოვან სისტემაზე გადასვლის შედეგად მრავალი არტიკულაციური ნიუანსი დაიკარგა, რომლებიც შესანიშნავად იყო აღბეჭდილი ნევმურ დამწერლობაში. მთელი რიგი ორნამენტული ნიშნებისა სპეციალურად განკუთვნილი იყო ხმის განსაკუთრებული მოძრაობის ჩასაწერად – გლისანდირება, სიმაღლის ცვალებადობა მიკროტონული ინტერვალის ფარგლებში, კიბრაცია და სხვ. ბევრი მათგანის ზუსტი მნიშვნელობა არ არის დადგენილი. როგორც აღვნიშნეთ, კვადრატულ გრაფიკაში ორნამენტული ნევმების სემანტიკა იკარგება და ისინი ხშირად ერთი და იგივე აღნიშვნებითაა გადატანილი. ყურადღება მინდა გავამახვილო ორნამენტულ ნიშანზე ქვილიზმა –  რომელიც მიკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ნიშანთა ჯგუფს. ქველი პერიოდის ხელნაწერებში იგი, სავარაუდოდ, გამოხატავდა ხმის აღმავალ გლისანდირებას მიკროტონების გამოყენებით. კვადრატულ გრაფიკაში ეს ნიშანი ქრება და იცვლება პოდატუსით, ან სკანდიკუსით, ანუ ნიშნებით, რომლებიც გამოხატავენ ორი ან სამი თანმიმდევრული ტონის საფეხურებრივ მოძრაობას.

290

ამრიგად, ნევმებში განუყოფელი ინტონაციური ერთეული ხაზოვან სისტემაში დანაწევრდა ცალკეულ შემადგენელ ერთეულებად.

გარეგნულად ქვილიზმა ემსგავსება ქართული ნევმური სისტემის მრავალკბილიან ნიშანს [redacted], რომლის სავარაუდო მნიშვნელობაზე გასული საუკუნის დასაწყისის მოღვაწები თითქმის ერთნაირ მოსაზრებას გამოითქვამდნენ. ამ ნევმებთან მიმართებაში ხშირად მეორდება აზრი, რომ ისინი იუბილაციასთან – ხმის „გაკანკალებასთან“ არიან დაკავშირებული – ასე განსაზღვრავს აღნიშნულ ნიშნებს იოანე ბატონიშვილი, მოსე ჯანაშვილის მოსაზრებით კი ეს „დელვით მიმავალი“ ხაზი“ აღბათ [იგი] „სარაკრაკო“ ხმას აღნიშნავს“ (ჯანაშვილი, 1891:50), ფილიმონ ქორიძის მიხედვით: „დაკლაკნილი (ნიშნები აღნიშნავს) – ხმის თრთოლვასა და მღელვარებას“ (ქორიძე, 1891:3). ძალიან ძნელია დღეს კონკრეტული მოსაზრება გამოითქვას ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ნათლად ჩანს აშკარა მსგავსება ერთგვაროვანი ნიშნების სავარაუდო სემანტიკაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დასავლეთეპროპეულ ნევმურ სისტემაში ერთ-ერთი სონორული

ევექტი, რომელიც, მსგავსად სხვა ნიუანსებისა, ხაზოვან სამუსიკო დამწერლობაში ვერ დამკვიდრდა. ეს არის ნახევრადოკალური ნევმები, რომელთა დანიშნულებაც ტექსტის ფონეტიკური ორგანიზაციის სპეციფიკური ასპექტების ფიქსაციაა. გრიგორისეულ პალეოგრაფიასა და სემიოლოგიასთან მიმართებაში ხშირად იყენებენ ტერმინს “ლიკვესცენტური ნევმები”<sup>30</sup>, რომლებიც შემდეგი სახითსრულდება: მელოდიური ბრუნვის დასრულება ხდება ცხვირისმიერ თანხმოვანზე – მ, ან ნ, ორი თანხმოვნის შეთანხმებაზე, ან დიფორმგზე. ამ დროს გაიმდერება ან საკუთრივ ცხვირისმიერი თანხმოვანი, ნახევრად ხმოვანი ბგერა, წარმოქმნილი ორი თანხმოვნის ზღვარზე, ან დიფორმგის მეორე ელემენტი. გრიგორისეულ ქორალში ცხვირისმიერი ან ნახევრადხმოვანი ბგერების გამდერება მისი სონორული ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგნს. ხაზოვან სამუსიკო დამწერლობაში კი ტექსტის ამ ელემენტების ვოკალიზება აღარ ხდება.

მსგავსი საშემსრულებლო მანერა – თანხმოვნის გამდერება ჩვეული მოვლენაა ქართულ საგალობო ხელოვნებაშიც და მე-19 საუკუნის სა-

<sup>30</sup>ლათ. liquere – შემცირება, შესუსტება

ნოტო ჩანაწერები მკაფიოდ ავლენენ შესრულების ასეთ ხერხს, როცა ნოტზე გადანაწილებულია არა ხმოვანი, არამედ თანხმოვანი (ხშირად ეს თანხმოვნებია მ და ნ) (იხ. დანართი მაგ. №2).

ნეგმურ დამწერლობაში ეს საშემსრულებლო ხერხი, ვფიქრობთ შემდეგნაირად უნდა იყოს გამოსახული: ქართულ ნეგმურ სისტემაში, როგორც ზოგადად სხვა დამწერლობაში, ნიშნები განლაგებულია ხმოვნებზე, მაგრამ იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როდესაც ნიშნით აღბეჭდილია თანხმოვანი. ასეთი შემთხვევა შეიძლება მცირე უზუსტობის შედეგიც იყოს და რეალურად ნიშანი ხმოვანს ეკუთვნოდეს. გრაფიკული ფორმულის კონსტრუქციაში, სადაც მარცვალთა რაოდენობა, ვფიქრობთ, არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებს, რა თქმა უნდა, ხმოვანი ბგერა აითვლება რაოდენობაში, მაგრამ, მის გვერდით მდებარე თანხმოვანზე ნიშნის მოთავსება შესაძლოა სწორედ ამ თავისებურ სონორულ ხერხს – თანხმოვნის გამდერებას გულისხმოდეს (იხ. დანართი მაგ. №3).

ამრიგად, როგორც ვხედავთ საშემსრულებლო მანერა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საგალობო ხელოვნებაში და იგი ნევმების საშუალებით საგულდაგულოდ ფიქსირდებოდა,

უფრო გულდასმითაც კი, ვიდრე ბგერათსიმაღლებრივი კომპონენტი. შესაბამისად, ნევმური დამწერლობის საშემსრულებლო კუთხით კვლევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აუთენტური გალობის ფერადოვანი საშემსრულებლო პალიტრის წარმოჩენას.


### **გამოყენებულილიტერატურა:**

1. მიქაელ მოდრეკილის პიმნები ფაქსიმილე გამოსაცემად მოამზადა ვაჟა გვახარიამ. თბ., 1978.
2. ნევმირებული ძლისპირნი. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გულნაზ კიპნაძემ. თბ., 1982.
3. ქორიძე ფ., მეთე საუკუნის საგალობელო  
ნიშნები. ტფილისი, ივერია. 1891, №189
4. ჯანაშვილიმ., საუკუნე მეთე საუკუნისა. ტფილისი. სტამბა ქ. შარაძისა.1891.
5. Wellesz E., . *A History of Byzantine Music and Hymnography*. Oxford: Oxford University Press. 1961
6. Карцовник В., *О невменной нотации раннего средневековья*. Эволюционные процессы музыкального мышления, Ленинград, 21-41 1986.
7. Николаев, Б.,. Протоиерей, *Толковая грамматика знаменного пения*. Псков.1995


၆၄

დანართი

მაგ. №1




ნევმირებულიძლისპირნი. გვ. 557




ნევმირებული ძლისპირნი. გვ. 555

ც




მიქაელ მოდრეკილის პიმნები გვ. 19

მაგ №2



საქართველოს ეროვნული ცენტრი. ხელნაწერი  
Q-689, გვ. 9


50



საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.  
ხელნაწერი Q-674, გვ. 39

дзг №3

( ) Հիմարարդութեան անհայտ քայլութեան առաջ  
աշխարհապետ անհաջողական աշխարհապետ  
ըղուստաց; պատ ծառանդաց; լուսավաճաց  
ծովածացուն; ծառանդաց պատ լուսավաճաց



ნევორებული ძლისპირნი. გვ. 569

*Ekaterine Oniani (Georgia)*

### **Performing Methods in the Neume Notation**

The issue of traditional performance of ecclesiastical chants still remains an actual topic. Researchers and church singers are greatly interested in authentic performance of chants. Since the musical signs - neumes depict not only the contours of tunes, but also the method of its performance the ancient musical manuscripts should not be left out from focus during the research.

The paper deals with the identification of specific features of performance manner in Byzantine and Gregorian chant notation and compares those two in Georgian musical writing.



*Ольга Путятицкая (Украина)*

**ОСОБЕННОСТИ ИСПОЛНИТЕЛЬСКОГО  
РЕПЕРТУАРА ДРЕВНЕЙ УКРАИНСКОЙ  
ЦЕРКОВНОЙ МОНОДИИ В ИРМОЛОЯХ КОНЦА  
XVI – XVIII ВВ.: ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКИЙ  
АСПЕКТ**

Украинская церковная монодия в кон. XVI – нач. XVII вв. испытывает невероятный кульминационный подъем. Со второй же половины XVII – XVIII вв. наибольшего расцвета достигает украинская духовная многоголосная музыка, которая в это время по своему высокому художественному уровню не уступает музыке западноевропейского барокко. Но параллельно с партесным пением в церковно–певческой традиции продолжает устойчиво бытовать унисонное.

Среди песнопений, которые фиксируются в рукописных нотолинейных источниках этого периода – Ирмолях, часто встречаются песнопения с атрибуцией ”болгарский”. Для освещения вопроса исполнительского репертуара болгарского распева в украинской церковно–певческой традиции на протяжении длительного времени с конца XVI и

вплоть до XVIII веков в данной работе был использован метод сравнительного анализа.

В исследовании были использованы рукописные песнопения болгарского распева (из 120 рукописей<sup>31</sup> XVIII века и 5 печатных Ирмолов<sup>32</sup>, хранящихся в библиотеках Киева; песнопения, собранные из 21 Ирмоля конца XVI–XVII вв., опубликованные в сборнике Л. Корний "Болгарский

<sup>31</sup> А именно, из рукописных Ирмолов шифра: ДА 89 Л.; ДА, 96 Л.; Ф. 30, №23; I, 1743; I, 5584; I, 7475; ДА, 93 Л.; I, 2863; I, 2830; ДА П.352; I, 5389; I, 2828; ДА, 152 Л.; Ф. 160, №426; Ф. 177, №66; I, 7469; I, 2884; I, 5565; КПл 34 П./25; I, 7477; Ф. 177, № 68; I, 5392; I, 5394; I, 5396; I, 5385; I, 5585; ДА 102 Л.; ДА, 103 Л.; I, 2731; ДА 98 Л.; ДА 99 Л.; ДА 100 Л.; ДА 101 Л.; ДА 113 Л.; Соф. 114/644; Ф. 30, № 16; Ф. 30, №19; Ф. 177, № 70; I, 1661; I, 2829; I, 2831; I, 2835; I, 2896; I, 3868; I, 5573; I, 6691; I, 7463; I, 7464; I, 7467; I, 7473; I, 7478; I, 5512; I, 5577; Ф. 28, №764; Ф. 28, №789; I, 3994; I, 2730; ДА, 104 Л.; ДА, 111 Л.; ДА П. 348; I, 5447; КПл, 35 П.; I, 2834; ДА П. 347; ДА 86 Л.; ДА 106 Л.; Ф. 177, № 74; I, 2833; I, 3860; I, 3954; I, 4069; I, 5578; I, 7471; I, 7476; I, 7520; Ф. 30, №17; ДА 108 Л.; I, 3867; КПл 38 П.; ДА П. 351; I, 7470; I, 7465; I, 5552; I, 7474; ДА 349 П.; Ф. 177, №67; Ф. 28, №791; Ф. 30, № 14; I, 7468; Пуст.-Мик. П.555; I, 5386; КПл 40 П.; ДА 107 Л.; I, 4070; Ф. 177, №72; I, 2911; I, 5395; I, 5575; I, 5576; I, 5586; I, 6486; ДА 109 Л.; Ф. 30, №20; Ф. 30, №15; I, 7466; Универс. Ф. VIII 21 М/183; ДА П. 648; I, 5390; Пуст.-Мик. 552 П.; Ф. 177, №71; I, 5457; Ф.228 оп.1, од.зб. 35, №139.

<sup>32</sup> Изпечатных Ирмолов шифр: Кир.639; Ф.739, оп. 1, од.зб. 312; Ф.739, оп. 1, од.зб. 112; Ф.739, оп. 1, од.зб. 96; Ф.228 оп. 1, од.зб. 35, №139.

---

распев из рукописных нотолинейных Ирмоловы Украины”.

Церковно–певческая практика Украины конца XVI–XVII вв. вмещает основной репертуар болгарского распева с его богатой жанровой палитрой. Здесь широко представлены такие жанры: стихиры на различные праздники, песнопения из Литургии, причастники, полиелей, осмогласие (“Славы”, “Бог Господь” с тропарями, “Блаженны”, “Господи, воззвах” и стихиры, евангельские стихиры, Догматики и Богородичные), припевы праздников Господних и Богородичных, тропари воскресные, троичные песни, каноны, кондаки, ирмосы. В целом, репертуар болгарского распева этого периода насчитывает около 211 песнопений (согласно изданию Л. Корний). В XVIII в. положение болгарского распева в украинской церковно–певческой исполнительской практике кардинально меняется. Из всех известных циклов в Ирмолях XVIII в. полностью фиксируется только цикл «Бог Господь» на 8 гласов.

Кроме того, были также найдены еще 2 песнопения из Всенощной и кондак Рождеству Христову, полный цикл Богородичных тропарей на 8 гласов, стихира на постриг иноков, стихира Вознесению и кондак. Эти произведения не были



зарегистрированы в рукописных Ирмологиях конца XVI – XVII вв. (Табл. 1).

Таблица 1.

№	Песнопение	Жанр	шифр Ирмоля	Страница
1.	Бажен муж	На Всенощной	ДА 109Л	3 об.– 4 об.
2.	Благослови душе моя Господи	На Всенощной	I, 5457	95 об.
3.	Взыде Бог во воскликновении, 6 гл.	стихира Вознесению	I, 6691	316об. — 317
4.	Вся паче смысла вся преславная 2 гл.	богородичный тропарь	I, 7469	7 об. — 8
			I, 5565	7–15 об.
			I, 5396	200 об. – 207 об.
5.	Гавриилу проводящему ти Днво 1 гл.	богородичный тропарь	I, 7469	6 об. — 7 об.
			I, 5565	7–15 об.
			I, 5396	200 об. – 207 об.
6.	Дева днесь пресущественного рождает	Кондак Рождества	I, 5457	87 об.–88
7.	Иже благословенную матер 6 гл.	богородичный тропарь	I, 7469	10 — 10 об.
			I, 5565	7–15 об.
			I, 5396	200 об. – 207 об.



8.	Иже нас ради рождейся от Днви 8 гл.	богородичный тропарь	<b>I, 7469</b>	11 — 11 об.
			<b>I, 5565</b>	7—15 об.
			<b>I, 5396</b>	200 об. — 207 об.
9.	Объятія отча отверстии	Стихира на постриг иноков	<b>KПл 34 П/25</b>	225 — 225 об.
10	Иже от вѣка утаїнної и ангелом 4 гл.	богородичный тропарь	<b>I, 7469</b>	9
			<b>I, 5565</b>	7—15 об.
			<b>I, 5396</b>	200 об. — 207 об.
11	Радуися двери Господня 5 гл.	богородичный тропарь	<b>I, 7469</b>	9 об. — 10
			<b>I, 5565</b>	7—15 об.
			<b>I, 5396</b>	200 об. — 207 об.
12	Тебе ходотайцу спасенїя рода нашего 3 гл.	богородичный тропарь	<b>I, 7469</b>	8 — 8 об.
			<b>I, 5565</b>	7—15 об.
			<b>I, 5396</b>	200 об. — 207 об.
13	Явился Господь днесь вселенний	кондак	<b>I, 4070</b>	205
14	Яко нашему вос- кресеню 7 гл.	богородичный тропарь	<b>I, 7469</b>	10 об.
			<b>I, 5565</b>	7—15 об.
			<b>I, 5396</b>	200 об. — 207 об.



В печатных Ирмолях XVIII в. находим зафиксированные с атрибуцией "болгарский" новый цикл «Господь воцарися» и цикл стихир на 8 гласов (Таб. 2).

Таблица 2.

№	Прийдите вси	стихир	Ф.739, оп. 1, од.зб. 312	200
7.	согласно <b>Песнопение</b> Страстию Твою	а жанр стихир	од.зб. <b>Ирмоля</b> , Ф.739, оп. 1,	<b>Страница</b> 77 об.
8.	<b>Христе спасна</b>	стихир	Ф.739, оп. 1,	195 об.
1.	<b>Крест</b> , гл.8	а	од.зб. 312	
9. 2.	<b>Воскресене из гроба</b> , гл.7	стихир а а	Ф.739, оп. 1, од.зб. 312 од.зб. 312	12–125 об. 165 об.
3.	Воскресеніє Твоє Христе Спасе, гл. 2, гл.6	стихир а	Ф.739, оп. 1, од.зб. 312	59 об. 154 об.
4.	Господь воцарися, на 8 гл.	заспів	Ф.739, оп. 1, од.зб. 312	35 об., 59 об., 77 об., 108 об., 125 об., 154 об., 154 об., 195 об.
5.	Господи возшед на Крест, гл.4	стихир а	Ф.739, оп. 1, од.зб. 312	108 – 108 об.
6.	Да радується тварь Небеса, гл.1	стихир а	Ф.739, оп. 1, од.зб. 312	35 об.

Из всего известного репертуара в рукописях XVIII в. фиксируются только отдельные песнопения и далеко не всех жанров. В основном это стихира, подобен, кондак, полиелей, псалом, седален, припев, светилен. Приводим их в алфавитном порядке с указанием на жанр:

1. *Ангельскія предидѣте сылы* — подобен, глас 6;
2. *Ангельскія сили на гробѣ* — тропарь на "Бог Господь", глас 6;
3. *Бог Господь* на 8 гласов;
4. *Возбранной воєводѣ* — кондак Пресвятой Богородице;
5. *Возшел еси во церковь* — стихира на вход в церковь архиерея;
6. *Да веселяться небесная* — тропарь на "Бог Господь", глас 3;
7. *Да познаєм братіс тайны силу* — стихира на постриг монахов;
8. *Днесъ благодать Св. Духа* — стихира на Вербное воскресенье, глас 6;
9. *Днесъ Христос восходит во град* — стихира на Вербное воскресенье, глас 2;
10. *Доме Єфратов* — подобен, глас 2;
11. *Достойно есть яко воистину* — на Литургии;



- 
- 
12. *Егда снизшел еси к смерти* — тропарь на "Бог Господь", глас 2;
  13. *Идеже осняет благодать* — стихира на собор Архистратига Михаила, глас 5;
  14. *Исповѣдайтесь Господеви* — полиелей;
  15. *Камени запечатану* — тропарь на "Бог Господь", глас 1;
  16. *Кая житейская пища* — стихира на похорон, глас 1;
  17. *На рѣцѣ Вавилонстей* — псалом в неделю Блудного сына;
  18. *Повелѣнноѣ тайно прием* — подобен, глас 8;
  19. *Премудрости на перси* — седален 8 гласу;
  20. *Пречистая Богородительнице* — припев;
  21. *Прийдите, людие* — стихира на Сочествоие Святого Духа;
  22. *Прийдите ублажим Иосифа* — стихира в Великую Субботу;
  23. *Раби, раби Господа* — полиелей;
  24. *Радуйся, обрадованная Мари€* — припев на Рождество Богородицы;
  25. *Раздруши еси крестом* — тропарь на "Бог Господь", глас 7;
  26. *С высоты снизшел еси* — тропарь на "Бог Господь", глас 8;



- 
- 
27. *Светлую воскресенія проповедь* — тропарь на "Бог Господь", глас 4;
  28. *Слава ти, Тройце* — припев;
  29. *Слави* — 1 глас;
  30. *Собезначальное слово Отцу* — тропарь на "Бог Господь", глас 5;
  31. *Тебе однющагося* — стихира в Великую Пятницу;
  32. *Учеником зрящим* — светилен на Вознесение Господне;
  33. *Хвалите имя Господне* — полиелей;
  34. *Царю небесный* — стихира на Сочествоие Святого Духа.

Сравнительное исследование источников позволило обозначить следующие особенности исполнительского репертуара украинской духовной музыки XVI–XVII и XVIII вв.

1. Основной репертуар болгарского распева вошел в Иrmолои Украины конца XVI–XVII вв. Именно на этот исторический период приходится процесс интенсивного усвоения болгарской церковной монодии украинскими певцами.

2. В XVIII в. из большого массива болгарского репертуара нотированными оказались лишь 57

песнопений (48 – в рукописных Ирмолях и 9 – в печатных).

Переписчики Ирмолов в Украине фиксировали неодинаковое количество песнопений болгарского распева: в одних рукописях содержатся единичные песнопения, а в других — десятки образцов. На частоту фиксации песнопений этого распева в Ирмолях XVIII в., очевидно, влияет и временной фактор. Наибольшим наполнением произведениями болгарского распева отмечаются Ирмолой именно первой трети XVIII в., а с течением времени их количество в рукописях постепенно уменьшается и к концу XVIII в. уже встречаются лишь единичные образцы. Среди рукописей, в которых фиксируется только один образец болгарского распева, наиболее популярными являются:

— стихира «Тебе однющагося» — ДА, 89 Л.; I, 7473; I, 7468; Универс. Ф.VIII. 21 М/183; Ф.228 оп. 1, од.зб. 35, №139;

— кондак «Взбранной воєводі» — I, 5389; I, 7463; I, 5586;

— стихира «Прийдіте ублажим Іосифа» — I, 3867;

— запевы на «Бог Господъ» на все 8 гласов — I, 2911; на отдельный глас — I, 5575 (4 глас), I, 5576

(4 глас), Ф.30, №20 (4 глас); или запевы вместе с тропарями на «Бог Господь» на 8 гласов — I, 5386; ДА 107 Л.

Наиболее распространенными песнопениями конца XVI–XVII вв. являются: «Тебе однюющагося», «Возбранной воеводы», «Прийдите, ублажим Иосифа» и «Прийдите, людие». Именно они (кроме последнего) были наиболее употребляемыми в певческой исполнительской практике и в течение всего XVIII века.

Такое популярное произведение XVII в. как, стихира в Цветное воскресенье «Днесъ благодать Св. Духа» в XVIII в. переходит в категорию редко употребляемых песнопений и фиксируется только два раза, а известный прокимен в Великую Субботу «Воскресни, Боже» болгарского распева и вовсе исчезает из обихода в рукописях.

Исследователь прот. И. Вознесенский в конце XIX в. в своем труде ”О церковном пении Православной Греко–Российской Церкви: большой и малый знаменный роспев” (Рига, 1890) отмечает: ”Сейчас в церковном использовании из болгарского распева известны лишь: II глас ”Бог Господь”, ”Благообразный Иосиф” и V глас ”Тебя одеющагося”, переведенные и в гармоническом виде. Менее

---

---

известные распевы гласов II и III. На II глас иногда исполняются: "Ныне силы небесные", и "Достойно есть", на III глас: кондак "Дева днесъ" и "Плотию изволению божию" [2, с.94].

Указанные И. Вознесенским популярные в исполнительской практике конца XIX в. песнопения «Ныне силы небесные» и «Плотию почил», до сих пор не найдены среди сохранившихся рукописей кон. XVI – XVIII вв. Этот факт является еще одним подтверждением того, что исследованный корпус песнопений болгарского распева в украинской духовной музыке до сих пор еще не является исчерпывающим.

В ходе исследований был найден кондак «Дева днесъ» (ДА П.351; I, 5457), зафиксированный без атрибуции. Для выявления принадлежности этого песнопения к болгарскому распеву помогла известная версия в трактовке Д.С. Бортнянского для четырехголосного смешанного хора, для которой композитор взял за основу мелодию болгарского распева. Детальный анализ этого произведения и его сопоставление с кондаком знаменного и греческого распевов осуществлены музыковедом В. Протопоповым [16].

О большой популярности цикла песнопений на «Бог Господь» и кондака «Взбранной воеводе» свидетельствует не только наибольшая частота их фиксации. Встречаются и такие случаи, когда в произведении выписан не весь словесный текст, а только начальные буквы, либо только первое слово этого песнопения. Как, например, в Ирмолое I, 5396 в цикле песнопений на «Бог Господь» на 8 гласов, где изложены запевы, тропари и Богородичные тропари (стр. 200 зв. — 207 зв.). В этой же рукописи кондак «Взбранной воеводе» (стр. 210 зв.) записан не до конца. Очевидно, переписчики рукописей учитывали такое чрезвычайно глубокое проникновение этих песнопений в украинский церковно-певческий исполнительский репертуар, и поэтому не считали целесообразным тщательно выписывать уже хорошо известный материал. Видимо, по этой же причине в Ирмолях XVIII в. среди песнопений болгарского распева, которые зафиксированы без атрибуции или с атрибуцией "иного распева" чаще всего встречаются именно «Тебя одеющагося», «Прийдите ублажим Иосифа», кондак «Взбранной воеводе» и цикл песнопений на «Бог Господь». Как исключение, встречается неатрибутированным и редко



употребляемый в рукописях светилен «Учеником зрящим тя вознесен».

Таким образом, последовательное сравнительное рассмотрение исполнительского репертуара в Ирмолях кон. XVI – XVIII вв. дает возможность определить текстовые доминанты различных исторических эпох, проследить эволюционный ракурс бытования болгарского распева в украинской церковно-певческой исполнительской традиции в течение длительного периода.

#### **Список использованной литературы:**

1. Вознесенский И. Осмогласные роспѣвы трѣхъ послѣднихъ вѣковъ православной русской церкви. Т.2. Болгарский роспѣвъ или напѣвы на ”Бог Господь” Юго-Западной Православной Церкви. (Техническое пособие). — К., 1891.
2. Вознесенский И. О церковном пении Православной Греко-Российской Церкви: Большой и малый знаменный роспев. — Рига, 1890. — С. 94.
3. Динев П. За самобытноста на ”болгарский роспев” // Българска музика. — 1963. — №3.
4. Конотоп А. Болгарский распев в невменных партитурах XVII в. // Втори международен конгрес

по българистика. Доклади. Театър и кино. Музика.  
— София, 1987.

5. Конотоп А. Особенности атрибуции болгарского и других местных распевов в практике украинского певческого искусства XVI – XVII веков / Българско музикознание. — Година VI., Книга 1. — София, 1982. — с. 95–102.
6. Корній Л.П. Болгарський наспів в співочій практиці України XVI–XVII ст. — Канд. дисертація. — К., 1980.
7. Корній Л.П., Дубровіна Л.А. Болгарський наспів з рукописних нотолінійних Ірмолоїв України. — К., 1998.
8. Корний Л.Ф. Болгарский напев в манявских рукописях XVII–XVIII ст. // Единение народов — единение культур: Украинско–болгарские культурные связи: История и современность / К X Международному съезду славистов. — К.: Наукова думка, 1987. — С. 37–60;
9. Корній Л.П. Деякі методологічні проблеми дослідження давньої української музичної культури в міжнаціональних зв’язках // Науковий вісник НМАУ. — Вип. 36., Кн. 1. Українська та світова музична культура: сучасний погляд: Зб. статей. — К., 2005. — С. 33–42.

- 
- 
10. Корній Л.П. До питання методології дослідження українсько–болгарських музичних взаємозв'язків // Українське музикознавство. Вип. 11., — К., 1976. — С. 81–92;
  11. Корній Л.П. До питання про українсько–болгарські музичні зв'язки. (“Болгарський” розспів у рукописах України кін. XVI– XVII ст.) // Українське музикознавство. — 1975., Вип. 10. — С. 122–127;
  12. Корній Л.П. Українсько–болгарські музичні зв'язки XVI– XVII ст. у галузі церковної монодії // Науковий вісник НМАУ. Вип. 15. Православна монодія: її богословська, літургічна та естетична сутність. До 2000–ліття християнської доби. — К., 2001. — С. 52–57;
  13. Криштев В. Пути развития болгарской музыкальной культуры в период XII – XVIII ст. // *Musica antiqua europae orientalis* — Bydgoszcz, 1966.
  14. Криштев В. Очерки върху развитието на българския музика. — София, 1954.
  15. Петров С. Очерци по история на българската музикална култура — т.1. — София, 1959.
  16. Протопопов В. Песнопения праздника Рождества Христова. // Музикальная академия. 2001. №1. — С. 1–8.

- 
- 
- 6
17. Скребков С.С. Російська хорова музика XVII поч.  
XVIII ст. Нариси. — М., 1969.
  18. Тончева Е. Взаимоотношения между българского,  
сръбского и византийского источнo-православно  
песне от XVII–XIX вв. / Болгарска музика. — 1973,  
№4.
  19. Тончева Е. Характеристика осмогласия / Проблеми  
на старата българска музика.— София, 1975. — с.  
141-147.
  20. Успенский Н.Д. Древнерусское певческое  
искусство. М., 1971.
  21. Цалай–Якименко О. Київська школа музики XVII  
століття. Наукове товариство імені Шевченка.  
Українознавча бібліотека НТШ. Число 16. — Київ–  
Львів–Полтава, 2002. — С. 174.

*Olga Putiatytska (Ukraine)*

**Features of performing repertoire of old Ukrainian  
Church monody in Irmoloy in the XVI – XVIII  
centuries: Source studies aspect**

Ukrainian Church monody in the end of the XVI and beginning of the XVII centuries was experiencing an incredible climax. From the second half of the XVII –



XVIII cc Ukrainian sacred polyphonic music reached the greatest prosperity, which at that time was not inferior to the music of West European Baroque with its high artistic level. But in parallel with partes singing in Church–unisono singing tradition continued steadily to prevail.

Among the Psalms which are recorded in notolining manuscript sources of this period, Irmoloy we often encounter chants with "Bulgarian" attribution. The work will exploit the method of comparative analysis to illuminate the question of the performing repertoire of the Bulgarian tune in Ukrainian Church singing tradition over a long period of time from the end of the XVI century until XVIII century.

In the study of handwritten canticles of Bulgarian tune the following sources were used: 120 manuscripts from XVIII century and 5 printed Irmoloy stored in the libraries of Kiev; hymns, collected from 21 of Irmoloy in the end of the XVI–XVII centuries published in the collection of L. Korniy "Bulgarian chant from manuscript notolining Irmoloy of Ukraine".

Church–singing practice in Ukraine in late XVI–XVII centuries contained the basic repertoire of Bulgarian tune with its rich genre palette. Among them were: canticles for various holidays, hymns from the Liturgy, the communicants, polyeleos, the osmoglasie, the choruses of

the feasts of the Lord and the Theotokos, troparia Sunday, Trinity songs, canons, kondak, the odes. Overall, the repertory of Bulgarian tune in that period had about 211 chants (according to the edition of L. Korniy). In the XVIII century the situation of the Bulgarian tune in Ukrainian Church singing performance practice changed dramatically. Well-known Irmoloy of the XVIII century consists of several cycles. However, "Bog Gospod" in 8 echos is the only full cycle there.

A comparative study of the sources has allowed us to identify the following features of the performing repertoire of the Ukrainian sacred music of XVI–XVII and XVIII centuries.

1. The basic repertoire of Bulgarian tune entered Irmoloy in Ukraine in late XVI–XVII centuries. This historical period is the intensive process of assimilation of the Ukrainian singers by Bulgarian Church monody.
2. In the XVIII century from a large array of Bulgarian repertoire only 57 songs (48 – in handwritten Irmoloy and 9 in print) were recorded.

The most common chants of the end of the XVI–XVII centuries were: "Tebeodeyuschagosya", "Vozbrannoj voevode", "Prijdite, ublazim Iosifa" and "Prijdite, lyudie". They (except the last) were mainly used in vocal performance practice during the XVIII century.



Thus, consistent comparative discussion of the performing repertoire in Irmoloy of the end of XVI – XVIII centuries allows us to determine the dominant text of different historical periods and to trace the evolutionary perspective of the existence of the Bulgarian tune in Ukrainian Church singing performance traditions over a long time period.

## ბაია ქუქუნაძე (საქართველო)

### მესხური მუსიკალური ტრადიციების შენარჩუნების საპითხისათვის

„ისტორია შედევრების გამოფენაა” – ეს გამონათქვამი კარლ დალპაუზს ეკუთვნის და ის ნათლად ასახავს იმ მაქსიმალისტურ მიღომას, რომელიც არც XXI საუკუნის პელევებში კარგავს აქტუალობას. როდესაც ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე მსჯელობენ, აქცენტი, ძირითადად, მრავალხმიანობასა და მის ურთულესი ფორმებზე კეთდება. მაგრამ რა ვუყოთ იმ მემკვიდრეობას, რომელიც „რელიეფისა და ფონის“ დუალობაში – ფონის ფუნქციამდე დავიდა?

რამდენადაც ქართულ ტრადიციულ მუსიკაში მრავალხმიანობა რელიეფურ, ხოლო მონოფონურობის გამოვლინებები მეორე პლანის მოვლენადაა მიჩნეული, უკანასკნელისადმი ინტერესი სამეცნიერო და საშემსრულებლო წრეებში მეტად მცირეა. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მტკიცნეული ისტორიული პროცესების შედეგად საქართველოს არა ერთ კუთხეში (ვგულისხმობ ისტორიული საქართველოს ტერიტორიებს) საქმე გვაქვს მრავალხმიანი მუსიკალური პრაქტიკის

წყვეტასთან. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატულება მესხური მუსიკალური დიალექტია.

ი. ჟორდანია მიუთითებს, რომ მრავალხმიანობის გაქრობა კვლევის ისეთივე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც მისი გაჩენა; და თუ XX საუკუნის ტენდენციებით ვიმსჯელებთ. უპირატესობა პირველის მხარესაა (Jordania, 2006: 201). „ჩვევას ან შესაძლებლობას ადამიანი, . . . როგორც საზოგადოების წევრი იძენს” - წერს ტაილორი და, ალბათ კარგავს, როგორც ამავე საზოგადოების წევრი. პულტურის უწყვეტობის იდეალისტური ხედვის მიღმა, ხშირად ვხდებით შემდეგ მოვლენას: პრაქტიკა ან არტეფაქტი, რომელიც მიღებული იყო როგორც კულტურის ნაწილი, თავის ფუნქციას კარგავს და ქრობად მხატვრულ მოვლენად ტრანსფორმირდება, რაც მის მაქსიმალურ შემცირებას ან საბოლოო გაქრობას იწვევს (ნეტლი, 2015:205-214). მესხურ მუსიკალურ დიალექტში სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

**მუსიკის ქრისტიანული და ისლამური კონცეფციები.** თუ ერთმანეთს ორ მუსიკალურ რეალობას შევუპირისპირებთ – მუსიკა ქრისტიანულ

და ისლამურ მესხეთში – რადიკალურად განსხვავებულ მოცემულობას მივიღებთ. აქ არა მხოლოდ მუსიკალური აზროვნების ორი ფორმის – მრავალხმიანობისა და მონოდიურობის ინტერპულტურულ გადაკვთასთან, არამედ მუსიკის ორ თვისობრივად განსხვავებული კონცეფციის შეპირისპირებასთან გვაქვს საქმე.

ფრანგი ანთროპოლოგის – ლუი დიუმონის მიერ შემუშავებული დირებულებებისა და მათ მიერ წარმოებული კულტურული ელემენტების სტრუქტურული იერარქიის კონცეფციის თანახმად, კულტურის რადიკალური ცვლილება ხდება მაშინ, როცა ახალი დირებულებები ან დირებულებების ახლებური გადაფასება ქმნის კულტურული ელემენტების ახალ განლაგებას. მართალია, ზოგიერთი ამ ელემენტთაგანი ტრადიციულია, მაგრამ იერარქიაში არც ერთ მათგანს აღარ უჭირავს ის ადგილი, რაც მანამდე ჰქონდა (Robbins, 2008:85). ჩემი აზრით, მესხეთის ისლამური მემკვიდრეობის დიუმონისეული კონცეფციით კვლევა შესაძლებელს გახდის ჩვენთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემას.

**რა დროიდან ქრება მრავალხმიანობა მესხეთში?** მაღრაძის მიერ გამოკითხული ექვსი

სოფლის 18 უხუცესი ადასტურებს 1890-1920-იანი წლების ჩათვლით მესხეთში ორ და სამხმიანობის არსებობას. მის მიერ დაფიქსირებული აუდიო მასალის უდიდეს ნაწილი მონოფონური სიმღერებია. მრავალ სმიანობა აქ მხოლოდ მცირედი ნარჩენებითაა წარმოდგენილი. ამ ნარჩენებში ბანი მინიმალური სახით, ზედა ხმა კი მასთან შედარებით სშირად გვხდება.

მესხური სასიმღერო ფოლკლორის სიტყვიერი ტექსტების პირველ შემკრებ ივანე გვარამაძის გარდა, მისი სხვა თანამედროვეებიც მიუთითებენ, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული მესხეთში ტრადიციული სიმღერის შესრულება ძალზე გაიშვიათებული ყოფილა (ფრონელი, 1991: ყაზბეგი, 1995).

**XX საუკუნის მეორე ნახევრი.** როდესაც საუბარი ამ პერიოდს ეხება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ორ პიროვნებას უნდა მივაკუთნოთ – შოთა ალთუნაშვილს, როგორც მესხეთში მოღვაწე ერთადერთ პროფესიონალ ლოტბარს და ვალერიან მაღრაძეს – მესხური მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარ-შემკრებელს. თუმცა, როგორც ცნობილია, მაღრაძემდე ამ კუთხეში თრი მოსინჯვითი ხასიათის ექსპედიცია ჩატარდა

(1930 წელს შალვა მშველიძის, 1949 წელს კი – გრიგოლ ჩხილაძის ხელმძღვანელობით).

1961 წლიდან მოყოლებული 1983 წლის ჩათვლით ვალერიან მაღრაძის ხელმძღვანელობით მესხეთში 11 ექსპედიცია მოეწყო, რომელშიც ადგილობრივი მუსიკოსები და ეთნოგრაფებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამ ექსპედიციებში და, ზოგადად, მესხეთის საშემსრულებლო ცხოვრებაში განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს შოთა ალთუნაშვილის როლი. ის 1955 წელს, თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიქორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ ახალციხეში გაანაწილეს. ამ კუთხეში მისი მოღვაწეობა 50 წელს მოიცავს.

2005 წელს მქონდა საშუალება, გყოფილიყავი იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ტმკსც-ს მიერ მესხეთში მოწყობილი ექსპედიციის წევრი. ამ ექსპედიციის ფარგლებში თინათინ უვანიამ ალთუნაშვილთან ბოლო ინტერვიუ ჩაწერა (ბატონი შოთა სწორედ 2005 წელს გარდაიცვალა). კითხვაზე – რითი გამოარჩევდა მესხურ სიმღერებს სხვა კუთხის სიმღერებისგან? ალთუნაშვილი პასუხობს: „მეორე-მესამე ხმა, მაინც გვიანაა „მიკერებული“, აღდგენილი. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება ოროველებს, გუთნურებს, რომლებიც

ისედაც ერთ ხმაში სრულდება” (ტმკსც-ს ბიუ-  
ლებენი N.5, 2005:23).

როგორც ვხედავთ, ალთუნაშვილი თავადვე  
აღნიშნავს, რომ მეორე-მესამე ხმა „მიკერებული“  
ანუ დამატებულია. ეს დამატება ძირითადად ეხე-  
ბა ბანს და ზედა ხმას. ალთუნაშვილი აქვე მიუ-  
თითებს იმ თავისებურებაზე, რაც მაღრაძის  
მთელ რიგ ჩანაწერებშიც იჩენს თავს – შემსრუ-  
ლებელი ხშირად ჯერ ქვედა ტესიტურაში იწ-  
ყებს სიმდერას, შემდეგ კი ზედა ტესიტურაში  
გადადის. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ის სავა-  
რაუდოდ ერთდროულად ორივე – შუა და ზედა  
ხმის პარტიებს ასრულებს. თუმცა აქ შემსრუ-  
ლებლის მხრიდან ხმების გააზრებულ ფუნქციურ  
განსხვავებაზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებთ.

### **მესხური ხალხური სიმდერის ხელახლი გამრავალხმიანება.**

XVI საუკუნიდან ამ კუთხის მოსახლეობის  
ისლამიზაციამ მესხურ მუსიკალურ დიალექტში  
მრავალხმიანობა ერთხმიანობით ჩაანაცვლა. ამ  
ცვლილებას თავის იდეოლოგიური და დირექტუ-  
ლებითი საფუძველი გააჩნდა, რაზეც, რეგლამენ-

ტიდან გამომდინარე, ახლა არ შევჩერდები. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რეგიონის პოლიტიკურ-კულტურული რეალობა უფრო დამძიმდა. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ 1944 წ. ეს ტერიტორია მაჰმადიანი მოსახლეობისაგან ერთ დამეში გაიწმინდა, რადგან მისთვის ყველაფერი ის, რაც ოსმალურ გავლენას უკავშირდებოდა, ანტისაბჭოთა კონტექსტის მატარებელი იყო. საზღვრისპირა რეგიონში ეს აქცია, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის პოლიტიკური და კულტურული საზღვრის გამიჯვნისაკენ იყო მიმართული.

მოგვიანებით, სახელმწიფოს იდეოლოგიური და ეროვნული ინტერესების თანხვედრამ ხელი შუწყო მესხებში წინაპრების ტრადიციული მუსიკალურ-კულტურული დირებულებების აღორძინებისაკენ სწრაფვას. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება მესხური სიმღერების ხელახალი გამრავალებიანება. ამგვარი პარალელი შეგვიძლია მოვქებნოთ ლაზურ დიალექტშიც. საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარე სოფელ სარფის ქართულ ნაწილში მცხოვრები ლაზების სიმღერები, რომლებიც დღეს სამ ხმაში იმღერება, XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნამდე ასევე ერთხმიანი იყო. მათი გამრავალებიანება აჭა-

რელი მუსიკის მასწავლებლების მოღვაწეობის შედეგია (კრავეიშვილი, 2015:307-325).

მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი მესხეთშიც. შოთა ალთუნაშვილმა ჩვენთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ მისი ხელმძღვანელობით 60-70 წლებში ამ რეგიონის გუნდები სისტემატიურად იღებდნენ მონაწილეობას რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, სადაც წარმოდგენილი რეპერტუარი ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებით უნდა შერჩეულიყო (გმქსც-ს ექსპედიცია, 2005). აქედან გამომდინარე გაჩნდა მონოფონური ვარიანტების ხელახლი გამრავალხმიანების საჭიროებაც (აუდიომაგ. 1, 1ა).

რაც შეეხება ვალერიან მაღრაძეს, მისი გამრავალხმიანების სფეროში საქმიანობა უფრო სამეცნიერო ინტერესებს ეფუძნებოდა და მხოლოდ შემდეგ მათ პრაქტიკულ რეალიზებას.

მაღრაძე –ალთუნაშვილის გადამუშავებებში წარმოდგენილი რეზიტაციული ბურდონი, შუა და ზედა ხმას შორის ტერციული კორდინაცია ამ ნიმუშებს ქართლ-კახურ დიალექტთან აკავშირებს. ზოგადად არაერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მესხური მელოდიკა მთელი რიგი მახასიათებლებით მსგავსებას ამჟღავნებს ქართლ-

კახურთან. სავარაუდოდ, ამ ორ დიალექტს შორის კავშირები მრავალხმიანობის ტიპებშიც უნდა ყოფილიყო ასახული. მართალია, მესხი უხუცესების ჩანაწერები მრავალხმიანობის რომელიმე კონკრეტული ტიპის შესახებ ფაქტობრივ ცოდნას ვერ გვაძლევს, მაგრამ თავიანთ გადამუშავებებში მაღრაძე – ალთუნაშვილმა არჩევანი სწორედ რეჩიტაციულ ბურდონზე შეაჩერეს. ქართლ-კახურის გავლენა თავს იჩენს გამრავალხმიანებული ნიმუშების შესრულების მანერაშიც.

**მესხური ტრადიციული სიმღერის თანამედროვე საშემსრულებლო პრობლემები.**

დღევანდელი მესხეთის სასიმღერო პრაქტიკაში სამი პლასტი გამოიყოფა.

1. ტრადიციულად ქცეული მონოფონური სიმღერები, რომლის მატარებელიცაა მაგალითად: მესხური ტრადიციების ცოცხალ ენციკლოპედიად აღიარებული ეთნოფორი – მარიამ ქუჭუნაძე (მარო ბაბო).

2.XX საუკუნის 60-80-იან წლებში გამრავალხმიანებული ნიმუშები (ალთუნაშვილი-მაღრაძის

მუსიკალური მემკვიდრეობა), რომლებსაც ასრულებენ რეგიონალური ანსამბლები.

3.ყოფაში გავრცელებული რეპერტუარი, რომელიც XX საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე ძირითადად აღმოსავლური ჰანგებით იყო წარმოდგენილი. ამჟამინდელ მესხეთში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სალხინო თავურილობებზე საყოველთაოდ გავრცელებული თანამედროვე ტიპის სიმღერები სრულდება, რომელთაც თანხლებას ან დოლ-გარმონი ან კლავიშებიანი ელექტრო საკრავი უწევს.

რაც შეეხება თბილისურ ანსამბლებს, მესხური სასიმღერო რეპერტუარი აქ მინიმალური სახითაა წარმოდგენილი. ამ ანსამბლებში მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგების მიერ გამრავალებიანებულ ვარიანტებში შეინიშნება მუსიკალური ტექსტისადმი მაქსიმალურად ფრთხილი მიღვომა, თუმცა, ბუნებრივია, საავტორო ელემენტებს ეს ნიმუშებიც შეიცავს (აუდიომაგ. 2).

უნდა აღინიშნოს, რომ მონოფონური სახით შემორჩენილი მესხური სიმღერა გამრავალებიანების გარეშე სცენაზე ფაქტობრივად არ სრულდება, რაც მეტ წილად სასცენო ესთეტიკის მოხსოვნებითაა ნაკარნახევი. თანამედროვე საშემსრულებლო პრაქტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა

ვერც ამ კუთხის ცალფა შრომის სიმღერებმა, რომლებიც უდაოდ იმსახურებენ შემსრულებელთა მხრიდან მეტ ინტერესს.

**რა პერსპექტივა აქვს საარქივო ჩანაწერებში დაცულ მონოფონურ ნიმუშებს?**

ბალკანეთის ქვეყნების გამოცდილებას თუ გავიზიარებთ, რომლებმაც საქართველოზე უფრო ხანგრძლივი ოსმალთა ბატონობის ხანა გამოიარეს, ამ ქვეყნების მთელი რიგი რეგიონების ყოფაში დღესაც ცოცხალი სახით ვხდებით მონოფონური ტიპის სიმღერებს, რომელთა ინტონაციურ წყობაში აშკარად შეინიშნება აღმოსავლური გავლენა. ამ რეპერტუარს სასცენო ცხოვრებაშიც აქვს საკუთარი ადგილი (ვიდეომაგ. 1).

სასცენო ესთეტიკა გვერდით რომ გადავდოთ, მონოფონური სიმღერის შესრულებისას უნისონურობის პრობლემის წინაშე ვდგებით, რაც მრავალხმიან ნიმუშებზე აღზრდილი ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლისთვის ტექნიკურზე მეტად, მენტალურადაა რომელი დასაძლევი. ხაზს ვუსვამ, სწორედაც რომ მენტალურად ვფიქრობ, ზემოთ განხილულ სხვა დანარჩენთან ერთად ეს კოგნიტური შეუთავსებ-

ლობაცაა იმის მიზეზი, რომ მონოფონური ხალხური სიმღერების უნისონურ შესრულებას ქართულ სასცენო პრაქტიკაში არ ვხდებით.

ჩემი მსჯელობის დასასრულს ისევ დალპაუზის სიტყვებს დაგუბრუნდები. თუ სცენა „შეღვარების გამოფენაა“, მაშინ მსმენელი გამოფენაზე მოსული კოლექციონერია, რომელსაც გასაყიდლოტად დაზიანებულ ექსპონატს ვერ შევთავაზებთ. მაშ რა ბედი აქვს გასაყიდად გამოუსადვებარ ნიმუშს? როგორც წესი, ის საარქივო მემკვიდრეობა ხდება, რომლის მიმართაც მხოლოდ მუცნიერები იჩენენ ინტერესს. თუკი გვსურს, რომ მესხური ხალხური სიმღერა საარქივოდან „გასაყიდ ლოტად“ ვაქციოთ, მან უცილობლად რესტარატორის ხელში უნდა გაიაროს? ეს გზა ეწინააღმდეგება ეთნომუსიკოლოგთა მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ავთენტურობის ცნებას. მეორე მხრივ კი, ზემცოვსკის ასევე ძალიან ცნობილი ფრაზა „ფოლკლორი მიდის, ფოლკორიზმი მოდის“ ამ ტიპის „ლოტებს“ გადარჩენის გზას უსახავს. ერთი რამ ფაქტია, რომელი გზაც არ უნდა ავირჩიოთ, ამგვარ ნიმუშებს არქივში კი არა „გამოფენაზე“ უნდა მოვუძებნოთ თავისი ნიშა.

მოხსენების მასშტაბებიდან გამომდინარე ჩემი მსჯელობის დასრულება აქ მომიწევს. ვიმე-დოვნებ, დროის ამ მცირე მონაკვეთში შევძელი წარმომეჩინა ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რა-საც „რელიეფი-ფონის“ დუალობაში „ფონად ქცე-ული“ კონტექსტი ინახავს. ინტერკულტურული გადაპერების თვალთახედვიდან მესხური ტრა-დიციული მუსიკა კვლევის მეტად საინტერესო ობიექტია, რომელიც უდავოდ იმსახურებს სათა-ნადო შესწავლა-პოპულარიზაციას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კრავეიშვილი გ. „მრავალ ხმიანობა საზ-ლვარგარეთ მცხოვრები ჩვენებურების მუ-სიკალურ ფოლკლორში. ქართულ და ინ-გლისურ ენებზე. კრებულში: წურწუმია, რუ-სუდან; ჟორდანია, იოსებ (რედ.). ტრადიციუ-ლი მრავალ ხმიანობის მეშვიდე საერთაშორი-სო სიმპოზიუმი. თბ., 2015.
2. ნეტლი ბ. „მრავალ ხმიანობა საზღვარგა-რეთ მცხოვრები ჩვენებურების მუსიკა-ლურ ფოლკლორში. ქართულ და ინგლი-სურ ენებზე. კრებულში: წურწუმია, რუსუდან; ჟორდანია, იოსებ (რედ.). ტრადიციული მრა-

ვალხმიანობის მეშვიდე საერთაშორისო სიმ-  
პოზიუმი. თბ., 2015.

3. ევანია თ., ინტერვიუ შოთა ალოუნაშვილთან.  
ტმკსც-ს ბიულეტენი N.5. გვ.21-23. თბ., 2006.
4. ფრონელი (ყიფშიძე), ალ., დიდებული მესხე-  
თი. თბ., 1991
5. ყაზბეგი, გ., სამი თვე თურქეთის საქართვე-  
ლოში. ბათ., 1995
6. Jordania, J., Who ask the first question? The origins of  
human choral singing, intelligence, language and  
speech. Tbilisi: 2006.
7. Robbins, J., Conversion, Hierarchy, and Cultural  
Change. (65-88). Hierarchy: Persistence and  
Transformation in Social Formations. K.rio and  
O.Smedal (eds.) Berghahn Books, 2008.

**აუდიომაგალითები:**

1. ავთანდილ გადინადირა – ვალერიან მაღრა-  
ძის საარქივო ჩანაწერები. 60-70 წლები.
2. ავთანდილ გადინადირა – ანსამბლი “ტაო”
3. ავთანდილ გადინადირა – ანსამბლი “ერულა”



### **ვიდეომაგალითები:**

1. ღონისა მარამურეშიძიან (18.09.2015)

<https://www.youtube.com/watch?v=8ISaYYzHp00&list=PL110CEB1079B8D882&index=20>

*Baia Zhuzhunadze (Georgia)*

### **Preservation of Meskhetian Musical Tradition**

Over the grave historical processes in Georgia, polyphonic practice was discontinued in several provinces (historical territories of Georgia are meant here). One of the most evident expressions of this is Meskhetian musical dialect.

In their conversation with Valerian Maghradze 18 elderly people from 6 villages confirmed the existence of two- and three-part songs in Meskheti until the 1890s-1920s. The biggest portion of the audio material is monophonic songs. However, the traces of polyphonic singing are obvious in them.

Due to the islamization of local population from the 16<sup>th</sup> century polyphony was replaced by monophony in



Meskhetian musical dialect. Three layers can be distinguished in contemporary singing practice of Meskheti: I – former polyphonic songs transformed into monophonic ones. This layer is presented by the ethnophor Mariam Zhuzhunadze (Maro Babo) – recognized as a live encyclopedia. II -polyphonized examples (those of Altunashvili and Maghradze) of the 1960s-1980s performed by regional ensambles. III – the repertoire of everyday life, basically presented with oriental tunes until the last decade of the 20<sup>th</sup> century. Nowadays in Meskheti, like in other provinces of Georgia, modern type songs accompanied by traditional musical instruments: *doli*, *garmoni* and electric piano are performed at festive gatherings.

As far as the layers of Meskhetian songs have not been classified until now, this paper is the first attempt to raise this issue.

## თეონა რუხაძე (საქართველო)

### შიბონის შემსრულებლობის საგითხები

გიგი გარაფანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის IX საერთაშორისო ფესტივალის სამეცნიერო სესიაზე, ჩემი მოხსენების თემა იყო ჩასაბერი საკრავი გუდასტვირი და მისი ტრადიცია აჭარაში. საკითხთა ფართო წრიდან გამომდინარე მოხსენება ზოგად ხასიათს ატარებდა. გასულ წელს დაწყებულ კვლევას ამჯერადაც ვაგრძელებ. კონფერენციის თემატიკის გათვალისწინებით წინამდებარე პუბლიკაცია ჭიბონის შემსრულებლობის რამდენიმე კონკრეტულ საკითხს შეეხება. ეს საკითხებია: მეჭიბონეთა საშემსრულებლო სტილი, მანერა, რეპერტუარი, საკრავის გამოყენების ფორმები ტრადიციულ ყოფასა და სასცენო ფოლკლორში.

აჭარული ჭიბონის პირველი ხმოვანი ჩანაწერები შალვა მშველიძეს ეკუთვნის და 1931 წლით თარიღდება<sup>33</sup>. დასაკრავებს ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში მცხოვრები, 62 წლის ედგვემ სურ-

<sup>33</sup> იხ. კომპაქტური დისკი – ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან (2007), შალვა მშველიძის კოლექცია. აჭარა (1931).

მანიძე, მეტსახელად ქოჩახელა ასრულებს.იგი სამი წლის შემდეგ ალექსანდრე ფარცხალაძესაც ჩაუწერია<sup>34</sup>. ისტორიულად ხულოს რაიონი მეჭიბონეობის ტრადიციით ძალზე მდიდარია, მაგრამ, როგორც ჩანს, თითქმის საუკუნის წინანდელი აუდიოჩანაწერებიდან, ამ ეტაპზე ჩემთვის ცნობილმა არქივებმა მხოლოდ ქოჩახელასეული დასაკრავები შემოინახეს. თუმცა, ხსოვნა ამ რაიონის არაერთი სახელოვანი მეჭიბონის შესახებ, აჭარაში დღემდე ცოცხალია. მაგალითად, ხიხაძირული ხორუმის საუკეთესო შემსრულებლად აქაურები მეხდიალ გორგაძეს ასახელებენ<sup>35</sup>, განსაკუთრებული საჭიბონე დასამღერებლებით ყოფილან ცნობილი ხოფელ ღურტაში მცხოვრები სელიმ გელაძე და მემედ ხოზრევანიძე, დაკვრის სტილით ასევე გამოირჩეოდნენ ბოძაურელი მირზა შანთაძე, რიყეთელი რამიზ გორგაძე<sup>36</sup> (მსხალაძე, 1969:13,30,42-45), კვატიელი ისა ბერიძე<sup>37</sup> და

<sup>34</sup> იხ. კომპაქტური დისკი – ხმები წარსულიდან. ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან (2008), ალექსანდრე ფარცხალაძის კოლექცია. აჭარა (1933).

<sup>35</sup> ცნობა მომაწოდეს ანსამბლ „ბერმუხას“ ხელმძღვანელებმა იაშა ხალვაშმა და გივი გაბაიძემ 2014 წელს.

<sup>36</sup> 2014 წელს აჭარაში ექსპედიციისას შევხვდი მათ შთამომავლებს.

<sup>37</sup> 85 წლის ისა ბერიძეს პირადად ვესაუბრე, 2014 წელს.

სხვ. თუმცა, ხალხის მეხსიერებაში ქოჩახელა მაინც დარჩა ამ კუთხის მთავარ და ერთ-ერთ ყველაზე უნიკალურ შემსრულებლად.

ე. სურმანიძის რეპერტუარი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი დასაკრავებისგან შედგება. მისეული „ყოლსამას“, „ხორონისა“ თუ „ქურთბარის“ ყოველი ახალი შესრულება ვარიანტულად განსხვავებულია. ეს ზეპირი ტრადიციის სამყაროში მოაზროვნე შემოქმედისათვის საჭებით ბუნებრივია. იმპროვიზაციის ამ უნარით ქოჩახელა ნამდვილი ხალხური მთქმელის ადგილს იმკვიდრებს ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებლობაში. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას აჭარის სხვა რაიონებში წარსულში და დღეს მოღვაწე მეჭიბონეებზეც.

საჭიბონე რეპერტუარის განხილვისას, არ შეიძლება არ აღინიშნოს, მასში დამკვიდრებული აღმოსავლური წარმოშობის დასაკრავების არსებობა. მაგალითად: „ყარაბაღი“, „ქურთბარი“, „თამზარა“, „ბაღდადური“ და სხვ. ამგვარი ნიმუშები სურმანიძის რეპერტუარში სოლიდურ ადგილს იკავებს. ჩემი აზრით, აღმოსავლური მუსიკის გავლენა ზოგჯერ არა მხოლოდ სპეციფიკურ მელოდიკაში, არამედ მისი დაკვრის მანერაშიც იგრძნობა, რაც უპირველეს ყოვლისა ჭარბ

მელიზმატიკაში გამოიხატება. თუმცა, შესრულების ამგვარ ხერხს ქოჩახელა ყოველთვის როდი მიმართავს. მისეული მელოდიები ზოგჯერ გაცილებით სადაა. როგორც ჩანს მეჭიბონის ცნობიერებაში არსებობდა ერთგვარი ზღვარი ორ მუსიკალურ ენას შორის. იგი სურვილისა თუ საჭიროების შესაბამისად იყენებდა გადმოცემის განსხვავებულ ხერხებს.

კიდევ ერთი თავისებურება, რომელსაც შეიძლება სურმანიძის ინდივიდუალური სტილის ნიშანი დაგარქვათ, არის მისი ერთობ უცნაური დამოკიდებულება ბანის ბგერებთან. ზოგ შემთხვევაში, იგი საკრავის მთელ დიაპაზონს – როგორც ბანის, ისე ყივანის (მაღალი ხმის) ბგერებს – ძირითადი მელოდიის გადმოსაცემად იყენებს. ასეთ დროს საყრდენი ფუნქციის მქონე ხმა თითქოს მეორე პლანზე გადადის. ამის ნათელი მაგალითია მისი ერთ-ერთი ცნობილი დასაკრავი, რომელსაც ზოგჯერ „ქოჩახელასაც“ უწოდებენ.<sup>38</sup> დასაწყისში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ბანი ეპიზოდურად ჩნდება. საინტერესოა რომ ამავე დასაკრავის ბოლო ნაწილში, განდაგანას

<sup>38</sup> დასაკრავი მომაწოდა ლევან ვეშაპიძემ, ინახება მის პირდა არქივში, გაციფრებულია ძველი ფირფიტიდან. სახელწოდება და გამოცემის წელი უცნობია.

მელოდიის შესრულებისას ეს ხმა მის ფუნქციას ხან იძრუნებს, ხან კვლავ კარგავს. მსგავსი რამ სხვა აჭარელ მეჭიბონეთა შესრულებაში არ გვხვდება. პირიქით, ჩემთვის ცნობილ ყველა შემთხვევაში ბანი ძირითადი მელოდიის საყრდენია.

როგორც ცნობილია, ჭიბონზე თავისუფლადაა შესაძლებელი ორხმიანი ფაქტურის მქონე ნიმუშების შესრულება. თუმცა, საკრავის შესაძლებლობები ამით არ შემოიფარგლება. მასზე სამხმიანი ვერტიკალების აუდირებაც არ არის იშვიათი. ამაში ადვილად ვრწმუნდებით აჭარული ჭიბონის კიდევ ერთი დიდოსტატის – ვასო ირემაძის მოსმენისას.

რა შეიძლება ვთქვათ ამ თვალსაზრისით ქოჩახელას შესრულებაზე? მის დასაკრავებში სამხმიანობის შთაბეჭდილება იშვიათად, ისიც მელოდიური ფიგურაციების ხარჯზე იქმნება. ეს გარემოება შესაძლოა გარკვეულწილად ხულოს სასიმღერო ტრადიციასაც უკავშირდებოდეს. მიუხედავად სამხმიანი სიმღერების (მათ შორის საკმაოდ საინტერესო ვარიანტების) არსებობისა, აჭარის ამ ნაწილში ორხმიანობას, როგორც ტრადიციას დიდი ადგილი უჭირავს.

კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა აჭარული ჭიბონის შემსრულებლობის ისტორია-

ში ქედის რაიონის სოფელ დანდალოს მკვიდრი, ზემოთ უკვე ხსენებული პ. ირემაძეა. მის შესახებ მშობლიურ მხარეში ბევრს ჰყვებიან. დღეს-დღეობით ქედის რაიონში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მეჭიბონების უმეტესობა მას პირადად იცნობდა. ზოგიერთი მათგანი თავს ირემაძის მოწაფედაც მიიჩნევს. ჯერ პიდევ 1967 წელს იგი ივეტ გრიმოსა და გრიგოლ ჩხიგვაძეს ჩაუწერიათ<sup>39</sup>.

ქოჩახელას მსგავსად, ირემაძე იმპროვიზაციულობითა და ძლიერი შემოქმედებითი ბუნებით გამოირჩევა. მისი საშემსრულებლო მანერა საგრძნობლად განსხვავებულია. მის არტიკულაციასა და გადმოცემის ხერხებში არ იგრძნობა უცხო მუსიკალური კულტურის ელემენტები. მეჭიბონე სამხმიანი ვერტიკალის მისაღებად მაქსიმალურად იყენებს საკრავის შესაძლებლობებს. ტექნიკური ხერხების ფლობის თვალსაზრისით მას ბადალი არ ჰყავს. ირემაძის დაკრულში ხშირია ეპიზოდები, სადაც ძირითადი ჰანგი, ბანსა და მასზე კვინტით დაშენებულ მაღალ ხმას შორის ვითარდება. მაღალი ხმა, ბანის მსგავსად

<sup>39</sup>მასალა ინახება ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში. (ამის შემდეგ ქმნილ).

ბურდონულია, ზოგჯერ რიტმულად დანაწევრებული. ეს ყველაფერი მის სტილს განუმეორებელ ელფერს სძენს.

აღსანიშნავია, რომ ვ. ირემაძემ ჭიბონი ერთგარი ექსპერიმენტის საგნადაც აქცია. ოსტატმა საკრავს დაუმატა კიდევ ერთი დედანი და შექმნა სამნავიანი (სამხმიანი) ჭიბონი. ოუმცა, საკრავის ასეთმა სახეობამ ჭიბონის შემსრულებლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. როგორც ჩანს მან ტრადიციულ ჭიბონს კონკურენცია ვერ გაუწია.

საყურადღებოა რომ იმავე ი. გრიმოს ექსპერიციამ, ქედაში კიდევ ერთი მეჭიბონე, ვ. ირემაძის ბიძაშვილი, ცხმორისელი ოსმან ირემაძე ჩაიწერა. ერთ პერიოდსა და ერთ რაიონში მოღვაწეობის მიუხედავად, ო. ირემაძის შესრულების სტილი, ვ. ირემაძისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ამ შემთხვევაში მელოდიები მეტი სისადავით გამოირჩევა, დაკრულს განსხვავებულ ელფერს სძენს ჩვეულზე დაბალ რეგისტრში აწყობილი ჭიბონი, ორხმინი უღერადობის სიჭარბე, შედარებით ნელი ტემპი.

აქევე უნდა ვახსენო კიდევ ერთი მეჭიბონე, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე, 1958

წელს ჩაუწერია ვლადიმერ ახობაძეს<sup>40</sup>. მისივე კრებულის ქართული (აჭარული) ხალხური ხიდ-ღერების შესავალში, ავტორი დასძენს, რომ კრებულში ნოტირებული საჭიბონე დასაკრავების შემსრულებელი გინმე მ. ცინცაძეა (ახობაძე 1961:34). ხმოვანი და სანოტო მასალა ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომაც ეჭვგარეშეა, რომ ხენებულ ექსპედიციაში ჩაწერილი და კრებულში ნახსენები ადამიანი, ერთი და იგივეა, მაგრამ უცნობია რომელი რაიონიდან გახლდათ იგი. 1969 წელს გამოცემულ წიგნში – ქართული ხალხური ხაჯრავიერი მუსიკის იხტორიდან აღექსანდრე მსხალაძეს მოხსენიებული ჰყავს ბათუმის რაიონში მცხოვრები მეჭიბონე მემედ ცინცაძე. 2014 წელს, აჭარაში ექსპედიციის დროს, შევიტყვე ქადელი მეჭიბონის მუჭამედ ცინცაძის არსებობის შესახებ. ოუმცა, დამატებითი ცნობები მასზე ვერ მოვიპოვე. ამდენად ახობაძის მიერ ჩაწერილი ცინცაძის ზუსტი ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველია. მისი სტილიდან და შესრულების მანერიდან გამომდინარე ცხადია, რომ ის საკრავის იშვიათი ოსტატი და ვირტუოზი შემსრულებ-

<sup>40</sup> ვლადიმერ ახობაძის 1958 წლის ექსპედიცია აჭარაში. ფირი № 064-ის 01-09. მასალა ინახება ქმნალ არქივში.

ბელია. ტექნიკური შესაძლებლობებით მისი დაკრული, ზოგჯერ ირემაძისა და სხვა ქედელი მეჭიბონების დაკრულს მოგვაგონებს.

საინტერესოა რამდენად იმოქმედა ვ. ირემაძის სტილმა მეჭიბონეთა მომდევნო თაობებზე. ამ მხრივ ალბათ, პირველ რიგში, მისი ერთ-ერთი მოწაფე მურად თავართქილაძე<sup>41</sup> უნდა დავასახელოთ. თავართქილაძე ჭიბონზე ბავშვობიდან უკრავს. მას ეს უნარი გენეტიკურადაც მოსდგამს. ჭიბონზე დაკვრა მისთვის მამას – მეხდიალ თავართქილაძეს უსწავლებია. მოგვიანებით კი, იგი ამ საქმეში ირემაძესთან დაოსტატებულა. მის დაკრულში საგრძნობია ირემაძისეულ სტილთან სიახლოვე. ამ სტილის ერთგვარ გამგრძელებლებად შეიძლება ასევე მივიჩნიოთ მისი ვაჟი გოჩა ირემაძე<sup>42</sup>, ქედელი მეჭიბონები – თემურ არმენაძე<sup>43</sup> და ბიჭიკო დიასამიძე<sup>44</sup>, მაჭახლელი ჯაბა

<sup>41</sup> მეჭიბონე ჩავიწერე 2013 და 2014 წელს. მასალები ინახება ქემშლ არქივსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში. (ამის შემდეგ სფსც).

<sup>42</sup> მეჭიბონე ჩავიწერე 2014 წელს. მასალა ინახება სფსც არქივში.

<sup>43</sup> იქვე.

<sup>44</sup> მეჭიბონე ჩავიწერე 2013 და 2014 წელს. მასალები ინახება ქემშლ და სფსც არქივებში.

მალაქმაძე<sup>45</sup>. თუმცა ამ გავლენის მიუხედავად, თითოეული მათგანი საკუთარი ვარიანტებითა და შესრულების მანერით სრულიად გამორჩეული, უნიკალური ინდივიდია.

ინდივიდუალობით ასევე გამოირჩევიან შეახველი მეჭიბონეები – ზურაბ ხილაძე<sup>46</sup> და არონ დიასამიძე<sup>47</sup>. მათვის შესრულების უფრო დინჯი ტემპი და მშვიდი მანერაა დამახასიათებელი, რითაც ზოგჯერ რაჭველ მესტვირეებსაც მოგვაგონებენ. საკუთარი სტილი აქვთ ჩაქველ – თემურ დუმბაძესა<sup>48</sup> და გურამ ბერიძეს<sup>49</sup>. ეს უპანასკნელი ცდილობს თავისი დაკრული სახელოვანი ბაბუის, შებან ბერიძის დაკრულს მიამსგავსოს. სამწუხაროდ, შ. ბერიძისეულ ჩანაწერებს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიე. ამდენად ბაბუისა და შვილიშვილის შედარება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

<sup>45</sup> ოქვე.

<sup>46</sup> ოქვე.

<sup>47</sup> ოქვე.

<sup>48</sup> მეჭიბონე ჩავიწერე 2014 წელს. მასალა ინახება სფსც არქივში.

<sup>49</sup> იხ. ბმულები: [https://www.youtube.com/watch?v=qmq\\_gAMxMiw](https://www.youtube.com/watch?v=qmq_gAMxMiw) (გურამ ბერიძე – ხორუმი და განდაგანა), [https://www.youtube.com/watch?v=WlKvUytZ\\_Wg](https://www.youtube.com/watch?v=WlKvUytZ_Wg) (გურამ ბერიძე – მელოდიები ჭიბონზე).

მსურს მოკლედ ჭიბონის დიაპაზონის სა-  
კითხესაც შევეხო. სპეციალურ ლიტერატურაში  
აღნიშნულია, რომ საკრავის დიაპაზონი დიდი  
სექსტაა (მსხალაძე, 1969:33, შილაკაძე, 1970:75).  
აჭარელ მეჭიბონეთა დაკრულში, დიაპაზონი  
მართლაც არსად სცილდება დიდი სექსტის ფარ-  
გლებს. ამ თემაზე ჩემთან საუბარში ანსამბლ  
ანჩისხატის წევრმა, ეთნომუსიკოლოგმა და ჭი-  
ბონის ერთ-ერთმა საუკეთესო მცოდნემ, ლევან  
ვეშაპიძემ აღნიშნა, რომ დაკვრის სპეციფიკური  
ხერხის მეშვეობით, ჭიბონზე შესაძლებელია მეშ-  
ვიდე, მაღალი სეპტიმური ბგერის აღებაც. ამის  
საილუსტრაციოდ მან კონკრეტული ნიმუში, ან-  
სამბლ ანჩისხატის მიერ შესრულებული აჭარუ-  
ლი პოპურიც მომასმენინა<sup>50</sup>. თავის დროზე ლევა-  
ნის ეს აღმოჩენა ვ. ირემაძესაც ძალზე მოსწონე-  
ბია და უთქვამს, ასე დაკვრა თავადაც უნდა  
ვცადოო. ამ შემთხვევაში საქმე შემოქმედებითი  
ძიების პროცესში, საკრავის ახალი, მეტად საინ-  
ტერესო შესაძლებლობების აღმოჩენასთან  
გვაქვს.

<sup>50</sup>ანსამბლ „ანჩისხატის“ 2010 წლის ვენის კონცერტის ჩაწერი. ინახება ლ. ვეშაპიძის პირად არქივში.

სასცენო ფოლკლორის გაჩენის პირველივე წლებში, ყოფიდან სცენაზე ჭიბონმაც გადაინაცვლა. იქიდან გამომდინარე, რომ ჭიბონი ფუნქციურად პირველ რიგში ცეკვის თანმხლებია მან ქორეოგრაფიაშიც დაიმკვიდრა ადგილი. გასული საუკუნის ისეთ ჯგუფებში<sup>51</sup>, რომელთა საშემსრულებლო პრინციპები ძალზე ახლოსაა პირველად შემსრულებლობასთან, ჭიბონის ადგილიც მნიშვნელოვანია. თუმცა, უკვე მოგვიანებით დიდი შემადგენლობის ქორეოგრაფიული ანსამბლების მუსიკალურ თანხლებაში ჭიბონი და დოლი, გარმონმა და დოლმა ჩაანაცვლა. დღესდღეობით ასეთ ანსამბლებს მუსიკალურ თანხლებას არა მხოლოდ დოლ-გარმონი, არამედ მრავალფეროვანი შემადგენლობის ბენდები უწევს. ასეთ ჯგუფებში ეთნიკურთან ერთად ელექტროსაკრავებიც გამოიყენება. რაც შეეხება ჭიბონს, იგი ამ შემთხვევაშიც დარჩა კუთხეური კოლორიტის ხაზებასმის საუკეთესო საშუალებად. თუმცა, აქ მან უკვე შაბლონის სახე მიიღო. სპეციალურად ცეკვის გარკვეული მონაკვეთის თანხლებისათვის, მუსიკალური ციტატის სახით ჩართული მონაკვე-

<sup>51</sup> ი. ბმული:

<https://www.youtube.com/watch?v=ng0rvAeUfzk>(აჭარული ხორუ- ბი).

თი, ბუნებრივია მოკლებულია იმ თვისებებს (პირველ რიგში იმპროვიზაციულობას), რაც მას ყოფაში დღემდე გააჩნია<sup>52</sup>.

დასასრულს მსურს კვლავ ტრადიციის საკითხს დავუბრუნდე. ადსანიშნავია, რომ პუბლიკაციაში ხენებულ მეჭიბონეებს ზოგჯერ სასცენო კოლექტივებთანაც უწევთ შემოქმედებითი მუშაობა, მაგრამ მათი ყოველდღიურობა სცენას არ უკავშირდება. ვფიქრობ, ამ სფეროსაგან დისტანცირება მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ შემოქმედებით თავისუფლებას. აქაური ქორეოგრაფიული ანსამბლების ხელმძღვანელებს, ჩემთან პირად საუბარში არაერთხელ აღუნიშნავთ მეჭიბონეებთან მუშაობის სირთულე. მათი თქმით, მეჭიბონეების უმეტესობას, როგორც წესი, ძალიან უჭირს მუსიკის იმ რიტმსა და თვლაში ჩასმა, რაც ქორეოგრაფიულ ნახაზს მოცემულ მომენტში სჭირდება. ცხადია ამის მიზეზი ზეპირი ტრადიციის კანონებია. ტრადიციისა, სადაც არ არსებობს დაწერილი ტექსტები, სადაც მუსიკის ყოველი შესრულება, მის ხელახლა

<sup>52</sup> ი. ბმული: <https://www.youtube.com/watch?v=IDE1tUuqvbc> (ანსამბლი ერისონი – განდაგანა), [https://www.youtube.com/watch?v=35VxH\\_VzMn8](https://www.youtube.com/watch?v=35VxH_VzMn8) (ანსამბლი ერისონი – ხორუმი).

ქმნადობასაც გულისხმობს (Земцовский, 2002:100-110).

ამგვარად, XX საუკუნიდან ტრადიციული ქართული მუსიკის შემსრულებლობაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, მეჭიბონეობა შეიძლება ითქვას დღემდე მისთვის სპეციფიკური კანონებით განვითარებული, გასაოცრად საღად შემონახული ტრადიციაა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ახობაძე ვლ., ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, თბ.,1961.
2. მსხალაძე ალ., ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, თბ.,1969.
3. შილაკაძე მ., ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ.,1970.
4. Земцовский И., Апология текста. вкн.: Музыкальная академия 4 стр.100-110, 2002.



---

---

**Teona Rukhadze (Georgia)**

### **Some issues of performance on *Chiboni***

The paper deals with the following issues of performance on Acharian bagpipe, Chiboni: performance style and manner, repertoire, forms of the instrument application in traditional mode of life and stage folklore.

In the art of Acharian bagpipers (*Chiboni* players) mutual influence was a frequent occurrence. Despite these interinfluences, each of them was formed as an individual and authentic performer. That was primarily determined by the regularities of oral tradition.

In Georgia, together with the appearance of stage folklore, *Chiboni* became connected with secondary performance with different forms of its application.

Despite the changes in Georgian traditional music performance playing the *Chiboni* is a surprisingly well-preserved tradition.

## მონოზონი ნინო სამხარაძე (საქართველო)

### მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის სამგალოპლო ჭრადიცის ზოგიერთი საკითხი

მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი სავანეთაგანია, რომელიც დღემდე ღირსეულად ინარჩუნებს „დედა მონასტრად” წოდების პატივს. სამთავროს მონასტრის ისტორია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა არქეოლოგთა, ისტორიკოსთა და ხელოვნებათ-მცოდნეთა საზოგადოებაში, მაგრამ მონოზონთა გალობის საკითხი, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია თითოეული მონასტრის ისტორიაში, არას-დროს გამხდარა მუსიკისმცოდნეთა შესწავლის საგანი. კვლევისაკენ გვიბიგა გასულ წელს მონასტრის არქივში მოძიებულმა წმიდა ექვთიმე კერესელიძის სანოტო ხელნაწერის ოეორიულმა ანალიზმა, რის შემდეგაც არაერთი საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება<sup>53</sup>. თუ რა

<sup>53</sup> მოხსენება - „წმიდა ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერთა აღწერილობა“ წაკითხულ იქნა ბათუმის გ. გარაფანიძის სახელობის ფოლკლორული და სახულიერო მუსიკის მე-9

კავშირშია ხელნაწერი დედათა გალობასთან,  
ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

წინამდებარე მოხსენება სამთავროს დედათა  
მონასტრის სამგალობლო ტრადიციით დაინტე-  
რების პირველ მცდელობას წარმოადგენს.  
კვლევისას ძირითადად მონასტრის არქივში და-  
ცულ ისტორიულ-დოკუმენტურ მასალებს ვეფ-  
რდნობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ სამთავროს  
დედათა მონასტრის ისტორიის მასალების უმე-  
ტესობა საქართველოს ეროვნულ არქივშია და-  
ცული, მაგრამ ფონდთა მოუწესრიგებელი საც-  
ნობარო სისტემის გამო ჯერჯერობით საისტო-  
რიო საბუთები ბოლომდე მიუკვლეველია.

საარქივო დოკუმენტურ მასალებში ნათლად  
ჩანს, რომ წმიდა ნინოს სავანეში გალობა განსა-  
კუთრებულ საქმედ ითვლებოდა. აღსანიშნავია,  
რომ სამთავროში გალობდა ყველა იღუმენია.  
კერძოდ, საქართველოს ეროვნულ არქივში და-  
ცული ცნობის თანახმად<sup>54</sup> იღუმენია დარია (ფა-  
დავა) „აღსარებას იტყვის და წმიდას საიდუმ-

საერთაშორისო კონფერენციაზე 2014 წელს, ხოლო „წმიდა  
ექვთიმე კერქესელიძის ნოტირებული კრებულის თეორიული  
ანალიზი“ - თბილისის სახ. კონსერვატორიაში, 2015 წელს  
მეექვსე საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენცია-კონ-  
კერსზე.

<sup>54</sup> 24, ფ. 489, № 2721, 1835 წელი, გვ. 108

ლოს მიიღებს ოთხსავ მარხვაში ყოველს წელი-  
წადს, იცის ქართულსა ენასა ზედა საღმრთო  
წერილი, წერა, კითხვა და **გალობა**“. მსგავსი ტი-  
პის ინფორმაცია გვხვდება იღუმენიების: მინადო-  
რა ფურცელაძის, ნინო ამილახვრისა და ნინო  
ციციშვილის ფორმულარებში. მათი დახასიათე-  
ბისას მითითებულია, რომ „იცის ქართულსა ენა-  
ზედა საღმრთო წერილი, კითხვა, წერა და **გა-  
ლობა**“. ასევე გალობს მონასტრის ამჟამინდელი  
წინამძღვარი იღუმენია ქეთევანიც (კოპალიანი),  
რომელიც ღირსეულად აგრძელებს ორი საუკუ-  
ნის წინანდელ ტრადიციას.

მონასტრის ტიპიკონის თანახმად წინამ-  
ძღვართან ერთად **გალობდა** ყველა მონოზონი.  
იღუმენია ქეთევანის ცნობით, ნინო ამილახვრის  
„ფორმულარში“, რომელიც ამჟამად დაკარგუ-  
ლია, პირდაპირი მითითება იყო იმის თაობაზე,  
რომ მონოზვნად არ იკურთხებოდნენ თუ მათ  
საღვთისმსახურო ტიბიკონი და გალობა არ კო-  
დინებოდათ. ამ ცნობას საფუძველს უმყარებს  
მონასტრის არქივში დაცული იღუმენიების: მინა-  
დორა ფურცელაძისა და ნინო ციციშვილის  
წლიური ფორმულარული სიები, სადაც თითოე-  
ულ მონოზონზე აღნიშნულია, რომ იცის „წერა,

კითხვა, წმინდა წერილი, საექლესიო ტიბიკონი,  
გალობა და ხელსაქმე... უსწავლია ამა მონას-  
ტერსა შინა“<sup>55</sup>. როგორც მათგანზე კი მითითებულია,  
რომ ტიპიკონს და გალობას ამჟამად სწავლობს.  
ამდენად, ცხადი ხდება, რომ სამთავროს მონას-  
ტერში გალობა ისეთივე განუყოფელი ნაწილი  
იყო წმინდა წერილისა და საექლესიო ტიბიკო-  
ნის შესწავლისა, როგორც თვით გალობაა განუ-  
ყოფელი ღვთისმსახურებისა. ორივე მათგანის  
ცოდნა კი საყოველთაო ვალდებულებას წარმო-  
ადგენდა მონოზონთათვის. ჩვენი აზრით, სამთავ-  
როს ტიბიკონში აღნიშნულ მოთხოვნაში უფრო  
დიდი და ღრმა მნიშვნელობა უნდა იყოს ჩადებუ-  
ლი, ვიდრე უბრალოდ გალობის ცოდნაა. შესაძ-  
ლებელია იგი ნიშნავდეს მოშურნეობას, გულ-  
მოდგინებასა და მუდმივ სწრაფვას ღვთის მად-  
ლის მისაღებად. ასეთ მოდვაწეს კი უფალი უხ-  
ვად აჯილდოვებს სხვადასხვა ტალანტით და  
მათ შორის, გალობის ნიჭითაც. ჩვენს მოსაზრე-  
ბას კარგად ეხამება ერთი ძველი ქართული ან-  
დაზა: „ხელოვანი ყველა ვერ გახდება, მაგრამ  
ხელოსნობის შესწავლა კი ყველას შეუძლიაო“.  
აქედან გამომდინარე, სამთავროს ტიბიკონის მი-

<sup>55</sup> სამთავროს არქივის დოკუმენტები: №32, №79, №138

ხედვით: იყო მონოზონი - ნიშნავს გალობდე, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში აღარ იწვევს გაუგებრობას.

იღუმენიისა და მონოზნების საეკლესიო გალობის ცოდნის აუცილებლობასთან ერთად, ქართული გალობის სწავლება სავალდებულო ყოფილა სამთავროს მონასტერთან არსებულ „ობოლ გოგონათა სასწავლებელშიც“. იგი 1866 წლის 29 მარტს გაიხსნა, რომლის მმართველად რუსეთის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით სასწავლებლის დამაარსებელი იღუმენია ნინო ამილახვარი (უმცროსი) დაუნიშნავთ. სწავლება სამ კლასად დაწესებულა - დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი. სწავლების ვადა ექვსი წელი იყო. სასწავლო პროგრამა ორენოვანი გახდათ, რომელიც მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შედგენილი. მხოლოდ საგანთა ჩამონათვალიც კი ნათლად წარმოაჩენს სასწავლო პროგრამის აკადემიურობას<sup>56</sup>, სადაც 16 სავალდებულო საგანთა შორის ქართული გალობაც ისწავლებოდა. სასწავლებელში, სადაც პედაგოგები ძირითადად მონოზნები იყვნენ, რასაკვირველია იმ საგა-

<sup>56</sup> 24, f. 489, # 24668, gv. 4-10

ლობლებს შეასწავლიდნენ, რისი გალობის ტრა-  
დიციაც მონასტერში იქნებოდა.

მოგეხსენებათ, სამთავროს დედათა მონასტერი 1820 წელს დაარსდა, მაშინ როცა უკვე გა-  
უქმდებული იყო ქართლ-კახეთის სამეფო (1801წ.)  
და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქუ-  
ლო ეკლესიის ავტოკეფალია (1811წ.); იდევნებოდ-  
ნენ ქართველი სასულიერო პირები, ინგრეოდა  
და ნადგურდებოდა ქვეყნის უმთავრესი ტაძრები,  
რასაც თან ერთვოდა მონასტრებთან არსებული  
საგანმანათლებლო კერების მოშლაც. ასეთ  
როგორ ვითარებაში, სამთავროში, რომელიც უკვე  
აღარ წარმოადგენდა საეპისკოპოსო საყდარსა  
და ქართლის ერისმთავრის რეზიდენციას. დვაწ-  
ლმოსილმა დედამ ნინო ამილახვარმა რამდენიმე  
დასთან ერთად გაუდაბურებული მონასტრის ად-  
გილზე დააარსა დედათა სავანე. იდუმენია ნინომ  
ახალი სუნთქვა შთაბერა წმიდა ნინოს ადგილ-  
სამყოფელს და მთელი ძალისხმევით შეუდგა  
სამთავროში მონასტრული ცხოვრების აღორძი-  
ნების საქმეს. მის კვალს გაჰყვნენ მონასტრის  
მომდევნო იდუმენიები: დარია (ფალავა, იდუმენია  
- 1805/8-1853წწ.); მინადორა (ფურცელაძე, იდუმე-  
ნია - 1858-1863წწ.); ნინო (ამილახვარი, მონასტრის  
დამაარსებლის, უფროსი ნინო ამოლახვრის ძმის-

შვილი, იღუმენია - 1865-1904წწ); ნინო (ციციშვილი, იღუმენია - 1909-1941წწ.); ანუსია (კოჭლამაზაშვილი, იღუმენია - 1950-იან წლებში); ქეთევანი (გონგლაძე, იღუმენია - 1960-იან წლებში); ზოილე (დგალიშვილი, იღუმენია - 1970-იან წლებში); ანა (აჭაიძე, იღუმენია - 1980-იან წლებში); ქეთევანი (კოპალიანი, იღუმენია 1991 წლიდან დღემდე).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ძველი ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა დაკარგვის გარდაუვალი საშიშროების ქვეშ დადგა. ამ პერიოდში შექმნილ ვითარებაზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენს სამრევლო ეკლესიებში სოფლად თუ ქალაქად წირვა-ლოცვა სრულდება მეტისმეტად დაუდევრად, უსასოდ და უშნოთ. ვინდა იცის ჩვენში ტიბიქონი! თვით ადარ არის ჩვენს ეკლესიებში დღეს გალობა და თუ სადმე კიდევ გალობენ ქართულად, - ეს ისეთ წარყვნილ, არეულ-დარეული კილოთი, რომ ყურთა სმენა აღარ არის ასეთ მგალობელთაგან და ესენი სასოების ნაცვლად იწვევენ მორწმუნეთა შორის სამართლიან საყვედურს და გულის

წყრომას<sup>57</sup>. სწორედ ამ დროს კი სამთავროს დე-  
დათა მონასტერში ტკბილი ქართული გალობა  
არ მოჰკლებია მღოცველს. იღუმენია ნინო ამი-  
ლახვრმა თავისი ორმოცწლიანი წინამდღვრობის  
ქამს მრაგალ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძვე-  
ლი. მათ შორის, მისი ყურადღების მიღმა არც  
ქართული საეკლესიო გალობა დარჩენილა. გა-  
ზეთმა „ივერიამ“ 1890 წლის 3 ოქტომბრის ნო-  
მერში სამთავროს მონოზონთა გალობაზე საინ-  
ტერესო ცნობები შემოგვინახა. რედაქციამ იღუ-  
მენია ნინოს (ამილახვარი) წინამდღვრობის 25  
წლისთავთან დაკავშირებული დღესასწაულის  
საზეიმო ვითარება შემდეგნაირად აღწერა: „2  
ოქტომბერს, როგორც დანიშნული იყო, მცხეთის  
დედათა მონასტერში გაიმართა დიდი დღესასწაუ-  
ლი იღუმენია ნინოს 25 წლის მოდვაწეობისა.  
დიდალი ხალხი დაესწრო ამ დღესასწაულს.  
თვით ტაროსმა, დილით ცივმა და ქარიანმა,  
წირვის დროს გამოიბრწყინვა და არ შეუშალა  
ხელი საერთო და საყოველთაო მხიარულებას.  
ტკბილი ქართული, ქართულის გალობით შემკუ-  
ლი წირვა დაიწყო 10 საათზე. მწირველი ბრძან-

<sup>57</sup>ნიკიტა თალაკვაძე. ქართველი ქალი. 1915 წ. 27 აპრილი.  
ანჩისხატი

დებოდა ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსი ბესარიონი, არქიმანდრიტი კესარიონის და მღვდელმონაზონ ლეონიდე (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი - ლეონიდე ოქროპირიძე)<sup>58</sup>. ამავე სტატიის ფურცლებიდან ისიც ირკვევა, რომ სამთავროში მონაზონთა გალობა ორი გუნდის მიერ ანტიფონურად სრულდებოდა, რადგან აღნიშნულია: „აქ მოიხმის მწყობრი გალობა ორის დასისა“<sup>59</sup>. როგორც ცნობილია ამ დროს მონასტერში მგალობელ დედათა რიცხვი 35-ს აღემატებოდა და ჩანს, რომ მრავალრიცხოვნებამ მათი ორ გუნდად ჩამოყალიბებაც განსაზღვრა. ტრადიცია დღესაც ცოცხალია სამთავროს მონასტერში და ცდილობს ანტიფონური გალობის წესი კვლავ დააბრუნოს დგთისმსახურებაში.

გაზეთ „ივერიის“ იგივე ნომერი გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებაც, რომ იღუმენია ნინოს იუბილესათვის სხვა მგალობლებიც მოუწვევიათ. მათ შესახებ აღნიშნულია: „დიდი ყურადღება მიიქცია ამ წირვაზედ მწყობრად და სასიამოვნოდ მგალობელმა წინამდღვრიანთ სკოლის

<sup>58</sup> გაზეთი „ივერია“ 1890 წ. 3 ოქტომბერი. ნინო ამილახვრის წინამდღვრობის 25 წლის იუბილე.

<sup>59</sup> დასახელებული წყარო. იქვე

მოწაფეთა ხორომ. თვით ჯიუტი კრიტიკოსი იმ ნაკლის მეტს ვერას შენიშნავდა, რომ იგი ერთობ პატარა იყო, სულ ხუთი-ექვსის კაცისგან შემდგარი“.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხი, რაც სამთავროს მონოზონთა სამგალობლო ორადიციას შეეხება, არის ის, თუ რა ტიპის და სახელდობრ, რომელი სკოლის საგალობლებს ასრულებდნენ ისინი. რამდენიმე ფაქტორი გვაძლევს საფუძველს გამოვთქვათ ვარაუდები, რომ 1) სამთავროს მონასტერთან სულიერი და ოერობორიული სიახლოვის გამო ეს იყო „სვეტიცხოვლის სკოლა“; 2) ამილახვართა გვარის წარმომადგენლები განათლებას სვეტიცხოველში დაარსებულ საკათალიკოსო სკოლაში იღებდნენ<sup>60</sup> და შესაძლოა სამთავროს დამაარსებელს ნინო ამილახვარსაც ამ სასწავლებლის საგალობლები შეესწავლა ოჯახში, რომელიც შემდგომ მის ირგვლივ შემოკრებილ მონოზვნებსაც შეათვისა; 3) ძველი მონოზვნების ზეპირი გადმოცემის თანახმად დედები გალობდნენ იმას, რაც სვეტიცხოველში იგალობებოდა; 4) ყოველივე ზემოთ აღ-

<sup>60</sup> პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461, №56. ამილახვართა ისტორია.

四

ნიშნულის დამადასტურებელ საბუთად გამოდგე-  
ბა მონასტრის არქივში დაცული წმიდა ექვთიმე  
კერქელიძის სანოტო კრებული, რომელშიც  
„სვეტიცხოვლის სამგალობლო სკოლის“ (გასულ  
წელს ჩატარებული კვლევის შედეგი) საგალობ-  
ლებია ცალხმად ჩაწერილი. აქედან გამომდინა-  
რე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იღუმენია  
ნინო ამილახვრის იუბილეზე დედები „სვეტიც-  
ხოვლის სკოლის“ საგალობლებს გალობდნენ.

სამთავროში რომ ძველ ტრადიციულ საექ-  
ლესიო საგალობლებს გალობდნენ და არა რუ-  
სული პარტესული გალობის ზეგავლენით შექ-  
მნილ ახალი სტილის საგალობლებს, მონასტერ-  
ში დაცული ერთი უთარიღო დოკუმენტი მოწ-  
მობს. ხსენებული საბუთი - „მოძღვრება ბლადო-  
ჩინისადმი მონასტერთა“ უაღრესად საინტერესო  
ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის შუა პერიოდის  
მონასტრის სამგალობლო ტრადიციაზე. მეცნიე-  
რი გია ჭანიშვილი მიიჩნევს, რომ დოკუმენტი  
1855 წელს უნდა დაწერილიყო, რადგან მას  
ხელს აწერს არქიმანდრიტი გერონტი, „ბლადო-  
ჩინი მონასტერთა“, რომელიც ამავე წლის 19  
სექტემბერს საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს  
მამათა მონასტრებისა და სამთავროს დედათა  
მონასტრის „ბლადოჩინად“ დაენიშნა (ჭანიშვი-

ლი, 2008:77-78). „მონასტრის მოძღვრებაში“ ერთ-ერთი ქვეთავის სახით დვთისმსახურების განაწე-სია განხილული, რომელიც 6 მუხლისგან შედგე-ბა და მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გა-მო რიგით პირველი ადგილიც უჭირავს. ხსენებუ-ლი ქვეთავის მე-3 და მე-4 მუხლებში გალობას-თან დაკავშირებით აღნიშნულია:

1) „რათამცა ეპკლესიურთა კითხვათა და გალობათა შინა არა იქმნებოდეს მიშვებულ არც მცირედი ორხმაობა, არამედ რათა შემდგომად სრულებით შესრულებისა ერთისა დაიწყებოდეს მეორეი“;

2) „რათა ძველი საეპლესიო გალობა და-ცულ იქმნებოდეს გულსმოდგინებით და არა გან-რყენილ ახლად შემოღებულებითა, შეუმსგავსე-ბელთა სიმდაბლისათანა და ლმობიერებისა, ვი-თარნიცა უფროე შეესაბამებიან მონასტრულსა დვთისმსახურებასა“.

აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ რუ-სული კოლონიური რეჟიმის პირობებშიც კი, რო-დესაც ქართული გალობის თავშესაფარი ზოგი-ერთი გვარი და ოჯახი აღმოჩნდა, ძველი საეპ-ლესიო გალობის ტრადიცია სამთავროს მონას-ტერმა უცვლელად შეინარჩუნა. წმიდა ნინოს სა-

ვანე გახლდათ ის ადგილი, სადაც მონასტრული ცხოვრების წეს-განგება და ძველი ქართული საეპისკოპოსო გალობა საუკუნეების განმავლობაში არ შეწყვეტილა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თალაკვაძე ნ., ქართველი ქალი. ანთისხატი. 27 აპრილი. 1915 წ.
2. ჭანიშვილი გ., სამთავრო, წმიდა ნინოს დედა-თა მონასტერი. ობ., 2008
3. სახელმწიფო არქივის მასალები: 24, ფ. 489, № 2721, 1835 წელი; 24, ფ. 489, № 24668
4. სამთავროს არქივის დოკუმენტები №32, №79, №138
5. გაზეთი “ივერია” 1890 წ. 3 ოქტომბერი. ნინო ამილახვრის წინამდღვრობის 25 წლის იუბილე.
6. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461, №56. ამილახვართა ისტორია.



---

---

**Nun Nino Samkharadze (Georgia)**

**Some issues about singing tradition at Mtskheta  
Samtavro Saint Nino Convent**

The history of Samtavro Saint Nino Nunnery has always attracted the attention of archaeologists, historians and art critics, but the issue of chants sung by Nuns has not been studied yet. However, this topic is very important in the history of the monastery.

The present work is the first attempt to study the monastic singing traditions; therefore it consists of some important and newly discovered materials. During the research we use the historical-documental material kept in the Archives of the Nunnery. As a result, we have drawn important conclusions that will be equally interesting for the researchers of church songs, clerics, as well as lay men.

The discussion of the Archival material revealed that the singing of chants was very important in Samtavro Nunnery. During its two-century history of the monastery its all Superiors sang and nowadays Heghumeness Ketevan (Kopaliani) sings also. All Nuns were familiar with chants. According to the formulary of Hegumeness Nino Amilakhvari (the younger) the member of the



---

---

convent had to know Tibikon and singing in order to get consecrated (to become a nun). This rule was kept strictly in the Nunnery under the leadership of subsequent Hegumenesses: Minadora Purtseladze and Nino Tsitsishvili. Formularies state that every nun at the monastery had to study Ecclesiastical Tibikon and singing.

The tradition of studying singing was kept in the female college, which was opened in 1866 by Mother Superior Nino (Amilakhvari), where the girls studied Georgian Liturgical Songs among 16 compulsory subjects.

Nun's singing tradition got mentioned in the newspaper 'Iveria'. It says that On October 3, in 1890 on the day of the 25-th anniversary of Hegumeness Nino Amilakhvari (the younger) the Liturgy began at 10 o'clock with Georgian sweet chants. The newspaper also mentioned two groups of singers in Samtavro monastery singing alternately. One of the most significant issues is the style of the songs; According to the conducted research we conclude, that the nuns sang chants of "Svetitskhoveli school."



*Наталия Сербина (Украина)*

## **НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ НАРОДНОГО ИСПОЛНИТЕЛЬСТВА ЦЕНТРАЛЬНОЙ УКРАИНЫ: ЗАМЕТКИ ЭТНОПЕДАГОГА И ИСПОЛНИТЕЛЯ**

Проблема народного исполнительства для современной науки важна минимум в двух аспектах: исполнительская практика самих носителей традиции, поскольку именно исполнительские приёмы часто оказывают влияние на формообразование, структурные варианты и отражают специфику конкретной региональной традиции. С другой стороны, изучать народное исполнительство приходится городским преемникам традиции, и здесь возникает много вопросов, касающихся глубины восприятия материала вторичными исполнителями, его понимания и исполнительского мастерства.

В украинской этномузикологии тема изучения традиционного исполнительства была поднята Е. Линёвой и К. Квиткой в начале XX века, а с развитием вторичного фольклорного движения – с 1960-х годов. В украинских и русских этномузикологических исследованиях поднимаются темы структуры

---

---

ансамбля, психологии его участников, тембральности, местной терминологии (названия голосов-партий и исполнительских приёмов), широко исследуется вопрос исполнительской эстетики.

В начале XXI века актуальными становятся вопросы восприятия и передачи традиции из села в город. В песенном исполнительстве споры ведутся главным образом вокруг того, насколько скрупулёзно и точно необходимо воспроизводить полевые записи. Возникают вопросы о тембре, ладовых характеристиках, интонационной стороне, сохранении мелизматики, темпа как составляющей «старого» мироощущения, необходимости исполнения всего «длинного» поэтического текста либо его сокращения, а также сохранения диалектных особенностей самого поэтического текста. Кроме того, в процессе исторического развития песенная традиция претерпевала разного рода изменения, а потому необходимо ориентироваться на более ранние записи народных исполнителей, поскольку в поздних уже ощутимо влияние СМИ, массовой городской культуры и, как следствие, традиция представлена уже в угасающей стадии.

### **Тембр.**

В среде украинских этномузыковых принято считать, что основной массив традиционных песен Центральной Украины, как календарно-обрядовых, так и лирических (кроме колыбельных), нужно исполнять «грудным», глубоким звуком. Исключение составляют, пожалуй, колыбельные и отдельная партия тончика – верхнего голоса в обрядовых и лирических песнях Левобережья (аудиопример). Вместе с тем собиратели народных песен находят образцы исполнения песен сельскими жителями в головном регистре (аудиопример – песня из Винницкой области). В этом случае людям, только начинающим знакомиться с традицией, я объясняю, что необходимо учитывать два фактора: «моду» на конкретных исполнителей, звучавших по радио и ТВ (например, на Нину Матвиенко), и возрастной фактор: не все пожилые люди имеют силы петь так, как в молодости.

### **Лад.**

Как известно, желающие спеть песню в аутентичной манере берут экспедиционную запись. Но дальше важно расшифровать слышимое, не приспособив музыкальный текст под «привычное

себе», а учесть своеобразие лада народной песни (в истории были случаи «выпрямления» мелодий с необычным для академического музыканта-собирателя ладом). В своей практике я неоднократно сталкивалась как с изменением лада вторичными исполнителями, например заменой VII-й натуральной ступени в миноре на повышенную. Слушая старые записи украинского Полесья (не позже 1990-х годов), современный городской исполнитель часто осознает невозможность буквального воспроизведения этих образцов (аудиопример – «Ой, доле моя»). В таком случае можно попытаться прослушать песню на замедленной скорости, поскольку без привычки к подобной музыке расслышать сразу все украшения бывает тяжело.

### Текст.

Что касается поэтических текстов народных песен, то часто вторичные исполнители, использующие чужую полевую запись (а иначе они бы знали диалект и либо вспомнили песню, либо заглянули в полевую тетрадь с текстами), не могут разобрать текст. В итоге происходит замена слов другими. Конечно, в истории традиционного исполнительства тоже были случаи замены слов, но

они имели другие причины и носили совершенно другой характер. Еще один момент, связанный с текстами, – это количество куплетов в песнях. Поскольку вторичные исполнители, как правило, оторваны от сельской среды и естественного бытования песен, их исполнительская деятельность обычно связана со сценой. Вполне логично, что при изменении песенного контекста что-то меняется и в тексте. Двадцать четыре куплета лирической песни, которую пожилые женщины поют дома, не имея других развлечений, лучше сократить на сцене, ведь время концерта ограничено. Все это касается и лирницкого исполнительства. В начале XX века лирники и кобзари пели на рынках по полдня, им нужны были длинные песни, поскольку слушатели подходили на несколько куплетов и уходили. А вот с концертной сцены слушать сорок куплетов уже тяжело. Сцена – это скорее презентация песни, а не самого исполнителя (применительно к фольклорной песне). Возможно, секрет здесь в мастерстве исполнителя, который должен «заворожить» и увлечь слушателя настолько, чтобы он забыл о времени и месте. Но все это формальные моменты отношения к тексту. Есть и более глубинные. В экспедициях мы все отмечали богатую вариантность как в запевах

исполнителей, так и, к примеру, в верхней партии. Народная песня из уст народного исполнителя всегда «живая», она интересна своей «неожиданностью». То есть слушатель никогда не может предугадать, что же будет дальше, какой вариант певица споёт в следующем куплете. Отсюда еще один вопрос: стоит ли просто копировать народных исполнителей или, освоив комплекс интонаций данного стиля, импровизировать самому? (Ответы на этот вопрос содержат статьи о фольклорном исполнительстве Е. В. Ефремова).

**Эстетика.** По сравнению с предыдущими этот аспект исполнительства наиболее сложный для вторичных исполнителей, будучи при этом суммирующим. Поскольку без тембра, лада, диалекта, на мой взгляд, нет старинной песни. Главная тема для размышлений современного исполнителя: как понимать народную песню? Как образец для строгого и буквального воспроизведения либо как отправную точку для своего творчества? Здесь методы и результаты зависят от конечной цели: сохранить песню как исторический артефакт либо показать себя как исполнителя, аранжировщика.

Один из главных вопросов – каким голосом петь. Почему мы должны петь как бабушки, мы же молодые? Почему мы должны петь «старыми» голосами, если у нас есть свои? В ответ на эти вопросы возникает закономерный ответ: а зачем художники копируют картины великих в начале своего обучения вместо того, чтобы сразу «начать писать своё»? Наверное, чтобы получить некие базовые навыки. Впитав основы, художник постепенно вырабатывает собственную манеру. То же самое в академическом пении. То же – в среде литераторов. Все люди искусства начинают с подражания, а затем, с приходом личностной зрелости, находят своё «лицо». В нежелании осваивать аутентичную манеру кроются предрассудки и лень, ведь легче спеть народную песню в эстрадной манере, живя в окружении эстрадного звучания в быту, нежели тратить годы на обучение народному пению.

Что касается непосредственно **аутентично-народного исполнительства**, хочу привести два примера из двух разных местностей. В первом полесская исполнительница в разное время и для разных собирателей поёт одну и ту же песню, но по-разному (аудиопример – «Зеленая дубровонька»). Примечательно, что для записи на компакт-диск в

---

«громком» звучании она поёт «мажорную» терцию, а вечером, «для своих», исполняет ее же более приглушенно и уже с малой терцией.

Другой пример – ансамблевое исполнение одной песни. Один и тот же поэтический текст, одна и та же мелодия у двух разных ансамблей, записанных с небольшим временным разрывом, получает разное стилистическое воплощение. Остаётся лишь гадать, упростилась ли песня за десятилетие либо в этом селе так и пелась – под влиянием стиля солдатских песен (аудиопример – «Ни тучки, ни хмарки»). Во втором примере более размеренный темп, политекстовость, исполнительские приёмы, свойственные мужской казачьей традиции: глиссандо, резкая подача звука. Возможно, более глубокая исполнительская трактовка песни объясняется более старинным текстом, который, вероятно, не претерпел существенных изменений в консервативном сознании исполнителей.

Данная статья отнюдь не претендует на полноту охвата всех проблем народного исполнительства украинских песен, а лишь затрагивает некоторые его аспекты. Народное исполнительство – явление бесконечное, и даже сейчас можно записать талантливых певцов и инструменталистов, которые

дадут пищу для размышлений как ученым, так и исполнителям.

### **Список использованной литературы:**

1. Ефремов Е.В. Вариантность и импровизационность в фольклорном исполнительстве (на материале традиционной песенной лирики Киевского Полесья): Дис. ... канд. Искусствоведения. – К., 1989.
2. Єфремов Є. В. Використання місцевих фольклорних традицій в народно-співацькому самодіяльному колективі //Репертуар колективів художньої самодіяльності. – К., 1985.
3. Єфремов Є. В. Дослідження народнопісенного виконавства через модулювання інваріанта пісні // Українське музикознавство. – К., 1985. – Вип. 20. – С. 79-88.
4. Єфремов Є., Пономаренко В. Дослідження локальної народнопісенної традиції як основа діяльності вторинного фольклорного ансамблю // Українське музикознавство. – К., 1989. – Вип. 24. – С. 3-17.



- 
5. Квітка К. В. Потреби в справі дослідження народної музики на Україні // Квітка К. В. Вибрані статті. – К., 1985. – Вип. 2. – С. 130 – 141.
  6. Линева Е. Опыт записи фонографом украинских народных песен. – К., 1991. – 87 с.

*Natalya Serbina (Ukraine)*

### **Some aspects of national performance in Central Ukraine- ethno pedagogue and performer's notes**

This article is devoted to a very important aspect of traditional performance of folk music. E. Linyova and K. Kvitra were the pioneers to initiate the study of this issue in Ukrainian ethnomusicology at the beginning of the 20<sup>th</sup> century, while the studies of the development of secondary folklore process began as late as 60-ies of the XX Century.

At the beginning of the 21<sup>st</sup> century the issue of transmitting the tradition from urban to rural residents has become quite acute. The article discusses such tradition performances as timbre modus poetical and also deals with the performance aesthetics of musical texts in folk songs in urban environment. This article does not pretend to

present the whole spectrum of the problems connected with tradition performance of Ukrainian songs; it rather concerns some aspects. Traditional performance is a never-ending process. Even nowadays, it is possible to record some talented singers and instrumentalists which will give food for thought to both scientists and artists.

## ლოლიტა სურმანიძე (საქართველო)

შუახევის რაიონის ფრადიციული მუსიკის  
შემსრულებლობის ზოგიერთი საპითი

აჭარის რეგიონში რამდენიმე ათწლეულის მანძილზე დამკვიდრებულ საშემსრულებლო ტენდენციებს თუ გადავხედავთ, ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სინკრეტული კაჭშირების შესუსტებას, მის პროფესიულ ხელოვნებასთან მიახლოვებასშევამჩნევთ, რაც ძირითადად სასცენო კულტურის მოთხოვნების გათვალისწინებით მხოლოდ ზოგიერთი ჟანრის სიმღერების შესრულებასა და ძველი ნიმუშების გადაკეთება-დამუშავებაში ვლინდება.

მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული პროცესი ზოგადად ტრადიციული მუსიკის პირველად თუ მეორეულ შემსრულებლობაში მომხდარი ცვლილებების გამოძახილია. XIX საუკუნის მიწურულიდანქართული ხალხური სიმღერის სცენაზე გადანაცვლებამ, სიმღერის სოციალური ფუნქციის დაკარგვამ, ხალხურ ნიმუშებზე საგუნდო მუსიკის გავლენამ, სასცენო-საკონცერტო მოთხოვნების გათვალისწინებამ,ქართველი კომპოზიტორების ხელშეწყობით რესპუბლიკური ოლიმპია-

დების პრაქტიკის დანერგვამ სოფლის აუთენტიკური ანსამბლებიც საერთო კრიტერიუმებს მოარგო, რის გამოც ბევრმა მათგანმა პირველადი სახე დაკარგა.

მართალია, ფოლკლორის მეორეული სიცოცხლე, ტრანსფორმაციის სხვადასხვა ფორმა და დროსთან ადაპტაცია პირველადი მნიშვნელობის სახეცვლას მოიაზრებს, მაგრამ მეოცე საუკუნეში გარდაქმნის ძირითად ფორმად ფოლკლორის პროფესიულ მუსიკასთან მიახლოვებაიყო მიჩნეული, რამაც არაერთი ნიმუშის ტრადიციული სახის დაკარგვა განაპირობა.

ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობა მის უწყვეტ განვითარებას, მასში თანამედროვეობის შეღწევას გულისხმობს, თუმცა ამავდროულად მისი საფუძვლის შენარჩუნებასაც მოიაზრებს. ამ უპარასენელის გაუთვალისწინებლობამ, ხშირ შემთხვევაში ტრადიციული ნიმუშების საინტერესო ვარიანტების გაქრობა გამოიწვია.

დღესდღეობით, ზოგიერთ რაიონში ტრადიციის მატარებელი ეთნოფორები ფოლკლორის სახელით მოიხსენიებენ როგორც ფოლკლორულ, ასევე, არაფოლკლორულ ნიმუშებსაც და სამწუხაროდ, ხალხურ სიმღერებს ფაქტობრივად აღარ ასრულებენ. ხშირ შემთხვევაში რეპერტუარი

შედგება ფსევდოხალხური სიმღერებისაგან, ან სხვა კუთხის პოპულარული ნიმუშებისაგან.

რამდენიმე თვის წინ ანსამბლებისათვის აჭარული ტრადიციული სიმღერების სწავლებისა და მათვის მუსიკალური ფოლკლორის საშემსრულებლო პრინციპების გაზიარების მიზნით მუშაობა დავიწყე აჭარის ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონის – შუახევის კულტურის ცენტრში. ბუნებრივია, დავინტერესდი ამ რაიონის ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობით, ანსამბლების რეპერტუარით, რაიონის სოფლებში გავრცელებული საშემსრულებლო ტენდენციებით. მოვიძიე კულტურის ცენტრის არქივში არსებული აუდიო-ვიდეო ნიმუშები, სხვა გამოქვეყნებული სანოტო თუ აუდიო ჩანაწერები. შემსრულებლობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციული მასალა სხვადასხვა სოფლის მკვიდრი ეთნოფორებისგან ჩავიწერ.

ჩემს ხელთ არსებული მასალების შესწავლამ და ანსამბლებთან პრაქტიკაში მუშაობის დროს წარმოჩენილმა ნიუანსებმა ცხადყო, რომ ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობაში მომხდარი ზემოაღნიშნული ცვლილებები შუახევის რაიონის ანსამბლების შემსრულებლობაზე ნათლად აისახა. მდიდარი სასიმღერო

თუ საცეკვაო ტრადიციების მატარებელი რაიონის ფოლკლორის აუთენტიკურ შემსრულებლობაზე, ხშირ შემთხვევაში, საგუნდო მუსიკის პრინციპების დამკვიდრებამ, რესპუბლიკური ოლიმპიადების მოთხოვნებისა და სასცენო-საკონცერტო კრიტერიუმების გათვალისწინებამიქონია მნიშვნელოვანი გავლენა.

ათწლეულების განმავლობაში, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების გაერთიანება, ფოლკლორული ნიმუშების დამუშავება, ფსევდოფოლკლორული ნიმუშების შესრულება, ხალხური სიმღერების დირიჟორობა, სიმღერაში ხმების გაორმაგება, ვოკალური მანერით მღერა, ნიმუშების თანხლებად რამდენიმე ხალხური საკრავის გამოყენება, შემსრულებელთა მრავალრიცხოვნება, სიმღერის პროცესში მომღერლების სტატიკურ მდგომარეობაში დგომა ჩვეულებრივ წესად იყო მიჩნეული და დამკვიდრებულიკურადსაღებია, რომ დღეს შუახევის ცრაიონში ქორეოგრაფიული ნიმუშების განდაგანას და ხორუმის მრავალფეროვანი ნიმუშებია წარმოდგენილი და ხალხური მუსიკის ნიმუშებისაგან განსხვავებით, ამ ცეკვების მრავალი ვარიანტი თუ არაერთი ინდივიდუალური შემსრულებლის იღეთია შემორჩენილი. აქვე უნდა ითქვას, რომ საკონცერტო

პრაქტიკაში სატრაფიალო-ს სახელწოდების მქონე არაერთი ფოლკლორული ნიმუში სწორედ ცეკვა განდაგანას სიმღერით გასაფორმებლად დამუშავდა-გადაკეთდა.

ცნობილი ეთნომუსიკოლოგი ოზალი ზემ-ცოვსკი ფოლკლორის სცენიური ინტერპრეტაციის 3 ტიპს გამოყოფს:

1. ეთნოგრაფიული ანსამბლების ტიპი, რომელშიც თვითონ ხალხური შემსრულებლები მონაწილეობენ;

2. ფოლკლორული ანსამბლების ტიპი, ხალხური სიმღერის მცოდნე, სპეციალური განათლებისმქონე პირები, რომლებიც ინტერპრეტირების დროს ფოლკლორულ ტრადიციებთან მიახლოვებას ცდილობენ;

3. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლები, აკადემიური გუნდები და სხვა მხატვრული კოლექტივები, რომლებიც ე. წ. გადამუშავებულ ფოლკლორულ ნიმუშებს ასრულებენ, არ ცდილობენ ფოლკლორისათვის ადექვატური საშემსრულებლო პრინციპების დაცვას.

თუ შუახევის რაიონის ანსამბლებს ზემოხსენებული ზემცოვსკისეული დეფინიციით განვიხილავთ, ამ შემთხვევაში, აღნიშნულ რაიონში უკანასკნელ პერიოდამდე ჭარბობდა ე.წ. მხატვა-380

ვრცელი კოლექტივები, რომლებიც დამუშავებულ ფოლკლორს საგუნდო მუსიკის პრინციპებით ახრულებდნენ. თუმცა მათ გვერდით არსებობდა აუთენტიკური ჯგუფები, ეთნოგრაფიული ანსამბლები, რომელთა არსებობას ადასტურებს სხვადასხვა ინფორმაციული თუ აუდიო-ვიდეო წყარო (სურმანიძე, 2008:384). ამ ეთნოგრაფიული ანსამბლების შემსრულებლობის შესახებ შალვა მშველიძის ცვილის ლილვაკების, ნაწილობრივ, ვლადიმერ ახობაძისა და შუახევის კულტურის ცენტრის ვიდეოარქივში დაცული ხმოვანი, სანოტო თუ ვიდეო მასალების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭვანის ხეობის მუსიკალური ფოლკლორი და მისი შემსრულებლობა, არქივებშიც სწორედ ამ ხეობის ნიმუშების ხმოვანი ჩანაწერები ჭარბობს. ეთნოფორებს (მთქმ: ხასან ხილაძე სოფ. ნაღვარევი; ტარიელ ბოლქვაძე სოფ. ხაბელაშვილები;) ახსოვთ ხეობის რამდენიმე აუთენტური ჯგუფი – ჭვანის ხეობის, სოფელ ცხემლისის უხუცესთა, სოფელ ხაბელაშვილების უხუცესთა ანსამბლები (ეს უკანასკნელი 1988 წელს კ. გარაყანიძეს ჩაუწერია, მისივე ინიციატივით ბორჯომის ფესტივალში მონაწილეობდა). ჭვანის მუსიკალური ფოლ-

კლორი შუახევის რაიონის სხვა ხეობების ტრადიციული მუსიკისაგან განსხვავებულია. სხვა ლოკაციების მკვიდრი შემსრულებლებიც (ოთარ დავითაძე, დაბა შუახევი; ავთანდილ დარჩიძე, სოფ. ოლადაური;) აღნიშნავენ, რომ ჭვანელებიტრადიციული სიმღერების საინტერესო ვარიანტებს ასრულებდნენ. მნიშვნელოვანია, ისიც რომ ანსამბლის წევრთა რაოდენობა 7-8 ადამიანს არ აღემატებოდა. ეთნოფორების ცნობით, ხშირ შემთხვევაში, სიმღერის ანსამბლების წევრები ცეკვების ხორუმისა და განძაგანას ძველი ილეოგის შემსრულებლებადაც გვევლინებოდნენ.

ჭვანის ხეობის ფოლკლორი მაღალმთინი აჭარის სხვა ტრადიციულ ნიმუშებთან შედარებით გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ მსგავსებას ავლენს გურულ და ნაწილობრივ იმერულ სასიმღერო ნიმუშებთან, რაც ჩემი აზრით ხეობის გეოგრაფიული მდებარეობითა და მიგრაციის პროცესებითაა გამოწვეული. ჭვანის ხეობა ოსმალთა ბატონობის დროს და შემდეგაც ხეობებს შორის გამავალ გზას წარმოადგენდა. მას ხულოს რაიონთან ბრტყელიას მინდორ-გადასასვლელი, ქობულეთთან – პერანგას უღელტეხილი, ჩოხატაურთან – მთა მერიაყელი, ოზურგეთთან კი ჯვარიმინდორის გადასასვლელი

აკავშირებდა (შალიკავა, 2009:15). የოგორც ჭვანის ხეობის ეთნოფორები (ნანული ბეჟანიძე სოფ. ჭვანა; ხასან ხილაძე სოფ. ნაღვარევი) ሠმბობენ, ხშირი მიმოსვლა პქონდათ, დღესაც აქვთ მოზე-ბელი የაიონების მკვიდრებთან და ერთმანეთის ტრადიციების ურთიერთგაცვლასაც ახდენენ. აქ სამცხე-ჯავახეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთი-დან, გურიიდან წამოსული მოსახლებაც ცხოვ-რობს.

ჭვანის ხეობის ტრადიციული მუსიკალური ნიმუშები აჭარულსა და გურულ ფოლკლორულ ნიმუშებს შორის გარდამავალ ხასიათს ატარებს, თანაც ინარჩუნებს მისთვის სახასიათო მუსიკა-ლურ პლასტს.

ზემოთ ხსენებული საკითხის შესწავლა და-ვიწყე, የაზეც ცალკე მოხსენებას ვამზადებ, მაგ-რამ შემსრულებლობის ოვალსაზრისით მინდა აღვნიშნო, የომ ჭვანის ხეობის სიმღერებში გუ-რული და ზოგჯერ იმერული მუსიკალური ფოლ-კლორის ნიშნების გამოვლენა ხდება የოგორც სასიმღერო የეპერტუარში, ასევე სიმღერის მუსი-კალურ კანონზომიერებებში, საშემსრულებლო მანერაში, განსაკუთრებით მოძახილის მელოდია-ში, የომელიც იმპროვიზაციულ ხასიათს ატა-რებს და გურული სიმღერების ზედა ხმისათვის

სახასიათო ელემენტებს შეიცავს. ყურადსაღებია, რომ ჭვანის ხეობაში სიმღერები ჩონგურის თანხლებითაც სრულდებოდა, სწორედ ამ ხეობის წარმომადგენელია სახალხო მთქმელი თოფია ქათამაძე, რომელიც ჩონგურზე ეპიკურ ნიმუშებს დაამდერებდა (და არამხოლოდ ის, მისი წინაპრებიცა და შთამომავლებიც ეპიკური ნიმუშების შემსრულებლები, ცნობილი სახალხო მთქმელები იყვნენ).

დღესდღეობით, შუახევის რაიონის კულტურის ცენტრში რამდენიმე სიმღერის ანსამბლი მოქმედებს, ესენია: შუახევი, ქალთა ანსამბლი, დღვანისა და უჩამბის ოემის შერეული ჯგუფები, მარეთისა და ჭვანის ხეობების ანსამბლები. მე როგორც ამ ცენტრის ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელს შესაძლებლობა მაქვს აღნიშნულ ანსამბლებს ტრადიციული საშემსრულებლო პრინციპები გავუზიარო, ამ პრინციპების გათვალისწინება მოვთხოვო, მეტწილად აჭარული ან მათი ხეობის სიმღერების აღდგენისა და სინკრეტულობის დაცვისაკენ მოვუწოდო. რამდენიმე ანსამბლს ამ პრინციპებით (შუახევი, ქალთა ანსამბლი, ჭვანის ხეობის ანსამბლი) აჭარულ ტრადიციულ ნიმუშებს თვითონვე ვასწავლი. ზოგიერთმა მათგანმა უკვე დაძლია ძველი სამუშაო

პრინციპები, დათმო სტატიკურ მდგომარეობაში სიმღერის შესრულება, ხმების გაორმაგება, ქრომატიულ საკრავებზე დაკვრა, სიმღერის დროს რამდენიმე ერთგვაროვანი ხალხური საკრავის გამოყენება, სხვა კუთხის სიმღერების პოპულარიზაცია, თუმცა წლების განმავლობაში დამკვიდრებულ პროფესიული მუსიკის საშემსრულებლო სტილთან ჰიდილი საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდაროგორც შემსრულებლებისათვის, ასევე მათი ხელმძღვანელებისთვისაც. პრობლემას წარმოადგენს ვოკალურად მღერის მანერა, რის ჩამოყალიბებაზეც წლების მანძილზე ანსამბლების ხელმძღვანელები სპეციალურად მუშაობდნენ. სწორედ იმიტომ, რომ ინტერპრეტირებისას წარსულში დირიჟორ ხელმძღვანელებზე იყვნენ დამოკიდებული, დღეს საკონცერტო გამოსვლისას შემსრულებლებს მათ გარეშე სიმღერის ხასიათის, სიმღერის ტემპისა და დინამიკის ჩვენებაუჭირთ.

უნდა აღვნიშნო, რომ ქართული ხალხური სიმღერის საშემსრულებლო პრინციპების დაცვისათვის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ბოლო ათწლეულის მანძილზე გაწეულმა საქმიანობამ (ვგულისხმობ ანსამბლების კონსულტაციას), შემსრულებლებთან

ფოლკლორული ნიმუშების სინკრეტული სახით  
აღდგენაზე მუშაობამ, სხვადასხვა სატელევიზიო  
გადაცემების, ფოლკლორული პროექტებისა თუ  
ტურისტული სააგენტოების მხრიდან დაინტერე-  
სებამ ანსამბლებს კუთხის მუსიკალური ტრადი-  
ციების შენარჩუნებისაკენ უბიძგა. ამაუამად, მი-  
ვიწყებული ფოლკლორული ნიმუშების გაცოც-  
ხლება არსებული ფონოჩანაწერების, უკეთეს  
შემთხვევაში მოხუცი ეთნოფორმების მეხსიერება-  
ში დალექილი სიმღერების მეშვეობით, ზოგჯერ,  
ამ ორი საშუალების ერთობლიობითაც, ჯერ კი-  
დუვ შესაძლებელია. ამის მაგალითად შემიძლია  
დავასახელო კულტურის ცენტრში 2015 წელს  
შექმნილი მარეთისა და ჭვანის ხეობის ანსამ-  
ბლები.

სტატია შუახევის რაიონის ტრადიციული  
მუსიკის შემსრულებლობის განხილვის პირველი  
მცდელობა გახლავთ. ვფიქრობ, ამ საკითხის უფ-  
რო დეტალურ კვლევას, რაშიც რაიონის კულ-  
ტურის ცენტრის მიერ სამომავლოდ დაგეგმილი  
ექსპედიციებიც დამეხმარება. აგრეთვე, შესწავ-  
ლას საჭიროებს სხვადასხვა სახალხო დღესას-  
წაულის მუსიკალური ტრადიცია, რომელმაც  
ფოლკლორული მუსიკის შესმრულებლობაზე  
მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახობაძე ვ., ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები. სანოტო კრებული. თბ., 1961.
2. გარაყანიძე ე., ქართული ხალხური მუსიკის შესმრულებლობა. თბ., 2007.
3. სურმანიძე რ., (მთ. რედაქ.) შუახევი (ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები). ბათ., 2008.
4. შალიკავა მ., ჭვანის ხეობა (ისტორულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა). ბათ., 2009.
5. შუახევის ქულტურის ცენტრის არქივი (მიზანით დინარეობს არქივის აღწერა)
6. ხმები წარსულიდან., ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან (დისკი 6), თბ., 2007.
7. Земцовский И., Современные черты советской народной музыкальной культуры. Социалистическая культура и фольклор. 1982.



***Lolita Surmanidze (Georgia)***

### **General issues of Shuakhevi region traditional music performance**

If we look through the tendencies established in performance during the last decades in the region of Adjara you can see weakening of syncretic (i.e. union of words, music and movements) connections which are common for folk and find its approach to more professional field which is basically revealed in the process of remaking-processing the old works.

Viability of traditions means its constant development, implementation of modernity in it but at the same time it means keeping its foundations and roots. The fact of not taking the least into consideration often led to disappearing of interesting versions of traditional works.

Changes occurred during the last century in the performance of traditional music has adjusted even village authentic ensembles to common criteria.

I recently started to work in Shuakhevi Cultural Centre of mountainous region of Adjara to teach Adjarian traditional music and share musical folk performance principles. It is natural that I was interested in traditional music performance of this region. According to the

materials I studied and during the works with the ensemble it was clear that during the decades following was regarded as a normal pattern: union of singing and dancing ensembles, procession of folk works, performance of pseudo-folk works, conducting the folk songs, duplication of voices in the songs, singing in the vocal manner, accompaniment of the works with some folk instruments, multiplicity of performers, static display of singers during performance. Though authentic groups existed as well from which Ensembles of Seniors of different villages of Chvana valley is noteworthy. Performance manner and folk of Chvana valley differs from musical traditions of other valleys of Adjara with its similarities with Gurian and partially Imeretian songs which in my opinion is caused by geographic location of the valley and migration processes.

Currently there are several singing ensembles in Shuakhevi regional Cultural Centre. I, as a leader of folk department of the centre have opportunity to share traditional performance principles of these ensembles, require consideration of these principles and to call for protection and restoration of Ajarian or their valley songs. Some of ensembles already overcame the old working principles though fighting with wrong performance style established during the years came out to be hard.



Together with the all abovementioned it is also important that it is possible to revive the folk works on the stage by existing records, songs kept in senior ehtnofors and sometimes by unity of these two.

## მაგდა სუხიაშვილი (საქართველო)

**შართული სამკლასიო გალობის შემსრულებ-  
ლობის ზობიერთი საპითხის შესახებ**

საეკლესიო გალობის ტრადიციის აღდგენის პროცესის ფონზე დღეს განსაკუთრებული აქტუ-  
ალობითაა წამოჭრილი შემსრულებლობასთან  
დაკავშირებული საკითხების შესწავლა და  
კვლევის შედეგების სამგალობლო პრაქტიკაში  
დანერგვა. მით უფრო, რომ დღეს სამგალობლო  
ხელოვნების სრულყოფისკენ არაერთი გუნდი ის-  
ტრაფის.

ცნობილია, რომ მემკვიდრეობითი ცოდნის ზეპირი გადაცემის უწყები ტრადიციის მოშლამ ქართული საეკლესიო მუსიკის შემსრულებლო-  
ბასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი გახა-  
და ბუნდოვანი. მათი ცხადყოფა ხანგრძლივ და  
სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. ამდენად, წი-  
ნამდებარე ნაკვლევი გალობის შემსრულებლო-  
ბის საკითხებს სრულად არ მოიცავს. ამ ეტაპზე  
ჩვენი მიზანი მხოლოდ ზოგიერთი მათგანის წა-  
მოჭრა და მათ გადასაჭრელად სწორი გზების  
ძიებაა. ძიებისას მთავარ გზამკვლევს წარმოად-  
გნს წყაროები, რომლებიც ძველი ფონოჩანაწე-

რების, სხვადასხვა საარქივო დოკუმენტების, ლი-  
ტურგიკული ხელნაწერებისა თუ პრესის მასალე-  
ბის სახითაა დაცული.

ხსენებული მასალების საფუძველზე იკვეთვ-  
ბა გალობის ტრადიციულ შემსრულებლობასთან  
დაკავშირებული არაერთი საკითხი. მათ შორი-  
საა მგალობელთა გუნდის მოცულობის, სტრუქ-  
ტურის, შემადგენლობის, დამწყები ხმის, გალო-  
ბის წარმართვის, შესრულების ფორმებისა თუ  
მანერასთან დაკავშირებული საკითხები.

პირველ ყოვლისა მივმართავთ წყაროებს,  
რომლებშიც საუბარია გუნდის მოცულობის, მი-  
სი შემადგენლობის, ცალკეული ხმის შემსრულე-  
ბელთა რაოდენობრივი მაჩვენებლის შესახებ.

ცნობილია, რომ წმიდა ფილიმონ მგალო-  
ბელმა (ქორიძემ) ქართული საეკლესიო საგა-  
ლობლების მის მიერვე ნოტირებული ნიმუშები  
არაერთხელ წარუდგინა საზოგადოებას განსას-  
ჯელად. ერთ-ერთი ასეთ წარდგენა შედგა 1884  
წლის 29 თებერვალს ქუთაისის თეატრში (ე. წ.  
„ხაზაროვის“ თეატრი), სადაც დიდი მომღერლის  
მიერ მომზადებული თხუთმეტკაციანი გუნდი  
პარტიტურის მიხედვით გალობდა. იმ დღეს წმი-  
და გაბრიელ ეპისკოპოსის მიწვევით თეატრში  
თავი მოიყარეს დასავლეთ საქართველოს სახელ-

მოხვეჭილმა მგალობლებმა, რომელთა გამოხმაურებები პრესაში დაიბეჭდა. წერილებში გამოხატულია დიდი სიხარული ქართული საგალობლების ხუთხაზიან სისტემაზე გადატანის გამო, მაგრამ მათში მოკრძალებულ შენიშვნებსაც ამოიკითხავთ.

აი, რას წერს დიდი მგალობლის, დათა გუგუნავას, შვილი, თავადაც ცნობილი მგალობელი სიმონ გუგუნავა: „ქართული გალობა უნდა შესდგეს სამის პირისაგან: პირველი არის მთქმელი, მეორე – მაღალი ბანი და მესამე – ბანი. ... შეიძლება ოთხმაც იგალობონ, მაგრამ ორი მათგანი ბანს უნდა ამბობდენ ერთ-ხმად ისე, რომ მსმენელის ყურში მათი ბანი განცალკევებულად არ უნდა ისმოდეს. ოუ თრი ბანის მთქმელნი მიუთვისებელნი შეიქმნენ ხმებით, მაშინ გალობას თავისი შნო დაკარგული ექნება" (მწყემსი, 1884 №8). მსგავსი აზრია გამოთქმული გამორჩეული მგალობლის, ჯამბაკურ გურიელის მიერაც. მისი სიტყვებით, „...ზეპირი გალობა სამი-ოთხი კაცი-საგან ითქმის და, რა თქმა უნდა თხუთმეტი კაცის თქმულთან შედარებით, მცირეა" (ივერია, 1897, 6 ივლისი).

სამგალობლო გუნდის მცირე შემადგენლო-

ბაზე ყურადღება წმიდა მღვდელმთავარმა, სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილმაც გაამახვილა. მან შეშფოთება ვერ დაფარა, როდესაც ქაშუეთის ეკლესიაში ზაქარია ფალიაშვილის მიერ ოთხებმაში დამუშავებული საგალობლები ოცდახუთკაციანი გუნდის შესრულებით მოიხმინა და ცნობილ კომპოზიტორს შეუთვალა: „ხელი აიღოს მაგისთანა გალობაზე და ხოროზედ. ეს ხორო დააწყოს ოთხ ხოროდ (ე. ი. დაახლოებით ექვსკაციანი შემადგენლობის გუნდებად - მ. ს.) სამხმიანი გალობით, ძველებური ჩვენის კილოთი და დააგზავნოს ქალაქის ეკლესიებში. უფრო მაღლობის ღირსი იქნება, ვიდრე ეხლა!" (კარბელაშვილი ვასილი, ხელნაწერი 142. ფ. 2).

გუნდის შემადგენლობასა და თითოეული ხმის შემსრულებელთა რაოდენობაზე ანდრეა ბენაშვილიც წერს. მისი სიტყვებით, „ეკლესიურ გალობას ამბობს სამი ხმა: თქმა, მოძახილი და ბანი. ბანი შეიძლება ბევრმა ერთადა სოქვას, მაგრამ თქმასა და მოძახილს კი უფრო თითო-თითო ხმა ამბობს... გარდა ამისა, თუ ეკლესიაში ბევრი მგალობელია, მაშინ მგალობლები ორ-დასად იყოფებიან და გალობას ხან ერთი დასი ამბობს და ხან მეორე" (ბენაშვილი, 1886: II).

დამოწმებული წყაროების თანახმად, სამხმიანი საგალობლის ზედა ორ ხმას თითო კაცი ასრულებს, ხოლო ბანში ხმების გამრავლებაა შესაძლებელი<sup>61</sup>. გამონაკლისს წარმოადგენს საგალობელთა შესრულების ფორმა, რომელიც სადგომისმსახურო წეს-განგებითაა განსაზღვრული და გუნდის მოცულობის ზრდას განაპირობს (იგულისხმება ლკისმსახურების გარკვრულ მონაკვეთებში ორი გუნდის გაერთიანება და ამათუ იმ საგალობლის ერთობლივი შესრულება).

საგალობლის ორი გუნდის მიერ შესრულებაზე ლიტურგიკულ წიგნებში დამოწმებული შენიშვები მიუთითებენ. ერთ-ერთი ასეთი შენიშვნა-დასტურდებასაბაზმინდის წეს-განგებაში (XIII ს.). იგი მაცხოვრის შობის სადღესასწაულო დღეების (დღესასწაულის წარგზავნამდე) პიველი ქამის დასდებლებს ახლავს. „...პირველსა ქამსა ზე-

<sup>61</sup> მელ ტრადიციებზე აღიხრდილ XIX-XX საუკუნეების მიჯნის მგალობელთაგან მხოლოდ დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე წერს ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში დიდი შემადგენლობის გუნდის (შესაბამისად, სამხმიანი საგალობელების ზედა ხმების ჯგუფურ შესრულების) დაშვების შესაძლებლობის შესახებ (თვატრი და ცხოვრება, 1918 №12 (2 სექტემბერი). სავარაუდოა, რომ ეს თვალსაზრისი ქართულ სამგალობლო კულტურაში იმხანად შემოჭრილი ახალი ტენდენციების ზეგავლენით წარმოიშვა.

და ვიტყვთ სამთა დასდებელთა ქრისტე-შობისათა ორ-ორჯერ, ერთგან შეკრებითა ორივე სამხრო<sup>62</sup>, – ვკითხულობთწეს-განგებაში (კოჭლამაზაშვილი, გიუნაშვილი 2005: 56). როგორც ამონარიდიდან ჩანს, ქრისტეს შობის დასდებლების შესრულებისას გუნდები ერთიანდებიან<sup>63</sup>.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძველად მარცხენა და მარჯვენა გუნდის ფუნქციები მკაფიოდ იყო განსაზღვრული. ამას მსახურებაში სრული წესრიგი შექმნდა. სსენებული წეს-განგებიდან ირკვევა ისიც, რომ დიდი მარხვის პერიოდის ჟამნობისას მარცხენა და მარჯვენა გუნდის მიერ ფსალმუნთა შესრულების თანმიმდევრობას ტიპიკონი განსაზღვრავდა. „...სამჩრომან, რომელმან დაიწყოს ცისკრისა აქებდითი, მანვე დაიწყენ კანონი პირველისა ჟამისათ, და მეექუსესა - კუალად პირველისამანვე.... ხოლო მეცხრესა ჟამსა დაიწყოს სხუამან ხორომან ფსალმუნებათ...”, – ვკითხულობთ წეს-განგებაში (კოჭლამაზაშვილი, გიუნაშვილი 2005:94). ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ ერთ-ერთ გუნდს, რომელსაც სა-

<sup>62</sup> „სამხრო“ ძველი ქართული ტერმინია და მგალობელთათვის განკუთვნილ ადგილს, კლიროსს ნიშნავს.

<sup>63</sup> ამავე სახით სრულდება ე. წ. კატავასიები ანუ დასაფარებლები.

ცისკრო „აქებდითსას“ შესრულება ევალებოდა, მასვე უნდა ეგალობა პირველი და მეექვსე უამის კანონები, ხოლო მეორე გუნდს – მეცხრე უამის ფსალმუნთა კანონის გალობა ეკისრებოდა.

ცალკე განხილვას საჭიროებს საგალობელთა ექვს ხმად გალობის ტრადიცია. ამასთან დაკავშირებით ერთ უაღრესად საინტერესო ცნობას გვაწვდის არქიმანდრიტი ბენედიქტე ბარკალაია.

მისი ოქმით, „თვითოვეულთა მოხსენებულთა ხმათა გალობს უთუოდ სამ-სამი მოგალობე კაცი და ამ ნაირად გუნდი (ხორა) შესდგების თვრამეტი მოგალობეთაგან. ძველთა სამეფოთა და საკათალიკოთა სობოროთა შინა მიღებულ იყო ორი გუნდი თვრამეტ-თვრამეტ კაცთა, ერთი გუნდი მარცხნითა და მეორე მარჯვენით, სულ ოცდათექვსმეტი მოგალობენი“ (დროება, 1880 №128).

არქიმანდრიტი ბენედიქტე ხმათა „სამ-სამი მგალობლის“ მიერ შესრულებაში თითოვეული ხმის ჯგუფურ შესრულებას როდი გულისხმობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მგალობელთა ექვს-ექვს ხმად დაყოფილი გუნდები საგალობლებს მონაცვლეობით ამბობდნენ. სამდვდელმთავრო წირვა ძველად უფრო ხანგრძლივი იყო, რაც, „მემხრეთა“ (ტაძრის სხვადასხვა მხარეს განლაგებულ მგალობელთა - მ. ს.) ურთიერთშენაცვლების სა-

ჭიროებას განაპირობებდა; შესაბამისად, ღვთის-  
მსახურებაში ორი ან სამი გუნდი იღებდა მონა-  
წილეობას. ამ მხრივ საგულისხმოა პოეტისა და  
მუსიკის მკვლევრის, დავით მაჩაბლის (1814-1874),  
გადმოცემა. მისი სიტყვებით, „ქართული გალო-  
ბა იგალობების ესრეთ: თქმა იწყებს, მაღალი ბა-  
ნი მოსძახის, ბანი უბანებს და აკავშირებს თქმას  
მოძახილთან, ღვრინი გრგვინავს და ახუევს ერ-  
თად სამთავე. ზილი თქმასა და მაღალ ბანს შუა  
საშუალს წმიდას ხმად მისდევს, ადგილ-ადგილ  
მთქმელს, ხოლო კრინი ხმის აწევ-დაწევის, გან-  
გდების და განკიდურების დროს ძალიან წმიდას  
ხმას შეეწუმასნის მთელს გალობას ხანსა და  
ხანზე იქ სადაცა აქუს ალაგი მას შეწუმასნისა“  
(მაჩაბელი, 1864: 40-73).

დავით მაჩაბლის თანახმად, ექვსხმად გა-  
ლობისას ექვსივე ხმა ყოველთვის ერთდროუ-  
ლად არ ჟღერს. „დამატებითი“ ხმები (სახელ-  
დობრ, ზილი და კრინი) ხოლისტებად გვევლინე-  
ბიან და ძირითად ხმებს (თქმას, მოძახილსა და  
ბანს) იქ უერთდებიან, სადაც „ალაგს“ იპოვნიან.

უდაოა, რომ პოეტის სიტყვებში ყურადღება ხმა-  
თა შეწყობის ზეპირ წესზეა გამახვილებული,  
რაც ცალკეულ ხმათა ჯგუფურ შესრულებას გა-  
მორიცხავს. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ,

რომ ექვს ხმად გალობის ტრადიციისთვის ხმათა გაორმაგება-გასამმაგების პრინციპი უცნობია.

საგალობელთა შესრულებისას მკაფიოდ იყო განსაზღველი ისიც, თუ რომელ ხმას ენიჭებოდა დამწყების ფუნქცია. ქუთაისის თეატრში ფილიმონ ქორიძის გუნდის ხსენებული გამოსვლის შემდეგ მგალობლებმა და საეკლესიო გალობაში გათვითცნობიერებულმა პირებმა ამ საკითხზეც გაამახვილეს ყურადღება. „... ერთი რამ უნდა შევნიშნოთ ბატონ ქორიძეს – მისი მგალობლები: დამწყები, მოძახილი და ბანი ყველანი ერთად იწყებენ გალობას, მაშინ, როდესაც ნამდვილად ესე არ არის. ჩვენში გალობა-სიმღერაში ჯერ იწყებს დამწყები, შემდეგ მოჰყვება მოძახილი და ბოლოს – ბანი“, – წერს უცნობი ავტორი „გარეშე მაყურებელის“ ფსედონიმით (ქორელი, 1949:92). მსგავსი აზრია გატარებული სიმონ გუგუნავასა და აკაკი წერეთლის საგაზეთო წერილებში. სიმონ გუგუნავა აღნიშნავს: „... დაწყების რიგი ეკუთვნის მთქმელს და მაღალმა ბანმა და ბანმა მიგნებულის ხმებით უნდა შეეწყონ დამწყებს“ (მწყემსი, 1884 №8). აკაკი წერეთელი კი წერს: „გალობას მხოლოდ ერთი მცირე რამ შევნიშნეთ, რომელიც ადგილი გასასწორებელია: სამივე ხმა ერთად იწყებს და ეს წინაარ-

მდეგია ქართული გალობისა: „მოძახილი“ მიტომ ჰქვია ერთ ხმათაგანს, რომ მეორე უნდა დაეხმაროს. საზოგადოდ მოქმედი იწყებს, მაღალი ბანი მოსძახებს, კრინი აბამს, ბანი მხარს აძლევს, დვრინი აგვირგვინებს და ძილი ატკბობს... ამათ ყველას თავ-თავის დრო აქვს და **შიგა-და-შიგ გამოსცემენ შეერთებულად** (ხაზგასმა ჩვენია – გ. ს.) ხმას და კიდევ ამაშია ჩვენი გალობის ტკბილ-ხმოვანების საიდუმლო", – წერს იგი (დროება, 1884, 22 თებერვალი).

ყურადსალებია, ასევე, ეპისკოპოს სტეფანე აღმსარებლის (კარბელაშვილის) სიტყვები: „წინეთ კი კომერციონი იყო დამწყების ხმა და ყველა თავის კვალში ჩადგომა და იმას შევსცეროდით, თუმცა მოძახილი შეაყენებდა ხოლმე თავისის მისაქცევ-მოსაქცევის შესასრულებლად", – წერს იგი (კარბელაშვილი, 1897: IX). ზედა ხმის, დამწყების, ამ ფუნქციის შესახებ ხომ დავით მარაბლის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიც მოწმობს („თქმა იწყებს, მაღალი ბანი მოსძახის...“).

მოხმობილი წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ საგალობლის დამწყები ხმა არის ე. წ. „თქმა“. ასრულებს რა კამერტონის ფუნქციას, სწორედ ის არის პასუხისმგებელი საგალობლის

ხმოვანების „სიმადლეზე". მოძახილი და ბანი კი „მიგნებული ხმებით" (სიმონ გუგუნავას გამოთქმა) უერთდებიან მას. საგალობელთა შესრულების ამ კანონზომიერებას დასავლური თუ აღმოსავლური სამგალობლო ტრადიციების ამსახველი არაერთი საარქივო ჩანაწერი მოწმობს. მათ შორისაა „თერთმეტ მარგალიტად" წოდებული 1949 წლის ჩანაწერი, რომელშიც არტემ ერქომაიშვილის, ვარლამ სიმონიშვილისა და დიმიტრი პატარავას ხმებია გაცოცხლებული (ქართული გალობა, 2004), ლევან მუღალაშვილის გუნდის 1952 წლის ფონოჩანაწერი (იბ. ობილისის სახ. კონსერვატორიის საექსპედიციო ჩანაწერები. კახეთი 1952) და სხვა ნიმუშები. ეს ის ძვირფასები წყაროებია, რომლებიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ, რომ საუკეთესო სამგალობლო ტრადიციების აღდგენა მხოლოდ დიდ წინაპართა კვალზე სვლით არის შესაძლებელი.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბენაშვილი ა., წინასიტყვაობა, ქართული ხმები. საეკლესიო გალობა. წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქართლ-კახეთის კილოზედ. ხალხური სიღვრები შეკრებილი და ნო-

ტებზედ გადაღებული ანდრია სიმონის ძე ბენაშვილისაგან. ტფილისი: სტამბა მელიქიშვილისა, 1886.

2. გიუნაშვილი ე., კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, საბაწმინდური ტიპიკონი (ერთი ნაკვეთი), გამოსაცემად მოამზადეს ე. გიუნაშვილმა და ე. კოჭლამაზაშვილმა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი. თბ., 2005.
3. კარბელაშვილი ვ., ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“ „მწუხრი“. ნოტებზე გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მდ. ვასილ გრიგ. კარბელოვის მიერ. პირველი ნაწილი. თბ., სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1897.
4. კარბელაშვილი ვ., ხელნაწერი 142. [ზ. ფალიაშვილის მიერ ჩამოყალიბებული გუნდის შესახებ]. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ვასილ კარბელაშვილის პირადი ფონდი.
5. კახეთი 1852. თბილისის სახ. კონსერვატორიის საქასპედიციო ჩანაწერები. 6. ზუმბაძე, ქ. მათიაშვილი თ. ჟვანია (შემდგენლები). თბ., 2006.
6. მაჩაბელი დ., ქართველთა ზეობა, ცისკარი, თბ., 1864 №5.

7. ქართული გალობა. ოერთმეტი მარგალიტი. სააექივო ჩანაწერი 1949. დიმიტრი პატარავა, ვარლამ სიმონიშვილი, არტემ ერქომაიშვილი. დ. შუღლიშვილი (შემდგენელი). ობილისის სახ. კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი. ქართული ხელხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. თბ., 2004.
8. ქორელი მ., ფილიმონ ქორიძე. თბ., 1949.

*Magda Sukhiashvili (Georgia)*

### **Some Issues of Georgian Chants Performance**

Literary sources and archive records preserved up to present reveal some characteristics related to traditional performance of Georgian church music – uniformity of the chorus, ensemble nature, forms of performing of the chants and so on.

According to the chant traditions of the Western and the Eastern Georgia two higher parts of three-part chants (so called primo and high bass) were performed by one singer, while several singers were performing the bass.



However, exceptional forms of performance, joint chanting of two choruses, were used for certain chants at the time of service that resulted in doubling of the higher parts.

Studies of literary sources showed that the initiating party was the highest one – primo while the high bass and bass joined the first part through “tuning”.

## ექატერინე ყაზარაშვილი (საქართველო)

**შართული საპლასიო გალობის დაცვისა  
და შემსრულებლობის პროცესები**

(დეკანოზვასილ კარბელაშვილის საარქივო  
ხელნაწერების მიხედვით)

XIX-XX საუკუნეების მიჯნა გარდამტეხიერა-  
პი იყო ქართული ტრადიციული გალობის გადარ-  
ჩენისა და დაცვის გზაზე. ამდენად, უაღრესად  
მნიშვნელოვანია თითოეული ცნობა იმის შესახებ,  
თუ რა კეთდებოდა ამ უდიდესი კულტურული  
მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის და ვინ იყვნენ  
ის ადამიანები, რომელთაც ასეთი თავდადებითა  
და სიყვარულით მოიტანეს ჩვენამდე ქართული  
საგალობლები. წმინდა სტეფანე კარბელაშვილის  
(იგივე დეკანოზი – ვასილ კარბელაშვილი<sup>64</sup>)პი-

<sup>64</sup>2012 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმინ-  
და სინოდმა ხუთი მმა კარბელაშვილი, საქართველოს ეპ-  
ლესიის სიწმინდისა და მისი კულტურული ფასეულობების,  
ტრადიციული სიმღერა-გალობის შენარჩუნების და  
დაცვისათვის, წმინდანთა რიგებს შეუერთა. წმინდა მოწა-  
მეების – პეტრესა და ანდრიას, წმინდა აღმსარებლების –  
სტეფანე, პოლივევქტოსისა და ფილიმონის სსენების დღედ  
საქართველოს ეკლესიამ 6 სექტემბერი დააწესა.

რად არქივში დაცულწერილებზედაყრდნობით წარმოგადგენთ მის ხედვას გალობის შემსრულებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ქართული გალობის შესრულების ტრადიციის დაცვა დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც XX საუკუნეში. XX საუკუნის დასაწყისში უპირველესად ქართული გალობის გადარჩენა და სწორი სახით ფიქსირება იყო მთავარი საზრუნავი, საუკუნის შემდეგ კი, ჩაწერილი ნიმუშების სწორად აუდერებისა და ტაძარში ადგილის დამკვიდრების პრობლემა დადგა. ვაკვირდებით, რაორი საუკუნის (XIX-XXI საუკუნე) განმავლობაში ქართული გალობის ირგვლივ შექმნილ სურათს, ვრწმუნდებით, რომ პრობლემურ საკითხთა წრე თითქმის არ შეცვლილა.

წმინდა სტეფანე ალმსარებელის პირად არქივში მრავლად არის ქართული გალობისადმი მიძღვნილი წერილები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან გალობის ნოტებზე ჩაწერის ისტორიისა თუ ზოგადად, XIX-XX საუკუნეში საქართველოში გალობის მდგომარეობის შესახებ. დღეს კი, ქართული გალობის სფეროში მომუშავე მკვლევართ ამ პერიოდის სურნალ-გაზეთებისა, თუ პირადი არქივების შესწავლის საფუძ-

ველზე საშუალება ეძლევათ პარალელი გააფლონ დღეგანდელ პრობლემებსა და საუკუნის წინ ქართულ გალობაში მიმდინარე პროცესებს შორის.

წმინდა სტეფანეს წერილებში ნათლად იკვათება გალობასთან დაკავშირებული შემდეგი პრობლემატური საკითხები:

- შემსრულებლობა – აკადემიური (ევროპული) სასიმღერო მანერის სამგალობლო ტრადიციაში დამკვიდრება.<sup>65</sup>
  - გამრავალხმიანებისკენ სწრაფვა (საგალობლების გაოთხხმიანება)
  - კილოს სიწმინდის დაცვა;
- დღეს ამ საკითხთა წრეს ემატება:
- სანოტო ხელნაწერების სწორად რედაქტირების პრობლემა (ერთი და იგივე საგალობელი რედაქტირებულია სხვადასხვა მიხრილობაში, სშირად რედაქტორის მუსიკალური გემოვნებით);
  - „ქართული გალობის“ სახელით ცნობილი, თანამედროვე ავტორთა მიერ შექმნი-

---

<sup>65</sup> დღეს კი აქტუალურია როგორც აკადემიური მანერისკენ სწრაფვა, ასევე პირიქით, ფოლკლორული ელემენტების შექრა სამგალობლო მანერაში.

ლი არაკანონიკური საგალობლები და  
ე.წ. ფსევდობიზაბტიური საგალობლები.  
ორივე მიმართულება დიდ შფოთს იწვევს  
როგორც მგალობელთა, ისე სასულიერო  
პირთა შორის.

ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს გან-  
ვიხილავთ, მოკლედ შევეხებით წმინდა სტეფანე  
აღმსარებლის ბიოგრაფიულ ცნობებს. კარბე-  
ლაშვილების ოჯახი, სადაც ვასილი ექვს და-  
ძმასთან ერთად იზრდებოდა, სანიმუშო იყო  
ეროვნული და საგანმანათლებლო ტრადიციების  
დაცვის მხრივ. მომავალმა ეპისკოპოსმა ფართო  
განათლება მიიღო, მათ შორის მუსიკალურიც<sup>66</sup>.

გასაკვირიარ არის მისი მრავალმხრივი პედაგო-  
გიური მოღვაწეობა სასულიერო სემინარიასა თუ  
სხვა ტიპის სასწავლებლებში.იგი გვევლინება  
როგორც სასულიერო პირი, პედაგოგი,პუბლი-  
ცისტი, მკვლევარი.

ცნობილია, რომ ქართული საეკლესიო გა-  
ლობა დევნა-შევიწროების პირობებში, მგალო-  
ბელთა საგვარეულო კერებში აგრძელებდა სი-

<sup>66</sup> 1882 წ. 10 ივლისს წავედი მოსკოვში, სადაც ერთი წელი-  
წადი გენერალობდი მუსიკას პროფესიონალ კაშინთან; მაგ-  
რამ რაჯი 1883 წლის მაისს გამოვისტურებულ აქტებში აგრძელებდა სი-

ცოცხლეს. კარბელაშვილების ოჯახი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი იყო მათ შორის, სადაც ქართულმა სიმღერა-გალობამ დაიდო ბინა. საეკლესიო გალობასა და ხალხურ სიმღერას პატარა ვასილი გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში მამისგან – მღვდელ გრიგოლ კარბელაშვილისგან ეუფლებოდა.

საინტერესოა, ქართლ-კახეთში აქტიურად მოღვაწე ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანეს ბავშვობისდროინდელი მოგონებები. ეპისკოპოსი სტეფანე პირად წერილში იგონებს – „ენა სიმღერა-გალობაში ამომადგმუნინა მამამ და მშვენიერი გუნდი იყო ჩვენ ოჯახში. მე ვამბობდი პირველს, პოლიკექტონი – მეორეს, ანდრო და ხიდონია კი – მესამეს. დედ-მამა და ფილიმონი კი უკრს გვიგდებდნენ და ტკბილოდნენ ამ ხმაშეწყობილ გუნდის გალობით [...] მერე სამთავისის საეპისკოპოზო ტაძრი ტაძრი ისეთი რამ მშვენიერია და ისეთ ხმას იძლევა, რომ ჩურჩული ხმამაღლად გამოდის, ჩვენ გალობას გუგუნი გაჰქონდა გუმბათში და თვით ჩვენც გვხიამოვნებდა ხოლმე [...]. მე ვიყვა 6 წლისა, რომ თავისუფლად ვგალობდი ხულ მთლად წირვის წესს დაუხმარებდად და თავისუფლად სიმღერებსა“ (ხელნაწერთა ეროვ-

ნული ცენტრში დაცული გახილ კარბელაშვილის არქივის ხელნაწერი №68. გვ. 77 <sup>67).</sup>

ცნობილია, რომ საეკლესიო გალობა XIX საუკუნის II ნახევარში დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. იკარგებოდა გალობის ძველი ტრადიცია, მცირდებოდა სრულ მგალობელთა რიცხვი. ამასთან, ევროპიდან შემოვიდა ახალი მუსიკალური ტალღა. კომპოზიტორები, რომელთაც ევროპული მუსიკალური განათლება ჰქონდათ მიღებული, ცდილობდნენსაუკუნეებგამოვლილი, უპირტესად ზეპირი ტრადიციით მოდწეული ქართული ტრადიციული გალობა, ევროპულ ყაიდაზე “მოექციათ”. წმინდა ეპისკოპოს სტეფანეს პირადი არქივი თუ იმ დროის პერიოდიკა ქართველი კომპოზიტორებისადმიმიმართულ არა-ერთ კრიტიკულ წერილს ინახავს. ესენი არიან: ზაქარია ფალიაშვილი, ნიკო სულხანიშვილი, ია კარგარეთელი, დიმიტრი არაყიშვილი და სხვა. ძირითადი წუხილი და მოწოდება წერილებში გალობას ეხება. იგი ამბობს – „ჯერ რაც არის, იმას უნდა მოვლა-პატრონობა, იმისი მოვუნაა ხალხში ხაჭირო, რომ საძირკველი არდაუკარგოს გალო-

<sup>67)</sup> შემდგომში ხევნებული არქივის ხელნაწერების დამოწებისასმივუთითებთმხოლოდ ხელნაწერისნომერს.

ბას, მერმე რაკი საძირკველი ან კედლები გამყარებული ექნება, მისდექით და იმდენი პლესეთ ვიდრე მოგეწყინებათ“ (№131, გვ.5). როგორც ირკვევა, მრავლად იყვნენ მუსიკალური განათლების მქონე ის პირები, რომელთაც სურდათ თავისი კვალი დაემჩინათ ქართული საგალობლისათვის.ამას წმინდა სტეფანე ვერ ურიგდებოდა – „ვისაც ესმის გალობა და ჩახედულია მისი წყობილების წესში, ის დიდის სიფრთხილით ექცევა, ვინც არ იცის, იმისთვის არაფრად არ ღირს ის „ვანდალიზმობა“, რომელსაც სჩადიან და კადრულობებ კიდევ. თითოეული ხმა აშენებულია მძივიალიანობის კრიალოსანივით საკუთარს წყობილების წესზედ, რომლის შეცვლა, შეკვეცა ან ერთი მარცვლით მეორეზედ გადატანა, ამაღლება ან დადაბლება, შეუძლებელია. თუ ამას არ მივაჭროთ უურადღებას, რაღა უფლება აქვს ვისმეს სოქვას, რომ ამა და ამ ხმაზედ ვგალობო“. აი ბ. სულხანიშვილიც ასე მოიქცა, ეს რა საკადრისია, ეს მასხარად აგდება ქართულის გალობისა?! საცა უნდა მოხვრის, შეამოკლებს, მარცვალს შეცვლის, იქ დასვამს ხმის ნიშნებს სადაც იმ ხმაში არ იხმარება და ხევა“ (№139. გვ.2).

1910 წლის 31 ოქტომბერს, ქაშვეთის ტაძრის კურთხევის დღეს, ვასილ კარბელაშვილის ყურადღების არეალში სხვა მნიშვნელოვან ფაქტებთან ერთად ზ. ფალიაშვილის „ხოროც“ მოექცა. წერილი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციისადმი იყო მიწერილი, სამწუხაროდ არ დაიბეჭდა და ფართო საზოგადოება მას მხოლოდ ვასილ კარბელაშვილის პირად არქივში თუ გაეცნობა. ეს წერილი (№131, გვ.1-9) ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან საეკლესიოგალობის შესწავლისა და შესრულების პროცედურასთან დაკავშირებულ რამდენიმე საგულისხმო ფაქტს ეხება.

პირველი, რაზეც ეპისკოპოსი სტეფანე წუხე, არისის, რომ საქართველოში აღარ არიან „ნამდვილი“ გალობის მცოდნე პირები. მისი თანამდეროვე, ქართული და ევროპული მუსიკის მცოდნენი კი უარყოფენ გალობის ზეპირი ტრადიციით სწავლების მეთოდს და მას „წვალებას“ ან „დახავსებული სწავლების მეთოდსაც“ უწოდებენ, ხოლო ნოტებით გალობის სწავლას „რაციონალურს“. ეპისკოპოსი სტეფანე აღნიშნავს, რომ „იმ ძველმა ზეპირობამ გალობა-სიმღერისამ შეუნარჩუნა ქართველთა განსაკუთრებული ხასიათი. ზეპირ გადაცემაში მოხწავლენი ეწვევიან იმ ხმათა დამახასიათებელ თვისებათა, რომელნიც

კროპულად აღზრდილ ყურისათვის შეუწყინარებელია და ბარბაროსობა!“ (№131. გვ.3).

წმინდა სტეფანე აღმსარებელი წერილში №142 ეხება ე.წ. „დიპლომიან მუსიკოსებს“ (ზაქარია ფალიაშვილს, ია კარგართველს, გრ. ჩხიძებადეს და სხვ), რომელთაც „გალოობა არ იცოდება და არ იციან“. ზაქარია ფალიაშვილს მოიხსენიებს როგორც დიდი ნიჭისა და ენერგიის მქონე ახალგაზრდა მოღვაწეს, თუმცა აღნიშნავს, რომ „ქართულ გალოობა-სიმღერაში მეტი სუსტია“. საინტერესოა მისი არგუმენტები ამ შეფასებასთან დაკავშირებით:

- „ხალხის ყურის მოხატულებლად საგალოობელს „რომელი ქარუბიმთა“-ს გუნდი იწყებს ჯერ სამხმიანი გალობით, შემდეგ ემატება მეოთხევ ხმა და ასე გრძელდება ბოლომდე“. ეს რის მომასწავლებელია? იმის მომასწავლებელია, რომ შეხავალ ში უნდა მიიპყროს მსმენელის ყური და ჩააწეროს რომ ეს ქართული გალოობა არის, შემდეგ კი იწყება, იწყება ოთხ ხმიანი გალოობა!!! ღმერთმან შეინახოს მაგნაირი გალოობა! არაფრის კანონი ქართული გალოობისა, მაგა ში არ მოხსნეს, სტილისტიკა ქართული გალოობისა სულ მოწყვეტილია და გადამახინჯებული. [...] კარბელიაშვილს მიაჩნია, რომ „მეორე ხმის სარბილოს

აგიტროებს ოთხემიანი გალობა და ფრთას პეგუ-  
ცავს“ [...] „გალობა ფალიაშვილისა ატებობს  
უკრთა ხმენას, მაგრამ ქართული გალობის მა-  
გივრობას კი ვერ გახწევს“ (№142. გვ2).

2. სტეფანე კარბელაშვილი მიიჩნევს, რომ  
ფალიაშვილი სიტყვიერ ტექსტს ამახინჯებს მახ-  
ვილების არასწორი დასმით, სახელდობრ: „ალ-  
ლილუა“, „და ცხოველსმყოფულისა“, „კაცი“,  
„კაბალი“ და სხვ. კარბელაშვილი უარყოფითად  
აფასებს ქართული ენისადმი ასეთ არასწორ და-  
მოკიდებულებას.

3. ეპისკოპოსი სტეფანე ურჩევს ფალიაშ-  
ვილს, „ხორო“ დააწყოს ოთხ ხოროდ სამხმიანი  
გალობით, ძველებური ჩვენის კილოთი და დააგ-  
ზავნოს ქალაქის ეკლესიებში. უფრო მაღლობის  
დირსი იქნება, ვიდრე ეხლა!“ (№142; გვ4).

მღვდელთმთავრის ამ მოსაზრებებს ეხმიანე-  
ბა ცნობილი მოღვაწის, სასულიერო პირისა და  
ქართული გალობის მოამაგის დეკანოზ რაჭდენ  
ხუნდაძის მოსაზრებებიც. 1911 წელს გამოცემუ-  
ლი კრებულის წინასიტყვაობაში მამა რაჭდენი  
წერს: „სირცხვილია ჩვენთვის, დღეს, მეოცე საუ-  
კუნძული, ამ დიდებული გამოგონების ხანაში,  
ძველთაგან და დღემდის მოწევნილი გალობა

რომ დავკარგოთ. ეს გალობა ჩვენი, ქართველი ხალხის გულიდან ამოღებული პიმია; [...] ამ მხრით გულსაკლავია დღეს გალობის მდგომარეობა ჩვენში. ქართული ხმები წარეცნებს, გადაამახინჯეს [...] ვინც ორიოდე ხოტი შეისწავლა, ჩაიგდეს ხელში ხაცოდავი წირვის წესი და ჯიჯნიან!... უკელა მონდომებულია სხვა და სხვა გვარი ხახე მიხცებ, თავის გემოზე გადააკეთოს ე. ი. ქართული სიტყვები მიუწეროს სლავიანურ სხვა და სხვა გალობათა ხმებს. ამ სიმახინჯით თავი მოხსენოთ და სირცხვილათ არ მიაჩნიათ ის, რომ ერთი უბრალო ტროპარი არ იციან ქართულად გალობით“ (ერქვანიძე, მ; 2004:16).

როგორც ირკვევა, XX ს-ის I ნახევარში კომპოზიტორები, რომელთაც ევროპული მუსიკალური განათლება ჰქონდათ მიღებული, ცდოლობდნენ, ძირძველი სამხმიანი გალობა ევროპულ ყაიდაზე „მოექციათ“. ეს კი გულისხმობდა საგალობლის გამრავალხმიანებას (ოთხ და მეტ ხმაზე დამუშავებას), პიმის სტრუქტურაში ჩარევას, ევროპული აკადემიური საგუნდო მანერის დამკვიდრებასა და შერეული გუნდების ჩამოყალიბებას. ვასილ კარბელაშვილი მოუწოდებს „ნუ გაამრავალხმიანებენ (გააოთხხმიანებენ, გააეჭვსხმიანებენ) სამხმიან ტრადიციულ გალობას,

რადგან ეს არღვევს ქართული გალობის ბუნებასა და კილოს. „იხევვ სჯობია, რომ ჯერ სამ ხმაზედ გავრცელდეს მკვიდრად, არა მარტო წირვის წესი, არამედ მოელი რვა ხმა ტროპარდოლმატიკები და სტლისპირები, შევასწავლოთ, შევაყვაროთ ჩვენს შვილებს ძალა და მნიშვნელობა გალობისა. მივცეთ საჭმელი მასალა რომ კვლავ აღედგინოთიმათ ქართული გალობა წინახდებულად ათხ, ცხრასა, რვასა და უქს ხმაზედ (№104, გვ.2).

70-წლიანი პაუზის შემდეგ, 1990 წლიდან, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დაუბრუნდა მამაპაპისეულ ტრადიციას. ქართული ტრადიციული გალობა თანდათანობით იმკვიდრებს სათანადო ადგილს – ეკლესია-მონასტრებში. მნიშვნელოვანია ისიც რომ, გალობის მიმართ დიდი ინტერესს იჩენს სხვადასხვა თაობა. ჯერ კიდევ 1987 წლიდან ანსამბლი „ანჩისხატი“ და შემდეგ კი მთელი რიგი სხვა გუნდებისა იწყებს ქართული გალობის შესწავლას, გამოკვლევას, ტაძარში დანერგვას, რომელიც ლვთის შეწევნით დღესაც გრძელდება. სასიხარულო და საიმედო კი ის არის, რომ ახალგაზრდა თაობაა უკელაზე მეტად ამ საქმით დაინტერესებული და დიდი ენთუზიაზმით ეკიდება ქართული გალობის შესრულებისა

და შესწავლის საქმეს. კომუნისტური რეჟიმის შემდეგ ქართული ტრადიციული საგალობელი ღვთისმსახურებაზე პირველად 25 წლის წინ აუდერდა, თუმცა გარკვეული დაბრკოლებები კვლავ შეინიშნება როგორც მგალობელთა, ისე ღვთისმსახურთა რიგებში. კარბელაშვილი ამბობდა – „მოვა დრო, როდესაც თვით ხალხი მოითხოვს: მღვდელს – მამაპაპისეული წესით მიწირე და მიგალობე ქვლესიაშიო, თუ არა და გამეცალეთ ეხლა ხალხში იღვიძებს ეგ შეგნება და აბა მაშინ ნე მიჰყვებიან მამაპაპისეულ წირვას, გალობასა და ანდერძს“ (№160, გვ.6). გვიქრობთ ეს დრო უკვე დადგა და ერიც და ბერიც სწავლობს წინაპრების დანატოვარ საუნჯეს.

რაც შეეხება დღეს გალობის შესრულების ძველი ტრადიციით აღდგენის საქმეს, ჩვენი აზრით, მხოლოდ ძველი ფონოჩანაწერების მოსმენა და წინაპართა დანატოვარის შესწავლა დაგვაყენებს სწორ გზაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ძველი მგალობლების მიბაძვა ერთადერთ გზად არ გვესახება. მგალობელთა გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და სხვადასხვა შემადგენლობა, ერთი კონკრეტული საგალობლის შესრულებისას, განსხვავებულ ხმოვანებას

გვაძლევს, რაც დამოკიდებულია მგალობელთა შემღერებასა და მათ მუსიკალურ-ესთეტიკურ პოზიციაზე. ყველაზე მნიშვნელოვანია, დავიცვათ ქართული გალობის მახასიათებლები, როგორიცაა - ხმათა მიმოხვრა, კილოს სიწმინდე, მუსიკალური აზრის გამოთქმის თავისუბურება, ბუნებრივი - ქართული ენისათვის დამახასიათებელი არტიკულაცია.

მოხსენებას დავასრულებო წმინდა აღმსარებელი სტეფანეს სიტყვებითვე „ჩვენი ძველი კილო-გბი რომ სხვა რომელსამე ერს პქონოდა, თავმომწონებით გაუფრთხილდებოდა და შეინახავდა საშვილიშვილოდ. გამოიყენებდა ყოველთვის ერის სულიერად აღფრთოვანებისათვის და განხაწმენდებოთ. ძველი ქართული გალობის დავიწყება და დაკარგვა არავის ეპატიება“ (დოკ.№56, გვ.97).

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ერქვანიძე, მ. „ქართული საეკლესიო გალობა“, გელათის სკოლა, ტომი I. თბ., 2004.
2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ვასილ კარბელაშვილის პირადი არქივი. ხელნაწერი: №56; №68; №104; №114; №131; №139; №142; №160;



***Ekaterine Kazarashvili (Georgia)***

### **Georgian Psalm Tradition Preservation and Performance Issues (in accordance with Basil Karbelashvili's archival manuscripts)**

Activities carried out by clerics mainly aimed at preserving traditional Georgian Psalm. Karbelashvili brothers were not exceptions from this point. They greatly contributed to the rescue of Georgian chants. In the private archives of the saint Stephane Aghmsarebeli large amount of letters are kept which are dedicated to Georgian church singing. They significantly enrich our knowledge about transcription of Georgian chants into European notation and overall conditions of Georgian church singing during the XIX-XX centuries.

As it is known liturgical singing in the second half of the XIX century was facing a huge challenge. Old tradition of chanting was almost lost. Number of choirmasters was decreasing while a new musical wave was invading from Europe. The composers with European education were trying to adapt multi-centennial Georgian chants, which were orally passed from generation to generation over centuries, to the European mode. This meant to convert three-part chanting into polyphony and to



revise the structure and harmony of the chant. This aroused the necessity of experiments to establish mixed choirs. Basil Karbelashvili's polemics on the unacceptability of such novelties were reflected in his private correspondence. The aim of the report is to gather the most important issues related to the performance of Georgian chants. My research is based on the letters kept in the private archives of Stephane Aghmsarebeli (Karbelashvili).

## თამარ ჩხეიძე (ხაქართველო)

**„შშაღამისანი“ -ს შესრულების თავისებურება-  
ბი ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში**

ქართულმა ლიტურგიკულმა პრაქტიკამ გა-  
ლობასთან დაკავშირებული მეტად თვითმყოფადი  
და განვითარებული ტერმინოლოგია შეიმუშავა.  
ლიტურგიკულ-მუსიკალური ტერმინები, რომლე-  
ბიც ძველმა ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვი-  
ნახა სხვადასხვა რიგისაა. ისინი აღნიშნავენ სა-  
გალობელთა ქანრებს (იბაკო, ოხითა, წარდგომა,  
დასდებელი), კონკრეტული რიტუალის, ან საგა-  
ლობლის საწყისი სიტყვებით სახელდებულ სა-  
გალობლებს (ხელობანისათ, სიწმიდისათ, ერის  
განტევებისათ, განიცადე, აღავსე), საგალობლის  
შესრულების წესსა და ფორმებს (გარდამოთ-  
ქმათ, თქუან, იტყოდიან, წათქუან, უქციონ, მი-  
მოგდებით), ხმათა სახელებს (მზახრი, ჟირი, ბა-  
მი). ვხვდებით ცნებებს, რომლებიც უკავშირდები-  
ან რვა ხმის, ან საგალობელთა პანგების ურთი-  
ერთმიმართების სისტემას (თვითავაჯი, ძლისპი-  
რი, უძლისპირო), ან საგალობლის შემადგენელ  
სტრუქტურულ ერთეულებს (საქცევი/საქცევნი,

მუხლი/მუხლი); მუსიკალურ ნიშნებსა და საგალობელთა ფიქსაციის სისტემას (მეხურნი, ჭრელთა ნუსხა), გალობის მუსიკალურ სტილს (სადა, გამშვენებული, ჭრელი) და სხვა. უაღრესად მნიშვნელოვანია გალობის სწავლების სისტემასთან, თუ საკომპოზიტო პროცესთან დაკავშირებული ტერმინების დიფერენცირება (წმითა სასწავლელი სწავლა, მგალობელთუხუცესი, დასდებლის მეცნიერება, მეხელი, ხელოვანთმთავარი, მნიშვნელი, სრული მგალობელი).

ეს მოკლე ჩამონათვალიც ცხადს ხდის ქართული სამგალობლო ტერმინოლოგიის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. ამასთანავე, ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ტერმინის მნიშვნელობა გარკვეული არაა, ნაწილი - დაზუსტებას საჭიროებს. ვიმედოვნებთ, ზოგიერთი კრებულებშია დაუნჯებული და გამომზეურებას ელის. შეა საუკუნეების საქართველოში გალობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ასეთი მრავალმხრივობა, თავად საგალობო ხელოვნების განვითარების მაღალი საფეხურის მაჩვენებელია. ტერმინოლოგიური სისტემის შესწავლას ცნებების მნიშვნელობათა გარკვევასთან ერთად საგალობელთა ჟანრების ევოლუციის და მათი შესრუ-

ლების ტრადიციის, ზოგჯერ კი, მსახურებათა განვითარების თავისებურებების გამოვლენასთან მივყავართ. სწორედ ასეთ შედეგთან მიგვიყვანა ძველ ქართულ ხელნაწერებში დადასტურებული ლიტურგიკული ტერმინების - „შუაღამე“, „შეადამისანის“ შესწავლამ. მოხსენებაში წარმოვადენილია „შუაღამისანის“ ჯუფის საგალობლების შესრულების ტრადიცია საქართველოში.

VIII-X საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში<sup>2</sup>, „შუაღამისანი“-ს სახელით მოხსენიებულია ქრისტეშობის, განცხადებისა და დიდი პარასკევის მსახურების საგალობლები. ძველი საღვთისმსახურო ტრადიციით აღნიშნულ დღეებში მწუხრის ნაცვლად აღესრულებოდა საგანგებო მსახურება სახელწოდებით „შუაღამე“, ოომებლიც შეიცავს სპეციალური დასდებლებისა და ფსალმურური მუხლების გალობას და წმინდა წერილის კითხვას. სწორედ ამ დასდებლების სახელია „შუაღამისანი“.

შუაღამის დასდებლებს საგანგებო ადგილი ეთმობათ უძველესი იადგარის ნუსხებში (უძველესი იადგარი, 1980) ამ კრებულის მიხედვით შუაღამის დასდებლები ნუსხებში ლიტურგიკული წლის მნიშვნელოვან დღეებში გვხვდება და შემდეგი კომენტარები ახლავს: შობას - „შოვაღა-

მითგან იწყონ საკითხავთა კითხვად და ამათ  
დასდებელთა იტყოდიან:“ ტექსტი გრძელდება  
თერთმეტი დასდებელით, რომელთა შორის  
ფსალმუნის მუხლებია მოცემული. დასდებელთა  
გალობა მთავრდება რუბრიკით „და იკითხონ სა-  
ხარება“ განცხადების დღესასწაულზე რუბრიკას  
– „შუაღამისანი:“ მოსდევს თერთმეტი დასდებე-  
ლი, რომლებიც ფსალმუნურ მუხლებთან მონაც-  
ვლეობს. **დიდ ხუთშაბათს:**, შუაღამისანი:“ და  
მოსდევს 7 დასდებელი. ვნების პარასკევს: „პა-  
რასკევსა შუადღითგან იტყოდიან:“ მოსდევს  
თორმეტი დასდებელი. მათ შორის, მე-9 დასდებ-  
ლის შემდეგ რუბრიკაა „და იკითხონ სახარე-  
ბად“.

„შუაღამის დასდებლები“ უფრო ადრეული  
ხანის წყაროში, იერუსალიმური ლექციონარის  
ნუსხებშიც ვხვდება. აქ „შუაღამისანის“ პარადე-  
ლურად, დასდებლების აღსანიშნავად გამოყენე-  
ბულია ტერმინი – „ათორმეტნი“, რაც დასდე-  
ბელთა რაოდენობითაა განპირობებული. მაგ.,  
ლექციონარის ტექსტში ვნების პარასკევის მსა-  
ხურებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „დიდ-  
ხა პარასკევა [7 ვნებისსა] 6 უმითგან შეიკრი-  
ბებ წინაშე წმიდისა გოლგოთასა: ყონ ჯუერეები

და ლოცვად და იტყოდიან ათორმეტთა [ა დასდებელი ქმაღ ბ გუერდი:] დღეს დამოუკიდების ძელსა: ფსალმუნი: ნებარ არს კაცი რომელი არა: ბ დასდებელი ქმაღ ბ გუერდი: ვითარცა ცხოარი კლვად: ფსალმუნი: რად აღიზრებს წარმართინი: ბ დასდებელი ქმაღ დ გუერდი: ეხრეთ ეტყოდა ო“: ფსალმუნი უფალო რად განმრავლდეს: დ დასდებელი ქმაღ დ გუერდი: შიშისათვის პურიათა: ყონ კუგრეჯისი და ლოცვად მუხლთა-მოდრე-კით და იტყონ საკითხავთა ამათ:“ (Кекелидзе, К., 1912).

შეადამის დასდებლების ქართულ საღვთის-მსახურო პრაქტიკაში შესრულების თავისებურებების პვლევისკენ ამ დასდებლების უფრო გვიანი პერიოდის სამგალობლო რეპერტუარში ჩართულობის თავისებურებებმა, კერძოდ, საგალო-ბელთა კრებულებში - ე.წ. „ჭრელთა ნუსხებში“ დასდებლების დამოუკიდებელ ციკლად არსებობამ გვიბიძგა.

ჩვენთვის ცნობილ „ჭრელთა ნუსხის“ შემ-ცველ ყველა ხელნაწერში<sup>1</sup> შესულია საგალო-ბელთა ციკლები სახელწოდებით: „ათორმეტნი შობისანი“, „ათორმეტნი განცხადებისანი“, „ათორმეტნი დიდისა პარასკევისანი“. XIX-XX სა-

უკუნების მიჯნაზე ნოტებზე გადატანილი მასალა, საგალობო ოქერტუარში ამ დასდებლების რაობისა და მსახურებაში მისი ადგილის, ფუნქციის შესახებ სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. რადგან ისინი ციკლად არაა ამოყოფილი, არამედ სხვა დასდებლებთან ერთობლიობაშია მოცემული. სანოტო ჩანაწერებში მხოლოდ დიდი პარასკევის დასდებლებია გამოყოფილი. „ჭრელთა ნუსხები“ საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ათორმეტნი დასდებლების განვითარების ისტორიას დასაბამიდან XX საუკუნემდე, დავაკირდეთ საგალობლების ინტონაციური აგებულების თავისებურებებს ჰანგის ვერბალური განმარტების პირობებშიც კი. ამდენად, ჭრელთა ნუსხები მეტად ძვირფას წყაროს წარმოადგენენ არა მხოლოდ დამწერლობის თავისებურებების, რვა ხმის სიტემის თავისებურებების შესწავლისათვის, როგორც ადრეც აღვნიშნავდით<sup>4</sup>, არამედ გალობის ისტორიისა და ტრადიციის შესწავლის თვალსაზრისითაც; მსგავსად მე-19 საუკუნის მოწურულს ნოტებზე გადატანილი საგალობლებისა, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან არა მხოლოდ საგალობლების მუსიკალური ენის თავისებურებებზე, არამედ, ქართული ლიტურგიკული პრაქტიკისა და გალობის ტრადიციებზეც.

ჭრელთა ნუსხებში „ათორმეტნი დასდებელნის“ პოეტური ტექსტებისა და მუსიკალური მხარის განმარტებების შესწავლაში გვიჩვენა, რომ აღნიშნული დღეების (შობის, ნათლისდების და დიდი პარასკევის) შუალამის დასდებლების ჰანგები ერთმანეთთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს, რაც მათში საერთო მუსიკალური მუხლების გამოყენებით დასტურდება.<sup>5</sup> საერთო მუსიკალური ჰანგი კი საგალობელთა პოეტური ტექსტების სტერეოტიპული მსგავსებითაა გამოწვეული, რასაც ხშირად ტაქტების მარცვლების თანხვედრაც ახლავს ხოლმე. მაგალითისთვის მოგვაქვს განცხადებისა და დიდი პარასკევის შუალამის დასდებლების პოეტური ტექსტები, განმარტებებითურთ (მაგ N1). მოტანილ მაგალითში ნათლად ჩანს პოეტური ფორმებისა და, რაც მთავარია, ჰანგის შემადგენელი მუხლების მსგავსება. ჰანგის განმარტებებში ორგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ა) სხვადასხვა დასდებლების პოეტური ტაქტების ფრაგმენტები ერთმანეთს განმარტავს (დიდიპარასკევის პირველი დასდებელის პირველი მუხლი - „დღეს ტაძრისა იგი“ უნდა იგალობოს, როგორც „დღეს წყალსა იგი“, და პირიქით, განცხადების დასდებლის პირველი

მუხლი - „დღეს წყალსა იგი“, როგორც „დღეს ტამრისა იგი“. ბ) გვხვდება პოეტური ტაქტის ჰანგის განმარტებად საკუთარი პოეტური ტექსტის გამოყენება, რაც ამ ტაქტის მუსიკალური მუხლის, როგორც რიტმულ-მელოდიური ფორმულის – მოდუსის მნიშვნელობაზე მეტყველებს (მაგ. N2). წარმოდგენილ მაგალითებში (მაგ. N1, N2) ასეთ მნიშვნელობას იძენებ მუხლები: „ქრისტე მეუფეო“, „უსჯულოთაგან“, „ცოდვათა ჩვენთათვის კაცომოყვარე“, „და ვითარცა კრავი უმანკოვ“, „კრეტსაბმელი“, „უსჯულოთა მათ.“

ამრიგად, შობის, ნათლისდებისა და დიდი პარასკევის „ათორმეტნი დასდებლების“ პოეტური ფორმებისა და ჰანგების სიახლოვე ამ მსახურებების საერთო სტრუქტურითა და ლიტურგიკული შინაარსითაა განპირობებული. შობისა და ნათლისდების დღესასწაულები მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებას უკავშირდება – ხორციელად შობას და ღმერთად განცხადებას, ხოლო ვნების პარასკევი მის ჯვარცმას. შობა-ნათლისდება დასაბამია, დიდი პარასკევი კი – ამქვეყნიური ცხოვრების აღსასრული. ამით უნდა იყოს განპირობებული ლიტურგიკული წლის ამ სამ მნიშვნელოვან

დღეს ერთნაირი მსახურების დაწესება, საერთო ფორმულარებითა და საერთო ჰანგის მქონე „შუაღამისანის“ დასდებლების გალობით. მე-11 საუკუნიდან აღნიშნული დასდებლები საფუძვლად ედება სამუფლო უამის მსახურებას, სადაც დასდებლები უკვე უამის მსახურების შესაბამისადაა გადანაწილებული.

დასდებლების მუსიკალურ აგებულებაში ზე-მოაღნიშნული კანონზომიერებების დადგენის შემდეგ საგალობელთა ნოტირებული ხელნაწერების ანალიზს მივმართეთ. პარალელური ტექსტის მქონე საგალობელთა მოძიება სანოტო ხელნაწერთა აღწერილობის საფუძველზე განხორციელდა (შუდლიაშვილი დ., 2013). სანოტო ხელნაწერების მიხედვით დასდებლების ხმათა მიკუთვნებულობაზე და ჰანგის შედგენილობის თავისებურებებზე დაკვირვებით დადინდა, რომ დასდებელი ათორმეტნიც, ტროპარის ხმებზეა აგებული (მსავსად დასდებლების სხვა სახეებისა, როგორც ეს გამოიკვლია დავით შუდლიაშვილმა (შუდლიაშვილი დ., 2007). მაგრამ, მათ იგივე ვერბალური ტექსტის მქონე, ჭრელებით განმარტებულ საგალობლების მუსიკალურ აგებულებასთან საერთო არ აღმოაჩნდათ. აღსანიშნავია, რომ საგალობელთა სანოტო კრებულებში

გვხვდება „ჭრელი“-თ სახელდებული სხვა ტექსტის მქონე დასდებლები. მართალია, ნოტირებულ „ჭრელ“ დასდებლებს შორის არ დაიძებნა ჭრელთა ნუსხაში მოცემული ათორმეტნი დასდებელნის პოეტური ტექსტის მქონე ნიმუშები. თუმცა, ფიქსირდება ჭრელი დასდებლების რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც იგივე ხმებზეა, რაც ზოგიერთი ათორმეტთაგანი<sup>6</sup>.

ნოტირებულ „ჭრელ“ დასდებლებს შორის აშკარად იკვეთება მე-7 ხმის დასდებელთა სიმრავლე. მაგალითად, მეშვიდე, ზ-ხმისაა შემდეგი დასდებლები ხელნაწერიდან Q-693: „რომელმან საქმემან გყო შენ იუდა“ (№ 228); „პირმშომან ჩემმან ძემან ისრაილმან“ (№229). ხელნაწერში Q-690 უფრო მრავლადაა წარმოდგენილი ზ-ხმის ჭრელი დასდებლები. მათი რიცხვი თოთხმეტს აღწევს. ამავე ხელნაწერში ჭრელი დასდებლებიდან ვხვდებით ა-ხმის ერთ საგალობელს და ბ-ხმის 3 საგალობელს („რაჟამს გარდამოხსნა ძელისაგან“, „რაჟამს დაიდევ საფლავად შინა“, „რაჟამს დაიდევ საფლავსა ხორცითა“). ასეთ პირობებში ჭრელთა ნუსხების ათორმეტ დასდებელთა შორის დაგძებნეთ და გავაანალიზეთ ზ-ხმის მქონე დასდებლის სტრუქტურა ინტონაციუ-

რი აგებულების თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ხმაზეა დიდი პარასკევის მეათე და განცხადების მეცხრე დასდებლები, ერთნაირი დასაწყისი მუხლით „საშინელ იყო ხილვად“ (მაგ. N 3); ხოლო ბ ხმისაა – დიდი პარასკევის მე-11 დასდებელი „ოდეს ჯუარსა შემსჭუალეს“, განცხადების მე-10 დასდებელი „რაჟამს წინამორბედმან იხილა“, შობის მე-7 დასდებელი „ოდეს იოსებ მწუხარებასა შეეპყრა“ (მაგ. N 4).

ვერბალური განმარტებების ქვეშ ნაგულისხმევი ედერადობის არცოდნის პირობებშიც კი, შესაძლებელი ხდება პანგის ინტონაციურ აგებულებაზე მსჯელობა. განმარტებად გამოყენებული მუხლების ანალიზიდან ირკვევა, რომ ჭრელი დასდებლების პანგი რვახმის სისტემით წესრიგდება. როგორც საზოგადოდ, ერთი სახეობის საერთო ხმის მქონე საგალობლებისთვისაა დამახასიათებელი, შუაღამის დასდებლებში საერთო ხმის საგალობლებშიც პანგის აგება მსგავსი ინტონაციური მოდელებით ხდება (მაგ. N3, მაგ. N4). ეს პრინციპი სახეზეა საერთო ხმის მქონე ყველა დასდებელში. მოტანილი მაგალითი-დან N4 კარად ჩანს, რომ მუხლთა ოანხვედრა განსაკუთრებული ხტაბილურობით გამოირჩევა რამ-

დენიმე დასაწყის და დამაბოლოებელ მუხლებში. ამ საგალობლების პოეტურ ტექსტებშიც ვხვდებით საერთო, სტერეოტიპული ფორმულების გამოყენებას.

ამ დროისთვის საერთო ხმის ჭრელი დასდებლების შედარებითი ანალიზი (ჭრელთა ნუსხებსა და სანოტო ვერსიების საფუძველზე) ჯერ არ ჩატარებულა. და ეს ჩვენი კვლევის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ვერ ხერხდება ჭრელი “შუაღამისანის” დასდებლების ვერბალური განმარტებების მუხიკალური იდენტიფიცირება, მაინც შევძელით გარკვეული დასკვნების გამოტანა.

1. როგორც გამოირკვა შუაღამიანის დასდებელების მსახურების ტრანსფორმაცია განხორციელდა სამეუფეო უამის მსახურებად, სადაც დასდებლები უამების მიხედვითაა გადანაწილებული. თუმცა ისინი თავის პირველად ფორმასთან (ათორმეტთა ციკლთან) კავშირს მაინც ავლენენ სახელწოდების შენარჩუნებით: ჭრელთა ნუსხის ხელნაწერებში მათ ისევ ძველი სახელი - „ათორმეტნი დასდებელნი“ ეწოდებათ.

2. ჭრელთა ნუსხებში „ათორმეტნი დასდებელნის“ მოხვედრა საგალობელთა ციკლის განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა იყოს განპი-

რობებული. განმარტებების შესწავლა ადასტუ-  
რებს დასდებელთა ჯგუფის შიგნით სპეციალუ-  
რი მუხლების ჩაკეტილი სისტემის არსებობას.

3.წელიწადის 3 სხვადასხვა მსახურებაში  
ჩართული დასდებლების პოეტურ ტექსტებსა და  
პანგებში საერთო ფორმულების არსებობა არ  
არის შემთხვევითი. მას ღრმა ფესვები აქვს და  
დაკავშირებულია მსახურებათა საერთო ძირებ-  
თან. შობის, განცხადების და დიდი პარასკევის  
მსახურებების საერთო ლიტურგიკულ შინაარ-  
სთან.

4.ლექციონარისა და იადარის „დასდებელნი  
ათორმეტნი“, განსაკუთრებით კი დიდი პარასკე-  
ვის განგებაში შესული დასდებლები თითქმის  
უცვლელად, მხოლოდ განსხვავებული კომბინა-  
ციებითაა (თანმიმდევრობითაა) შესული ჭრელთა  
ნუსხებში და სამეუფერ ჟამის მსახურებებში.  
დასდებლების ხმებზე განაწილების პრინციპებიც  
უმეტესწილად შენარჩუნებულია VIII-დან XIX სა-  
უკუნის ჩათვლით არსებულ წყაროებში.

5.„ათორმეტთა“ შორის საერთო ხმის დას-  
დებლების პანგი მსაგავსი აგებულებისაა, რო-  
გორც საზოგადოდ ხმის კომპოზიციისთვისაა ტი-  
პიური. განსაკუთრებული სტაბილურობა საწყისი  
მუხლებისა და დამაბოლოებელი მუხლების თან-

ხვედრაში იგრძნობა. იგივე ფორმულების გამოყენების, დასესხების შემთხვევებს სხვადასხვა ხმის საგალობლებშიც ვხვდებით, რაც უმეტესწილად დამაბოლოებელ მუხლებს ეხება.

ამრიგად, „შუალამისანის დასდებლების“ ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში შესრულების თავისებურებების შესწავლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში ტრადიციებისადმი ერთგულება და პატივისცემა. ეს კი, თანამედროვე მსახურებაში VIII საუკუნიდან თითქმის უცვლელად მოტანილი დასდებლების გალობით შესრულების და ღვთისმსახურებაში მათი გაცოცხლების ბუნებრივ სურვილს აჩენს.

### შენიშვნები:

1. ეს ტერმინი არ არის დაკავშირებული სადღულამისო ციკლის ერთ-ერთი მსახურებასთან „შუალამიანი“, რომელიც წინ უძღვის ცისკარს.
2. იგულისხმება იერუსალიმური ლექციონარისა და უძველესი იადგარის ნუსხები.

3. დღეს ჩვენთვის ცნობილია ჭრელთა ნუსხის შემცველი ექვსი ხელნაწერი. ოთხი მათგანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H -2282 (XIXს); Q- 298 (XIXს); Q -103 (XVIIIს); Q- 104 (XVIIIს)) და ორი ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (N 467 (XVIIIს); N 368 (XVIIს)).
4. იხ. ჩვენი შრომა: „რვა ხმის სისტემა ჭრელთა ნუსხებში“. კრებულში: სასულიერო მუსიკა. მუსიკისმცოდნეობის საკითხები. თბილისი: თბილისის სახ. კონსერვატორია, 2007.
5. მუსიკალური მუხლების იგივეობის დადგენა განმარტებად გამოყენებული ტექსტების ფრა-მენტების ერთმანეთთან შედარებით და იდენ-ტიფიცირებით გახდა შესაძლებელი.
6. ხმებზე მითითებას არ შეიცავს ჭრელთა ნუს-ხები, თუმცა დასდებელთა ხმებზე მიკუთვნე-ბულობის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის იერუსალიმური ლექციონარი, უძველესი იად-გარი. უფრო გვიანი წყაროებიდან ჟამნი და სანოტო ხელნაწერები.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვახარია გ., შუღლიაშვილი დ., რაზმაძე ნ. ქართული საალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი. თბ., 2013.
2. Кекелидзе, Корнилий. Иерусалимский канонаръ VII века (грузинскаяверсия). Тб. 1912
3. უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევადა სამიებლები დაურთეს გ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980.
4. შუღლიაშვილი დ., რვა ხმის სისტემის სტრუქტურული თავისებურებები ქართულ გალობაში. კრებულში: სასულიერო მუსიკა. მუსიკისმცოდნეობის საკითხები. სამეცნ. შრომების კრებული. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბ., 2007.
5. ხელნაწერები: ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება N 467; N 368; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Q-690, Q-693.

# ტ

## მაგალითები

მაგ. N 1.

დიდი პარასკევისა		განცხადებისა	
დასდებელი ა	მარცვლების რაოდენობა	დასდებელი ა	მარცვლების რაოდენობა
დღეს წყალთა იგი		დღეს ტაძრის იგი	
დღეს ტაძრის იგი	5	დღეს წყალთა იგი	5
რეტსაბმელი		კრეტსაბმელი	
კრეტსაბმელი	4	ბუნებად წმიდა იქმნების	10
და განათლდების		სამხილებულად განიპო	
სამხილებულად განიპო	8	და განათლდების იორდანე	9
უსჯულოთა მათ		უსჯულოთა მათ	
უსჯულოთა	5	ლვთივშვენიერ	5

## ტ

მათ		რად	
<b>და თვისთა ლელგათა დო- ნებასა</b>		<b>და მზემან ბრწყინვალე- ბავ</b>	
და მზემან ბრწყინვალე- ბავ თვისი და- იფარა	<b>14</b>	და თვისთა ლელგათა დო- ნებასა დაბ- უშედრებს	<b>14</b>
<b>რამეთუ თანა გხედვიდეს ნათლისლე- ბად;</b>		<b>რამეთუ უფალსა გხედვიდეს ჯვარცმულსა</b>	
რამეთუ უფალსა გხედვიდეს ჯვარცმულსა	<b>12</b>	რამეთუ თანა გხედვიდა ნათლისლე- ბად;	<b>12</b>

- 1 დახრილი შრიფტით მაგალითებში მოცემულია ხელნაწერშის ტექსტის წითელი ფერის მელნით აღნიშნული განმარტებები: ოუ რომელი საგა-  
ლობლის ფრამენტის მსავსად უნდა შესრულდეს მოცემული ტაქტი. აქვე მოტანილი ციფრებით

## ც

წარმოდენილია ტაქპებში მარცვალთა რაოდენობის თანხვედრის შემთხვევები.

### მაგ. N 2.

დიდი პარასკევისა	განცხადებისა		
დასდებელი პ მარ- ცვლების რაოდე- ნობა	დასდებელი პ მარ- ცვლების რაოდე- ნობა		
ვითარცა კაცი მდინარედ შუ- ას იქით ოინი		ვითარცა ცხო- ვარი კლვად მიიგვარე	
ვითარცა ცხო- ვარი კლვად მიიგვარე	11	ვითარცა კაცი მდინარედ მო- ხუედ	11
ქრისტე მეუ- ვეო		ქრისტე მეუ- ვეო	
ქრისტე მეუ- ვეო	6	ქრისტე მეუ- ვეო	6
და ვითარცა კრავი		და ვითარცა კრავი	
და ვითარცა კრავი უმანქოვ	10	და მონებრივი- სა ნათლისდე- ბისა	11

## ტ

<b>ქრისტე მეუ- გეო</b>		<b>ქრისტე მეუ- გეო</b>	
და ემსჭვალე ჯვარსა	<b>6</b>	გენება მიღე- ბავ	<b>7</b>
<b>უსჯულოთა</b>		<b>უსჯულოთა</b>	
უსჯულოთაგან	<b>5</b>	სახიერო იოა- ნესგან	<b>9</b>
<b>ცოდვათა ჩვენ- თათვის კაც- ომოყვარე</b>		<b>ცოდვათა ჩვენთათვის კაცომოყვარე</b>	
ცოდვათა ჩვენ- თათვის კაც- ომოყვარე	<b>10</b>	ცოდვათა ჩვენთათვის კაცომოყვარე	<b>10</b>

# ტ

მაგ. N 3.

ზ - წმისდასდებლები		
	დიდი პარასკევის მე-10 დასდებელი	განცხადების მე-9 დასდებელი
	ნეტარ არს კაცი	ნეტარ არს კაცი
1	საშინელ იყო ხილ- ვაღ	საშინელ იყო ხილ- ვაღ
	ქრისტე მეუფეთ	ქრისტე მეუფეთ
2	ცათა და ქუეყანისა	ცათა და ქუეყანისა
	და განათლდების სამხილებელად	სამხილებელად
3	შემოქმედი ძელსა დამოკიდებული	შემოქმედი მდინარესა შინა განშიშვლებუ- ლი
	თავი ნეტარ არს კა- ცი ბოლო დღეს ქრისტე იშვებისზე გათავდებად	გითარცა ცხოვარი
4	მზე დაბნელდა	რომელი ნათლისდებ- ბასა მიიღებდა; მონი- საგან ჩუენისა ცხოვ- რებისათვის
	თავი და დღე და	რამეთუ შენ გესავთ

## ტ

<b>ლამე გუფარავ</b>		
5	მოხუედ და განსცხადენ ლოსთანი	და კრებულნი ანგა- ლოსთანი
	<b>და დღე პუალად ლამედ გარდაიქცა</b>	<b>გითარცა ცხოვარი</b>
6	თავი დღეს ქრისტე იშუების ბოლო ოდეს ჯვარზე გა- თავდებად	განკირვებულ იქმნეს შიშით და სიხარუ- ლით
	<b>და ქუეყანად დაფა- რულთა გუამთა</b>	<b>ქრისტე მეუზეო</b>
7	და მზემან ბრძყინვა- ლებად თვისი (დღეს ტამრისა იგიდან არის)	რომელთა თანა
	<b>განუტევებ და მკუ- დართა</b>	<b>თაყვანისგსცემთ</b>
8	თაყვანისგსცემთ	რომელთა თანა თა- ყვანისგცემთ ქრისტე გუაცხოვნენ ჩუენ

ତ୍ରୟ

ଧୀର୍ଣ୍ଣ N 4.

ନମ - ଶ୍ଵର	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII
ଫୋଫୋ	A	b	c	d	e	f	g	h	b	x	d	x	x	d	f	h	d	k
ଜା-														1				
ରାଶ-																		
କେବଳ																		
ମ୍ବ-11																		
ଫାଶ-																		
ଫେବାର୍																		
ଲୋ -																		
ଅନ୍ଦରୁ																		
କୁରୁ																		
କରୁଶ																		
କରୁଶ କରୁଶ																		
ଗାନ୍ଧି	A	b	c	x	e	f	d	x	x	d	*	f	h	d	k			
ବ୍ୟାକ					1													
ଫେବର୍																		
ମ୍ବ-10																		
ରାଶ																		
ଶାମି																		
ପିନ୍ଧା																		
ମହା																		

# Հ

ծյա- ման																	
Շո- ծօն	A	c	d	f	g	h	x	b	d	*	*	1	2	f	h	d	k
մյ-																	
7ռդց																	
և օռ-																	
ևյձ																	
թվշ-																	
եարյ-																	
եասա																	
Շյաբ- յրձ																	

ՐՐՈՂՈՐԾ ՓՈՆԱՄՁԵՅԱՐԿ ԱԵՐՈԼՈԴԱՆ ԲԱՆՏ ՏԱ-  
ՅՐՈՒԹ ԵՄՈՒՄ ՏԱԳԱԼՈՅԵԼԵՑ ՄԵՍԱԳԵՍԻԱ ՀՐԱՄԱՆՅՈՎՈ-  
ՇՐՈ ԱՐՈՆՅՈՎԵՅՈՒ: ՄՅԵԼՈՒԹ ՏԱՆԲՈԽՁԵՎՐՈՒԾԱ ՃԱ-  
ՏԱՎԿՈՒՄ ՃԱ ՃԱՄԱՅՈԼՈՅԵԼԵԼՈ ՄՅԵԼԵՅԵՈՒՏԱ, ԱՏԵՎԵ  
ԲԱՑԵՅՈՒԾՈՒՄ ՑԱՅԱՑ ՑՄԵՐՅԵՍԱԾ Ժ, Բ ՄՅԵԼԵՅԵՈՒՄ ՑԱ-  
ՑԱՅԵՅԵՆՅԵՅԱ. Խ ՃԱ ԱՅ ՏՈՄՅՈԼՈՅԵՅՈՒՄ ԱՋՆՈՇՆՅԵԼՈ  
ՄՅԵԼԵՅԵՅՈՒՄ ՀՐԱՄԱՆԻՐՅԵՅԵՆՅԵԼԱԾԱ ՑԱՆՄԱՐԾՅԵՅԵՆՅԵԼՈ ՃԱ  
ՑԵՐ ՄԱՏՈ ՏՐԿՈՒՄ ՈԴԵԲԸՊՈՎՈՎՈՐՅԵՅԱ ՑԵՐ ՄՐԵԿՐ-



---

---

ხდა. მათ გარეშეც ხმის კანონზომიერების დაცვა  
სახეზეა.

**Tamar Chkheidze (Georgia)**

**Peculiarities of the performance of *Shuagamisani*”  
in the Georgian divine service**

The Georgian liturgical practice worked out a very original and developed terminology connected with chanting. Studying of terminological system together with clearing up in the meanings of notions leads us to the manifestation of evolution of chant genres, tradition of performance, sometimes peculiarities of the development of services. In the report the tradition of troparion mentioned by the name of “*Shuagamisani*” in old liturgical sources.

The parallel term of “*Shuagamisani*” is “*twelve troparion*” which is proved in the sources of the middle ages (VIII – X) as well as in the ones of the later period (XVII-XIX) - in so called -the List of Chreli). By this name are mentioned chants entering the services of three important liturgical days - Christmas, Epiphany and Good Friday, which manifest closeness to each other of poetic



forms as well as from the point of musical structure (similar melodical stanzas). The similar existence of service, and closeness of poetic and musical forms of these three days of the year are conditioned by deep liturgical connections.

The service of troparion of “*Shuagamisani*” was formed in the XI century as the service of the Lord’s Canonical Hour, where the hymns are distributed according to Canonical Hours (three - on each). Notwithstanding of such transformation, mentioned troparion maintain the connection with the initial form (twelve troparion cycle), which is manifested in the retaining of the name “***twelve troparion***” before XIX century, in the action octoechos system and intonation unity of chants, characteristic to cycle.

## ექა ჭაბაშვილი (საქართველო)

**რამდენიმე თანამედროვე ქართველი  
პომარზითორის საბალოგლის უძერადობის  
საშემსრულებლო მრავალზანაბოვება**

გალობა მკაცრად სასულიერო ხელოვნებაა. ქართული გალობა-სიმღერა ჩვენი ერის სულიერი საგანძურო და სიწმინდეა. XX-XXI საუკუნის საერო მუსიკაშიც გაჩნდა ინტერესი საეკლესიო მუსიკის მიმართ. სხვადასხვა ქართველი კომპოზიტორი საკუთარ შემოქმედებაში არა მარტო რელიგიურ თემატიკას მიმართავს, არამედ ქმნის საეკლესიო საგალობლებსაც, სადაც, უმეტესად, დარღვეულია ის კანონიკა, რაც უძველესი გალობის ხელოვნებას ახასიათებს და რასაც აღწერენ ქართველი ჰიმნოგრაფები. კომპოზიტორთა უურადება მიპყრობილია თავისუფალ სტილზე, ზოგჯერ ევროპული სისტემების გავლენის ქვეშაც ექცევა მათი ნაწარმოების ესა თუ ის მონაკვეთი, ან მთლიანად საგალობელი, ზოგჯერ კი საკმაოდ ახლოსაა შუა საუკუნეებში შექმნილ ქართულ საგალობლებთან. თანამედროვე საგალობლების ერთი ნაწილი შევიდა რამოდენიმე

წლის წინ გამოცემულ კრებულში ბიზანტოლოგიის შესახებ.

წიგნში შესულია კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს, ნოდარ მამისაშვილის, რამაზ კემულარიას, მაკა ვირსალაძის, ქეთევან დავითაშვილის, ექვთიმე კოჭლამაზაშვილის და ეკა ჭაბაშვილის საგალობლები.

სწორედ კრებულში შესული ზოგიერთი ავტორის ნაწარმოების მაგალითზე ვისაუბრებთ სტატიაში, რაც ეძღვნება თანამედროვე კომპოზიტორების მიერ შექმნილი საგალობლების მიმოხილვას და ანალიზს XX-XXI საუკუნის საკომპოზიციო აზროვნებისა და ტექნიკის ჭრილში.

6. მამისაშვილის სტატიაში „როცა ყველა გზა ტაძარში მიდის“ გკითხულობთ: „საგალობელი, მართლაც რომ სულიერი კულტურის აუცილებლობაა. წმინდა მამების გენიალობა სწვდებოდა ლვორიურ ინფორმაციას და მათ შექმნეს ბერითი მოდულების ისეთი უკადავი ფორმები, რომლებსაც ჰქონდა მუდმივი განვითარების პოტენცია და შესაძლებლობა, რომ ყოველ ერს ამ მოდულთა შემწეობით თავის თვითმყოფად უნიკალობაში ეპოვა ბაზისი სულიერების გადარჩნისა. მაგალითად, ბიზანტიურ თუ სირიულ საგალობლებში ერთხმიან მელოდიათა „პორიზონტა-

ლის ჰარმონიამ“ პპოვა შეცნობა აღსავლისა“ (მახარაძე, 2009:1037). ეს სიტყვები, ვფიქრობ, ახალი საგალობლების ავტორთა მიმართაც შეიძლება ითქვას.

6. მამისაშვილის, როგორც საეპლესიო მუსიკის მკვლევარის, საგალობლები გამოირჩევა ქართული სამგალობლო წერის წესების სათანადო ცოდნით. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მისი საგალობლის „უამთა გადასახედი“ ბოლო ნაწილში კოლაჟის სახით გამოყენებულია ორი ფრაგმენტი მგალობელი მამია პატარავას მიერ ნოტებზე გადატანილი საგალობლიდან „დღეს საღმრთომან მაღლმა“ (ქართული საეკლესიო და სალხინო საგალობლები, გურული კილო თბილისი, 2003წ). საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობის ცენტრი).

## ტ

ნიმუში. 16. მამისაშვილის „ქამთა გადასახედი“ და კოლაჟი, დღეს საღმრთომან მადლმა“

The image shows two musical staves. The top staff is labeled "Misterioso (r ~ 3'10'')". It features three voices: Tenor (1), CORO (2), and Bass. The vocal parts are accompanied by piano-like chords. The lyrics are written below the notes. The bottom staff is labeled "Collage\*". It also features three voices: T (Tenor), CORO (Coro), and B (Bass). The lyrics are written below the notes. The music consists of short, rhythmic patterns.

მამისაშვილის აზრით: „ზოგჯერ ხალხური - სიმღერების და გალობის მოსმენისას, უცხოელს რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი მეტისმეტად პგვანან ერთმანეთს... სინამდვილეში საგალობელი ხალხური სიმღერისგან 27 მნიშვნელოვანი გამომსახველი ტიპით განსხვავდება: გამღერება სონორულ თანხმოვანზე, გამღერება „უსიმაღლო“

თანხმოვანზე ტონის კოლორისტული გაფართოვებით (ნამატირთულიტონი), ხმათა გადაჯვარედინების ფორმა, სადაც ერთ-ერთი გაძლიერებულ რეზონანსულ „დიღინა“ ექოსავით სრულდება, მოდულსში და მოდულაცია და ა.შ. (მახარაძე, 2009:1038).

ბატონი ნოდარისთვის საეკლესიო ჟანრი მისი სულიერების გამოვლინებაა, ესაა მისი ლოცვა, რომელსაცმუსიკალურ ენაზე წარმოთქვამს.

6. მამისაშვილის საგალობლების საშემსრულებლომანერა ახლოს დგას ავთენტურ, ძველქართულ საგალობლებთან. მუსიკალურ სისტემას და საკომპოზიციო ტექნიკას, რომელსაც ავტორი იყენებს, ბუნებრივად მივყავართ ავთენტური შესრულების აუცილებლობასთან. ოუმცა მისი „ჟამთაგადასახედი“ გაედერებულა ევროპული საგუნდო მუსიკის საშემსრულებლო სტილშიც.

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძნებს: „... ღმერთმა ყველა ერს მისცა მადლი, ხოლო ჩვენ, ქართველებს მოგვცა თავისი განსაკუთრებული თვისება – უდიდესი სიყვარული, რომელიც, პირველ რიგში, ჩვენს უძველეს ხალხურ სიმღერასა და საეკლესიო გალობაში ჩანს. ქართული გალობა არის სიყვარული უფლისად-

მი, ხოლო ქართული ხალხური სიმღერა – სიყვარული მოყვასისადმი, მუსიკაში აუდერებული და გადმოცემული.... შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძველი ქართული გალობა არის საეკლესიო ტრადიციის წმინდად დამცველი, შეურყუნელი, უძვლესი და ამასთან შუა საუკუნეების მართლმადიდებელ ეკლესიათა საგალობლებს შორის ერთადერთი მრავალხმიანი, ანალოგის არმქონე პოლიფონია, რაც მის უნიკალურობას განაპირობებს“ (ლოცვანი 2007: 239).

ზოგიერთ თანამედროვე საგალობლებში - ვხვდებითლათინური ტაქტებისა და ევროპული - პოლიფონიური ფაქტურის გამოყენების ფაქტებს, რომლის პირობებშიც არაქართული კილო-პარმონიული წყობა იკვეთება. შესაბამისად, ასეთი საგალობლები შესრულების თვალსაზრისითაც ეპროპული ხასიათისაა და საკმაოდ დაშორებულია აქართული ტრადიციული საგალობლის ქდერადობისგან. ასეთი ნიმუშების მოძიება შესაძლებელია კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს საგალობლებს შორისაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ერთადერთი ავტორია, რომლის საგალობლებიც სრულდება საეკლესიო მუსიკის ფარგლებში, რის საფუძველზეც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სულიერება, რომლითაც გაჯერებულია მისი სა-

# ტ

გალობლები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია,  
ვიდრე საკომპოზიციოტექნიკური ბაზა და ძველი  
მოდელების შენარჩუნება.

## ნიმუში.2

კათალიკოს-პატრიარქი ილია II-ის  
„კირიე ელეიისონ“

### პირვე ელეიისონ

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,  
უწმინდესი და უნდანარესი ილია II*

*J = 80*

*კირიე ე-ლეიისონ; კირიე ე-ლეიისონ; კირიე ე-*

**Tenor (Soleil)**

**Tenor 1**

**Tenor 2**

**Tenor 3**

**Bass**

კომპოზიტორ მაკა გირსალაძის აზრით,  
„თუკი ეროვნულობას განვიხილავთ, როგორც ა-  
რამხოლოდ შემოქმედების ზედაპირზე განთავსე-  
ბულ ამა თუ იმ დეტალს, არამედ როგორც გენ-

ტიკურად კოდირებულ, კოლექტიურ არაცნობი-  
ერში არსებულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას  
(ეს ნიშან-თვისებები კი თავის მხრივ, შეიძლება  
იყოს ძალზე ზოგადიც და კონკრეტულიც – რო-  
გორიცაა სააზროვნო სისტემა, ტემპერამენტი,  
განცდის უნარი, არქიტიპთასახეები, მსოფლმხედ-  
ველობა და ა.შ.), ამ შემთხვევაში შეუძლებელია  
ნაწარმოების რომელიმე სიღრმისეულ შრეში არ  
იყოს ჩადებული მისი ავტორის ეროვნულობა.  
თუმცა არსებობს, რასაკვირველია, ისეთი ქმნი-  
ლებებიც, რომელთა თავად ჩანაფიქრი, იდეა, უკ-  
ვე გულისხმობს ეროვნულის ამა თუ იმ დეტა-  
ლის მონაწილეობას და აქ, როგორც ზედაპირზე,  
ასევე სიღრმისეულად ვხედავთ ეროვნებას. თუკი  
ასე მივუდგებით საკითხს, შეუძლებელია ჩემი  
ნაწარმოებები არ იყოს ქართული, თუნდაც რო-  
მელიმე ერთი თვისებით, თუნდაც ფარულისა-  
ხით“ (ვირსალაძე:2015).

კითხვაზე, რა აზრისაა საეკლესიო მუსიკა-  
შითანამედროვე საგალობლების მნიშვნელობის  
შესახებ, მაკა ვირსალაძე ასე პასუხობს: „რაც  
შეეხება ქართულისაგალობლების საკითხს. მი-  
ჭირს ცალსახა პასუხისგაცემა თანამედროვე  
ქართული საგალობლების ბედის შესახებ. ერთი

შეხედვით კარგია, როდესაც ეპლესია ხელსუწყის სერიოზული პროფესიული მუსიკის განვითარებას, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში - საქმე ცოტა რთულად არის. ქართული მართლმადიდებლური ეპლესის მდგომარეობა ბევრად - მძიმე იყო, ვიდრე ევროპაში გავრცელებული კათოლიკური და პროტესტანტული ეპლესიების. მოგეხსენებათ, ევროპაში ეპლესია პროფესიული მუსიკის განვითარების ხელშემწყობი იყო, ქართული ეპლესია კი არა. ამის მიზეზი კი უდაოდ ის არის, რომ ქართული ეპლესია იბრძოდა ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისთვის. ამდენად ბუნებრივიცაა, რომ საგალობლების მიმართ კონსერვატულ პოზიციას იკავებდა და იკავებს დღესაც. ძველქართულ საგალობლებს თუ არა - ეპლესია, სხვა სივრცერეალიზაციისთვის არა აქვს. ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს, თუ არ გვინდა დავკარგოთ ხელოვნების ეს უნიკალური შრე. ამდენად, თანამედროვე კომპოზიტორების მიერ - შექმნილი ნიმუშების და ძველი ნიმუშების თანაარსებობა ძალზე ფრთხილად უნდა ხორციელდებოდეს. მე ვფიქრობ, დღეს კომპოზიტორი მხოლოდ ძველი კანონიკით ვერ შექმნის, თუმცა თუ კი ეპლესიაში შესასრულებელ ნიმუშებზეა საუბარი, ძირი, ძველი ფუნდამენტი რადაც სახით,

უნდა შეუნარჩუნოს თანამედროვეობასთან კომბინაციაში. ნებისმიერ შემთხვევაში როგორი საკითხია და ძნელია პასუხისმგებლობის აღება მასზე სასაუბროდ. მე პირადად, როდესაც „წმინდაო ღმერთოს“ ვქმნიდი არ მიფიქრია იმაზე, რომ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო, ერთი მხრივ, ვერ ვბედავდი ასეთი რამის გაფიქრებას. მეორე მხრივ კი, ეს ფაქტი თავისუფლებას მაძლევდა როგორც ხელოვანს, შემექმნა ის, რაც - მინდოდა და არ მეფიქრა იმაზე, რამდენად ვიცავდ ანონიკას. თუმცა აკორდიკა, საერთო განწყობა, ვფიქრობ, ქართულ საგალობლებს პირდაპირ ეხმიანება“ (ვირსალაძე:2015).

მაკა ვირსალაძის საგალობლებში ვხვდებით როგორც თანამედროვე ევროპულ, ასევე ქართული საგალობლებისთვის დამახასიათებელ ჟღვრადობას, რაც ინტონაციურ-პარმონიულ ჭრილში ვლინდება. მის საგალობლებში შეიძლება შეგვხვდეს ევროპული საკომპოზიციო აზროვნებისთვის დამახასიათებელი ხერხებიც, მაგალითად, „იმიტაციის ტექნიკა“, „კლასტერული ჟღვრადობა“ ან სხვა. შესაძლოა, სწორედ ამ ტიპის თავისუფლებას გულისხმობს ავტორი ნაწარმოების შექმნის დროს ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში.

## ტ

საინტერესოა ვირსალაძის საგალობლების-შესრულების ტექნიკაც, რაც ეფუძნება თანამედროვე საგუნდო შესრულების სტილს. მაკას საგალობლებში XXI საუკუნის მუსიკალური აზროვნება ვლინდება. ის საკუთარი დროის გადასახვდიდან ცდილობს შექმნას ტრადიციული საგალობლის ალუზიური განცდა. ამას აღწევს სონორული ჟღერადობების ხარჯზე თანამედროვე საკომპოზიციო ტექნიკაში ქართული ტრადიციული საგალობლისთვის დამახასიათებელი აკორდიკისა და ინტონაციური ჩანართების გამოყენებით. ნიმუში.

მაკა ვირსალაძის საგალობლები „წმიდაო ღმერთო“.

ვირსალაძი შეკა

**ვალდაო ღმერთო**

(საგალობლები)

Grave pesante  $\dot{=}\text{56}$

Soprano

Alto

Tenor

Bass

ჩემი აზრით, ქართული საგალობლების ინტონაციურ საფუძველს ძირითადად ლიტერატურული ტექსტი იძლევა. ამ მხრივ, თითქოს ქართული იდენტობის დაკარგვის საშიშროება მინიმალურია, რადგან ზოგადად, ქართული ენა ეროვნული იდენტობის უძლიერესი დამცველია. თუმცა თუ ქართული საგალობლების შექმნისას თანამედროვე საკომპოზიციო ტექნიკას გამოვიყენებო (ვთქვათ, ალეატორიკა, პუანტილიზმი, მინიმალიზმიდა ა.შ.), რა თქმა უნდა, ეს საძირკველი შეირყევა. ქართული ინტონაციური საწყისის მიუხედავად ის დაემუქრება მუსიკალური მოდელის მთლიანობას, (ამ თვალსაზრისით, მ. ვირსალაძე დიდი სიფრთხილით ირჩევს ტექნიკას და აღწევს მიზანს).

ქართულ საეკლესიო მუსიკაში გარდა ეროვნული დირებულებებისა და ქართული მუსიკალური აზროვნებისა, რომლის ფესვები ქართულ ფოლკლორშია გადგმული, ასევე ქართული მართლმადიდებლური სამუსიკო ენაა მნიშვნელოვანი. უმეტესად საეკლესიო მუსიკალური ენა რადიკალურად განსხვავდება ამ ავტორებისთვის - დამახასიათებელი საკომპოზიციო სტილისგან. და თუ ავტორისეული სტილი შენარჩუნებულია - მათ მიერ თუნდაც რელიგიურ თემატიკაზე შექ-

მნილ ნაწარმოებებში, საეკლესიო მუსიკის ნიმუშების შექმნისას ისინი იცავენ ქართული საეკლესიო მუსიკალური ენის ღირებულებებს. ამ გზით კომპოზიტორები უფროხილდებიან ქართული ტრადიციული საგალობლების ფასეულობას. სწორედ ამიტომ შეინარჩუნა ჩვენმა საგალობლებმა ქართული მართლმადიდებლური ქლერადობა და დღემდე მოაღწია, როგორც საგანძურმა. ამგვარად, სხვადასხვა ეპოქებში არსებული გლობალიზაციის პროცესების მიუხედავად ძველმა ქართულმა საგალობელმა თვითმყოფადობა არ დაკარგა და ვიმედოვნებ არც თანამედროვე საგალობლების შემთხვევაში დაკარგავს.

ზემოთაღწერილ პრინციპზე დაყრდნობით შევეცადე შემექმნა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი 7 საგალობელი, რომელთაგან ორი ხსენებულ კრებულშია შესული. საგალობლების შექმნისას ვეცადე ისეთივე საკომპოზიციო ტექნიკა გამომეყენებინა, რაც დამახასიათებელია ქართული ტრადიციული მართმადიდებლური საგალობლებისთვის, რათა მიმედწია ქლერადობის მაქსიმალური იგივეობისთვის. ტექნიკას, რომელსაც - ვიყენებ ზოგადად ჩემს შემოქმედებაში, ვფიქრობ, ასევე ამოზრდილია არქაული ქართული მუსიკალური აზროვნებიდან, რაც ეყრდნობა პოლიფო-

ნიური შრეების კონსტრუირებას, თუმცა განსხვავება დროსა და სივრცეში მუსიკალური მასალის განთავსების პრინციპშია. ქართულ ტრადიციულ მუსიკაში დრო კონცენტრირებულია და რამდენიმე სივრცელ კატეგორიაში მიედინება (სწორედ ამას ეყრდნობა ქართული პოლიფონიური აზროვნება). მუსიკალური მასალა ხშირად კონსტრუირებულია ერთი დროის პულსარით, ხმათა წაფენას კი სივრცეთა სიმრავლე განაპირობებს. ჩემი და XXI საუკუნის ზოგიერთი საკომპოზიციო - ტექნიკისთვის კი დამახასიათებელია დროითი პულსარების წაფენა ერთ ან მრავალ მუსიკალურ სივრცეში, რაც ქართულ საგალობლებში ძირითადად არ გვხვდება.

ჩემს საგალობლებში გამოყენებული არქაული ჟღერადობებისთვის დამახასიათებელი პარმონიული ოანაფარდობები ტრადიციული საგალობლების ჟღერადობრივ ელფერს ცვლის, თუმცა ინტონაციური ბაზა, რაც ქართულ ლექსიკურ საწყისს ეფუძნება და ტრადიციული საგალობლისათვის დამახასიათებელი ფაქტურა ინარჩუნებს პირველყოფილობის განცდას. საშემსრულებლო ინტერპრეტაცია საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია რადიკალურად განსხვავებული ორი ან მეტი ვარიანტი შემოგთავა-

## ტ

ზოს (მდერის სტილი, არტიკულაცია და სხვა საშემსრულებლო ნიუანსი განაპირობებს ქართულ თუ ევროპულ საშემსრულებლო მანერას, შესრულების მრავალვარიანტულობა კი ისედაც ჩადგბულია, როგორც ტრადიციულ საგალობლებში, ისე ჩემს მუსიკაში).

ნიმუში.4

ეპა ჭაბაშვილი „ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო“

### მოვლადწმდაო ღვთისმშობელო

(საკალეობებით)

♩ = 60

*Coro*

წა - გი - ბა  
ბა - ბი - ბა ბი - ნი - ბა ბი  
ბი - ბი - ბი ბი - ბი - ბი

ამრიგად, ჩვენს მიერ მოყვანილი თანამედროვე საგალობლები და არა მარტო ისინი, აღვსილია ღვთის სიყვარულითა და სულიერებით, განმსჭვალულია მოწიწებით ტრადიციული საგალობლებისადმი და რუდუნებით უფრთხილება - მას. ფაქტობრივად, ყოველი მათგანი ინარჩუნებს ძირითადი მოდულის ვიზუალურსახეს, თუმცა უფრო ღრმა ანალიზის საფუძველზე აღმოვაჩენთ ინდივიდუალურ მიღგომებს და სწორედ ეს ამტკიცებს, რომ ავტორის ეკული მიღგომების მიუხე-

დავად შენარჩუნებულია ძირითადი მართლმადი-  
დებლური საეკლესიო ქართული საგალობლის -  
შექმნის პრინციპები.

რაც შეეხება საშემსრულებლო მანერას,  
ძალზე რთულია ზუსტად განვსაზღვროთ იგი,  
მითუმებებს, მრავალსაუკუნოვან ეპოქალურ -  
ჭრილში, ძნელია წარმოიდგინო როგორ ჟღერდა  
ქართული ტრადიციული მართმადიდებლური სა-  
გალობელი X-XIII საუკუნეებში და რამდენადაა -  
დაცული მისი მდერის მანერა XVI-XVIII საუკუ-  
ნეში. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალურ სის-  
ტემას, კილო-ჰარმონიულ წყობას თუ მუსიკა-  
ლურ ფორმას შეუძლია ბიძგი მისცეს საშემსრუ-  
ლებლო ინტერპრეტაციას, მაიც ჩნდება კითხვა,  
ეს პირველი შესრულების მსგავსი იქნება? თუ  
საუკუნეებს გადავხედავთ დავინახავთ, რომ ინ-  
ტერპრეტაციათა უდიდესი ჯაჭვია დროსა და ინ-  
დივიდუალურ მიდგომებთან დაკავშირებული.  
ამის საფუძველს გვაძლევს აქამდე შემორჩენილი  
ფრესკები და ხატწერის ნიმუშები, სადაც კანო-  
ნიკა დაცულია, მაგრამ შესრულების მანერა მ-  
რავალფეროვანი და ზოგჯერ რადიკალურად -  
განსხვავებულიც.

ნიმუში. „ყინწვისისანგელოზი“, „დვოისმშო-  
ბელი“ (სვანური), „აღდგომა“ (XXს)



საინტერესოა, რატომ არ შეეხო ეს ღვთის-  
მსახურების მუსიკალურ ნაწილს, ისიც ხომ ექ-  
ვემდებარება ცვლადობას?

და ბოლოს, ძალიან მოკრძალებულად მინდა  
დავსვაორი საკითხი, საჭიროა თუ არა თანამედ-  
როვე ავტორების მიერ მუსიკის ამ ჟანრში ნიმუ-  
შების შექმნა, თუ ამ ნაწარმოებების როლი საეპ-  
ლესიო მუსიკის სივრცეში ჯერ კიდევ არ არის  
განსაზღვრული.

და რა არის მართმადიდებლური ეკლესიის  
მიერ XX-XXI საუკუნის საეპლესიო მუსიკის ნი-  
მუშების უგულებელყოფის მიზეზი, როცა სხვა  
ყველა სფეროს – იქნება ეს ხატწერა, არქიტექ-  
ტურა, მედია თუ სხვა ტექნოლოგიები, რომელიც



თანამედროვე პროგრესმა მოიტანა, და ა.შ. – მო-  
ეძებნა ადგილი ქართულ მართლმადიდებლურ  
კულტურაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მახარაძე ნ. გიორგაძე მ., ბიზანტოლოგია სა-  
ქართველოში-2, ობ., 2009
2. ლოცვანი, რუსთ., 2007
3. ვირსალაძე მ. გამოუქაეყნებელი ინტერვიუ,  
2015

*Eka Chabashvili (Georgia)*

### **Different aspects of sounding of Contemporary Georgian Composers' Chants by Variants of Performing.**

Church songs are holy treasure of Georgian people. Composer's interest in composition of church music has become even stronger in the 20-21<sup>st</sup> cc. Numerous composers use religious themes in their works, but chants are absolutely different issue as they belong to a religious



---

---

genre. Some contemporary Georgian composers try to stick to traditional sounding of Georgian chants while composing their own works.

Collection of papers about Byzantine Studies was published in Georgia several years ago which included several chants by contemporary composers. For our research we chose chants of Catholicos-Patriarch of all Georgia Illa II, N. Mamisashvili, M. Virsaladze and E.Chabashvili.

The Paper aims at introducing the interest in church music in contemporary era; It also presents new works of several Georgian composers and their opinions about these pieces; In addition, it analyzes the confluence of contemporary and traditional art and studies the principles of Georgian gene expressions in compositional techniques and performance style of contemporary Georgian composers.

## ინგა ხალგაში (საქართველო)

შპროცლი ხალხური ცეკვებისა და  
პირების ურთიერთობის ურთიერთობის  
ზოგიერთი საკითხისათვის

კინემატოგრაფი, მოგეხსენებათ სინკრეტული ხელოვნებაა, იგი აერთიანებს ხელოვნების ძირითადი დარგების გამომსახველობით ენას. ლიტერატურს, ფერწერის, არქიტექტურის, ქანდაკების, მუსიკის. ხშირად მიმართავს ქორეოგრაფიასაც.

ცეკვა კინოში არ აღიქმება როგორც მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ნომერი. ყოველი ცეკვა ხელოვნების ნიმუშად იქცევა, რომელსაც ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ცალკეული მოძრაობების ერთობლიობა დამატებით მნიშვნელობას ასრულებს კადრის მთლიანობას, საშუალებას გვაძლევს უფრო დრმად გადმოგვცეს მიმდინარე მოვლენების, მთლიანად კინოსურათის არსი.

გამომდინარე ბუნებიდან, კინემატოგრაფს აქვს უნარი დააფიქსიროს ფირზე ქორეოგრაფიული მონახაზი, თუ მთლიანად ცეკვა, რაც საშუალებას აძლევს შემდეგ მკვლევარებს გააძლიეროს.

ზონ ცალკეული ცეკვების საწყისი და განვითარების ეტაპები.

ქორეოგრაფიას ხშირად მიმართავენ რეჟისორები ილუსტრაციული თუ დრამატურგიული ფუნქციით. ხალხური შემოქმედება და კერძოდ, ხალხური ცეკვები კინემატოგრაფის მიერ გამოყენებულია სხვადასხვა ფუნქციით. ვინაიდან ცეკვა ერის სულიერი თვისებების შემკრებია, მისი ილუსტრაციაა, გენეტიკური კოდის მატარებელია, მას მიმართავენ სულის ფაქტი მოძრაობების, გრძნობების, გამოსახატავად და სიმბოლოდაც კი.

ცეკვა კინოში არ აღიქმება როგორც მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ნომერი. ყოველი ცეკვა ხელოვნების ნიმუშად იქცევა, რომელსაც ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ცალკეული მოძრაობების ერთობლიობა დამატებით მნიშვნელობას ასრულებს კადრის მთლიანობას, საშუალებას გვაძლევს უფრო დრმად გადმოგვცეს მიმდინარე მოვლენების კინოსურათის არსი.

ჩვენ დღეს შევეხებით ქართულ კინოში ფოლკლორული ცეკვების გამოყენების საკითხს, განიხილავთ რა დატვირთვას ანიჭებს მას რეჟისორი, იგი გამოყენებულია როგორც ქორეოგრა-

ფული ჩანართი, როგორც ილუსტრაცია, თუ მას დრამატურგიული ფუნქცია აქვს მინიჭებული. კინემატოგრაფს დიდი მნიშვნელობა აქვს ცეკვების დაფიქსირების კუთხითაც. კინოფირს აქვს უნიკალური თვისება დააფიქსიროს დროის გარეშე მონაკვეთში რა ცეკვები სრულდებოდა, რა ინსტრუმენტის თანხლებით, რა ჩაცმულობით, რა მოძრაობები სრულდებოდა, ეს იყო ჯგუფური თუ ინდივიდუალური შესრულება, რაც განსაკუთრებით ქორეოლოგებსა და ქორეოგრაფებს დააინტერესებს.

ჩვენ დღეს შევეხებით ქართულ კინოში ფოლკლორული ცეკვების გამოყენების საკითხს, რამდენიმე ფილმის საფუძველზე განიხილავთ რა დატვირთვას ანიჭებს ცეკვას რეჟისორი, იგი გამოყენებულია როგორც ილუსტრაცია და ქორეოგრაფული ჩანართი, თუ მას დრამატურგიული ფუნქცია აქვს მინიჭებული.

როცა ვსაუბრობთ კინოფილმზე, როგორც დოკუმენტურ მასალაზე, ჩვენს შემთხვევაში ქორეოგრაფიული კუთხით, პირველივე სრულმეტაჟიანი დოკუმენტური ფილმი უნდა მოვიყვანოთ მაგალითად, ვასილ ამაშუკელის “აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხეუმში”. ფილმში არის ეპიზოდი, რომელიც 7 წუთის განმავლობაში გრძელდება.

„ფერხული ბარაკონში რაჭის ერისთავის როსტომის მემკვიდრეების ეზოში“. მამაკაცები და ქალები ერთმანეთის გვერდიგვერდ, ხელგადაბმულები წრეს უვლიან. მონაწილეთა გარეგნობა, მოძრაობების მაგიურობა, გამომეტყველება მიგვანიშნებს, რომ ცეკვა ავთენტურია, რომ იგი სრულდება არა გართობის, არამედ, სწორედაც სარიტუალო დანიშნულებით. შემდეგ ფერხულის მონაწილეთა რიცხვი იზრდება და ყველა ებმება როკვაში. ორი წრე კეთდება, ერთი მომცრო, მას ბავშვები ქმნიან, მეორე წრე შეუდარებლად დიდია. ცეტრში დგას აკაკი. ფერხულით ხალხმა პატივისცემა გამოხატა პოეტის მიმართ, იგი სამყაროს ცენტრში მოაქცია და მზესავით განადიდა. ეს ეპიზოდი დადგმული რომ ყოფილიყო რეჟისორ-ოპერატორის მიერ, შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი კინემატოგრაფში ცეკვისავის დრამატურგიული დატვირთვის მიცემის პირველი მცდელობად შეგვეფასებინა. მაგრამ ეს იქვე მოხდა, ხალხის სპონტანური გადაწყვეტილებით და პოეტისადმი მათი უსაზღვო სიყვარული და პატივისცემა გამოხატა.

ნუცა ნინო ლოლობერიძის ფილმი “ბუბა” ორი თვალსაზრისით არის საინტერესო. საბჭოთა კავშირი 20-იანი წლების ბოლოს აგიტფილ-

მების გადაღებას შეუდგა. იგი ძირითადად ეთნოგრაფიული ხასიათის იყო და აგებული იყო ძველი და ახალი ცხოვრების შედარებაზე. “ბუბაც” ერთ-ერთი მათგანია. ამ შედარების მიზნით ფილმში დოკუმენტურად არის დაფიქსირებული რაჭის რეალური მძიმე ცხოვრება და პერსპექტიული მომავალი. აგიტფიმების სტრუქტურიდან გამომდინარე, გასაბჭოებამდე რაჭის მაცხოვრებლების მძიმე ცხოვრება ნაჩვენებია ყოფის აღწერით, - ადამიანების მძიმე შრომა და ლამის ეოველდღე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნა. იგი გვაწვდის მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ ცნობებს რაჭის შესახებ. ვინაიდან აღწერს დოკუმენტურად 20-იანი წლების საქართველოს ამ კუთხის ცხოვრებას. ფილმში დაფიქსირებული საფერხულო ცეკვა, რომელსაც ქალები და მამაკაცები ერთად ასრულებენ, შესრულების ავთენტურობიდან გამომდინარე საინტერესო უნდა იყოს ქორეოლოგებისათვის. კინომცოდნებისათვის კი საინტერესოა ხალხური ცეკვის დრამატურგიული ფუნქციით გამოყენების თვალსაზრისით. ფილმში საფერხულო ცეკვა გასაბჭოებამდე პერიოდში სრულდება. ცეკვაში ერთად მონაწილეობენ ქალი და მამაკაცი, ახალგზარდა და მოხუცი, ხელები მტკიცედ აქვთ ჩაბმული ერ-

თიმეორეზე. მეფერხულეების ნაყოფიერების და ამინდის ღმერთებს დახმარებას სთხოვენ. ცეკვა ძალიან შთამბეჭდავია, საშუალო და ახლო კადრების მონაცვლეობა, სახებისა და ფეხების მსხვილი პლანები, დაფიქსირებული სახეები, მეფერხულეთა გამომეტყელება, სრულიად ავთენტური შესრულება ცეკვა თავისი მასშტაბით, მონაწილეთა სიმრავლით და ერთიანობით, მოძრაობათა სინქრონით შთამბეჭდავ ზემოქმედებას ახდენს. და ამ ადამანების სულის სიმტკიცეზე, ძლიერ ხასიათებზე მიგვანიშნებს. რომელიც მძლავრად დგას თავის მიწაზე, მართალია გაირვეით ებრძვის ცხოვრებას, იბრძვის სიცოცხლისათვის, ფეხები მყარად აქვს მიწაში გადგმული. ეს ყოველივე ცეკვაში იკითხება, შემსრულებელთა სახეებში, თვალებში ვხედავთ. ფილმის ფინალში კი, რომელიც გვიყვება რაჭის ლად ცხოვრებაზე საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შედეგად, ვხედავთ პატარა ბავშვებს, ერთნაირი ზოლებანი მაისურებითა და ტრუსებით, პატარა გოგონა დირიჟორობს ”მუსიკოსთა ჯგუფს”, ორი პატარა- გოგონა და ბიჭი დუეტში ცეკვავს. სხვები ტაშს უკრავენ. იქმნება კომიკური სიტუაცია, ანუ ეს დრამატურგიული ხერხი გამოხატავს საბჭოთა სისტემისადმი რეჟისორის ირონიულ დამო-

კიდებულებას, ძარღვიანი, ადამიანების გამაერთიანებელი ფერხულიდან ეროვნებაწაშლილი უნგერსალური საბჭოთა ადამიანამდე.

დრამატურგილი ფუნქციონ გამოყენების მომდევნო მაგალითია ნიკოლოზ შენგელაიას “ელისო”. ამ ფილმზე ძალიან ბევრი დაიწერა და ყველგან ხაზგასმული იყო ფინალური სცენა, სადაც გლოვისა და ცეკვის ურთიერთშეპირისპირება ფილმში შთამბეჭდავ ემოციურ სურათს ქმნის. გაურკვეველი მომავლის წინაშე შიში თრგუნავს ჩეჩენებს, მათი სასოწავეთა გარეთ იღვრება გარდაცვალების გამო გამოწვეული გლოვის დროს, რომელიც ისტერიკაში გადადის. თემის თავი, ასტამური, თანასოფლელების გონს მოსაგებად, მუსიკოსებს საცეკვაოს დაკვრას უბრძნებს. ამ დროს აჩქარდება ფილმის ტემპო-რიტმი, კადრები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს, ეპიზოდის კიდევ უფრო დრამატიზებისათვის პარალელური მონტაჟის მეშვეობით ურთიერთ-შეპირისპირებულად არის ნაჩვენები გარდაცვლილი ქალი და ცეცხლმოკიდებული აული. ტირილი და მოთქმა მატულობს, ქალები თმებს იგლეჯენ და ლოკებს იხოკავენ, მამაკაცები მოთქვამენ და გულში მჯიდს იცემენ. ხალხის გადასარჩენად, მათი სიცოცხლსაკენ მობრუნების მიზნით აუ-

ლის მამასახლისი ასტამირი მუსიკოებს „უბრძანებს საცკვაო დაკრან და იწყებს ცეკვას.

დრამატურგიული ფუნქცია აქვს ცეკვა “ქართულს” მიხეილ ჭიათურელის ფილმში “უკანასკნელ მასკარადი”. ინგლისის ელჩი ითხოვს იცმავოს თამარმა, საქართველო სიმბოლომ, ეს მოთხოვნა თუ სურვილი იქ დამსწერ ქარველებში პროტესტს იწვევს, “ინდოეთში ხომ არ გგონიათ თავი? ამ ბრიყვს ახლავე ხანჯალზე ავაგებ.” მიუხედავად ამისა, თამარი საცეკვაოდ მაინც გაჰყავთ. ამისათვის საკმარისი იყო ელჩს შეეხსენებინა “არ დაგავიწყდეთ, სერ, დიდი ბრიტანეთი უარს არ არის ჩვეული”. ადრინდელი პროტესტი უმაღლესი აქვთ ამავე მუსიკას, ამავდროულად პარალელურად, იწყება მუშათა დემონსტრაციის დარბევა, დახვრეტა. დარბევისა და ცეკვის კადრების პარალელური მონტაჟი ამძაფრებს კონფლიქტს. იგი იკითხება, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ინსტიტუციის უხერხემლობა, როგორც მონობა ძლიერთა ამა სოფლისა მიმართ.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში „ხორუმი“ საფერხისო ცეკვათა ჯგუფს მიეკუთვნება. ფილმში “ნარინჯის ველი” ხორუმი ერთვება ფერხულს. ფერხული თავისი ასტრალური სიმ-

ბოლიზმით, პირდაპირ უკავშირდება ნაყოფიერების საწყისს, ერთ ჯგუფში გაერთიანება ნებას აძლევს რეჟისორს ეს ორი ცეკვა ერთმანეთს გადააბას და გამომდინარე ეპიზოდში მიმდინარე ქალ-ვაჟის გაპავქრებისა თუ გაშაირებისა, გაუი ქალს ცოლობას თხოვს და სამგიეროდ მთელ ქვენიერებას პირდება, ოქროს ვარსკვლავს და წითელ დროშას. დუეტის განვითარებასთან ერთად იცვლება ფერხულის ხასიათი- მუსიკა და მოძრაობები და გადადის “ხორუმში”. ეს ცვლილება ქალისა და ვაჟის დიალოგის დრამატურგიას მიყვება. ბოლოს კი ფერხულები იცვლება ერთი მამაკაცის ცეკვით, რომელაც კოლმეურნები აღტყინებით უკრავენ ტაშს. ქვეტექსტი – ცხოვრება სამურია. დრამატიზმის გაზრდის მოტივით შემოიტანოს ხორუმი, მუსიკალური თანხლებითა და შესაბამისი მოძრაობებით. ერთმანეთისაგან გამომდინარედ განიხილოს.

„მაცი ხვიტია“ (რეჟისორი გიორგი შემგელაია) გამოყენებულია ფერხული “ჯანსულო”, ეს ცეკვა სრულდებოდა თავშეეყრის დროს. ხალხის სილადე, თავისუფალი ბუნება, თანასწორობა(ქალი და მამაკაცი ხელიხელჩაკიდებულები ცეკვავენ) ამ ცეკვით არის გამოხატული. ცეკვა მოულოდნელად წყდება მთავარის გამოჩენისას.

შეწყვეტილი ცეკვა ამზადებს მაყურებელს ცუდი ამბისათვის და გამოხატავს ხალხის დამოკიდებულებას მთავრის მიმართ.

„ჩვენი ეზო” გიორგი შეგელაიას სიხარული, გამოწვეული საპასუხო სიყვარულის დადასტურებით, წვიმაში იწყებს ცეკვას. ე ქორეოგაფიული მონახაზი ყველაზე უკეთ გამოსცემს გმირის განცდების გულწრფელობას და სიხარულით გამოწვეულ აღელვებას. რასა აკეთებს, ცეკვას იწყებს უნებურად, ქართულ ილეთებს აკეთებს, რაც სისხლში აქვს ამდარი, რასა გენეტკა კარნახობს, აფეთქბასავით იღვრება გარეთ.

“გადმა ნაპირი” ფინალში შესრულებლი ცეკვა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ემოციორად დატვირთულია და დრამატურგიული ფუნქცია აქვს. “შარათინი” აფხაზური ცეკვა და სიმღერა, მას აყოლილი პატარა თედო. ცეკვა ომის ორთავე მხარეს აერთიანებს, ყველა მეომარი ადამიანია, საკუთარ სურვილით არავინ ებმება ომში, თითოეულსოჯახი ჰყავს, ალბათ, ისინიც ეებენ დაკარგულ ახლობლებს, ომი მათი სურვილია არ არის. მათ მშვიდობა უნდათ.

ქორეოგრაფია კინონაწარმოების გასამშვენებლად არის გამოყენებული. ყოფის ან დროის უკეთესად წარმოჩენისათვის ფილმებში იყენებენ

ფოლკლორულ სიმღერებესა და ცეკვებს. სხვა საკითხია, რამდენად ორგანულია და ავთენტური ჩასმული ქორეოგრაფიული ნომერი.

### **დასკვნა**

1. ქართული ხალხური შემოქმედება და პერძოდ, ხალხური ცეკვა თვითგამოხატვის ეთ-ერთი ფორმა. იგი თავის თავში აერთიანებს ტრადიციების, წეს-ჩვეულებებს, სულიერ ფასეულობებს. ცეკვა ერის გენეტიკური კოდის მატრებელია. ამ თვისებათა გამო, კინორეჟისორები მას ხშირად მიმართავენ სათქმელის გამოსახატავად. კინემატოგრაფისა და ქორეოგრაფიის ურთიერთმიმართების საკითხი შესაძლებელია რამდენიმე ასპექტში განვიხილოთ
2. კინო, როგორც დოკუმენტი, მკვლევართათვის აუცილებელი ინფორმაციის შემნახველი-უნარი აქვს ფირზე აღბეჭდოს ცალკეული ცეკვების შესრულება დროის გარკვეულ მონაკვეთში, დააფიქსიროს მონაწილეები, მოძრაობების ხასიათი თუ მუსიკალური თანხლება, რაც საშუალებას აძლევს მკვლევარებს თვალი მიადგევნონ ცეკვის განვითარების ეტაპებს.

3. ცეკვა, როგორც ეთნოგრაფიული იდუსტრია, ესთეტიკური დანიშნულების ჩანართი;
4. ცეკვა როგორც ადამიანის სულის ფაქიზი მოძრაობების, გრძნობების გამომხატველი;
5. ცეკვა, როგორც დრამატურგიული ფუნქციის მატარებელი, სახე-ხატი, სიმბოლო; ცალკეული მოძრაობების ერთობლიობა დამატებით მნიშვნელობას აძლევს და ასრულებს კადრის მთლიანობას, საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გადმოსცეს მიმდინარე მოვლენების არსი

*Inga Khalvashi*

*Some of the issues of Georgian National dances and cinematography interactions*

Georgian folk art and particular national dance is a collector of the nation's spiritual treasure, an expression of values, traditions and customs, a carrier of genetic code. Because of these features, it is often applied by the directors to express what they want to say. We can discuss



---

---

the issue of the relationship between cinematography and choreography in several aspects:

1. Cinema as a document, a keeper of necessary information for the researcher – has an ability to tape-record some dance performance in certain period of the time, to fix participants, character of the movement or musical accompaniment, that Allows researchers to keep an eye on the development of dance stages.
2. Dance as an ethnographicl illustration, tab of aesthetic destination;
3. Dance as an expression of the tender movements of the human soul;
4. Dance as a carrier of a dramatic function, face-icon, symbol; combination of separate movements gives additional meaning and completes the integrity of the pictures, allows more deeply express the essence of current events.

## გიორგი გარაფანიძე (საქართველო)

**მთვარის პულტმსახურების ცოცხალი  
ნაშთი და წარმართვლი ღვთაების  
ინშან-სიმბოლო**

ისტორიის ერთ ადრეულ ეტაპზე ქართველთა წინაპარი ტომები, სხვა ძველი ხალხების მსგავსად, მნათობთა რელიგიას აღიარებდნენ და შესაბამისი პანთეონიც ჰქონდათ, სადაც უზენაუსი ღვთაების ადგილი მთვარეს ეჭირა (21: 100-121).

ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ.წ.64/63-ა.წ.წ.23/24) ალბანელთა კულტმსახურების აღწერისას ქართველთა უძველესი სარწმუნოების შესახებ გვაწვდის ცნობას: მთვარის საკულტო ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობდა, სადაც ქურუმები სხვადასხვა რიტუალისაგან შემდგარ კულტმსახურებას აღასრულებდნენ. აქ ისინი ქადაგად ეცემოდნენ; მთვარისთვის შესაწირ ადამიანებს ერთი წლის განმავლობაში კისერზე ჯაჭვს ადებდნენ; ზვარაკად შეწირულს კი განწმენდის მიზნით ყველა ფეხს ადგამდა (21: 90) (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც, ყველა ჩვენია – გ.გ.).

საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩა ამ უძველესი წარმართული კულტმსახურების ნაშთები. მათ ქრისტიანულ ეპოქაში წმ. გიორგის დღეობებში დაიმკვიდრეს ადგილი და ტრადიციული წეს-ჩვეულებების შინაარსით განაგრძეს არსებობა, რაც იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ქართულ ხალხურ რწმენაში წმ. გიორგის წარმართული მთვარის ღვთაების ადგილი უჭირავს (21: 88). წმ. გიორგის ტაძრებისა და მათთან დაკავშირებული დღეობების სიმრავლე საქართველოში კარგადაა ცნობილი. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა აწყურის თეთრი გიორგობა, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაშია აღწერილი და პარალელებია გავლებული სტრაბონის მონათხობთან (21: 92; 17: 10):

აწყურის ეკლესიაში ქრისტიანული მსახურება მიმდინარეობს, პარალელურად კი ტაძრის გარეთ წარმართული რიტუალები აღესრულება: სტრაბონის ცნობაში მთვარისთვის ზვარაკად განმზადებულთა მსგავსად, აქაც აქვთ წმ. გიორგის ყმებს კისერზე შემოხვეული შანა, რომელსაც აღთქმული დროის გასვლამდე არ იხსნიან; კისერზე მძიმე ჯაჭვდადებული ქალები გარშემო უვლიან ტაძარს, რომელთაგან ერთ-ერთი ქადაგად ეცემა და ამის შემდეგ ეკლესიის კარებში

წვება. მას ხალხი ფეხს ადგამს. წაქცეული კი გაუნდრევლად წევს და ხმას არ იღებს, თითქოს მკვდარი იყოს. აქ სიმბოლურ მსხვერპლშეწირვასთან გვაქვს საქმე, რომელიც პირდაპირ მსგავსებას ჰპოვებს სტრაბონისეულ აღწერილობასთან. ეს დღეობა, აღნიშნული წესჩვეულებებითურთ, XX ს-ის 50-იან წლებშიც განაგრძობდა არსებობას.

მსგავსი დღეობები დასტურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში და ისინი დღესაც ცოცხლობენ ყოფაში. მაგალითად, აღსანიშნავია მთიულეთში ლომისის წმ. გიორგის დღეობა, რომელიც ყოველი წლის ივნისში, პეტრეპავლობის მარხვის დაწყებამდე, ოთხშაბათობით იმართება. ყურადღებას იქცევს რკინის ძველი ჯაჭვი, რომელიც სალოცავში ინახება. ამ მბიმე ჯაჭვს მლოცველი კისერზე იდებს და სამგზის შემოუვლის ეკლესიაში მდგარ სვეტს. ამ ქმედების შედეგად, გადმოცემის თანახმად, მლოცველს ცოდვები მიეტევება (ექსპ., მთიულეთი 1997). საგულისხმოა ისიც, რომ ლეგენდა ლომისის სალოცავის დაარსების შესახებ ხარს უკავშირდება და სალოცავის სახელწოდებაც – ლომისი, ამ ხარის სახელიდან (ლომა) წარმომდგარა (13: 168-171). ხარი კი აღმოსავლეთის ძველ

ხალხებს მთვარის საკულტო ცხოველად მიაჩნდათ (23: 262, 263).

ყველა ამ დღეობისთვის დამახასიათებელ საერთო, რამდენიმე ძირითად დეტალს გამოვყოფთ, ესენია:

1. დამის თევა, რაც მთვარის დღეობისთვისაა დამახასიათებელი (21: 93).
2. ჯაჭვი, რომელსაც მსხვერპლშეწირვის ატრიბუტის დატვირთვა აქვს.
3. ქადაგად დაცემა.

4. საკულტო სიმღერა, რომელიც ხშირ შემთხვევაში წმ. გიორგის სადიდებელ ტაქსტს შეიცავს.

საკულტო სიმღერათაგან დიდ ყურადღებას იქცევს ფერხულით თანხლებული "დიდების" ერთ-ერთი კახური ვარიანტის შესრულების წესი. "დიდების" ფერხულს ქალები ასრულებენ. ფერხულის წრის შუაგულში ქალები ნახევარმთვარისებურად რკალზე დგანან, რომელთაც დანარჩენები უვლიან გარშემო (17: 11). ეს სანახაობა, ჩვენის აზრით, მთვარის თვისებას უნდა გადმოსცემდეს, კერძოდ: ქალების დგომით შექმნილი რკალი ნახევარმთვარეს განასახიერებს, წრიული ფერხული კი – საგსე მთვარეს. საერთო სურათი ასახავს მთვარის აღვსების პროცესს, რაზეც

მბრუნავი წრე უნდა მიანიშნებდეს. ეს მოსაზრება ეხმიანება იკ. ჯავახიშვილის ცნობას, რომლის მიხედვითაც წმ. გიორგის ერთ-ერთი დღეობა მოვარის აღვხების დამეს იმართებოდა (21: 93).

აქვე უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული სიმღერა-ფერხული დღესაც ცოცხლობს ყოფაში. 2004 წელს კახეთის სოფელ შილდაში მოწყობილი ექსპედიციის დროს მივაკვლიერ ქალებს, რომელთაც მთელი თავისი არქაული ბუნებით შეასრულეს აღნიშნული "დიდება". როგორც ჩანს, ფერხულს დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განუცდია და წრის შიგნით, ნახევარმთვარისებურად მდგარი ქალების ნაცვლად, ორი ქალიდა დგას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმავე რესპონძენტთა ცნობით, ეს ფერხული პირველი ფორმითაც სრულდება, როდესაც წრის შიგნით რამდენიმე ქალი დგას (ექსპ., კახეთი 2004). გამოდის, რომ ამ ფერხულის შესრულების წესი არაერთგვაროვანია.

ამ დღეობებისთვის დამახასიათებელი სიმღერაა აგრეთვე "იავნანა", რომლის, სხვათა შორის, მეტად არქაული და იშვიათი, რესპონსორული (სოლისტისა და გუნდის მონაცემებაზე დამყარებული) ვარიანტი იმავე შემსრულებელ-

თაგან ჩავიწერეთ. "იავნანაზე" ცალკე წერილში ვრცლად ვსაუბრობთ (მზადდება გამოსაცემად), ამიტომ აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ "იავნანა" ღვთაება ნანასადმი აღვლენილი საგალობელია. სპეციალურ ლიტერატურაში ნანა მზის ქალღვთაებადაა მიჩნეული (11: 152-154), რაც გაუგებარს ხდის ამ სიმღერის მთვარის ღღეობაზე შესრულებას. ამიტომ, ჩვენი აზრით, ის ღებულება, რომ ნანა მზის ღვთაების სახელია, გადამოწმებას საჭიროებს:

ჩვენთვის ცნობილია, რომ შუმერულ ღვთაებათა პანთეონში ნანა მთვარის ღვთაებას ეწოდებოდა (25: 123), იგი ხარის სახით გამოისახებოდა (6: 14). უძველესი ქართველური ტომები კი იმ კულტურულ არეალში მოიაზრებიან, სადაც შუმერული და საერთოდ წინააზიური კულტურა ვრცელდებოდა (15: 91; 16: 372). ქართველური ტომებიც რომ მთვარის ღვთაებად მიიჩნევდნენ ნანას, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ნანას ჰიმნი "იავნანა" სწორედ მთვარის ღღეობაზე სრულდებოდა.

როგორც აღინიშნა, ხალხურ რწმენა-წარმოდგენაში წარმართულ მთვარეს ქრისტიანულ ეპიკაში წმ. გიორგი შეენაცვლა. ამ თვალსაზრი-

სით, ყურადღება უნდა მივაპყროთ აღმოსავლეთ საქართველოს მთას, სადაც, როგორც ცნობილია, მძლავრი წარმართული კერის არსებობის გამო, ქრისტიანობა მთელი ისტორიის მანძილზე აწყდებოდა წინააღმდეგობას. საგულისხმოა ისიც, რომ აქ უმეტესი სალოცავი სწორედ წმ. გიორგისთანაა გაიგივებული (24: 185). ეს სალოცავები ხალხს დვთისშვილთა პატივსაცემად აუგია, რომლებიც, ქართული მითოლოგიური გადმოცემის მიხედვით, მორიგე ღმერთმა დევ-კერპებთან საბრძოლველად გადმოუშვა მიწაზე და რომელთაც წარმატებით დაუმარცხებიათ ბოროტი ძალები (18: 5). მთიელები დვთისშვილების, იგივე ჯვარ-ხატების სახელზე ლოცულობენ და მათ პატივსაცემად ხატობის დღესასწაულებსაც მართავენ, რომლის წარმმართველი ხევისბერია: ის მთავარი კულტმსახურია და ჯვარ-ხატის კარზე გამართულ თითქმის ყველა რიტუალს ის უძლვება (5: 6).

ჩვენთვის საინტერესოა, თუ არის აღბეჭდილი მთვარის კულტის კვალი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, სადაც ასე მრავლადაა წმ. გიორგის სახელთან დაკავშირებული სალოცავები. ამის უფრო ზუსტად გასაგებად ჯერ უნდა

გამოვარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს მორიგე ღმერთი და ვინ არიან ღვთისშვილები.

ქართული მითოლოგიის მიხედვით, მზისქვე-შეთში ყველაფერს მორიგე ღმერთი განაგებს. მას თავისი სამეფო კარავი გერგეთმყინვარს ზე-მოთ, მე-7-ე ცაზე აქვს გაშლილი და იგი მამად ითვლება, ღვთისშვილები კი – მის შვილებად (18: 15). საგულისხმოა, რომ რიცხვი 7 უძველესი დროის სხვადასხვა ხალხებს საკრალურ რიც-ხვად მიაჩნდათ და მას მთვარის რიცხვად თვლიდნენ (1: 115; 14: 106, 107). როგორც ვხე-დავთ, მორიგე ღმერთსაც და მთვარესაც ერთი და იგივე რიცხვი მიეკუთვნებათ. რაც გვაფიქრე-ბინებს, რომ მორიგე ღმერთი სხვა სახელით ცნობილი მთვარის ღვთაებაა. ეს რომ ასე უნდა იყოს, ამას ადასტურებს ქართული ანდრეზიც, რომელშიც დევებისაგან შეჭირვებული კაცი მო-რიგე ღმერთს სთხოვს დახმარებას და მას თეთრ ხარს შესწირავს. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ხარი მთვარის საქულტო ცხოველი გახ-ლავთ (23: 262, 263), ხოლო თეთრი – მთვარის ფერი (21: 65). მაშასადამე, მორიგე ღმერთი მთვა-რის ღვთაებასთან იგივდება.

თუ კი ღვთისშვილების მამა, მორიგე ღმერ-თი, იგივეა, რაც მთვარე, მაშინ ღვთისშვილები

მთვარის შვილები გამოდიან. ამ დებულების სისწორეს სხვა მონაცემებიც ადასტურებს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო: ბოროტი ძალების, დევ-კერპების, დამამარცხებელი ღვთისშვილები ბერადაც იწოდებიან. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ბერი ბაადური (4: 283), ბერი იახსარი (7: 216), ბერი კოპალა (ექსპ., ფშავი 2001). ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოში წმ. გიორგისთვის (რესპ. მთვარისთვის) შეთქმულ ბავშვებს "ბერს" უძახიან. ასევე "ბერი" ეწოდება იმას, ვისაც წმ. გიორგისთვის სამსახურისა და მონობის აღთქმა აქვს დადგებული (21: 95). მაშასადამე, რაკი "ბერი" მთვარესთან დაკავშირებული სახელია, ამიტომ ზემოთ დასახელებული ღვთისშვილებიც მთვარეს უნდა უკავშირდებოდნენ. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო განამტკიცებს ერთი თუშური ანდრეზი: "სამას სამოცდასამი წმ. გიორგი ყოფილა. ქაჯებს შეუკურიათ, უწამებიათ(...) მაგრამ ვერაფრით ვერ მოუკლავთ. ამის შემდეგ 363 ასოდ დაჭრეს – ახლა მაინც არ მოკვდებაო? შეიმოსა სულყველა ანგალოზებად და გაფრინდნენ და ყველა ამას სახელი ჰქვიან და ყველა წმ. გიორგის ნაჭრები არიან და იმისი მოძმებია, სახელები იმათ ჰქვიათ:

კოპალა, ლაშარი, ჭაჭმატე, ლად იაჭხარიც..." (4: 425).

ამგვარად, ღვთისშვილები, იგივე ხატები წმ. გიორგის, ანუ მთვარის ნაწილები, მისი შვილები არიან. ამის დასტურად მეტყველებს ისიც, რომ ფშავის ერთ-ერთი თემი (უძილაურთა) სამსხვერპლო კურატებს სწირავდა ერთდროულად როგორც თავის სათემო ხატს (კოპალას), ისე – აწყურის თეთრი გიორგის ხატს კახეთში (3: 28). აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ღვთისშვილთა პატივსაცემად აღვლენილი ხატობის დღესასწაულები კი წარმართული მთვარის კულტმსახურების ცოცხალ ნაშთად უნდა მივიჩნიოთ. ამას ბევრი რამ ადასტურებს, მათ შორის – ხატობის შემადგენელი არაერთი წეს-ჩვეულება, რომელიც პირდაპირ პარალელს პპოვებს ზემომოყვანილ მთვარის კულტმსახურებასთან. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე შევაჩრებთ ყურადღებას:

საყურადღებოა, რომ აქაც ვხვდებით ჯაჭვს. ამის მაგალითად ზემომოყვანილი ლომისის დღეობაც გამოდგება. ასეთი დიდი და მასიური ჯაჭვი ბოლო დრომდე შემონახულა ლაშარის სალოცავშიც (3: 21), სადაც დასტურდება მთვარის დღეობებისთვის დამახასიათებელი ჩვენთვის

ნაცნობი რიტუალი, როდესაც კისერზე ჯაჭვდა-  
დებული ხატის მონა გარს უვლის სალოცავს  
(იქვე: 24). ასევე, ლაშარის ჯვრის შესახებ გად-  
მოცემაში ვგებულობთ, რომ ხმელგორზე, სადაც  
ახლა ლაშარის სალოცავია, ბერმუხა მდგარა.  
მას ცასთან ოქროს შიბი (ჯაჭვი) აერთებდა (9:  
56). ჯაჭვის მეშვეობით ანგელოზები ჩამოდიოდ-  
ნენ ციდან და მუხის ტოტებზე სხდებოდნენ.

"ბერი გიორგი მეც ვიყავ,

ცას ვები ოქროს შიბითა"...

(8: ანდრეზები, ფშავი, ლაშარი)

ჯაჭვა და ღვთისშვილებს შორის კავშირი  
სხვაგანაც მყარდება: ქართული მითოლოგიის მი-  
ხედვით, მორიგე ღმერთმა ღვთისშვილები გერგა-  
თის მთის ძირას გადმოუშვა (18: 5). ცნობილია,  
რომ დასახელებული ადგილის სიახლოვეს (იგუ-  
ლისხმება ადგილი ყაზბეგის მყინვართან), ბეთ-  
ლემის გამოქვაბულთან ბოლო დრომდე ეკიდა  
ძველი ჯაჭვი (ეს ჯაჭვი ამჟამად სტეფანწმიდის  
მუზეუმში ინახება);

ძველი მთვარის კულტმსახურების მსგავსად,  
ხატობაზეც ხდება ქადაგად დაცემა – ქადაგი ხა-  
ტის სახელით წინასწარმეტყველებს და ხალხს  
ხატის ნებას უცხადებს (10: 66; 12: 198); აქაც  
აღესრულება მსხვერპლშეწირვა, რაც პირუტყვის

დაკვლაში გამოიხატება; აქაც სრულდება საკულტო ჰიმნი; ხატობის დღესასწაულიც, როგორც მთვარის დღეობა, მთელ დამეს გასტანს.

საინტერესოა, მთვარის თაყვანისცემის კოდეგ რა დეტალები შეინახეს ხატობებმა. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხატობების საკულტო ჰიმნებმა – "ფერხისებმა," რომელთა შესრულების ორი ძირითადი ფორმა არსებობს: 1. ფერხულით, როდესაც წრის შუაგულში ხევისბერი დგას ხატის დროშით ხელში და წრე მის გარშემო ტრიალებს (24: 12; ექსპ., ფშავი 1986). 2. მსვლელობით, როდესაც მეფერხისები დროშიანი ხევისბრის წინამდღოლობით ან გარს უვლიან სალოცავის ნაგებობას, ან სიმღერის გაუწევეტლად მიემართებიან მთის სალოცავიდან (მთაწმინდიდან) ბარის სალოცავამდე (5: 7).

რადგან უკვე ვიცით, რომ ჯვარ-ხატების სალოცავები უშუალოდ უკავშირდებიან მთვარის დვთაებას, ამიტომ ამის გათვალისწინებით უნდა დაგაკვირდეთ "ფერხისაში" გამოხატულ წრიულ მოძრაობებს; ჯერ ვნახოთ მსვლელობით შესრულებული "ფერხისა":

მთის სალოცავიდან სიმღერით წამოსული მეფერხისები, როდესაც ბარის სალოცავთან ჩა-

მოვლენ, სიმღერის გაუწყვეტლად ჩერდებიან და ემზადებიან ახალი მსვლელობისთვის. შემდეგ სიარულს აგრძელებენ ერთრიგად, ერთმანეთის მიყოლით ისე, რომ რკალის ფორმას ქმნიან, ხოლო ამის შემდეგ წინამდლოლი თანდათან წამოეწევა მეფერხისეთა კუდს, რის შემდეგაც მეფერხისენი უკვე წრეს წარმოადგენენ და ასე განაგრძობენ მსვლელობას.

აქაც იგივე სურათი იკვეთება, რაც უკვე "დიდების" ფერხულის დროს გვქონდა, კერძოდ: მეფერხისეთა მიერ გამოხატულ მონახაზში თავდაპირველი რკალი ნახევარმთვარეს გვიჩვენებს, შეერთებული წრე კი – სავსე მთვარეს. და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ყოველივეს გადმოცემა გაუჩერებლად, წრიულ ქმედებაში ხდება, რაც მთვარის შევსების პროცესზე უნდა მიგვანიშნებდეს. ბოლოს კი მეფერხისენი სალოცავის, ხევისბრისა და დასტურის პირისპირ დგებიან რკალზე, – ასე გრძელდება და ასევე მთავრდება სიმღერა (ექსპ., ფშავი 1998; ექსპ., ფშავი 2001).

როგორც მთვარის საკულტო ჰიმნების – "დიდებისა" და "ფერხისას," – შესრულების წესზე დაკვირვებამ გვაჩვენა, ორივე შემთხვევაში მთვარის გამოსახატავად გამოყენებულია ორი გრაფიკული ნიშანი – რკალი და წრე. რაც იმას

ამტკიცებს, რომ აქ მთვარის გამოსახვასთან გვაქვს საქმე. რადგან მარტოოდენ წრიული მონახაზით ძნელია გაარჩიო მნათობის ვინაობა – წრიული ფორმით ხომ მზეც გამოიხატება (2: 44, XX ტაბ., სურ.12).

ახლა ვნახოთ, რა ვითარება გვაქვს "ფერხისას" ფერხულად შესრულების შემთხვევაში:

გრაფიკული თვალსაზრისით, აქაც 2 ელემენტია წარმოდგენილი – წრე და წერტილი – წრიული ფერხული და მის შუაგულში მდგარი დროშიანი ხევისბერი.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, წრეში მოთავსებულ რკალს წერტილი ცვლის, რაც, ჩვენი აზრით, ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას:

1. ადვილი დასაშვებია, რომ, "დიდების" მსგავსად, ამ ფერხულმაც განიცადა ტრანსფორმაცია და წრის შუაგულში რკალის გამომხატველ მამაკაცთა რაოდენობა ერთამდე შემცირდა.
2. გამორიცხული არც ისაა, რომ მთვარის ღვთაების გამოსახატავად, წრისა და რკალის ანალოგიურად, ზოგადად ორი გრაფიკული ელემენტი გამოიყენებოდა – წრე და მის შიგნით მოთავსებული წერტილი.

ახლა ვნახოთ, სადმე მატერიალურ ძეგლზე თუ დასტურდება აღნიშნული გრაფიკული სიმბოლო-ნიშანი. ამ მხრივ, საინტერესოა დავაკვირდეთ სვანურ საწესო გრაფიკაში მოცემულ მთვარის გამოხატვის წესს. ის აქ რამდენიმე გარიანტადაა წარმოდგენილი: ზოგ შემთხვევაში მას წრიული ფორმა აქვს (2: 42, ტაბ. XVI, სურ. 7), ზოგ შემთხვევაში – რკალური (იქვე: 37, ტაბ. XII, სურ. 10; 44, ტაბ. XIX, სურ. 8). ვხვდებით მთვარის სპირალისებურ გამოსახულებასაც (იქვე: 39, ტაბ. XII, სურ. 4). სპირალით გამოხატული მთვარე მოცემულია სვანურ პურის საჭვრეთზეც, რომლით დაბეჭდილი პურებიც, სავარაუდოდ, მთვარის დვთაების სახელზე იწირებოდა (იქვე: 39). ჩვენთვის ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ ლიფანალის მხატვრობაში მთვარის სპირალისებურ გამოსახულებას ცენტრში წერტილი უზის (თუმცა სიმბოლოს აღწერის დროს მოცემული ნაშრომის ავტორი ვ. ბარდაველიძე არაფერს ამბობს წრის შიგნით დასმულ წერტილზე). საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ნიშანი სვანურ გრაფიკულ ხელოვნებაში პირდაპირ მთვარედ (დოშდულ) იწოდება (იქვე: 39). ჩვენი აზრით, წერტილის გარშემო შემოვლებული სპირალი ბრუნვას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო

მთლიანობაში გრაფიკული ნიშანი მთვარის აღვების პროცესს უნდა გადმოსცემდეს, როგორც ეს ფერხულის შემთხვევაში იყო.

ყურადღებას იქცევს სვანეთში გავრცელებული სარის შეწირვის წესიც, რომელსაც "სტაროსტა" (ხევისბერი) წარმართავს: კულტმსახური ილოცება, პარალელურად კი დაწოქილი მლოცველის ირგვლივ სარს სამჯერ შემოატარებენ წრეზე . როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც დასტურდება ზემოგანხილული ნიშან-სიმბოლო და მისი შემადგენელი დეტალები (ექსპ., სვანეთი 2006).

წრითა და მასში მოთავსებული წერტილით მივიღეთ პირობითი გრაფიკული ნიშანი, რომელიც, როგორც კალევამ გვიჩვენა, მთვარის ღვთაებას უნდა აღნიშნავდეს, უფრო ზუსტად – მისი აღვსების პროცესს.

ამ გრაფიკულ ნიშანს ვხვდებით ნეკრესის ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილ ქრისტიანობამდელ წარწერაშიც. სახელდობრ, ლაპიდარულ ტექსტში:

უნდა ითქვას, რომ მისი შინაარსი არქეოლოგთათვის უცნობია (20: 44). ნეკრესში დაფიქსირებული ნიშანი ჩვენთვის იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ციურ მნათობთა ღვთაებების კულტი

ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულიდან ჩანს ნეპ-რესში. რიგ შემთხვევებში კი აღინიშნება მთვარის კულტის კვალი (20: 17,18,20,27).

აღნიშნული გრაფიკული სიმბოლოს თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ჯვარ-ხატების სალოცავთა არქიტექტურაც: სალოცავ-ნაგებობას გარშემო წრიულად გალავანი აქვს შემოვლებული, რომელიც საგრძნობლად დაბალია, რაც გამორიცხავს მის დამცველობით ფუნქციას (3: 104,105; ექსპ., ფშავი 2001). სავარაუდოა, რომ გალავანს, როგორც საკულტო ნაგებობის ნაწილს, ამ შემთხვევაში არა დამცავი, არამედ საკრალური მნიშვნელობა ჰქონდეს – ნაგებობის სქემატური მონახაზი ემთხვევა ზემოგანხილულ ნიშან-სიმბოლოს. საინტერესოა, რომ ნეკრესში აღმოჩენილი ციურ მნათობთა ტაძარი (ძვ.წ. XIV-XIIIს) გახლდათ წრიული ნაგებობა შუაში მოთავსებული ნახევარმთვარისებრი ნაგებობით (20: 9). ასე რომ, მისი სქემატური მონახაზი ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ მეორე სიმბოლოს ემთხვევა – წრეში ჩახატულ რკალს, რომელიც "დიდების" ფერხულშია წარმოჩენილი.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეიძლება:

1. მორიგე ღმერთი იგივე მთვარის ღვთაებაა, ხოლო ღვთისშვილები (ხატები) მთვარის შვილებად, მის ნაწილებად გვევლინებიან.

2. გამოიკვეთა პანთეონი: უზენაესი ღვთაება მთვარე და მასზე დაქვემდებარებული მისივე შვილები (ხატები), რომელთაც, თავის მხრივ, თავიანთი მსახურები ("მახავანნი". 12: 191) ექვემდებარებიან.

3. დღემდე შემორჩენილი ხატობები უძველესი წარმართული მთვარის კულტმსახურების ცოცხალ ნაშთს წარმოადგენს. ხოლო ხატობის წარმმართველი ხევისბრები მთვარის ქურუმთა მემკვიდრეებად უნდა ჩაითვალონ.

4. გამოვლენილია გრაფიკული ნიშან-სიმბოლო, რომელიც მთვარის ღვთაებას, კერძოდ მის აღვსებას გამოხატავს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ასლანიშვილი შ. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერის შესახებ. ობილისი. 1954

2. ბარდაველიძე ვ. ქართული (სვანური) საწევო  
გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბილისი.  
1953
3. ბარდაველიძე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს  
მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-სა-  
კულტო ძეგლები. I ტ. თბილისი, 1974
4. ბოჭორიძე გ. თუშეთი. თბილისი. 1993
5. გარაყანიძე გ. თანამედროვე ხატობის დღე-  
სასწაული ფშავში. კულტურის ისტორიისა  
და თეორიის საკითხები XIV. თბილისი, 2003
6. გარაყანიძე გ. ქართული ეთნომუსიკის თეატ-  
რი. სამაგისტრო ნაშრომი (ხელნაწერის უფ-  
ლებით). 2005
7. გელოვანი ა. მითოლოგიური ლექსიკონი. თბი-  
ლისი, 1983 ელექტრონული წიგნი ქართული  
ფოლკლორი. თბილისი. 2002
8. ვაჟა-ფშაველა ლაშარობა. პუბლიცისტური  
და ეთნოგრაფიული წერილები. თხზულებათა  
სრული კრებული ათ ტომად. IX ტ., გვ. 55-61,  
თბილისი. 1964
9. ვაჟა-ფშაველა ფშავლების ამაოდ-მორწმუნეო-  
ბანი. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წე-  
რილები. თხზულებათა სრული კრებული ათ  
ტომად. IX ტ., გვ. 65-70, თბილისი. 1964

10. მაისურაძე ნ. აღმოსავლეთ საქართველოს მუნიკალური კულტურა. თბილისი. 1971
11. მაკალათია ს. ფშავი. თბილისი. 1985
12. მაკალათია ს. მთიულეთი. ტფილისი. 1930
13. პატარიძე რ. (1980) ქართული ასომთავრული. თბილისი.
14. ჩიტაია გ. აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა. შრომები II ტ., გვ. 88-99, თბილისი. 2000
15. ჩიტაია გ. შუმერთა ცივილიზაცია. შრომები II ტ. გვ. 368-372, თბილისი. 2000
16. ჩიჯავაძე ო. ქართული კახური ხალხური სიმღერები. ნაწილი პირველი. თბილისი. 1962
17. ცანავა ა., წულაია ჯ. საუბრები ქართულ მოთლოგიაზე. თბილისი. 1998
18. ჭანტურიშვილი ს. ეთნოლოგიის ქრესტომათია. თბილისი. 1997
19. ჭილაშვილი ლ. ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი. 2004
20. ჭავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. I ტ. თბილისი, 1979
21. ჭავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. XI ტ. თბილისი. 1998



23. ჯავახიშვილი ივ. ქართული პალეოგრაფია. თბილისი, 1949
  24. ჯვარ-ხატთა სადიდებლები ტექსტები შეკრიბების, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს 25.ზურაბ კიქნაძემ, ხვთისო მამისმეგ-დაშვილმა და ტრისტან მახაურმა. თბილისი. 1998
  26. Wolkstein D., Kramer S.N. Inanna. Queen of heaven and earth. Her stories and hymns from Sumer. New York, 1983

## დამოწმებული ექსპედიციები:

კახეთი, სოფ. შილდა 2004წ., გ.გარაფანიძის ექსპ.  
მთიულეთი 1997წ., ე.გარაფანიძის ექსპ.  
სვანეთი, ლენტების რ., 2006წ., გ. გარაფანიძის  
ექსპ.

ფშავი (სოფ. მაღაროსკარი) 1986წ., ეგარაყანიძის  
აქცე.

ფშავი (სოფ. ცაბაურთა, სოფ. ჭიჩო) 1998წ., ეგა-  
რაყანიძის აქტის.

ფშავი (სოფ. უძილაურთა, სოფ. ცაბაურთა, სოფ. შეაფხო) 2001წ., გ-გარაფანიძის ქქსპ.



***Giorgi (gigi) Garakanidze (Georgia)***

